

პარტა ცხადათა

ონოგასტიკური
პიებანი

I



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებულმა ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა მოიპოვა რუსთაველის ფონდის სამწლიანი გრანტი „ქართველური ტოპონიმიკა“ (2009-2011 წლები). „ცენტრის“ თითოეულ შეცნიერ-თანამშრომელს უნდა წარმოედგინა მისთვის გამოყოფილი (მშობლიური) რეგიონის ტოპონიმის სრულად აღწერა და მოპოვებული მასალის ენობრივი და გარეუნობრივი ანალიზი. გრანტის შემსრულებელს ყოველი კვარტლის ბოლოს უნდა წარედგინა ნაშრომი გრანტით გათვალისწინებული სამეცნიერო-საკვლევი თემისა.

წინამდებარე „ონომასტიკური ძიებანი – I“ მოიცავს პროექტის III და IV კვარტლის სამეცნიერო-კვლევითი ამოცანების პასუხებს (III კვარტალი: სამეგრელო-სამურზაფანოს ტოპონიმია ქართველ და არაქართველ ავტორთა ჩანაწერების მიხედვით; IV კვარტალი: სამეგრელო-სამურზაფანოს ტოპონიმის ფონეტიკური ანალიზი).

რედაქტორები: რამაზ ქურდაძე
მაია ლომია

რეცენზენტები: მურად კემულარია
რევაზ ძნელაძე
იგორ კეკელია

© პ. ცხადათ, 2017

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19, ფ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-023-0

თავი პირველი

I

სამებრელო-სამურზაყაცოს საისტორიო ფონდის
(შეა საუკენეების უცხოენოვან ფიაროებსა და XIX-
XX სს მგვლებართა ნააზრებში)

ტოპონიმური მასალის მეცნიერულ ანალიზს ორმაგი
ფუნქცია აკისრია: შინაგანობრივი (ანუ გრამატიკული)
და გარეგნობრივი (ისტორიულ-პოლიტიკური). სწორედ
ამ გარეგნობრივი ანალიზის შედეგებით დაასკვნეს
ევროპელმა მკვლევრებმა, რომ ტოპონიმია არის: ა.
„მიწისზედა არქეოლოგია“; ბ. „წარსულის მატიანე“; გ.
„დედამიწის ენა“ და სხვ. ასეთი დასკვნების მოსაპოვებ-
ლად საჭიროა თითოეული გეოგრაფიული სახელწო-
დების ღრმად შესწავლა ისტორიული, სოციოლოგი-
ური, გეოგრაფიული, კულტუროლოგიური, საკულტო-
რელიგიური... ასპექტებით. ერთი საამისო მაგალითი:
ჩვენს დედაქალაქს რამდენიმე უცხოენოვანი ტოპონიმი
შემორჩენია: არაბული ისანი „ციხე“, არაბულ-
სარსული ავლაბარი „სასახლის მიდამო“, სპარსული
სეიდაბადი და სხვ. ასევე: მთიან სამეგრელოში რამდე-
ნიმე ათეული სვანურენოვანი გეოგრაფიული სახელწო-
დებაა შემორჩენილი, რაც ადასტურებს პტოლემაიოსის
(ახ. წ. II საუკუნე) ცნობას, რომ კოლხეთში ცხოვრობ-
დნენ „სვანო-კოლხოი“ (ე.ი. კოლხი სვანები). აფხაზი
მკვლევრები „ამტკიცებენ“, რომ სამურზაყაცოში სოფ-
ლის სახელწოდება ღუმურიში აფხაზურია, რადგანაც
წარმოქმნილია აფხაზური ოკონიმური ჭ სუფიქსით
(მაგრამ საწარმოებელ ფუძე ღუმირს აფხაზურობა ვერ
დააბრალეს). კიდევ მეტი: ირმა ანქვაბი „დარწმუნებუ-

ლია“, რომ -შ ოდენ აფხაზური სუფიქსია, რაც ფართო-დაბ გამოყენებული „ისტორიული აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სოჭიდან ქუთაისამდე“. სინამდვილეში ღუმირ სვანური სიტყვაა (სვანურ ენაში ღუმირ მცენარის სახელია, აღნიშნავს ნაძვს და ამიტომ დარქმევია ღუმურ-იში, სადაც -იში მეგრულ-სვანური სუფიქსია).

ჩვენი მიზანიც ამჯერად ასეთია: ქართულ და არა-ქართულ წერილობით წყაროებსა და თანამედროვე მკვლევართა მიერ ამა თუ იმ ტოპონიმის მისამართით გაწეული ენობრივ-ისტორიული კვლევა-ძიების წარმო-ჩენა.

„უცხოელთა ჩანაწერებში“ ძირითადად იგულისხმება შუა საუკუნეების მისიონერთა, მოგზაურთა და ელჩთა ჩანაწერები: დდიურები, შთაბეჭდილებანი, სამშობლოში გაგზავნილი წერილები (ავტორები: იოჰან ანგონ გიულდენშტედტი, უაგ ფრანსუა გამბა, დონ კრისტოფორი დე კასტელი, მაკარი ანტიოქიელი, ევლია ჩელები, სტოლნიკი ტოლჩანოვი და დიაკი იევლევი, უან შარდენი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე და სხვ.). ქართული წყაროებიდან მეტად მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრება“ და „ქართული სამართლის ძეგლები“, გახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, XIX-XX საუკუნეების ცნობილი მკვლევარნი... სწორედ ამ სხვადასხვა მიმართულების წაყროთა ჩვენებანი უზრუნველყოფენ სამეგრელოს თითქმის ორასამდე ტოპონიმის ერთგვარ ისტორიას.

P.S. გამოყენებული ლიტერატურა წარმოდგენილია ორ ნაწილად: ა. უცხოენოვანი წყაროები (მისიონერთა, მოგზაურთა, ელჩთა ჩანაწერები); ბ. აფხაზურენოვან მკვლევართა ნაშრომები, ქართულენოვანი საისტორიო წყაროები და სამეცნიერო-საკვლევი შრომები.

ტოპონიმთა ლექსიკონი

აბაშა. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, მდ. აბაშა, რომელიც კავკასიის მთებიდან ჩამოდის, ერთვის შავ ზღვას (ლამბერტი, 1991, გვ. 12). (შენიშვნა: სინამდვილეში აბაშა ტებურის მარცხ. შენაკადია); „აბაშა ძველად შეიძლება იყოს სტრაბონის გლავკოსი, რომლის შესახებ იგი ამბობს, რომ ცხენისწყალთან ერთად ფაზისს ერთვის“ (ლამბერტი, იქვე, გვ. 162). სახელწოდება აბაშას წარმომავლობასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. ყურადსაღები ჩანს ი. კეკელიას ასეთი ეტიმოლოგია: „ამოსავალია სპარსული სიტყვა აბჩა, რაც ნიშნავს პატარა წყალს, პატარა მდინარეს“ (კეკელია, 2011, გვ. 18, 20). მაგრამ როგორ აღმოჩნდა სპარსული სიტყვა სამეგრელოში?

მდინარე და სოფელი აბაშა მოხსენიებულია უკურანსუა გამბას „მოგზაურობაში“: „სახარბედიოს საგუშაგოდან გვიან სადამოს გამოვედით და მხოლოდ ნაშუაღამევს მივაღწიეთ აბაშის პოსტს“ (გამბა, 1987, გვ. 126). ამის შემდეგ მოგზაურებს გადაულახვოთ მდ. აბაშა და გასდგომიან გზას სოფ. მარნისაკე... „აბაშასა და მარანს შუა ოცდაშვიდი ვერსის გავლას ერთი საათი მოვანდომეთ“ (ლამბერტი, იქვე, გვ. 129). აბაშა პატარა მდინარეა რიონის შემდეგ. მოედინება მთიდან და უერთდება შავ ზღვას (გიულდ., 1962, გვ. 321). სინამდვილეში, როგორც ზემოთ აღინიშნა, აბაშა არის ტებურის მარცხ. შენაკადი. საერთოდ კი, აბაშას სტრაბონი უწოდებს გლავკოსს, არიანე – ქარიესს, ხოლო პტოლემაიოსი – ქარიტუსს. ამასთან დაკავშირე-

ბით შარდენი აღნიშნავს: „სამეგრელოს მდინარეების ძველი და ახალი სახელები მე განგებ მოვიტანე, რადგან ისტორიკოს-გეოგრაფები მათ არასწორად აღნიშნავენ“ (შარდენი, 1975, გვ. 110). აგათიას მიერ (IV ს.) დასახელებულ მდინარე კატაროსს ს. ყაუხეჩიშვილი აიგივებს აბაშასთან (ჯოჯუა, 1976, გვ. 438). „ქართლის ცხოვრებაში“ მურვან ყრუს ლაშქრობის აღწერისას დასახელებულია აბაშა. „ქართლის ცხოვრების“ ლეგენდებს იმეორებს ვახუშტიც: „მოიქცა რა ანაკოფიიდან მურვან ყრუ... მოაშთო ამან პრ აბაშა და მიერითგან აბაშა“ (ვახუშტი, 1973, გვ. 776). კ. ჰანი დარწმუნებულია, რომ ამ მდინარეში ჩამხრჩვალა მურვან ყრუს 8 ათასი აბასი (აბაში). (იხ. ჰანი, 1909, გვ. 2). ძველ ქართულში აბაშა//ჰაბაში აღნიშნავს აბაშელს, ხოლო აბაშეთი – ეთოპორას (სარჯველაძე, 2001, გვ. 5, 286). საერთოდ, სახელწოდება აბაშის განმარტება-სემანტიკა და მოტივაცია დამაჯერებელი აღარაა.

აზუბია. 1640 წლის 23 მარტს რუსთა ელჩები ელჩინი და ზახარევი გასულან „ „ და იმავე დღეს ჩასულან „ვ ავუნი“, ხოლო იქიდან გასულთ ბანბამდე მიუღწევიათ. ლოკალიზაცია არაა დადგენილი.

ათანგელო. როგორც ფრედერიკ დიუბუა დე მონპე-
რე (იმოგზაურა კავკასიაში 1831-34 წწ.) აღნიშნავს: ათანგელო ერქვა რუსების მიერ ენგურის მარჯვ-
ნაპირზე, უწინდელი ბერძნული ქალაქის ადგილზე და-
არსებულ მცირე ციხესიმაგრეს. ათანგელოს ციხე-
სიმაგრე იდგა იმ ადგილას, სადაც ენგური ორ ტოტად
იყოფა და თითოეული მათგანი ზღვას შეერთვის
ცალცალკე... ნანგრევების ირგვლივ არსებობს სოფელი
ათანგელო. ძველ ავტორთაგან მხოლოდ არქანჯელო
ლამბერტი მოიხსენიებს ამ ადგილს და უწოდებს მას
სათანჯს (მონაკერე, 1937, გვ. 163). სათანჯოს

ციხესიმაგრე სათანჯოს მთაზეა, ენგურის მარჯვ. ნაპირზე, ჭუბურხინჯთან... იგი აგებულია VIII-IX სს-ში.

ალერტებარი. სოფელი და სოფლის საკრებულო ოდიშის პლატოზე, მდ. უელიწყარის ზემოთში, უელიშ-კარისა და კორცხელის საკრებულოებს შორის. ზ. დ. 240 მ. ზუგდიდიდან 10 კმ. შედიოდა უელიშკარის თემში. 1936 წელს რევოლუციონერ გრიგოლ როგავას ხსოვნის უკვდავსაყოფად ეწოდა გრიგოლიში (ხოლო უელიშკარს – ორჯონიკიძე). ისტორიული სახელი დაუბრუნდა 1990 წ. სოფლის ცენტრში დგას ეკლესია ალერტის სახელობისა. ხალხის რწმენით, ალერტი უფრო ძლიერი ხარია, ვიდრე უელი უელიშკარში და უგურყელი – საჭურლულიოში. შდრ.: „ალორტობა – საღვთო საღვთოავი. დაურწყებას ოჯახის თითოეული წევრისათვის იკვლება თითო ყველული: დაკურთხებისა და ლოცვის შემდეგ თითოეული თავის კერძს სჭამს“ (გ. ბერიძე); ალერტობა იყო სახალხო დღესასწაული გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ოჯახის სიკეთეს, სიუხვესა და ბედნიერებას სთხოვდნენ ალერტის წმინდა გიორგის როგორც სოფ. ნოდაში (მარტვილის რაიონი), ისე მთელს სამეგრელოში (გ. ელიავა). მ. კვირტია კი აღნიშნავს: ალერტის ხარი ესვენა და დღესაც ასვენია სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოცხოს ეკლესიაშიც, რომელსაც აგრეთვე ალერტის ეკლესია ეწოდება. იქვე სრულდებოდა საკულტო დღესასწაულიც ყოველი წლის 23 აპრილსა და 10 გიორგობისთვეში (ძვ. სტილით). ალერტობა ამავე დროს ტარდებოდა ჩხოროწყუს რ-ნის სოფლებში – თაიასა და ზუმში (კვიმატი, 2001, გვ. 132). საქმე ისაა, რომ ალერტობა – წმინდა გიორგის დღესასწაული, ამავე დღეებში აღინიშნებოდა ქ. წალენჯიხაშიც (ალერტხარჩილე ბორცვია ქ. წალენჯიხაში. იხ.: ცხადაია, 2004, გვ. 14) და ზუგდიდის რ-ნშიც, ამჟამინ-

დელ სოფ. ალერტკარში. აქაური ხანდაზმულების გადმოცემით, ალერტის ხატი აფხაზეთიდან ჩამოუტანიათ ანთელავებს და მეხატულეებიც, ე. ი. მნათეები, სწორედ ამ გვარიდან ამოირჩეოდა. 10 ნოემბერს ალერტკარიდან 20 კმ-ზე ყულიშკარში, ყულის „უინი ანთარის“ სალოცავზე, იკვლებოდა „ანთარხოჯი“ და მისი ხორცის ნაწილი ალერტის ხატთანაც მიჰქონდათ.

ალერტის ეტიმოლოგიას მრავალი მკვლევარი შექმნია (ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ს. მაკალათია, თ. ოჩიაური, ნ. წულეისკირი, გ. ელიავა, აბ. ტუდუში, ო. ხუხუ...). მათი ერთი ნაწილი „ალერტს“ ეტიმოლოგიურად აკაგშირებს აფხაზურ-მეგრულ ანთართან (საქონლის მფარველი ღვთაება), ანატორთან („წმინდა“ ნადირის – ჯიხვის, არჩვის, შვლის და სხვ. გარეული ცხოველის მფარველი ღვთაება ხევსურეთში), თურქულ ალაპვერდთან... სხვები კი აღმოსავლურ სამყაროსთან ან კიდევ მცენარეთა კულტოან (შდრ.: ს.-საბა ორბელიანი: ალერტი „ნედლი თივა“) და სხვ. ეთნოლოგ დ. ჭითანავას დასკვნით, ალერტი კომპოზიტია და შედგება ორი სიტყვისაგან -ალი „ნათება, სიკაშკაშე“ და ერტი (\leftarrow ეტლი) "ვარსკვლავი, პლანეტა", ე.ი. ალერტი არის წარმართობისდროინდელი თეონიმი. იგი მნათობთა კულტის გამოძახილია და ნიშნავს „კაშკაშა მანათობელ ვარსკვლავს“. დროთა განმავლობაში ეს წარმართული კულტი-ღვთაება ქრისტიანულ სალოცავად ქცეულა" (ჭითანავა, 2001, გვ. 111-120). იმერული ვარიანტი: ალიორტობა. ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ ალერტი არის აღმოსავლური ალაპვერდის შემოკლებული ვარიანტი. გადმოცემით, ალარტი (და არა ალერტი) ქრისტიანობამდექლი რელიგიური კულტია.

ხალხური ეტიმოლოგია კი, რომელიც გავრცელებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. კიშიასა და

სოფ. ნოდაში, ასეთია: მტრის თავდასხმის გამო ხალხი ტყეში გახიზნულა. გამოქვაბულში თავშეფარებულებს ჩამორჩენილი თანასოფლელისათვის დაუყვირიათ, „ათაში ალერტი“ („აქეთ გამოიქეცი“). ამიტომ დარქმევია ალერტი.

დაბოლოს, ალერტის სიძლიერეზე მეტყველებს მეგრელთა შორის გავრცელებული ერთი ასეთი წყველა: ნორდიშ ჯვარამქ, ყული, ალერტი დო ქიაჩიქ გემგოცოთუა („ნორდიშ ჯვარამა, ყულმა, ალერტმა და ქიაჩმა ამოგაგდოსო“). (ნორდიშ ჯვარამი არის სალოცავი ცაცხვი ნორდიშში, რაც მარტვილის რ-ნის სოფ. ნობულევშია).

1886 წლის საკომლო აღწერის ცნობარის („...“, 1893 г.) მიხედვით, ყულიშკარის სასოფლო ოემში შედის სოფლები: ალერტიშკარი, ყულიშკარი, უჩაშონა. ზუსტად იგივე ვითარებაა „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ პირველ გამოცემაში (1930 წ.). ზუგდიდის რაიონის ყულისკარის სასოფლო საბჭოში შედის იგივე სოფლები, ოდონდ „ალავერდისკარი“ გადმოცემულია ფორმით „ალავარდისკარი“ (რუს.

). იმ პერიოდში ალავერდისკარში ცხოვრობდა 109 კომლი (509 სული. ყველა ქართველი). საქუთრივ ალერტკარი (ანუ, როგორც ხალხი განმარტავს, ალერტის ხატის საყოფა ეკლესია) მდებარეობს სერზე, სოფლის ცენტრში. ეს ეკლესია აუშენებია ეგნატე როგავას XIX ს-ში.

ანაგრია, ანარგია, ანაკრია. იხ. ანაკლია.

ანაკლია – სოფელი შავი ზღვის პირას, მდ. ენგურის შესართავის მარცხ. მხარეს სოფ. თიქორამდე. ანაკლიის თემის საკრებულოს ცენტრი. ზ.დ. 3 მ. ზუგდიდიდან 30 კმ. არის ზღვის კლიმატური კურორტი. სოფლის ტერიტორიაზე გათხოვილი დიხაგუძუბები

(ხელოვნური ბორცვები) ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ 5000 წლის წინათ კოლხთა სამეურნეო-სამიწათმოქმედო კულტურა და ხელოსნობა მაღალ დონეზე იდგა. ანაკლიის ერთ-ერთ დიხაგუშუბაზე აღმოჩენილია ძვ. წ. VI-V ს. აგებული კოლხური საცხოვრებელი ნაგებობა ჯარგვალის (მრგვალი ძელებისაგან ნაგები შენობა) ნაშთები, ბერძნული კოლონიზაციის წინა პერიოდის კერამიკა აღმოჩნდა როგორც ანაკლიაში, ისე კულევში, ჭალადიდში, საქორქიოში. პროფ. ნ. ლომოურის ვარაუდით, ნეაპოლისი, რომელსაც ასახელებს პტოლემაიოსი (ახ.წ. II ს.), მდგბარეობდა ენგურის შესართავთან, ამჟამინდელი ანაკლიის ტერიტორიაზე.

შეა საუკუნეებში ანაკლია შავიზდვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპორტო-სავაჭრო ქალაქი იყო. XVII საუკუნის ფრანგ და იტალიელ მისიონერთა თუ მოგზაურთა აზრით, ანაკლია ძველ დროში არსებულ ჰერაკლეას წარმოადგენს (როგორც სტრაბონის გეოგრაფიიდანაა ცნობილი, ჰერაკლეა ზღვისპირა ქალაქი პონტოს სამეფოში). ანაკლია დატანილია იტალიურ, ფრანგულ, თურქულ რუკებზე (ტუღუში, 1991, გვ. 5-6). მ. თამარაშვილის ცნობით, ლუი გრანეჟი 1615 წლით დათარიდებულ წერილში ანაკლიას მოიხსენიებს ჰერაკლეას სახელით (სხვათა შორის, ეს წერილი არის უძველესი წერილობითი წყარო, რომელშიც ანაკლია პირველადაა დასახელებული). ლუებან II დადიანის დროს ანაკლიაში იდგა მისიონერების სახლი და მონასტერი. იტალიელი მისიონერის – დონ ქრისტეფორე კახეტელის (იმყოფებოდა დას. საქართველოში 1634-1654 წლებში) ერთ-ერთ ნახატს (ალბომში №473) აქვს წარწერა: "ჩვენი პატრიების ნავი სოფელ ანაკლიაში". 1675 წელს რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში პატრი ძამპი ასა-

ხელებს ანაკრიასა და არკამას (თამარაშვილი, 1902, გვ. 204-205).

ანაკლია დატანილია კასტელისავე რუკაზე „კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკა“ (რუკის ზემო მარცხენა კუთხეში წარწერა: „კოლორიდან მოკიდებული რიონამდე კოლხეთის, ანუ დღეს სამეგრელოდ წოდებული ქვეყნის აღწერილობა“). (კასტელი, თბ., 1976, გვ. 187, სურათი №524). 1670 წელს ოდიშს სწვევია ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი და დაუტოვებია ეს ქვეყანა ანაკლიიდან მიმავალი ნავით. ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელიც 1823 წლის 6 (18) ივნისს ფრეგატით გამოსულა სოხუმიდან, მოგზაურობის დღიურში წერს: "მეორე დღეს დილაადრიანად უკვე ანაკლიაში აღმოვჩნდი. იგი პონტოს სამეფოს ძველი ჰერაკლეას ერთ-ერთი კოლონია გახლდათ. ეს ნაკადგური გაშენებულია აჯისა და ენგურის შესართავთან. ძველად იგი ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლითან ძალზე მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა, რაც ძირითადად ტყვეთა სყიდვას ემყარებოდა" (გამბა, 1987, გვ. 94). ანაკლია, ისევე როგორც ჩხარი, ჩიხორი, რუხი, ფოთი, XVII საუკუნის დას. საქართველოში ცნობილი სავაჭრო ცენტრი იყო (ნარკვევები, 1973, გვ. 178).

შვეიცარიული პროფესორი, საქართველოს გეოლოგიის პირველი მკვლევარი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, რომელმაც 1831-34 წწ. იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროზე, აღნიშნავს: "როდესაც მივცურავდით ენგურის შესართავის სიახლოვეს, ამ ჩქარი მდინარის მარცხენა ნაპირზე თვალი მოვპარი ანაკრიას, ბერძენთა ჰერაკლეას, მისი ძველი ნანგრევებით" (მონპერე, 1937). გიულდენშტედტიც წერს: "ანაკლია, ციხე ენგურის შესართავთან" (გიულდ., 1962 გვ. 325).

XIV-XV საუკუნეებში ანაკლია იტალიური ქალაქი-სახელმწიფო გენუის (ჯენუის) ციხესიმაგრეა. ზოგი მისიონერის (ჯოვანო ჯულიანი და ლუკა, არქანჯელო ლამბერტი და სხვ.) ცნობით, ანაკლიაში უწინ საეპისკოპოსო ტაძარიც კი ყოფილა. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან რუკაზე (1654 წ. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა) „კოლხეთი ანუ დღევანდელი სამეგრელო“ ენგურის შესართავთან წარწერილია ანარკია (Anarghia), ანუ ჰერაკლეა (Heraclea). ტიმოთე გაბაშვილის მიერ შედგენილ ლიხთიმერეთის რუკაზეც (XVIII ს.) აღნიშნულია ანაკლია, რომელსაც ერთვის შენიშვნა: „ანაკლიის ციხე თათართ უჭირავს“. XVIII ს-ში ანაკლიას დაეუფლენენ თურქები, ააგეს იქ ციხე-სიმაგრე და ტყვების სყიდვას მიჰყევს ხელი. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „გამოვიდნენ ოსმალნი ფოთს, ადაშენეს ციხე და დასუეს ფაშა... შემუსრეს რუხის ციხე სრულიად და ნარლუევითა მისითა ადაშენეს უმჯობესად ანაკრია, და ფაშასა ფოთისასა მიათუალეს სრულიად ზღვის პირნი“ (ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში ანაკლია ყველგან დასახელებულია ანაკრია ფორმით). შემდეგში ეს ციხესიმაგრე თურქებმა აფხაზთა მთავარს გადასცეს... 1856 წელს გრიგოლ დადიანის ცხენოსანთა რაზმმა საბოლოოდ გაათავისუფლა ანაკლია თურქთა ბატონობისაგან. გადამწვარდაქცეული სოფელი მაღვევე აღდგა და განაახლა უცხოელებთან გაჭრობა (პაჭკორია, 1969).

ქართულ წერილობით წყაროებში ანაკლია პირველად XVII ს. დასაწყისში არის მოხსენიებული: ბიჭვინტისადმი შეწირულობის წიგნში მალაქია კათალიკოსი (1616-1639 წწ.) ჩამოთვლის ოდიშის რამდენიმე სოფელს, მათ შორის „ანაკრიას“, სადაც რამდენიმე მეთევზე „დადიანმან პატრონმან ლეონ მისდა სადღეგრძელოდ მისის სულისათვის შესწირა“ ბიჭვინ-

თის ღვთისმშობელს (ქსძ, III, გვ. 500). ვახუშტი ბატონიშვილი კი აღნიშნავს, რომ "მდინარე ენგური ... მიერთვის ზღვას ანაკრიას".

ანაკლიასთან დაკავშირებით გამბა წერს: „იგი პონტოს სამეფოს ქველი პერაკლიას ერთ-ერთი კოლონია გახლდათ. ეს ნავსადგური გაშენებულია აჯისა და ენგურის შესართავთან“ (გამბა, 1987, გვ. 94). მართალია, ანაკლია ენგურის შესართავთან მდებარეობს, მაგრამ გაურკვეველია, რომელიც მდინარე აჯი? იქნებ ესაა **ჯუმი**, რომელიც ენგურის მარცხ. შენაკადია ანაკლიიდან 10-12 კმ-ზე, ან ზორდათი, მდ. ენგურისავე მარჯვ. შენაკადი ანაკლიიდან რამდენიმე კმ-ზე. თვით ცნობა, რომ პერაკლეა მცირე აზიის ელინისტური სახელმწიფოს – პონტოს სამეფოს – ქალაქია, ეკუთვნის სტრაბონს. ანაკლიასთან დაკავშირებით „ორი მდინარის შესართავი“ გამბას სხვა ადგილასაც აქვს მოხსენიებული. დასახელებული წიგნის 83-ე გვერდზე აღნიშნულია „ამჟამად რუსების მიერ მიტოვებული ანაგრია ენგურის შესართავთან“. რუსეთმა 1820 წელს მართლაც გაიყვანა ჯარის ნაწილები ანაკლიიდან და რედუტ-კალედან. ანაკლია (ქართულ წყაროებში გვხვდება ანაკრია ფორმითაც) სოფელია ზუგდიდის რაიონში იქ, სადაც ენგური ერთვის შავ ზღვას. მაგრამ, როგორც ცნობილია, და ჩვენც უკვე აღვნიშნეთ, „ანაკლიაში ენგური იქ კი არ ერთვოდა ზღვას, სადაც ახლა ერთვის, არამედ ორი ვერსის მანძილზე, თიქორთან. 1850-60 წწ. დათა ფულარიამ გაჭრა არხი და ენგური პირდაპირ შეუერთა ზღვას. მინახავს, თუ როგორ იქცეოდა გაჭრილი ნაპირი. კალაპოტშეცვლილ ენგურსა და ზღვას შორის დიდი მანძილი არ იყო (ჭანტურია, 1982, გვ. 175). ხალხური განმარტება ასეთია: ამ ადგილას ნავებით მოდიოდნენ თურქები და გასაყიდად მიჰყავდათ მოტაცებული ქალ-ვაჟნი. შვილდაკარ-

გული დედა ანა ზღვისპირას რამდენიმე დღე იდგა და მოთქვამდა. მეგრულში ანა რეიანს ნიშნავს: „ანა კივის“. ამიტომაც დარქმევია ანარკია: ე.ი. „ადგილი, სადაც ანა კივის“. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი ეტიმოლოგიაა შემოთავაზებული: ანაკლია ნიშნავს „ლამიან მინდორს“ (ოკუჯავა, 1999, გვ. 237).

1674 წელს პატრი ძამპის მიერ იტალიაში გაგზავნილ წერილში დასახელებულია ანარგია (თამარაშვილი, 1902, გვ. 204, 205 და სხვ.). ეს ანარგია, რა თქმაუნდა, ანაკლია. ანარგიას უწოდებს ამ სოფელს უან შარდენიც: „ჩვენს გემთან იყო ანაკლიიდან მოსული ნავი Anargwie; ის არის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელი, რომელიც 20 მილით არის დაშორებული წიფურიადან, სადაც ეს წმინდა მამები ცხოვრობდნენ (შარდენი, 1975, გვ. 209). „ანაკლია სოფელია, რომელიც ზღვიდან ორი მილით არის დაცილებული. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია სამეგრელოში. აქ ასამდე სახლია... ამბობენ, რომ ეს სოფელი გაშენებულია იმ ადგილას, სადაც ოდესდაც დიდი ქალაქი იყო, რომელსაც ჰერაკლეა ერქვა“ (შარდენი, 1975, გვ. 215). უან შარდენი ანაკლიაში დასწრებია ორ ნათლობასა და წირვასაც (იქვე, გვ. 254, 256). სოფლის სახელწოდება ანაკლია გვხვდება კასტელთანაც: „ჩვენი პატრების ნავი სოფელ ანაკლიაში...“ (კასტელი, 1977, გვ. 179. წარწერა №473 ჩანახაზე). კასტელი აფხაზეთის ქვეშნებში ჩამოთვლის დრანდრას, ნიკომენეს, ანაკლიას, ფესონს, ცხეუმს, გოჯს და სხვ. თანაც აღნიშნავს: „პტოლემეოსი ამ ქალაქებს კოლხეთში ათავსებს“ (იქვე, გვ. 195). სახელწოდება ანაკლია გვხვდება კასტელთანაც.

ანაკლიის მეცნიერული, დამაჯერებელი ეტიმოლოგია თითქოს არც მოგვეპოვება, მაგრამ 2016 წელს ურნალმა „ქართველელოგიამ“ დაბეჭდა კრცელი

სამეცნიერო სტატია „ტოპონიმ ანაკლიის ეტიმოლოგიისათვის“, სადაც ფართოდაა მსჯელობა ანაკლია/ჰერაკლეას ეპროპულ ენობრივ წარმომავლობაზე (იხ. ქ. ჯერვალიძე, ნ. პეტრიაშვილი, 2016, გვ. 75-84).

ანაკრია. არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაში“ დასახელებულია ექვსი მონასტერი, სადაც უწინ საეპისკოპოსო კათედრა იყო: „მეექსეა ანაკრიას მონასტერი, რომელსაც ძველად ერქვა ჰერაკლეა“ (ლამბერტი, 1991, გვ. 107).

ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ოდიშს, სადაც მე მოვინდომე, ლალიძეას, ანაკრიას, ფოთს, ჭალადიდს, წყალიგზას, გულველისკარს, ეკალს, საქუჩულორიოს, ჩუგნი გამორჩეული მეთევზენი და სხვა კაცები დადიანმან პატრონმან ლეონ მისდა სადღეგრძელოდ მისი სულისათვის შესწირა და ყოველსა წელიწადსა სულისათვს ტრაპეზი გაიჩინა“ (ქსძ, III, გვ. 500-501). ანაკრია, ისევე როგორც ანაგრია, იგივე ანაკლიაა.

ანაკლიასა და ანარკიას, აგრეთვე ჰერაკლეას ისტორიასთან დაკავშირებით იხ. ი. კუკულია, ძიებანი... თბ., 2015, გვ. 88; გ. ბედოშვილი... ლექსიკონი, I, 2002, ანაკლია, გვ. 34; მ. ძაბაძია, ანაკლიის წარსულიდან, ჟურნ. „ენგური“, 1965.

ანარია. ანარია ჭაობის სახელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭითაწყარში. იქიდან გამომდინარე ლელეს ეწოდება ანარიაშ დალ. 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთის იმ ადგილას, სადაც აღწერილია „ცაიშის ეკლესიისა და გარემო სოფლებისა საზღურები“ (ქსძ, III, გვ. 470) ნათქვამია: „ზურგდიდისაკენ ანარიას ლელეს აქეთ, მდინარის ჩასართავამდის დარჩელისა და ჩოხათის სოფლისა ჭალას სოფელს სათუმოს გზას დაბლა ხეთისაკენ, ბარცხილას ლელეს აქეთ ცაიშის ეკლესიისაა, და იქეთ

საერთო საცაიშლო კაცისა; და ქორთობის საყმოსი მთიან-ბარიანათ ურთის სოფლისა სათუმოს გზას აქეთ ეწრიან-საყანიანათ საცაიშლო სოფლების გარდასახადი ამ საერთო გუჯარში სცანით“ (ქსძ, III, გვ. 470-471).

არკამა. „იმ მთაზე, რომელიც არკამას დასცექერის, მოიპოვება მეორენაირი ქვა, ნაცრისფერი... მკვიდრნი ამ ქვას ხმარობენ ხელის წისქვილისა, საცეხველისა და აგრეთვე თორნეებისათვის“ (ლამბერტი, გვ. 177). გამოთქმულია ვარაუდი, რომ არკამა (არგამა) მდებარეობდა ბედიასთან ახლოს (ოკუჯავა, 1999, 2). შეიძლება დაგვსვათ კითხვა, ეს არკამა ხომ არ არის აკარმარა? (ქ. ტყვარჩელის სიახლოვეს).

არქეოპოლისი (ბერძნ.) „ძველი ქალაქი“, იგივე ციხე-გოჯი, ჩვ. წ. ად. I-IV საუკუნეებში, ბერძნული წყაროების მიხედვით, აღორძინებული ეგრისის სამეფოს დედაქალაქი იყო. ვარიანტი ბერძნულში: დოკონისი (იხ. ნაქალაქევი).

ასტელეფოსი – ასე უწოდებენ ენგურს ბერძენი ისტორიკოსები (იხ. აქვე: ენგური).

აფსილი. სამეგრელოს სოფლებს შორის გიულდენშტედტს დასახელებული აქვს „აფსილი“ (გიულდ., 1962, გვ. 323).

ბანძა. 1640 წლის 27 მარტს რუსთა ელჩები „“ გამგზავრებულან და მეორე დღეს მისულან „“ (ელჩობა, 1888, გვ. 359); უეჭველია, რომ ეს პანზა არის სოფელი ბანძა. „იმერეთის მეფე ალექსანდრე და ლევან დადიანი შეიყარნენ ბანძას და შეიბნენ მუნ და იქმნა ომი ძლიერი და გაემარჯუა მპყრობელს იმერეთისასა ალექსანდრე“ (ქ. ცხ., 1959, გვ. 432); გ. ალასანიას ვარაუდით, ქათიბ ჩელების „ქვეყნიერების სარკის“ რუპაზე „რიონსა და მდ. ხობს შორის მოთავსებული

ბჯა... ფონეტიკურად ტრანსფორმირებული ბანბაა“ (ქათიძ ჩელები, 1978, გვ. 60).

ბარდა. დასახელებულია სამეგრელოს სოფლებს შორის (გიულდ., 1962, გვ. 323). ამ სოფელს ამჟამად ეწოდება ბალდა (მარტვილის რ.).

ბარდები სამურზაყანოს ამჟამინდელი სოფლების – ზემო ბარდებისა და ქვემო ბარდების გამაერთიანებელი სახელწოდებაა. მაშასადამე, ბარდები უწინ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ერქვა ქირის ზემო წელზე. არქანჯელო ლაბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „პარიზის“ სამეგრელოს რუკაზე (1654 წ.) ერისწყლის მარცხ. მხარეს არის ეკლესიის გამოსახულება და წარწერა Barghebs, რაც სწორედ ბარდებია. ადგ. ვარიანტი: ბარდეფი.

ბარცხილას ღელე. ეს მიკროპიდრონიმი აღნიშნულია 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში (ქსძ. III, გვ. 470. იხ. ანარიას ღელე). დასახელებული ბარცხილას ღელეს სახელწოდებამ დღემდე მოაღწია. ბარცხემი, ბარცხენია ეწოდება ჯაგნარს მდ. ჯუმის ნაპირას, შედის სოფ. ჭითაწყარში.

ბედია – სოფელი და ოემის საკრებულოს ცენტრი სამურზაყანოში, მდ. ოხოჯეს მარჯვ. ნაპირზე (სამურზაყანო). გაშლილია აგუბედიისა და აჩიგვარის თემებს შორის მდებარე დაბალ პლატოზე, იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელსაც ბედია ეწოდებოდა, XX ს-ის დამლევს იყო სამი თემი – აგუბედიისა, რეგისა და ბედიისა.

ქართლის მატიანეში მოთხოვბილია, რომ ბაგრატ III-ემ (X-XI სს.), გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველმა მეფემ, ააგო ბედიის მონასტერი და გუდავიდან აქ გადმოიტანა საეპისკოპოსო კათედრალი (თვით მეფე აქვეა დაკრძალული). ახლანდელი საეკლესიო ნაგებობა განეკუთვნება XIII-XIV სს. ამავე

პერიოდისაა ქტიტორისა (ბაგრატ III) და დადიანთა გვარის წარმომადგენლების გამოსახულება. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია „ბედიის ჭედური თასი“ – X-XI სს. მიჯნაზე შესრულებული ოქროს ბარძიმი ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანების გამოსახულებითა და ასომთავრული წარწერით, რომელიც გვამცნობს, რომ აფხაზეთის მეფე ბაგრატი და მისი დედა გურანდუხეტი ბარძიმს სწირავენ მათ მიერვე აშენებულ ბედიის ეკლესიას. ბედიის ლაპიდარული ასომთავრული წარწერა თარიღდება X ს-ით და, მაშასადამე, ერთ-ერთი პირველი ეპიგრაფიკული ძეგლია დასავლეთ საქართველოში: როგორც ცნობილია, IX ს-ზე ადრინდელი ქართული წარწერა დასავლეთ საქარველოში არ დასტურდება. ბედიის სხვა წარწერები უკვე XIII ს-ს განეკუთვნება.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ბედია მდებარეობს „ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა“ (ეგრისის მდინარეში, როგორც ვარაუდობენ, მდ. ოქუმი იგულისხმება). არქანჯელი ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.) ოქუმის (იგივე ტარსურის) ორ მდგრელს შეა არის ეკლესიის სილუეტი და წარწერა „ბედიის ეპარქია“. იგივე ავტორი სამეგრელოს აღწერაში აღნიშნავს, რომ ოდიშში ექვსი ეპისკოპოსია და მათ შორის „მესამე არის ბედია, რომელიც აშენებულია გორაკზე, აგრეთვე ღვთისმშობლის სახელობაზე. მისი ეპისკოპოსი იწოდება ბედიელად“. ბედია აღნიშნულია 1654 წლის ლათინურენოვან „პარიზის“ რუკაზეც. როგორც აღნიშნავენ, XVII ს-ში ბედიაში ბაზრობაც იმართებოდა.

არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ გვაუწყებს, რომ ბედიაში, გორაკზე აშენებული ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა და მისი ეპისკოპოსი იწოდება ბედიელად (ლამბერტი, გვ. 107).

სამეგრელოში რუსთა ელჩის (1639-1640 წწ.)
ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ ისინი ყოფილან „

...

“ (ელჩობა, 1888, გვ. 355); არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ გვაუწყებს, რომ ბედიაში გორაკზე აშენებული ეკლესია დათისმშობლის სახელობისაა და მისი ეპისკოპოსი იწოდება ბედიელად (ლამბერტი, 1991, გვ. 107). ჯუზხეპე ძამპის თხზულებაში აღნიშნულია, რომ „ბედიის ეკლესიაშიც ინახება ნაწილი ძელი ჭეშმარიტისა, იესო ქრისტეს წვერის დერჯბი...“ (შარდენი, 1975, გვ. 157).

როგორც საისტორიო წყაროებიდან ვიცით, მეფე ბაგრატ III-მ „აღაშენა საყდარი ბედიისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განასრულა ყოვლითა განგებითა“.

ლეონტი მროველი ამტკიცებს, რომ ეგრისს „აწჭეპან ბედია, ამიტომაც მას ეგრისის წყალი იქვე, ბედიის მახლობლად ეგულებოდა... ეგრისის წყლად უნდა მდ. ოხოჯი ყოფილიყო“ (ჯავახიშვილი, 1948, გვ. 19). ერთ-ერთი მისიონერის მიერ 1615 წელს მოქვიდან ევროპაში გაგზავნილ წერილში დასახელებულია ბედია და ბედიელი ეპისკოპოსი, ხოლო ბედიის ეკლესიასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ბედიაში მშენებიერი ნაშენი ეკლესიაა ძველებურის მხატვრობით შემკობილი“ (თამარაშვილი, 1902, გვ. 147). ბედია დასახელებულია მაკარი ანტიოქიელის ჩანაწერებშიც: „მეგრელთა ქვეყნის დიდი ეპარქიის მფლობელმა, ბედიის ეპისკოპოსმა ანდრიამ მიამბო...“ (ანტიოქიელი, გვ. 103).

კასტელის ალბომში № 443 სურათს, რომელშიც მოცემულია ბედიის ტაძრის სქემატური სურათი, აქვს წარწერა: „ამ სოფელს უწოდებენ ბედიას იმიტომ, რომ ერთ დღეს საქართველოს მეფეს, რომელიც მთებში ნადირობდა, თავიდან დოლბანდი გადმოვარდნია და ამ ადგილას ოქროს ჯვარი უპოვნია, რაზედაც უთქვამს,

რომ კარგი ბედი მქონიაო“ (კასტელი, 1977, გვ. 171). კასტელისავე ალბომში № 461 ნახატზე წარწერაა: „სამეგრელოს არქიეპისკოპოსის ქონების შესანახი ნაგებობა სოფ. ბედიაში, სამეგრელოში“ (იქვე, გვ. 176).

ბია. ქართული სამართლის ძეგლებში სოფელი ბია დასტურდება მე-18 საუკუნის დამდეგიდან. 1700 წელს დაწერილი „შეწირულების წიგნის“ მიხედვით, აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს ბიჭვინტის ღმრთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავს ბიას მცხოვრები ხოსია სიჭინავა და ხუხუ ჩიჩუა (ქსძ, III, გვ. 647. იხ. აგრეთვე გვ. 670). 1733 წლის 16 ოქტომბერს შედგენილ „შეწირულების წიგნში“ კი იგივე კათალიკოსი წერს: „სახობოში ბიას კოჩივარე სიჭინავა ჩიჯავაძის ნიშანში ბევრა დადიანმან მოგვცა“ (ქსძ, III, გვ. 732); ამავე პერიოდში გრიგოლ კათალიკოსს ბიჭვინტის ღმრთისმშობლისათვის უბოძებია „ბიას: კოჩიორე სიჭინავა და მისი გლეხი ამაცალა ცხადაია. კიდევ ბიას ჯვებე ბიგვა და მისი ძმისწული მათის ცოლშვილითა“, რომელთა საეკლესიო გადასახადს წელიწადში შეადგენდა ხუთ-ხუთი ლოდარიკი სანთელი (იქვე, გვ. 768. იხ. გვ. 771); აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე 1706 წელს ბიჭვინტისადმი შეწირულების სიგელში აღნიშნავს: „ბიას სიჭინავა ხოსია ხახუ ჩიჩუას სწირავს და ნიშანშიდ ავიყვანეთ“ (ქსძ, III, გვ. 647).

საქართველოსა და მის კუთხეებში არაა იშვიათი, როცა სხვადასხვა სახის გეოგრაფიულ ობიექტს მცხნარის სახელი ჰქვია (მაგ.: ცაცხევი, ჭანდარი...). ამგვარ ოკონიმთა რიგში დგება ბიაც („კომში“). ამ სოფელში, კერძოდ, უთუთია იოსავას სახლში, გაზრდილა მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია. მას ამ სოფლის ადგილის სახელებიც ჰქონია ჩაწერილი. ამჟამად ბია დაყოფილია სამ სოფლად: ბია, ბია

საშონიო და ზემო ბია. ისინი შედის ბიის თემის საკრებულოში, რომელიც მდ. ხობისწყლიდან გაშლილია სენაკის რ-ნის საზღვრამდე (ხობის მუნიციპალიტეტი).

ბოჭი. „

31

,
“ (ელჩობა, 1888, გვ.

323). ზახარევის მოხსენებით ბარათში კი ამ სოფელს ეწოდება ნიტკი, სადაც მდგარა წმ. გიორგის ხის ეკლესია (იქვე, გვ. 349). სოფლები უახარი, ბოჭი და კეძი, რომლებიც გაუვლიათ რუსეთის ელჩებს სანამ სოფელ ფუწყურს მიაღწევდნენ, არაა ლოკალიზებული.

გაგიდა. სოფელი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის რუსაზეც (1654 წ.) და, როგორც ჩანს, მის საფუძველზე შექმნილ და პარიზში დაცულ ლათინურენოვან (აგრეთვე 1654 წ.) „სამეგრელოს რუსაზეც“ Gaghiba ფორმით. ამ რუსებზე ერისწყალი ერთვის არა ოქუმს, არამედ პირდაპირ შავ ზღვას და ამ შესართავის დას. ნაპირზეა აღნიშნული გაგიდა. იმ მდინარეს, რომელიც გაგიდასთან შავ ზღვას ერთვის, ეწოდება გაგიდაწყარი. XX ს-ის დამლევს სოფელი გაგიდა შედიოდა განახლების თემში (სამურზაყანო). ეტიმოლოგია უცნობია. ხალხური გადმოცემა კი ასეთია: „აბრაგებს გაგის და მოუკლავთ. ამიტომ დარქმევია გაგიდა“.

არქანჯელო ლამბერტი მეგრელთა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით წერს: „ოდიშის ერთ ადგილას, რომელსაც გაგიდა ჰქვია, მიწას არ ხნავენ გუთნით, რათა არ დაარბილონ და ასე შეუმუშავებელ მიწაში ჩაჰურიან ჰურის თესლს, რომელიც კარგად ამოდის და მშვენივრადაც იზრდება“ (ლამბერტი, გვ. 53). გაგიდა ზღვისპირა სოფელია და აქ ზღვასვე ერთვის მდინარე გაგიდაც (გაგიდაწყარი).

გამბლი. ფუწყურიდან რუსეთის ელჩებს ნახევარი
დღის სიარულის შემდეგ გაუგლიათ სოფ. გამბლში:

“ 4 .

...
1888, გვ. 350-351).

“ (ელჩობა,

გაღმა ხორგა. გრიგოლ კათალიკოსის (1696-1742 წწ.)
მიერ შედგენილ საეკლესიო საბუთში „ნუსხა ხობის
შესავალი და შეწირული სანთლისა“ დასახელებულია
„გაღმა ხორგა“ (ქსძ, III, გვ. 770).

გენათი. იხ. სეპია.

გიობაწყარი. იხ. ჯოვობაწყარი.

გლავგოხი – სტრაბონის აზრით, ასე ეწოდება
აბაშას (იხ. აქვე: აბაშა).

გოგიელი. სოფელი გოგიელი არქანჯელო ლამ-
ბერტის სამეგრელოს რუკაზე (1654 წ.) აღნიშნულია
სამურზაყანოში, ერისწყლის მარცხ. ნაპირზე, სადაც
დღეს მდებარეობს ქ. გაღი.

გორდი. სამეგრელოს სოფლებს შორის გიულდენ-
შტედტი ასახელებს: „გორდი პატარა ციხე ცხენის-
წყალზე“ (გიულდ., 1962, გვ. 323). გორდი ამჟამადაც
სოფელია ცხენისწყლის ხეობაში.

გუდავა – სოფელია სამურზაყანოში, ოქუმწყარის
მარცხ. ნაპირას, პ. გუდავასა და აჩიგვარას შუა. XX ს-
ის დამლევს შედიოდა აჩიგვარის თემში. იშვიათი
ვარიანტებია: გუდა, გუდაცვა. აფხაზები გამოთქვამენ
როგორც გუდაა.

ისტორიულად გუდავა (//გუდაყვა) მოიცავდა მთელ
ზღვისპირა ტერიტორიას მდ. ოქუმის ორსავე მხარეს,
შავი ზღვიდან აჩიგვარამდე და შეშელეთამდე... ამ
ადგილებში ადამიანს ჯერ კიდევ 3000 წლის წინათ
უცხოვრია. გუდავას ადგილას, IV-V სს. ბერძნულ-
ენოვანი წერილობითი წყაროების მიხედვით, გაშენე-
ბული ყოფილა რომაელთა ციხე-ქალაქი ზიგანისი

(//ზიდანისი). ქართულ საისტორიო წყაროებში დამოწმებულია როგორც გუდავა, ისე გუდაყვა. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ VII-IX სს-ში აქ არსებული გუდაყვის საეპისკოპოსო კათედრა მეფე ბაგრატ III-ს გადაუტანია ახალაშენებულ ბედის ეკლესიაში (ხალხში შემონახული გადმოცემის თანახმად, ეს იმიტომ მომხდარა, რომ გუდავას ეკლესიას შავი ზღვა შემოსდგომია). არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ (ორივე 1654 წ.) ზღვისპირას, მდ. ოქუმის მარცხ. მხარეს, ზედ შესართავთან აღნიშნულია ეკლესია და მის თავზე არის წარწერა *Gudas „გუდა“*. ნაეკლესიარზე პროფ. პ. ზაქარაიამ ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები.

გულეველისკარი. ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ოდიშს, სადაც მე მოვინდომე, დალიძგას, ანაკრიას, ფოთს, ჭალადიდს, წყალიგ ზას, გულეველისკარს, ეკალს, საქუჩულორიოს, ჩუენი გამორჩეული მეთევზენი და სხვა კაცები დადიანმან პატრონმან ლეონ მისდა სადღეგრძელოდ მისი სულისათვის შესწირა და ყოველსა წელიწადსა სულისათვს ტრაპეზი გაიჩინა“ (ქსძ, III, გვ. 500-501). გულეველისკარის თავდაპირველი სახელწოდებად ითვლება „გულევლი“. გულევლის წმინდა გიორგის ეკლესიის აშენების შემდეგ სოფელს დაერქვა. გულევლისკარი წყაროებში პირველად 1628 წელს მოიხსენიება. სოფელში ნაეკლესიევის ადგილას დგას გვიანდელი ფეოდალური ხანის ეკლესია (ქსე, III, 1978, გვ. 299).

გულეპარის ჩქონი. დასახელებულია 1616-1621 წწ. საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, გვ. 475). ამჟამინდელი „გულეიკარი“ სოფელია აბაშის მუნიციპალიტეტში, რიონის მარცხ. მხარეს. ჩქონი (მეგრ.) „კუნძული“.

გუფუ. გუფუ მიკროტოპონიმი ჩანს: თილითის საეკლესიო გლეხთა ჩამონათვალში ნათქვამია: „მართებს გუფუს მახუს ვარდანიას საპურობო...“ (ქსძ, III, გვ. 433).

დარჩელი. სოფელი და დარჩელის თემის საკრებულოს ცენტრი ოდიშის დაბლობზე, ენგურის მარცხ. მხარეს, მდ. ჯუმამდე. ზ.დ. 10 მ. ზუგდიდიდან 20 კმ. წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება 1621 წელს დაწერილ საეკლესიო საბუთში, სადაც აღნიშნულია: „მართებს დარჩელის სასახლის მიმდგამსა კაცებსა“ და ჩამოთვლილია ამ სოფელში მცხოვრები საეკლესიო გლეხები, რომელთაც ემართათ გარკვეული ბეგარა ცაიშის ეკლესიისა. ლევან II დადიანის ხანაში ცაიშელ ეპისკოპოსს ეკუთვნოდა სასახლეები ცაიშში, დარჩელში, ჭალაში, ჩოხათში, ჯორიელში. მკვლევართ. ბერაძის ვარაუდით, ჭალა და ჩოხათი მდებარეობდა დარჩელში, ხოლო ჯორიელი – ზღვისპირას, ჭურის შესართავთან. საისტორიო წყაროებში გვხვდება ფორმა დარჩენიც. მაგალითად, 1873 წელს შედგენილ კაგეასიის დასახლებული ადგილების სიაში შეტანილია სოფელი დარჩენი (, .V, , 1879, ჩანაწ. 905).

ხალხური ეტიმოლოგია: ა) ვიღაცი კაცი მოსულა სოფელში სტუმრად, მოსწონებია და დარჩენილა. ამიტომ დარქმევია დარჩელი; ბ) დარჩელი არის იგივე დორჩელი, ანუ დაფენილი, დაგებული (რადგანაც ვაკეა). ამ სოფლის მცხოვრებთ ეწოდებათ მელებიეფი: ყანიდან სახლში დაბრუნებულ დარჩელელს ლობიო და ლომი დაახვედრეს. ხელში ქოთანი დაიჭირა, შიგ აწობდა ლომს და მადიანად მიირთმევდა. ამ დროს გამოიარა ცხენოსანმა და ანაკლიის გზა იკითხა. დარჩელელმა ქოთნიანი ხელით აჩვენა მიმართულება. ცხენოსანს უთქვამს „მელებიეფი ცოფენანია“. 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთ-

ში „კათალიკოს მალაქიასა მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ აღნიშნულია: „არის დარჩელის აზნაურის შვილი და მსახური 85“ (ქსძ, III, გვ. 481).

დეჟიხი, ლეჟიხი, ჟეჟიხი. ერთი და იმავე სოფლის სახელია, საიდანაც რუსეთის ელჩობა 1640 წლის 21 მარტს გამგზავრებულა მორდულის მონასტერში (ელჩობა, 1888, გვ. 326-327).

დრანდა. რუსთა ერთ-ერთი ელჩის, ზახარევის ჩანაწერებში გვითხულობთ: „ 6
“ (ელჩობა, 1888, გვ. 351).

ეს როგორც ჩანს, იგივე დრანდაა, სოფელი მდ. პატარა კოდორის ნაპირას, რკინიგზის მაგისტრალზე. აქ დგას VIII ს. გუმბათოვანი ეკლესია, რამდენჯერმე გადაკეთებული.

ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაში“ დრანდა, რომელიც აფხაზეთის საზღვარზეა, დასახელებულია იმ სოფლებს შორის, სადაც დარჩენილია საეპისკოპოსო კათედრა. ამ სოფელში არის დვოისმშობლის ეკლესია და მის ეპისკოპოსს პქია დრანდელი (ლამბერტი, 1991, გვ. 107).

დრანდის მონასტერი მდებარეობს კოდორის მარცხენა ნაპირზე. ერთ დროს ის საეპისკოპოსო ცენტრი იყო. ამასვე აღნიშნავს მაკარი ანტიოქიელიც, რომელიც სამეგრელოში იმუოფებოდა 1665-66 წლებში: „რაც შეეხება მეგრელთა ეპარქიას, იქ ექვსი ეპისკოპოსი ზის. ესენია: ჭყონდიდელი, მეორე – ხობელი... მესამე ეპისკოპოსი ცაიშელი, მეოთხე – ბედიელი, მეხუთე – მოქველი, მეექვსე – დრანდელი“ (ანტიოქიელი, 1982, გვ. 113).

კასტელის „ცნობებში“ დასახელებულია როგორც დანდრა, ისე დრანდა ფორმით: №477 ნახატს აქვს წარწერა: „დანდრას საეპისკოპოსო აფხაზეთში, კავკასიის მთებში“ (კასტელი, 1977, გვ. 180). კასტელის „ცნობებ-

ში“ ჩართულია კოლხეთის აღწერილობა, სადაც ვკითხებობთ: „დრანდა. აქ ერთი ეპისკოპოსია მდინარე კორაჩესთან ახლოს, მას უწოდებენ დრანდას“ (იქვე, გვ. 195).

ქათიძე ჩელების ჯიპან-ნუმას რუკაზე აღნიშნული „ორნეუ“ დრანდა უნდა იყოს (ქათიძე ჩელები, 1978, გვ. 60 იხ. გ. ალასანიას შესავალი წერილი).

გვრი. როგორც პოლიტიკური ერთეული („ეგრისის“ ნაცვლად), ქართულ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში მხოლოდ რამდენიმეგზის არის დასახელებული. მაგალითად: „მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთის გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრის“ (ქ. ცხ. I, თბ., 1955, გვ. 65); „სამნალიო, ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა“ (იქვე, გვ. 185). ვახუშტი ეგრისზე მსჯელობისას ეყრდნობა მატიანე ქართლისას იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ლეონ-მა განაგდო ბერძენი, „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა“ (ქ. ცხ. I, გვ. 251).

გვრისი. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, „ოქუმის იქით ეგრისია და ეგრისის იქით მოქვის წყალი“ (ლამბერტი, 1991, გვ. 162). იხ. სამეგრელო, კოლხეთი, კოლხიდა. საერთოდ კი, ვახუშტის „აღწერაში“ რამდენიმე ათეულ შემთხვევაში დასახელებულია „ეგრისის“.

გვრისწყალი. შეა საუკუნეების წყაროებში მრავალ-გზის დასახელებულ ეგრისწყალს ერთნი აიგივებენ მდინარე ენგურთან, მეორენი – მდ. ოხოჯე-ოქუმის-წყალთან, ხოლო მესამენი – მდ. ლალიძგასთან (იხ. დაწვრილებით: ბერაძე, 1967, გვ. 134-140). დ. მუსხელიშვილი მცირდება, განიხილავს რა ამ საკითხებს, აღნიშნავს: ჩვენც იმ აზრს ვემხრობით, რომ ქართული წყაროების ეგრისწყალი უნდა იყოს დღეგანდელი დალიძგა. ეს იყო

ეთნოგრაფიული ეგრისის საზღვარი აფშილეთთან
ადრე შუა საუკუნეებში (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 113).
ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს სამ ვარიანტს:
ეგური, ეგრისის მდინარე, ეგრისის წყალი.

ეგალი. ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში
მალაქია კათალიკოსი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს:
„ოდიშს, სადაც მე მოვინდომე, დალიძგას, ანაკრიას,
ფოთს, ჭალადიდს, წყალიგზას, გულვალისკარს,
ეპალს, საქუჩულორიოს, ჩუენი გამორჩეული მეთევზენი
და სხვა კაცები დადიანმან პატრონმან ლეონ მისდა
სადღეგრძელოდ მისი სულისათვის შესწირა და ყო-
ველსა წელიწადსა სულისათვს ტრაპეზი გაიჩინა“ (ქსძ,
III, გვ. 500-501). სოფ. ეკალში გაუვლიათ გამბასა და
მის ონამგზავრებს (გამბა, 1987, გვ. 144). ვახუშტი
ასახელებს სამ ვარიანტს: ეგური, ეგრისის მდინარე,
ეგრისის წყალი.

ევი. ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია
კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ევს ორი
კვამლი კაცი... ჭილაძესა ლომკაცსა დავადებინეთ და
შევაწირვინეთ“ (ქსძ, III, გვ. 502). ეკი სოფელია მდ.
ცივის მარცხ. მხარეს, სენაკის მუნიციპალიტეტში.
შემორჩენილია იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო
ანსამბლი (IX-X სს. ფრესკების ფრაგმენტებით) და
მაცხოვრის ეკლესია (სავარაუდოდ, XIII ს. მეორე
ნახევრისა). ხალხური ეტიმოლოგია: „ეკი ნიშნავს „აღმა
და აღმა“. მართლაც, სოფელი მაღლდება და მაღ-
ლდება მთის მიმართულებით. ამიტომ დარქმევია ეკი“.
XX ს დამდეგს ეკის თემის საკრებულოში შედის სოფ-
ლები: ეკი, საადამიო, საგუნიო, საცხვიტაო, შრომის-
კარი.

ენგური. ენგურს, რომელიც კავკასიის მთებიდან
ჩამოდის და ერთვის შავ ზღვას, ასახელებს არქანჯე-
ლო ლამბერტიც. „ჭანისწყალის შემდეგ მოსხანს

ენგური, რომელიც უნდა იყოს ძველთა ასტელფოსი... არიანე უჩვენებს ასტელფოსს სწორედ ჭანისწყალის სიახლოვეს... შესავალში ამ მდინარეს აქვს მოყვანილობა ჩანგის ბუდისა, რასაც ბერძნულად აღნიშნავენ როგორც ასტელფოსი“ (ლამბერტი, 1991, გვ. 163).

ეს შარდენი აღნიშნავს: „შუა დამისას ჩავედით მდინარე ასტოლფის შესართავთან. მეგრელები ამ მდინარეს ენგურს ეძახიან. იგი სამეგრელოს ერთი დიდი მდინარეთაგანია“ (შარდენი, 1975, გვ. 214). „ენგურს, რომელზეც ჩვენ დავეშვით, ძალიან სწრაფი დინება აქვს, მასში ბევრი მეჩებია“ (იქვე, გვ. 254).

ენგური დიდი მდინარეა. მოედინება მთიდან და უერთდება შავ ზღვას. მის ჩრდილოეთით აფხაზეთის მდინარეებია (გიულდ., 1962, გვ. 321). „სამეგრელოს სერავს ფაზისი, ხობი და ენგური“ (გამბა, 1977, გვ. 104). „ოევზით მდიდარ ენგურზე მეოვეზეობა უწინ თურქი ვაჭრების ხელში იყო და სამეგრელოს მთავრების ერთერთ ძირითად შემოსავალს წარმოადგენდა“ (იქვე, გვ. 94).

მდინარის სახელწოდება უკავშირდება ქვეყნის სახელს: ეგრისი ერქვა შავი ზღვის სანაპიროზე ვრცელ ტერიტორიას, თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს. მდინარეს, რომელიც სვანეთიდან მოედინება, სამეგრელოს გაივლის და ყულევთან ერთვის შავ ზღვას, ისტორიულ წყაროებში ეწოდება ეგრის-წყალი. იგივეა ეგრული „ეგრისული“ → ენგური (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 444). ამჟამად მდინარეს, რომელიც ყულევთან ერთვის შავ ზღვას, ეწოდება ხობი//ხობის-წყალი.

ერისწყალი (ადგ. ვარიანტ: ერწყარი) – სამურზაყანოს ერთ-ერთი დიდი მდინარე, ერთვის ოქუმწყარს მარცხენა მხრიდან ზღვის სიახლოვეს. იწყება ერთიშში

(ე.ი. ერწყარი ← ერთიშწყარი). ზემო წელზე გალისა და წალენჯიხის რაიონების საზღვარია. შეა წელზე ფართო ხეობა კაშხლით გადაიკეტა (რასაც დასჭირდა ასეულობით ოჯახის აყრა) და შეიქმნა გალის წყალსაცავი, რომელშიც ჩაედინება ენგურის წყალსაცავის წყალიც. „სამეგრელოს რუკაზე“, რომელიც ერთვის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერას“ (1654 წ.), აგრეთვე ამის მიხედვითვე (ასე ჩანს) შედგენილ ლათინურენოვან რუკაზეც (1654 წ.) ამ მდინარეს ეწოდება *Heti-scaris* და იგი პირდაპირ მიერთვის შავ ზღვას. ამასთან დაკავშირებით მთარგმნელი ილია ჭყონია შენიშნავს: „ამ მდინარეს დღეს გაგიდა ჰქვია“. სამწუხაოდ, გალის რ-ნის მცირე სქემატურ რუკაზეც (ქსე, 2, გვ. 241) ერისწყალი ოქუმს კი არ ერთვის, არამედ პირდაპირ შავ ზღვაში ჩაედინება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით „სამეგრელოს აღწერის“ ტექსტში ერისწყალი აღნიშნულია შეკვეცილი ფორმით „ენგურს იქით არის *Heti*, რომელსაც სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ, თუმცა დირსშესანიშნავია თევზის სიუხვით; ზღვას შეერთვის გაგიდასთან“. აქ მთარგმნელი აღ. ჭყონია შენიშნავს: „ამ მდინარეს დღეს გაგიდა ჰქვია“. გაგიდა//გაგიდაწყარი სხვა მდინარეა. იგი მართლაც უერთდება ზღვას სოფ. გაგიდასთან. ერისწყალი კი ოქუმის მარცხ. შენაკადია (იხ.: ქსე, 4, გვ. 195; ქსე, 3, გვ. 642). საერთოდ, მეგრული სიტყვა წყარი არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკის“ მიხედვით იწოდება როგორც „სხარი“ (უფრო ხშირად), ისე სკარი (იშვიათად) ფორმით.

„სამეგრელოს აღწერის“ *Heti* და „სამეგრელოს რუკის“ *Heti-skari* არის ერ(ი)წყარი (სალიტერატურო ფორმა „ერისწყალი“). იტალიურში ჰ არ იკითხება. გწ. ლათინურენოვან რუკაზე „კოლხეთი. დღევანდელი სამეგრელო“ (1654 წ.) ეს მდინარე აღნიშნულია

როგორც eri-Skari და ავთ. თორდუას მიერ გადმოქარ-
თულებულ ვარიანტშიც ერიწყარი ჩანს, ოდონდ იგი
შავ ზღვას ერთვის გაგიდასთან. დღეს ეს მდინარე
ოქუმის მარცხენა შენაკადია ზღვის სიახლოვეს. პიდ-
რონიმი ერიწყარი რთული სიტყვაა, რომლის თრივე
კომპონენტი მეგრული ენის მონაცემებით აიხსნება.
„ერისწყალს... ეწოდებოდა ერთისწყალი. იმ მთას,
საიდანაც იგი მოედინება, ერთიშ გვალა (ერთის მთა)
ეწოდება“ (ბერაძე, 1967, გვ. 63). დავაზუსტოთ: ერთიში
ეწოდება ფართო ხეობას ოხაჩქუეს კარსტული მასივის
სამხრ.-აღმ. კალთაზე (წალენჯიხის მ.), ზ.დ. 500-600 მ.
სიმაღლეზე. ტოპონიმის პირველ კომპონენტს ემატება
ზანური სუფიქსი -იში, რომელიც გამოხატავს კუთვნი-
ლებას. ამოსავალი ფუძე ერთი არის შემოკლებული
ფორმა პირსახელისა ერთუმე (სალიტერატურო ფორმა:
ექვთიმე). მაშასადამე, ერთიში (იგივე ექვთიმესი) არის
ერთის კუთვნილი (ხეობა), ხოლო მდინარეს, რომელიც
აქედან გაედინება, დაერქმეოდა ერთიშიშ წყარი →
ერთისწყარი → ერ(ი)წყარი. როგორც ჩანს, არქანჯელო
ლამბერტის Heti და Heti-skari ამ „ერთისწყარის“ რ
დაკარგული ვარიანტია.

მაშასადამე, პიდრონიმ „ერწყარის“ თრივე კომპონენტი, როგორც უკვე აღვნიშნე, მეგრულია და, აქედან
გამომდინარე, უსაფუძვლოა მისი დაკავშირება აფხა-
ზურ ჰიპოთეზურ „ტარძე“ პიდრონიმთან. როგორც ჩანს,
ერწყარის პირველი კომპონენტი ერ- აფხაზებმა გაიაზ-
რეს როგორც აფხაზური ა-ტარ, ხოლო მეორე კომპო-
ნენტი თარგმნეს. შედრ. აფხაზური ატარძე მეგრულშიც
აუარძი-დ შემოვიდა და არა როგორც ერისწყალი.

ეხარისი. Echaris არქანჯელო ლამბერტის მიხედვით
მდინარეა, რომელიც ჩამოედინება კავკასიის მთებიდან,
გადასერავს კოლხიდას და მიემართება შავი ზღვისაკენ
(ლამბერტი, 1991, გვ. 12).

ზენი. ზენი სოფელია სამეგრელოში (გიულდ., 1962, გვ. 323). ზენი (მეგრ. „ვაკე“) რამდენიმე სოფელს ეწოდება სამეგრელოსა და სამურზაყანოში.

ზიგური. რუსეთის ელჩობის აღწერილობაში ნახსენებია სოფელი ზიგური (Зигур), იგივე ჯიგური, სადაც რუსეთის ელჩობა 1640 წლის 27 აპრილს შეხვედრია სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს. იგულისხმება ძიგური, სოფელი აბაშის რაიონში, მდ. აბაშის მარჯვნაპირას. „წყაროებში პირველად იხსენიება 1640 წელს, როცა სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი ძიგურის სასახლეში შეხვდა ელჩებს – თ. ელჩისა და პ. ზახარევს“ (ქსე, 11, 1978, გვ. 273).

ზიღანა. კოლხეთ-ლაზიკეს შესახებ ჩვენამდე მოღწეულ გეოგრაფიულ თუ სხვა ხასიათის ბერძნულ წყაროებში, მაგალითად, პირველი საუკუნის სწავლულთან და სახელმწიფო მოღვაწესთან, პლინიუს უფროსთან მოიხსენიება ზიღანა, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი გუდავას ადგილას (სადაც ოქუმი ერთვის შავ ზღვას). ბასილი სოფენელის მიერ ბიზანტიის საეკლესიო კათედრათა შორის დასახელებულია ზიღანეოსი, ზიღანისი (იგივე ზიღანა). ბერძნულენოვან ძეგლში „ორიენტიონებისა და ძმათა მისთა მარტვილობა“ (რომელიც შეეხება IV ს-ის დამდეგის ამბებს, მაგრამ დაწერილია XI ს-ში), ნათქვამია, რომ ქრისტიანობის გამო რომიდან დევნილი ორიენტიონი გარდაიცვალა ზიღანეოსში. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ორი ცნობა. პირველი: ძირითად ტექსტში ნათქვამია, რომ ზიღანეოსი მდებარეობს ლაზეთში. სვინაქსარულ რედაქციაში ლაზეთი შეცვლილია საეგროთი და აღნიშნულია: „მოვიდა რა საეგროსა ქუეყანასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების ზიღანეოს“. მეორე: ზემოთ მოყვანილი სტრიქონის გასწვრივ არის მინაწერი: „გუდაყუასა იტყვიან ზიღანეოსად“ (იხ. გეორ-

გიკა, IV, გვ. 415). გუდაყვა, როგორც ცნობილია, თანამედროვე გუდაგის ისტორიული ვარიანტია. IV-VI სს. გუდაგაში იდგა რომაელთა გარნიზონი, ხოლო VI-VIII სს. აქ არსებობდა ლაზიკის ერთ-ერთი საეპისკოპოსო კათედრალი. ბერძნულსავე წყაროებშია მოხსენიებული აგრეთვე ხობოსი (ასე აღნიშნავს მდ. ენგურს ფლავიუს არიანე I-ის ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი) და სინგამი, ანუ ერისწყალი, ხოლო ქართული ისტორიული წყაროებით ცნობილი (ეგრისის მდინარე) დღევანდელი დალიძგაა.

ზუბდიდი. იხ. ზუგდიდი.

ზუგდიდი – ზუგდიდის რაიონისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ცენტრი, გაშენებულია ოდიშის დაბლობზე, მდ. ჩხოუშიის ორივე მხარეს. ზ. დ. 110 მ. თბილისიდან რკინიგზით 318 კმ. საავტომობილო გზით 339 კმ. ზუგდიდი იყო ოდიშის სამთავროს პოლიტიკური, ადმინისტრაციული, კულტურული ცენტრი და ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვანი კერა. დადიანების კარზე ეწეოდნენ აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას მამუკა თავაქალაშვილი და ბარძიმ ვაჩნაძე (XVII ს.), პეტრე ჩხატარაისძე (XVIII ს.). ჩვენამდე მოღწეულია დადიანთა წიგნთა საცავში დაცულ ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია (იხ. გ. კალანდია, გაძარცული საგანძურო, თბ., 2005). 1855 წელს ქალაქი აიღო ოსმალთა ჯარმა, მაგრამ იგი მაღვევე განდევნა ქართულმა მილიციამ. ზუგდიდს კვეთს სოხუმ-თბილისის საავტომობილო მაგისტრალი. ზუგდიდიდან საავტომობილო გზა გადის მესტიაშიც.

სუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია ქალაქის განაპირა ბორცვზე აშენებული ეკლესია (XIV ს. II ნახევარი), რომელსაც მანცხვარკარს უწოდებენ, და დადიანების სასახლე ეკლესით (XIX ს.). სასახლეს აკრავს ბოტანიკური ბაღი, სადაც დღემდე ხარობს

დავით დადიანისა და ეგატერინე ჭავჭავაძის მიერ საფრანგეთიდან, იტალიიდან, აზიისა და ჩრდ. ამერიკის ქვეყნებიდან შემოტანილი იშვიათი მცენარეები. ქალაქს ამშვენებს დრამატული თეატრის შენობა. ბოტანიკურ ბაღში იყო (და დღესაც არის) აუზი და საირმე, სადაც ჰყავდათ ირმები. ისინი შემდეგ ჯუდეჯიანის ტყეში გაუშვეს...

ქ. ზუგდიდი ცნობილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმით, რომელიც დაარსდა დადიანთა სასახლეებში დაცული არქივებისა და ნივთების ბაზაზე. აქვეა გამოფენილი სამეგრელოს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, ოქრომჭედლობისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშები, უცხოელ მხატვართა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ქართველ მწერალთა ხელნაწერები, საარქივო მასალები, დავით დადიანის სიძის – აშილ მიურატის მიერ ჩამორგანილი წიგნადი ფონდი. სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში ეს მუზეუმი არაერთგზის გაიძარცვა, დაიკარგა მნიშვნელოვანი ექსპონატები (იხ. ამის შესახებ: გ. კალანდია, გაძარცვული საგანძური).

ოდიშის სოფლების ჩამონათვალში გიულდენ-შტედტი ასახელებს: „ზუბდიდი, არა ზუგდიდი“ (გიულდ., 1962, გვ. 325). ზუბდიდი იგივე ზუგდიდია. 1640 წლის 18 მაისს ლევან დადიანს ელჩები ხონის მონასტრიდან წაუყვანია ზუბდიდში: „
 (ელჩობა, 1888, გვ. 334). რუსთა ელჩობის აღწერილობის დასასრულს კი ზახარევი აღნიშნავს, რომ 1640 წლის 16 მაისს „
 ...

„ (იქვე, გვ. 374).
 არქანჯელო ლამბერტის ცნობით, სამეგრელოს „მთავარს 50-ზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე“ (ლამბერტი, 1991, გვ. 38). იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე

კასტელი, რომელმაც 1634 წლიდან 20 წელი დაყო სამეგრელოში, თავის ერთ-ერთ ჩანახატს ურთავს წარწერას: "მთავრის სასახლე სოფელ ზუგდიდში. სამეგრელოს მთავრის სახლი. ეს ნაგებობა ანუ სასახლე სამეგრელოს მეფის სოფელშია" (კასტელი, 1977, გვ. 172, სურ. 445). ფრანგი მოგზაური და ვაჭარი, კონსული ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც XIX ს. ოციან წლებში იმოგზაურა ამიერკავკასიაში, აღნიშნავს: „მთავარი დადიანი ზუგდიდში იმ სასახლეში ცხოვრობს, სადაც შარდენია ნამყოფი" (გამბა, 1987, გვ. 114). ოდიშის სოფლების ჩამოთვლისას გიულდენშტედტი აღნიშნავს: „მე დამისახელეს ზუბდიდი და არა ზუგდიდი" (გიულდ., 1962, გვ. 324). 1633 წელს იტალიელი მისიონერები არქანჯელო ლამბერტი და იოსებ ჯუდიჩი ილორისა და მერკურის შემდეგ სწვევიან დადიანს ზუგდიდში (თამარაშვილი, 1902, გვ. 172). პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ლათინურენოვან რუკაზე „კოლხეთი, დღევანდელი სამეგრელო" (1654 წ.) აღნიშნულია ზუგდიდი.

ქართულ წერილობით წყაროებში სახელწოდება ზუგდიდი პირველად მოხსენიებულია 1621 წელს შედგენილ საკელესიო საბუთში "აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი", სადაც აღნიშნულია: „არის ზუგდიდს ივანაია, მართებს..." (ქსძ, III, გვ. 419); დაახლოებით ამავე პერიოდში დაწერილ "საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში" ნათქვამია: „ზუგდიდისაკენ ანარიას დელეს აქეთ, მდინარის ჩასართავამდის დარჩელისა და ჩოხათის სოფლისა ჭალას სოფელს სათუმოს გზას დაბლა ხეთისაკენ, ბარცხილას დელეს აქეთ ცაიშის ეკლესიისაა" (ქსძ, III, გვ. 470).

ვახუშტი ბატონიშვილი ზუგდიდს პირველად XVI სის 80-იან წლების ამბებთან დაკავშირებით ახსენებს,

როცა ვახტანგ მეფემ იმერეთის დალაშქვრის შემდეგ "მოსტყუენნა ოდიში და აღიხუნა ციხენი", გააგრძელა რბევა, ჯერ „ჭაქვითს“ მოადგა... ხოლო "შემდგომად მივიდა ზუგდიდს" („ქ.ც.ხ.“ IV, გვ. 450). ოდიშის აღწერისას კი ნათქვამია: "დიდსა ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი" (იქვე, გვ. 778). ტიმოთე გაბაშვილის მიერ 1737 წ. შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზეც "ზუგდიდი" არის დასახელებული.

კასტელის ალბომში № 445 ნახატს, სადაც სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის სასახლეა გამოსახული, აქვს წარწერა: „მთავრის სასახლე სოფელ ზუგდიდში. სამეგრელოს მთავრის სახლი“ (კასტელი, 1977, გვ. 172). მ. პაჭკორიას მტკიცებით, "ზუგდიდის" თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო სუკდიდი „დიდი გორა“. ლ. თოდეასა და გ. ლაშენიას „კორცხელის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვაში" გამუტქმულია ვარაუდი, რომ ზუგდიდი თავდაპირველად ბაშის ციხესიმაგრეს, ანუ ჩიუიკარს ეწოდებოდა. „ხოლო ულაშქრა გურიელმან, წარვიდა ლაშქრითა და მივიდა ზუგდიდს. და მუნ შემოება დადიანი და გავმარჯუა გურიელსა“ (ქ.ც.ხ., II, 1959, გვ. 503. იხ. აქვე, გვ. 361).

ტოპონიმ ზუგდიდის (ადგ. ვარიანტი: ზუგიდი) სემანტიკა თითქოს გამჭვირვალეა: ზურგა, როგორც მეტაფორული ოროგრაფიული ტერმინი, ქართულის დასავლურ კილოებსა და მეგრულში აღნიშნავს ბორცვს, ბექმბს, შემაღლებულ ადგილს. მეგრულის აპელატიურ თუ თნიმურ სისტემაში არაა იშვიათი პოსტოზიციური მსაზღვრელი „დიდი“, მაგალითად: ჭყონდიდი „მუხა დიდი“, დალდიდი „ღელე დიდი“, სკურდიდი „სკური დიდი“ → სკურდი, რო(ბ)უ დიდი „ხევდიდი“ და სხვ. მაშასადამე, ზუგდიდი ← ზურგდიდი

(რ ბგერის ჩავარდნით). მეგრულში ფონეტიკური პროცესი უფრო შორსაა წასული: ორი ერთნაირი ბგერიდან (რ-რ, დ-დ) ერთ-ერთი დაიკარგა, რის შედეგადაც დამკვიდრდა ფორმა ზუგიდი. მეორე მხრივ, მეგრულში ზუგა, ძუგა, ზუგა აღნიშნავს მცირე ბორცვს და ხშირად გვხვდება ტოპონიმიაშიც: ძუგა – ბორცვი სოფ. ისულაში; ძუგა-ძუგა – ჭაობნარი სენაკის რ-ნის სოფ. ახალსოფელში (ინფორმატორის განმარტება: „ძუგა-ძუგა შეიძლებოდა ჭაობზე გავლა“); ძუგუ//ძუგმაღალი – ბორცვი სოფ. ტყირში; ძუგუ – ბორცვები სოფლებში – ციზეთი, უფალკარი, ფოცხო; ზუგა – ბორცვი სოფ. სირიაჩქონში; ზუგუ – ბორცვი სოფ. ძვ. აბაშაში; დიხაზუგა – ბორცვი სოფ. ბულვანში და სხვ.

მაშასადამე, ზუგუდიდი (ან ზუგადიდი) → ზუგდიდი. „ზუგდიდის“ წარმომავლობას მრავალი უცხოელი და ქართველი მკვლევარი შექმნებია. მათგან პირველი იყო შევიცარიელი მოგზაური და სწავლული დიუბუა დე მონპერე (იმყოფებოდა ყირიმსა და ამიერკავკასიაში 1831-34 წლებში). მას ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ისტორიულ წყაროებში "ზუგდიდი" ხშირად „ზუბდიდი“ ფორმით არის წარმოდგენილი, და, აქედან გამომდინარე, თვლის, რომ ტოპონიმისათვის ამოსავალი ადგილის სახელი ზუბი. შ. მესხიამ განიხილა მარი ბროსეს, პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, რ. ერისთავის, ნ. მარის, ნ. ხოშტარიას და სხვათა მოსაზრებანი ოდიშის სამთავროს დედაქალაქის სახელწოდების ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით და გაიზიარა, თანაც, რა თქმა უნდა, განამტკიცა ახალი მასალით დიუბუა დე მონპერეს ვარაუდი. კერძოდ, შ. მესხიას მტკიცებით, ამოსავალია ზუბდიდი ფორმა: ამჟამინდელი ზუგდიდის ირგვლივ, მახლობლად თუ მოშორებით, ძველად არა ერთი და ორი ზუბი მდებარეობდა. იმ ზუბს, რომელიც გამოირჩეოდა მოსახ-

ლეობის სიმრავლითა და ტერიტორიით, ეწოდა ზუბ-დიდი, ხოლო სახელწოდება ზუგდიდი ჩნდება XVII ს-დან გადააზრების შედეგად (ზუბი სიტყვის მნიშვნელობის გაუჩინარების გამო). მაშასადამე, ზუბდიდი → ზუგდიდი (მესხია, 1967, გვ. 244-250).

თ. მიბჩუანი იზიარებს შ. მესხიას ეტიმოლოგიას და კორექტივიც შეაქვს მასში: ზუბი სვანური „ზუგ"-ის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. უმწიკვლო ფორმით იგი მხოლოდ „ზუგდიდ" ტოპონიმა შემოიხახა. თ. მიბჩუანი იმასაც აღნიშნავს, რომ ტოპონიმ „ზუგდიდის" ახსნა უცდია ოლივერ უორდოპსაც 1911 წელს გამოცემულ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში (მიბჩუანი, 1989).

ქართველ მკვლევართა (პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ნ. ხოშტარია, ზ. ჭუმბურიძე, შ. გოგატიშვილი, აბ. ტუდუში, გ. ბედოშვილი) მიერ მიღებული და გაზიარებული ეტიმოლოგია სახელწოდება „ზუგდიდისა" ეკუთვნის ასევე უცხოელ სწავლულს, ფრანგ ორიენტალისტს, ქართული და სომხური ენებისა და ლიტერატურის მკვლევარს – მარი ბროსეს (მოღვაწეობდა პეტერბურგში, იმოგზაურა საქართველოში 1847-48 წლებში). იგი თვლიდა, რომ ზუგდიდი მომდინარეობს ორი ქართული სიტყვისაგან – **ზურგი** "ბორცვი, გორაკი" და **დიდი** (მარი ბროსე იმასაც აღნიშნავს, რომ ძველი ზუგდიდი დადიანების სასახლიდან და ეკლესიიდან რამდენიმე კმ-ით იყო დაშორებული). მაშასადამე, ზურგდიდი „დიდი გორაკი" თავდაპირველად უნდა დარქმეოდა იმ სერს, რომელზეც დგას მაცხოვრის ეკლესია. ამ სერს დღეს ეწოდება მანცხვარკარი).

შეუძლებელი არა, **ზუგდიდი**-სათვის ამოსავალი იყოს არა „ზურგი", არამედ ასევე ოროგრაფიული ტერმინი **ზუგა** (//ზუგა) „ბორცვი, შემაღლება", რაც არაა იშვიათი სამეგრელოს ტოპონიმიაში. ქ. ლომთა-

თიძის ერთ-ერთი ნაშრომის („კომპლექსებიდან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“) შენიშვნაში ხაზგასმულია, რომ ისტორიულად დადასტურებული ზუგდიდ-//ზუგდიდ- ფორმებისათვის ამოსავალია ზუგდიდი „ბორცვდიდი“. სრულიად განსხვავებული მოსაზრება ეკუთვნის ნიკო მარს, რომელმაც „ზუგდიდის“ წარმომავლობა დაუკავშირა ეთნონიმ სკვითს და ასეთი მრავალსაფეხურიანი ფონეტიკური გადასვლები ივარაუდა: სკვით//სკუთ → სგუ → სუგდა//სუგუდა (-და მრ. რიცხვის ნიშანია) → ზუგუდა → ზუგიდა → ზუგიდი. კარლ ჰანმა კი „ზუგდიდი“ დაუკავშირა არაბულ სიტყვა ზუგ-ს „ბაზარი“, ე. ი. ზუგდიდი არის „დიდი ბაზარი“. მაგრამ იქვე აღნიშნა: უფრო სწორი იქნება, „თუ ქალაქის სახელს დავუკავშირებო ქართულ სიტყვა ზურგს. მაშასადამე, ზუგდიდი არის“ (ჰანი, 1909, გვ. 63).

ისტორიულ წყაროებში დადასტურებული ზუბდითი, ზუბდიდი, ზურგდიდი, ზურგდიდი ფორმებისა და მათი წარმომავლობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებზე დაწვრილებითაა მოთხრობილი აბ. ტუდუშის წერილში „კვლავ ზუგდიდის ეტიმოლოგიისათვის“ (ტუდუში, 1987, გვ. 158-164). მკვლევარი წარმოგვიდგენს დამატებით მასალას, რომელიც ცხადყოფს, რომ გურია-სამეგრელოს ტოპონიმიაში ფართოდაა გავრცელებული ოროგრაფიული ლექსემები: ზურგა, ზუგა, ზუგუ, ზრუგი, და ასკვნის: „ზუგდიდი//ზურგდიდი მეგრულად დიდ ბორცვს ნიშნავს. ასე ეწოდებოდა ბორცვს, რომლის სახელი შემდეგ მიიღო აქვე გაშენებულმა ქალაქმა“. ზუგდიდის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ასეთსავე დასკვნას აკეთებს გ. ბედოშვილიც: „გამოჩენილი ქართველოლოგის, ჩვენი ეროვნული ლიტერატურისა და კულტურის დიდი მოამაგის მარი ბროსეს მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოთქმულმა

ვარაუდმა ზუგდიდის ზურგ//ზუგ („გორაკი, ბორცვი“) სიტყვისაგან მომდინარეობის თაობაზე (რომელსაც თავის დროზე პლ. იოსელიანმაც დაუჭირა მხარი) დროის გამოცდას გაუძლო. დღეს მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ თვალსაზრისს ადგას" (ბედოშვილი, 2002, გვ. 165).

ზუგდიდის ეტიმოლოგიას შეხებია კ. ჰანიც. მას ორი ვარაუდი აქვს: ა) -ზუგ არაბული სიტყვაა და ნიშნავს ბაზარს. მაშასადამე, ზუგდიდი გაიაზრება როგორც დიდი ბაზარი; ბ) სახელწოდება ზუგდიდისათვის ამოსავალია ქართული სიტყვა ზურგი, და მაშასადამე ზუგდიდი ← ზურგდიდი „დიდი ზურგი; დიდი ქედი“ (ჰანი, 1909, გვ. 63). ზუგდიდის ეტიმოლოგიის მრავალფეროვნებაზე იხ. ი. კუკულიას მოსაზრებანი (კუკულია, ძიებანი... 2015, გვ. 92-96).

თავია. გიულდენშტედტს თავია დასახელებული აქვს სამეგრელოს სოფლებს შორის (გიულდ., 1962, გვ. 323). მთარგმნელის აზრით, ესაა სოფელი თაია.

თამაკონი. სამეგრელოს სოფლებს შორის გიულდენშტედტი ასახელებს: „თამაკონის ციხეს“ (გიულდ., 1962, გვ. 323). თამაკონი სოფელია მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდ. ტეხურას მარცხ. ნაპირას, მაღლობზე. თამაკონის ციხე პირველად 1737 წელსაა დასახელებული. სოფელში შემორჩენილია XVII ს-ში აშენებული მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესია.

თარგამეული. თარგამეული სოფელია სამეგრელოში (გიულდ., 1962, გვ. 323). თარგამეული დღესაც სოფელია მდ. ტეხურას მარცხ. მხარეს (მარტვილის მუნიციპალიტეტი).

თეკლათი. კათალიკოს დავით ნემსაძეს (1673-1696 წ.) ბიჭვინტის დვორისმშობლისათვის შეუწირავს „თეკლათს გრიგოლია და მისი შვილი ხოხონაი მისის

ცოლ-შვილითა“ (ქსძ, III, გვ. 612). თეკლათი სოფელია მარტვილის მუნიციპალიტეტში.

თილითი. როგორც ვარაუდობენ, სოფელი თილითი მდებარეობდა ოდიშის ჩრდილოეთ ნაწილში (მოქვის ჩრდილოეთით.). მისი პირველი დასახელება გვხვდება დასახლოებით 1616-1639 წწ. დაწერილ საეკლესიო საბუთში, სადაც ნათქვამია: „არის თილითს სასახლე და მარანი... და გამოსავალი მართებული მოსაკრებლობაი“ (ქსძ, III, გვ. 428). საეკლესიო გლეხთა გვარები ადასტურებს, რომ ეს სოფელი მეგრელებით იყო დასახლებული (ეს გვარებია: თოლისკუა, ჩანგელია, ცქურია, შუნია, ჩერჩია, ბულია, თუთაშებია, შანგია, მიხალია, თოფშეუა, გულუა, ხუხუა, ზარქუა, ჩხირუა, ფაჯავა, შარინავა, ცისკარავა, მალურავა, გირგოლავა, სეფანასქირი, სთეფანასქირი, უვანესკირია). აქვეა ნათქვამი: „თილითს სასახლე გამიკეთებია, საყდრისათვეს სამრეკლო ამიშენებია...“ (ქსძ, III, გვ. 500). 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში („კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“) აღნიშნულია: „არის თილითს და ჭალას აზნაურისშვილი და მსახური 13“ (ქსძ, III, გვ. 481).

იაგურია(//იუგარია) დასახელებულია კასტელის „ცნობებისა და ალბომის“ თხრობით ნაწილში: „დადიანმა ჩვენი ძმები თავისთან წაიყვანა და კვლავ მისცა სოფ. იოგურია“ (იტალიურ ტექსტში არის *Iaguria* – კ. ც.) მის მორჩილებაში შეოფ მდვდელთან ერთად, ამასთანავე, აქ მაცხოვრებელი 10 კოლხი ოჯახიც“ (კასტელი, 1977, გვ. 22). „უნდა აღინიშნოს ერთიც: წიფურიის ცოტა ზემოთ, *iugaria*-ში ჩვენები ეკლესიას რთავდნენ, რომელიც დადიანმა გადმოგვცა, სადაც ჩვენი ოჯახი შეჩერდა“ (კასტელი, 1977, გვ. 63). ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ისტორიული გეოგრაფიის მკვლევრები ვარაუდობენ, რომ სოფელი იაგურია თუ

ოუგარია მდებარეობდა ენგურის მარჯვ. ნაპირზე, წიფურიას სიახლოეს.

ილორი – სოფელი ოჩამჩირის რ-ნში, ზღვისპირას, ღალიძის მარცხ. მხარეს. ილორი კოლხური სახელწოდება ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სეხნია ტოპონიმი გვხვდება სამტრედიის რ-ნშიც, ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე. აფხაზურში იგი შესულია ელგრ ფორმით (აფხაზურს არ მოეპოვება ი და თ ბგერები). ილორი შუა საუკუნეებში ოდიშის ერთ-ერთი ცნობილი სოფელი იყო. იგი ისტორიულ წყაროებში პირველად მოიხსენიება XI ს-ში. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ წარწერა ილორი დატანილია დღევანდელი ოჩამჩირის ადგილას, ე.ი. ღალიძის მარჯვ. მხარეს. ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ ზღვისპირას „არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა“. ამაზე ადრე ილორი დამოწმებულია მალაქია კათალიკოსის მიერ 1616-1639 წლებში დაწერილ ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში. „ილორს ჩხოხოძისაგან ერთი პარტახი მიყიდია და ადგილი წინამდღვრისაგანცა მიყიდია და ერთი კვამლი კაცი მიმიჯვანია იქ მეთევზეთ და დამისახლებია“ (ქსმ, III, გვ. 501).

ჯუზეპე ძამპი, რომელიც სამეგრელოში იმყოფებოდა 23 წლის განმავლობაში, იყო თეატინელთა პრეფექტი წიფურიაში, თავის თხზულებაში აღნიშნავს: „როგორც კი დრო დადგება, ოჯახის უფროსი პატარა ჭურჭლით ამოიღებს ამ ღვინოს და მიაქვს ილორის ეკლესიაში, რომელიც წმ. გიორგის სახელობისაა“ (შარდენი, 1975, გვ. 185). „შემდეგ დამეს ეს ხარი აღმოჩნდა ასი მილით დაშორებულ დანიშნულ ადგილზე, ილორელთა სოფელში“ (შარდენი, 1975, გვ. 196). ჯუზეპე ძამპი განმარტავს: წმ. გიორგი ეკლესია არის სოფელი ილორში, შავი ზღვის მახლობლად, ბედიელის ეპარქიაში. მას

მეზობელი ხალხებიც დიდ თაყვანს სცემენ, თვით ბარბაროსებიც კი (შარდენი, 1975, გვ. 196).

რუსეთის ელჩი ფედოტ ელჩინი დღევანდელ სამურზაყანოში მოგზაურობის დღიურებში ილორს არ ასესენებს, მაგრამ წერს, რომ 1640 წლის 9 თებერვალს იყვნენ „в монастыре Егорьевском“ (ელჩობა, 1888, გვ. 325, 353). იმის მიხედვით, რომ აქ მოთხრობილია ლეგენდა ხარზე, რომელიც წმინდა გიორგის დღესასწაულზე თვითონ მოდის მონასტერში მსვერპლად შეწირვისათვის, ჩანს, რომ საუბარია ილორის მონასტერზე.

ნახსენებია აქვე, 1640 წლის 7 აპრილის დღიურშიც. არქანჯელო ლამბერტი ადწერს წმინდა გიორგის დღესასწაულს ილორის ეკლესიაში, რაც ასე იწყება: „ამ დღეს (20 ნოემბერს – პ.ც.) ეს დიდებული მოწამე (იგულისხმება წმ. გიორგი – პ.ც.) მოიპარავს არემარეში ხარს და დამით მოიყვანს ილორის ეკლესიაში, რომელიც მის სახელზე არის აშენებული“ (ლამბერტი, გვ. 126); გიორგობის დღესასწაულზე ილორში იმართებოდა ბაზრობა (იქვე, გვ. 145).

სოხუმ-კალედან გემით გამომგზავრებული გამბა აღნიშნავს: „ჩვენ ჩავუარეთ ილორს. ეს ქალაქი, ისევე როგორც კელასური, ლამაზი ფერდობის ძირას მდებარეობს...“ (გამბა, გვ. 94); „აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვარზე, ილორში, არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია... ამ ეკლესიას ეთაყვანებიან მეგრელები და აფხაზები... უნდა დავძინო, რომ ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა შემოინახა ქრისტიანობა. მათ წინაპრებად ქრისტიანები ითვლებიან“ (გამბა, 1987, გვ. 88). მაკარი ანტიოქიელი აღნიშნავს, რომ „ქართველ ერს წმინდა გიორგის დიდი რწმენა აქვთ. ამ წმინდანის სახელს ქართველთა ქვეყანაში ურიცხვი ეკლესია ატარებს. ამათგან სამში წმ. გიორგის დღესასწაულების დროს სასწაულები ხდება ხოლმე. ეს ეკლესიები მეგრელთა

ქვეყანაშია. ერთია შავი ზღვის აღმოსავლეთით და მას იღებს ეძახიან... რაც შეეხება მეორე ეკლესიას, იგი საეპისკოპოსო ეკლესია. მას სუჯუნას ეძახიან. იგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსის ტახტია... წმ. გიორგის მესამე ეკლესიას რაც შეეხება, მას ობუჯი ჰქვია“ (ანგიოქიელი, 1982, გვ. 121).

კასტელი აღნიშნავს: „აღმოსავლეთის მეფე-მთავრებმა საქართველოს სოფ. ილორში მომცეს მეორე რეზიდენცია იმისათვის, რომ გამაჩნდა სათხოების ნატამალი“ (კასტელი, 1976, გვ. 173). **შენიშვნა:** ილორი ზღვისპირა სოფელია სამურზაყანოში. მდ. დალიძგის მარცხ. მხარეს. იგი მთისგან რამდენიმე კმ-ითაა დაშორებული, თუმცა გემიდან ეს დაშორება არ აღიქმება. ცნობილია, რომ ილორის წმ. გიორგის ეკლესია აგებულია XI ს-ში და გვიან შუასაუკუნეებშია გადაკეთებული და სახეშეცვლილი. ეკლესიასთან დაკავშირებულ წმინდა გიორგის სასწაულზე მოგვითხრობენ ლამბერტი, შარდენი და სხვ.

ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტაძარია დასავლეთ საქართველოში. აგებულია იგი XI ს. პირველ მეოთხედში. მის აღმ. ფასადზე შემონახულია ამავე პერიოდის ძველი ქართული წარწერებიანი (როგორც ნუსხური, ისე ასომთავრული და მხედრული) ხუთი ქვა. ერთ-ერთ ლაპიდარულ წარწერაში იკითხება „ქოჩოლავა“, რაც კოლხური გვარის ერთ-ერთი პირველი ეპიგრაფიკული დაფიქსირებაა“ (თ. გვანცელაძე). უფრო გვიანდელ, კერძოდ, XIV ს. დამდეგის წარწერაში დასახელებულია „მეფეთამეფე კონსტანტინე, მე დავითისი“, რომელსაც აიგივებენ დავით ნარინის ძესთან. ილორის ეკლესია XVII ს-ში შეაკეთა ლევან II დადიანმა. 1736 წელს იგი დაწვეს თურქებმა. შემდეგ ისევ აღადგინეს

ოდიშის მთავრებმა, საფუძვლიანად შეკეთდა XIX ს. 40-იან წლებში.

როგორც უკვე აღინიშნა, ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში 20 ნოემბერს იმართებოდა ილორობა. ამ დღესასწაულის დაწვრილებით აღწერას არქანჯელო ლამბერტი ასე იწყებს: „ამ ეკლესიას დიდ პატივს სცემენ არამც თუ მეგრელნი, არამედ მახლობელი ხალხებიც. ფრანგი კონსული და მოგზაური უაკ ფრანსუა გამბაც, რომელმაც 1824-25 წლებში მოიარა კავკასიის შავიზღვისპირეთი, წერს: „აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვარზე, ილორში, არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია... ამ ეკლესიას ეთაყვანებიან მეგრელები და აფხაზები. უნდა დავძინო, რომ ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა შემოინახა ქრისტიანობა, მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან“ (გამბა, 1987). უან ფრანსუა გამბა გვამცნობს, რომ ილორში, რომელიც აფხაზეთისა და სამურზაფანოს საზღვარია, არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია (გამბა, 1987, გვ. 88).

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიათა შორის ილორი ერთ-ერთი გამორჩეული იყო. წმინდა გიორგი კი მთელს საქარველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში, უმთავრესი დვთაება იყო. ივ. ჯავახიშვილის მტკიცებითაც: „ქართველი ერის სარწმუნოებრივ წარმოდგენაში, უფროსობითა ძლიერებით პირველი ადგილი წმინდა გიორგის უკავია, მეორე – ლმერთს-შემოქმედს, მესამე – ელიას“ (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 89).

ინშგური. ინშგური არის სოფელი სამეგრელოში (გიულდ., 1962, გვ. 323). რა თქმა უნდა, იგულისხმება მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ინჩხური.

ისმულეთი. ისმულეთი დასახელებულია სამეგრელოს სოფელებს შორის (გიულდ., 1962, გვ. 323). ისმულეთი, რა თქმა უნდა, არის იგივე ისულა//ისულეთი, ტეხურისპირა სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტში.

კადარი. კადარი Cadarz ფორმით გვხვდება თეათონელი მისიონერის მიერ 1686 წ. დაწერილ მოხსენებით ბარათშიც (ქართულ თარგმანში „ქადარძი“. იხ. თამარაშვილი, 1902, გვ. 211). კადარი მეგრულში მივიწყებული სიტყვაა, მაგრამ მისი მნიშვნელობის დადგენა მაინც მოხერხდა ძირითადად ტოპონიმთა ანალიზის მეშვეობით: აღმოჩნდა, რომ კადარი, კადარა ყველგან არის მზისკენ მიქცეული ფერდობი, ბორცვის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ექსპოზიცია (შდრ. ანტონიმი „შქედი“). სვანურში ეს სიტყვა აღნიშნავს მშრალ ადგილს. კადარ- ფუძეს შეიცავს ორ ათეულზე მეტი მარტივი და რთული მიკროტოპონიმი ზემო და ქვემო სამეგრელოში. კადარი ერქვა სოფელსაც ზანის ორსავე ნაპირას (აბაშის მ.) და დაცარიელდა XIX საუკუნის.

კათაროსი – ზოგი მკვლევარი აიგივებს მდ. აბაშასთან (ჯოჯუა, 1976, გვ. 438).

კალიცა. იხ. ტერნა. ი. კეკელია აღნიშნავს, რომ კალიცას ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა დღემდე ჭირს (კეკელია, „კალიცას ლოკალიზაციისათვის...“ 2014, გვ. 231).

კემხელი. საისტორიო წყაროების მიხედვით ჩანს, რომ კემხელი ეწოდებოდა ამჟამინდელ უკულევს. თვითონ სახელწოდება უკულევი კი წარმოქმნილია თურქული რედუტ-ყალესაგან (ბერაძე, 1970, გვ. 42). მდინარე ხობს თურქები, როგორც უან შარდენი აღნიშნავს, ქემხელს უწოდებდნენ. იხ. აქვე, უკულევი.

კვეტილა. „მოგზაურები კოდორიდან შუადღეს გავიდნენ და დამის გასათვად გაემართნენ კვეტილაში, რომელიც მისგან რვა ვერსითაა დაშორებული... კვეტილადან დილის ექვსის ნახევარზე გავიდნენ... და სანამ ფაზისის მარცხ. ნაპირზე მდებარე სოფელ გუბანში შეჩერდნენ, „ხელმარცხნივ მდებარე სოფელ დიდიას

გაუსწორდნენ“ (გამბა, 1987, გვ. 143). ამის შემდეგ შეჩერდნენ სოფელ ეპალში, საიდანაც „ცხენისწყლის შესართავამდე ხმელეთით ექვსი ვერსი ძლივს იქნება“ (იქვე, გვ. 144) და მერე გადმოსხდნენ სოფ. მარანში. დასახელებული სოფლებიდან კვეტილა, გუბანი და დიდია არაა ლოკალიზებული.

კვილი. გიულდენშტედტს კვილი დასახელებული აქვს სამეგრელოს სოფლებს შორის (გიულდ., 1962, გვ. 323). მთარგმნელი მას აიგივებს სოფ. ჭველესთან, რაც, ჩვენი აზრით, საეჭვოა.

კვიტოული. რუსთა ელჩობის დღიურში დღევანდელი სოფელი კვიტოული (ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) დასახელებულია კიტოული ფორმით (ელჩობა, 1888, გვ. 325). მკვლევარ გ. გვანცელაძის აზრით, მომდინარეობს გვარ კვიტაშვილისაგან: კვიტაშვილი → კვიტაული → კვიტოული.

კიანეთი. „ხობი, ძველი კიანეთი, რომლის ნაპირებზეც რედუტ-კალე მდებარეობს...“ (გამბა, 1987, გვ. 100).

კოდორი. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით: „კოლხიდის საზღვარია აფხაზების, ანუ აბაშების, მხრით მდინარე, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება კოდორად და, ჩემის აზრით კი, ძველთა კორაქსია“ (ლამბერტი, 1991, გვ. 11-12); არქანჯელო ლამბერტი სხვაგანაც აღნიშნავს, რომ რიონიდან აფხაზეთის მიმართულებით „ყველაზე უკანასკნელი მდინარე არის კოდორი, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) კორაქსი, რადგან კოლხიდის საზღვრებია (ძველთა სიტყვით) ერთის მხრით ფაზისი და მეორეს მხრით – კორაქსი; როგორც ფაზისი ჰყოფს სამეგრელოს გურიისაგან, ისე კორაქსი ჰყოფს მას აფხაზეთისაგან, და როგორც ფაზისის გაღმა მეგრული იცვლება ქართულად, ისე კორაქსის გაღმა - იცვლება აფხაზურად. აქედან ცხადია, რომ მეგრელების კოდორი ძველებური კორაქსია,

რადგან კოდორს გადადმავე ცხოვრობენ აფხაზები თავისი განსაკუთრებულის ენით“ (ლამბერტი, 1991, გვ. 163). შარდენიც ამასვე ადასტურებს: „კორაქსი და ფაზისი, რომლებიც დღეს იწოდებიან კოდორად და რიონად, შეადგენენ მის (ოდიშის – პ. ც.) საზღვრებს. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე – იმერეთისაგან“.

უან შარდენის „მოგზაურობის“ მიხედვით, „კოლხიდა მდიდარია წყლებით. მდინარეები გამოდიან მთებიდან და ერთვიან შავ ზღვას. მთავარი მდინარეებია კოდორი, იგივე კორაქსი, რომლის შესახებაც უკვე მქონდა ლაპარაკი; სოკომი, რომელიც, ჩემი ფიქრით, არის არიანეს ტერშენი და პტოლემაიოსის თაზრისი; ენგური, რომელსაც ძველი ავტორები ასტოლფს უწოდებენ, ხობი, რომელსაც არიანე ქობისს უწოდებს. იგი ზღვაში ჩასვლამდე უერთდება მისივე სიდიდის მეორე მდინარეს – ჭანისწყლად წოდებულს, რომელიც არის მდინარე ქიანე; ტეხური – არიანე მას უწოდებს სიგამს; ცხენისწყალი (Scheniscari), ე. ი. ცხენის მდინარე, რომელსაც ეს სახელი დინების დიდი სისწრაფის გამო ჰქვია. ბერძნები ამავე მიზეზის გამო ეძახიან ჰიპპოს; და ბოლოს, აბაშა, რომელსაც სტრაბონი უწოდებს გლაუკუსს, არიანე – ქარიესს და პტოლემაიოსი – ქარიტუსს. ორივე ეს მდინარე უერთდება ფაზისს 20 მილის სიშორეზე ზღვაში ჩასვლამდე. სამეგრელოს მდინარეების ძველი და ახალი სახელები მე განგძე მოვიტანე, რადგან ისტორიკოს-გეოგრაფები... მათ არასწორად აღნიშნავენ“ (შარდენი, 1975, გვ. 110). უაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობის“ წიგნში დასახელებულია მდ. რიონის მარჯვ. ნაპირზე მდებარე სოფელი კოდორი, რომელიც სოფ. წალიკარისაგან „ათი ვერსით“ ყოფილა დაშორებული (გამბა, 1987, გვ. 141).

ამჟამად დაბა კოდორი შედის აბაშის მუნიციპალიტეტში.

კასტელის ალბომში № 524 ჩანახატს, რომელიც წარმოადგენს „კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკას“, ახლავს ასეთი წარწერა: „კოდორიდან მოკიდებული რიონამდე კოლხეთის ანუ დღეს სამეგრელოდ წოდებული ქვეყნის აღწერილობა“ (კასტელი, 1977, გვ. 187); იგივე ავტორი 556-ე ჩანახატის წარწერაში აღნიშნავს, რომ კოლხეთის ჩრდილოეთი საზღვარი არის მდინარე, „რომელმაც ამ მთისაგან მიიღო სახელი კოდორი. ეს მდინარე ძალიან განთქმულია, იგი ორ ტოტად იყოფა, ერთს შერჩენილი აქვს ანტიკური სახელი, მეორეს კი უწოდებენ ენგურს, ხელით გასროლილი ქვის მანძილზე ჩვენი რეზიდენციის ახლოს ჩამოდის და სწრაფად მიჩრიალებს ზღვისაკენ“ (კასტელი, 1977, გვ 195). **შენიშვნა:** მოყვანილი ტექსტის ბოლო წინადაღებიდან აშკარაა, რომ ხელით გასროლილი ქვის მანძილზე მდებარე რეზიდენცია სწორედ წიფურია არის. იგი მდებარეობდა ენგურის მარჯვ. ნაპირზე. მაშრას ნიშნავს კოდორი, რომელიც ორ ტოტად იყოფა და მის ერთ-ერთ ტოტს ეწოდება ენგური?

ქოკი – სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. კოკი სამეგრელოში რამდენიმე მცირე აღვილსაც ეწოდება. ამ სიტყვის მნიშვნელობაა კუნძული, ბორცვი. კ. პანი კი განმარტავს, „რომ სახელწოდება კოკი მიღებულია სიტყვა კოკასაგან. მისი მოტივაცია ასეთია: ამ სოფელში კოკებს ამზადებენ (პანი, 1909, 86).

ქოკული. გიულდენშტედტის მიერ დასახელებულია სამეგრელოს სოფლებს შორის (გიულდ., 1962, გვ. 323).

კოლხეთი. ქაკ ფრანსუა გამბას საქართველოში (1823 წ.) მოგზაურობის აღწერის მეთერთმეტე თავი ეძღვნება კოლხეთს. მისი გეოგრაფიული მდებარეობა ასეა აღწერილი: „კოლხეთი მოიცავს მშვენიერ დაბ-

ლობს, რომელშიც შედის აფხაზეთის ერთი ნაწილი გაგრის ხეობიდან მდინარე კოდორამდე, იმერეთი, სამეგრელო და გურია“ (გამბა, 1987, გვ. 201). ამის შემდეგ გადმოცემულია კოლხეთის ისტორია აიეტიდან მოყოლებული „ვიდრე ამ ქვეყანას რუსები დაეპატრონებოდნენ“ (იქვე, გვ. 207). ავტორი აქვე ხშირად ახსენებს ლაზიკასა და ლაზების ქვეყანას. ერთგან აღნიშნულია: „შემდგომში რომის კოლონიად ქცეული კოლხეთი მაღე ლაზებმა ჩაიგდეს ხელში და მთელმა ქვეყანამ სიხოპიდან ჩერქეზეთის საზღვრამდე ლაზიკის სახელწოდება მიიღო“ (იქვე, გვ. 203). როგორც ცნობილია, ლაზებმა (ქართველურ ტომთა დასავლური შტო) ჩვ. წ. I-II საუკუნეებში ჩამოაყალიბეს დიდი გაერთიანება, რომელსაც რომაელი და ბიზანტიიელი მწერლები ლაზების სამეფოს, ანუ ლაზიკას (ლაზიკებ) უწოდებდნენ, ხოლო ქართული წყაროები – ეგრთა (მეგრელთა) ქვეყანას, ანუ ეგრისს.

კოლხეთი, ანუ კოლხიდა, ერქვა ვრცელ ქვეყანას შავი ზღვის სანაპიროზე. იგი პირველად მოიხსენიება ბერძნულ წყაროებში 2700 წლის წინათ. ხოლო სატომო სახელი კოლხი გვხვდება პეროდოტეს ობზელებაში (ძვ. წ. V ს.). მაშასადამე, კოლხეთი კოლხთა საცხოვრებელი ადგილია, ხოლო თვით სატომო სახელი კოლხი, კოლხა უკავშირდება მტკვრის სათავეებთან მდებარე ადგილის სახელს კოლა. მაშასადამე, კოლხი „კოლას მცხოვრები, კოლაელი“. შდრ. ტაოხი, ჯავახი (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 458). „კოლხეთი მოიცავს მშვინიერ დაბლობს, რომელშიც შედის აფხაზეთის ერთი ნაწილი გაგრის ხეობიდან მდინარე კოდორამდე, იმერეთი, სამეგრელო და გურია... მთელი დაბლობი აიეტის სამეფოს, მოგვიანებით მითრიდატეს, შემდეგ რომაელებისა და ბოლოს, მცირე ხნით ხოსროს მიერ დაპყრობილი კოლხეთის შემადგენლობაში შედიოდა“

(გამბა, 1987, გვ. 201). შემდგომში „რომის კოლონიად ქცეული კოლხეთი მაღე ლაზებმა ჩაიგდეს ხელში და მთელმა ქვეყანამ სინოპიდან ჩერქეზეთის საზღვრამდე ლაზიკის სახელწოდება მიიღო“ (იქვე, გვ. 203). უან ფრანსუა გამბა თავის „მოგზაურობაში“ ამჟღავნებს კოლხეთისა და, საერთოდ, კავკასიის შესახებ უძველესი და თანამედროვე წერილობითი წყაროების ღრმა ცოდნას.

კოლხიდა. უან შარდენი თავის „მოგზაურობაში“ აღნიშნავს, რომ „კოლხიდა მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე... მას საზღვრავს კორაქსი და ფაზისი, ძველი ისტორიკოსების მიხედვით, ცნობილი მდინარეები, რომ-ლებიც დღეს კოდორისა და რიონის სახელწოდებით არიან ცნობილი. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე კი – იმერეთისაგან“ (შარდენი, 1975, გვ. 107). შარდენისავე „მოგზაურობაში“ ნათქვამია: კოლხთა ძველი სამეფოს „დედაქალაქი კოლხოსი მდებარეობდა ფაზისის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე; სწორედ იმიტომ უწოდებენ სამეგრელოს კოლხიდას, რომ იგი აღმოსავლეთის მხრიდან ამ მდინარეს აღწევდა. ჩვენი თანამედროვე გეოგრაფოსები ამტკიცებენ, რომ კოლხთასის ადგილზე ქალაქი ფაზისი იყო“ (შარდენი, 1975, გვ. 108).

არქანჯელო ლამბერტი კოლხეთს ყველგან ასახვლებს ფორმით „კოლხიდა“. ლამბერტის „მკითხველთა მიმართ“ ასე იწყება: „კოლხიდა, რამდენადაც წინადი იყო ცნობილი ძველთაგან, რომელთაც ხშირი მსვლელობა პქონდათ ამ ქვეყანაში, იმდენად ჩვენს დროში უცნობია იტალიისათვის, რადგან ყოველივე მიმოსვლა და გაჭრობა ამ ქვეყანასთან მოისპო. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენსა და კოლხიდას შუა ჩადგა თურქეთი“; „გველად... კოლხიდის საზღვრები უფრო ვრცელი იყო, რადგან კოლხიდელებად იწოდებოდნენ ლაზებიც, რომ-

ელნიც სახლობდნენ ფაზისის სამხრეთით და ომელ-თა ენა მეგრული კი არა, ქართულია. ამიტომაც ლაზები უფრო ქართველებში უნდა ირიცხებოდნენ, ვიდრე მეგრელებში“ (ლამბერტი, 1991, გვ. 9); „კოლხიდა მდებარეობს იმერეთსა (აგრეთვე ბაში-აჩუქად წოდებულსა) და აფხაზეთს შუა. იმერეთი აღმოსავლეთით აქვს და აფხაზეთი ჩრდილოეთით“ (იქვე გვ. 11).

ქოლხოსი – „ჩვენი თანამედროვენი ამტკიცებენ, რომ კოლხოსის ადგილზე ქალაქი ფაზისი იყო“ (შარდენი, 1975, გვ. 108).

ქორაქსი – იხ. კოდორი.

კორცხელი – სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი ოდიშის პლატოზე, ზუგდიდ-წალენჯიხის საავტომობილო გზაზე, ზ.დ. 200 მ. ზუგდიდიდან 10 კმ. სოფელში შემორჩენილია XVII ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – დვოისმშობლის ეკლესია. იგი აუგია ოდიშის მთავარ ლევან II დადიანს 1624-39 წლებში, ხოლო შეუკეთებიათ და განუახლებიათ 1815 და 1858 წლებში. ეკლესიაში ინახებოდა მრავალი სიძველე, მათ შორის ლევან II დადიანისაგან შეწირული ხატი სათანადო წარწერით. კორცხელის ერთ-ერთი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობაა კარსტული მდვიმე, რომელიც მდებარეობს მდ. ჯუმის მარცხ. ნაპირზე, ზ.დ. 150 მ-ზე. მას სამეცნიერო ლიტერატურაში „კორცხელის მდვიმე“ ეწოდება. მისი გამჭოლი დერეფნების ჯამური სიგრძე 790 მეტრია. გარდა ამისა, გეოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია კორცხელის ტერიტორიაზე მდებარე ხვაშისა და ოკატუეს გამოქვაბულები, სადაც ნაპოვნია ქვის სამარხი.

წერილობით და კარტოგრაფიულ წყაროებში ამ სოფლის სახელწოდების 4 ფორმაა დადასტურებული: კორცხელი (ძირითადი, ყველაზე ხშირი), კოცხერი, კოცხური, კოზხეთი. ლევან დადიანის მიერ კორცხე-

ლის დვოისმშობლისადმი შეწირული ხატის წარწერაში იკითხება კოცხერი (1640 წ.). არქანჯელო ლამბერტის „კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკაზე“ აღნიშნულია Cozchen "კოზხენი" (1654 წ.), ხოლო ე.წ. ლათინურენოვან რუკაზე (ასევე 1654 წ.) – Corcheri "კორცხერი". ლამბერტი იმასაც აღნიშნავს, რომ XVII ს-ის პირველ ნახევარში კორცხელში იმართებოდა ბაზრობა (ლამბერტი, 1991, გვ. 145). მართლაც შუა საუკუნეებში კორცხელი, ისევე როგორც წიფურია, ილორი, ბედია ცნობილი იყო როგორც ბაზრობის ადგილი.

კორცხელის ხალხური ეტიმოლოგიები: ა) კორცხელი წარმოიშვა რუსული Կოხ და ქართული „ცხენი“ სიტყვების შეერთებით; ბ) კორცხელის ეკლესიასთან გამვლელ მგზავრს ცხელი კვარით უმასპინძლდებოდნენ (ე.ი. კვარი ცხელი → კორცხელი); გ) აქ ხშირი კირცხი „სეტყვა“ სცოდნია (თოდუა, ლაშხია, 2003); ასეთ ახსნასაც მოისმენთ: ეკლესიაში მოსული მონადირეებისათვის კვარი ცხელი უჭმევიათ. ამიტომ დარქმევია კორცხელი.

გ. ბედოშვილის აზრით, „კოცხერი სვანური ენობრივი ფაქტია“. კერძოდ, "კოცხერი (← სვან. კაცხერ) უნდა განიმარტოს როგორც „გორაკი“, „შემაღლებული ადგილი“, „მაღლობი ადგილი“" (ბედოშვილი, 2004). მაგრამ საქმე ისაა, რომ მეგრული კორცხელი არის ცოცხალი ლექსიკური ერთეული და აღნიშნავს ეკალდიჭხს: კორჩხელი – ეკალდიჭხი (ქაჯაია, 2002, გვ. 160). აბაშის რ-ნის სოფ. გამოღმა კოდორში მდ. ნოღელასა და ლაჭუს შუა ბუჩქნარს ეწოდება ფალაგე//კორცხელი.

კურზუ სოფელია მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს. კურზუ მეგრულში აღნიშნავს კუზს, ბორცვს, მცირე შემაღლებას. „კურზუ სოფელია სამეგრელოში“ (გიულდ., 1962, გვ. 323).

კურსეინი სოფელია სამეგრელოში (გიულდ., 1962, გვ. 323). მთარგმნელი აიგივებს სოფ. ჯვარზენთან (?) .

კუხი. ოდიშის მხარის სოფლების ჩამონათვალში ვკითხულობთ „კუხი, არა ბუკი“ (Kuchi, nicht Buki), ციხე ენგურის მარცხენა ნაპირზე, იყო თურქთა ხელში (გიულდ., 1962, გვ. 325). იგულისხმება სოფელი რუხი.

ლაპარია//ლაპორია, როგორც ადგილის სახელი, დასახელებულია ქრისტეფორე კასტელის მიერ 1642 წელს ევროპაში გაგზავნილ წერილში (თამარაშვილი, 1902, გვ. 187). ლოკალიზაცია არაა გარკვეული.

ლეჟიხი – იხ. დეჟიხი.

ლეჯიქე. რუსეთის ელჩები ელჩინი და ზახარევი 1640 წლის 16 თებერვალს ჩასულან „ ; “ (ელჩობა, 1888, გვ. 356).

საგარაუდოა, რომ ეს იყოს სოფელი ლეჯიქე (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი).

მარანი. „მარანში მხოლოდ ოცდაოთხ საათს დავყავი... იმერეთის ეს სოფელი ჯანმრთელობისათვის ერთ-ერთი ყველაზე მავნე ადგილია“ (გამბა, 1987, გვ. 130). ამიტომაც „ნავსადგური, რომელიც უწინ მარანთან, ცხენისწყლისა და ფაზისის შესართავში მდებარეობდა, ... მდინარის მარცხენა ნაპირზე გადაუტანიათ“ (გამბა, 1987, გვ. 145). ამ პერიოდში, ე.ი. 1823 წელს, მარანში განლაგებული იყო რუსთა (ეგერთა) პოლკი, რასაც გამბაც აღნიშნავს. რუსებს აქ სიმაგრე აუგიათ და საგუშაგო პოსტი დაუარსებიათ 1805 წელს. ამჟამად მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე მდებარე მარანი სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრია აბაშის მუნიციპალიტეტში.

მარგულა. იხ. მერკულა.

მარტვილი – რაიონული დაქვემდებარების ქალაქი მდ. აბაშის მარცხ. ნაპირის ვაკეზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და კულტსამე-

ურნეო ცენტრი. 1936-1989 წწ. ეწოდებოდა გეგმჭკორი. დაბის სტატუსი მიიღო 1956 წელს, ხოლო ქალაქისა – 1982 წელს. ზ. დ. 170 მ. ქ. აბაშიდან 33 კმ, თბილისიდან 279 კმ (ქ. ხონის გავლით). დღევანდელ ქ. მარტვილთან მდებარე დასახლებას თავდაპირველად ჰყონდიდი („მუხადიდი“) ერქვა. გადმოცემით, აქ, გორაზე, იდგა კერპი კაპუნია, რომელსაც ბავშვებს სწირავდნენ. VII ს-ში აქ ააგეს მარტვილის „წამებულის“ სახელობის ეკლესია. X ს-ში შეიქმნა ჰყონდიდის საეპისკოპოსო კათედრალი. ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო ქ. ფოთში, მაგრამ ეპისკოპოსის ზედწოდება იყო ჰყონდიდელი. იგი განაგებდა ოდიშის ეკლესიას. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში სახელწოდება მარტვილმა შეცვალა სახელწოდება ჰყონდიდი. ამ პერიოდში იგი იყო ქართული კულტურის კერა. მარტვილის ეკლესია ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია. მართალია, იგი თავდაპირველად იყო მარტვილის სახელობისა, მაგრამ გვიანდელ შუა საუკუნეებში ღვთისმშობლის სახელობისა გახდა.

ეტიმოლოგია: მარტვირი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წამებულს. ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: გორაზე დიდი მუხა მდგარა. მას სწირავდა დედა პირველ შვილს, როცა იგი სამი თვისა გახდებოდა: ჩააგდებდა ღრმა ჭაში და მოთქვამდა: მა რცვილი, მა რცვილი („მე მოგაალი“). სახელწოდება მარტვილი აქედან წარმოსდგება... ერთმა გლეხმა ნაჯახის სამი მოქნევით მოჭრა ეს მუხა. იგი რომ წაიქცა, ტოტები აბაშიდან ცხენისწყლამდე მისწვდა. ამ დროს ქალები მოდიოდნენ და მოჰყავდათ სამსხვერპლო ბავშვები. ახარეს, ბავშვების შეწირვა ადარ იქნებაო. ამიტომ ეწოდა გვერდით მდებარე დასახლებას ნახარებაო. მოჭრილი მუხის ადგილას ააგეს ეკლესია. ქვა მოჰქონდათ გაჭედილი-

დან. ხალხი გვერდიგვერდ იდგა და გადასცემდა ერთმანეთს. ქვის ამდები და დამდები დაიხოცნენ.

„ოდიშში საპატიო ადგილი ეკავა ჭყონდიდის კათედრას. ჭყონდიდის ცნობილი ტაძარი აგებულია წმინდა მოწამეთა (მარტვილის) სახელობაზე. ამიტომ მომდევნო ხანაში ეკლესია და მონასტერი აქ მარტვილისად იწოდებოდა. ეს სახელი თანდათანობით გავრცელდა დასახლებულ პუნქტზეც და ჭყონდიდი მარტვილმა შეცვალა. ლევან III-ს დროს სოფლის აღსანიშნავად მარტვილი და ჭყონდიდი თანაბრად იხმარებოდა. შემდეგ სოფელს მარტვილი ეწოდა, ხოლო საჯაისკოპოსოს კათედრალის სახელი ჭყონდიდი უცვლელი დარჩა. ჭყონდიდელის სამწყსო გადაჭიმული იყო მდ. ცხენისწყლიდან მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირამდე და მთიდან რიონამდე“ (ბერაძე, 1970, გვ. 45).

მარტვილი, როგორც უკვე აღინიშნა, ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოწამეს, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ტანჯულს. მარტვილი თავდაპირველად ერქვა მონასტერს სოფ. ჭყონდიდში, შემდეგ კი თვით ამ სოფლის სახელად იქცა (იხ. ჭყონდიდი).

მეგრელები – ასე აღნიშნავს მაკარ ანტიოქიელი სამეგრელოს: „ამჟამად ქართველთა ხელშია ხუთი ვილაეთი. ესენია: მეგრელები, რომლებიც შავი ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობენ, იმერლები, გურია, თბილისი და კახეთი“ (ანტიოქიელი, 1982, გვ. 92). მთარგმნელის შენიშვნა ასეთია: დედანში გვხვდება ფორმა „მეგრელ“ და „მიგრელ“, რომლებიც „ქართულ თარგმანში ხშირად „სამეგრელოდ“ და იმერეთად გადმოგაქვს“ (იქვე, გვ. 527).

მერკულა. აფხაზეთში, ოჩამჩირიდან 7 კმ-ზე, მდ. მოქვის ნაპირას, მდებარეობს სოფ. მერკულა. იგი თეათინელ მისიონერთა წერილებში ხშირად არის ნახსენები მარგულა ფორმით: 1615 წლის 2 მარტს

მოქვიდან გაგზავნილ წერილში აღნიშნულია: „რა მივიღეთ პასუხი, მალე გავემგზავრეთ მარგულასკენ, საცა უნდა მოსულიყო მთავარი“ (თამარაშვილი, 1902, გვ. 140). რუსეთის ელჩის ფედოტ ელჩინის 1640 წლის 5 თებერვლის დღიურში აღნიშნულია: „

“ (ელჩობა, 1888, გვ.

323). ამ სოფელს ზახარევი აღნიშნავს მარკული ფორმით: „ ...

“ (ელჩობა, 1888, გვ. 352). ამავე

ელჩის ჩანაწერებში აღნიშნული მორდული (იქვე, გვ. 32) და მორძული (იქვე, გვ. 330) აგრეთვე მერკულას უნდა აღნიშნავდეს. ვარაუდობენ, რომ მდ. მოქვზე XVI-XVII სს. გემები სოფ. მერკულამდეც მოდიოდა.

მიქამგარიო – ეკლესია ურთის მთის ძირას მდებარე ბორცვზე. ს. მაკალათია „სამეგრელოში“ აღნიშნავდა: ამჟამად აქ ქვის ეკლესიაა. მთავარ სალოცავად ითვლებოდა „მიქამგარიოშ გიორხვამა“. ამ შემთხვევაში იტყოდნენ მიქელ-გაბრიელის, მაგრამ მეგრულად საუბრისას – მიქამგარიოს (მაკალათია, სამეგრელო, გვ. 65).

მოქვი. მოქვი სამეგრელოს უძველესი სოფელი ჩანს. აქ მდგარი საკათედრო ტაძარი აუგია ლეონ III-ს (957-967წწ.). „მოქვის“ უძველეს დასახელებას ვხვდებით ერთ-ერთი მისიონერის მიერ ევროპაში გაგზავნილი წერილიდან, სადაც აღნიშნულია, რომ გამომგზავრებულან „სამეგრელოს სოფ. მოქვითგან 2 მარტს, 1615 წ.“ (თამარაშვილი, 1902, გვ. 135); რუსთა ელჩობას 1640 წლის 9 თებერვალს მოუნახულებია მოქვის მონასტერი (ელჩობა, 1888, გვ. 325). ზახარევის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია: „ 8

9

“

(იქვე, გვ. 352-353).

არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაში“ აღნიშნულია, რომ მოქვის ღვთსმშობლის ეკლესია აშენებულია ფართო ვაკეზე ორ მდინარეს შუა, აქ ზის ეპისკოპოსი და მას ჰქვია მოქველი (ლამბერტი, 1991, გვ. 107). მოქვის ეპარქიის ეპისკოპოსს, სახელად ანდრიას, რომელმაც მარტო ერთ წელიწადში 60 კაცი გაყიდა, ახსენებს მაკარი ანტიოქიელი. კასტელის ერთ-ერთი ჩანახატის წარწერა ასე იწყება: „აფხაზეთის ახლოს მდებარე მოქვის საეპისკოპოსო ეკლესია ძალიან ლამაზია, შიგ მრავალი ოქროსა და ვერცხლის ხატი და სხვადასხვა წმინდანის რელიკვიაა“ (კასტელი, 1977, გვ. 176).

მაკარი ანტიოქიელი, რომელიც 1664-66 წლებში გარკვეული დროით იმყოფებოდა მოქვსა და დრანდაში, აღნიშნავს, რომ აფხაზები, ისევე როგორც ზოგი სხვა ხალხი „თავს ესხმიან ქართველთა ქვეყნის განაპირა სახახებს, იტაცებენ, ვისაც მოიხელოთებენ, მიჰყავთ და ყიდიან“ (ანტიოქიელი, 1982, გვ. 105).

მოქვისწყალი. არქანჯელო ლამბერტის აღწერით, მოქვისწყალი ჩამოედინება კავკასიის მთებიდან, გადასერავს კოლხიდას და მიემართება შავ ზღვასთან შესართავად. იგი მიედინება ეგრისსა და კოდორს შუა. (ლამბერტი, 1991, გვ. 12); ამ მდინარეს ასე იმიტომ ჰქვია, რომ იგი ჩაუდის მოქვის საეპისკოპოსოს“ (იქვე, გვ. 163).

მუხური. 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცო ნუსხა“ აღნიშნულია: „არის მუხურს აზნაურისშვილი და მსახური 30“ (ქსძ, III, გვ. 481). იგულისხმება სოფელი მუხური (1952 წლამდე საშარანგიო), რომელიც მდებარეობს სამურზაყანოში, მდ. ოქუმის ნაპირზე. სახელწოდება „მუხური“ კ. ჰანს გაუაზრებლად აქვს განმარტებული როგორც მოდინარე მუხა სიტყვისაგან

(პანი, 1909, გვ. 106). სინამდვილეში „მუხური“ მეგრულსა და გურულში აღნიშნავს სოფლის კუთხეს, უბანს (შდრ. ქართული მხარე. მით უმეტეს სამეგრელოში ქართული მუხა სიტყვის სემანტიკური ეკვივალენტია ჭყონ-ი, ომელსაც არნ. ჩიქობავა თვლის ქართული წყან ფუძის კანონზომიერ მეგრულ შესატყვისად).

ნაბადა. გამბას „მოგზაურობის“ მიხედვით, ნაბადა პატარა მდინარეა, „რომელიც ზღვას ერთვის ფაზისიდან ორი ვერსის დაშორებით“ (გამბა, 1987, გვ. 100). იგი „სათავეს იღებს ცივის მახლობლად მდებარე ჭაობიდან. მისი სიგრძე სულ რამდენიმე ვერსია და შავ ზღვას ფაზისის შესართავიდან დაახლოებით ერთ ლიეზე დაშორებულ ადგილას ერთვის“ (იქვე, გვ. 196). ნაბადა ერქვა ტყე-ჭაობს ყულევის საზღვრიდან ფოთის ნაკადგურამდე. ნაბადადან ზღვაში გადიოდა მცირე მდინარე ნაბადაწყარი. ნაბადა მეტაფორული სახელწოდებაა: ნაბადაწყარის მარჯვ. შემაღლებიდან ტყე-ჭაობი ნაბადივით შავი ფერისაა. ზუგდიდიდან ფოთის ბაზრობაზე ურმით მიმავალთა მიერაა შექმნილი სიმღერის სტრიქონები: „ჭურია დო ნაბადა რე ჩელა სქანი გიმნაზია“.

ნაბაკევი — სოფელი, თემის ცენტრი (სამურზაყანო.) ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 20 მ. გალიდან 25 კმ. თემში ნაბაკევის გარდა შედის და კიდევაც ესაზღვრება ეწერი და ზენი. საგარაუდოა, რომ არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.) დაფიქსირებული NaAlbachia სწორედ ნაბაკევი უნდა იყოს. ადგ. ვარიანტებია ნაბაკი(ი) და ნობაკი. ი. ყიფშიძე ასახელებს ნაბაკები ფორმასაც. ზმნა ბაკუა მეგრულში აღნიშნავს ტკეპნას. სულხან-საბას მიხედვით, ბეკება არის კუნტრუშობა: იბეკნ „კუნტრუშობს“. ქეგლიც იმეორებს: „ბეკნა —

პირუტყვის კუნტრუში, ხტომა“. ამ მნიშვნელობიდან უნდა გამომდინარეობდეს ამ ზმნური ფუძის კუთხური, კერძოდ, იმერული მნიშვნელობა: „ტკეპნა, ზერგნა (მიწისა“. მეგრული ბაკ- ფუძე ქართული ბეკ- ფუძის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია (შდრ. ო. ქაჯაია: დობაკუა „დატკეპნა; დაბეკნა“). ასე რომ, ნობაკი, ნაბაკი და ნაბაკევი შეიძლება აიხსნას მეგრულისავე მონაცემებით. გადმოცემაც ამაზე მეტყველებს: ჯვარელ მეჯოგე ბათაია ქარდავას აქ ტყე გაუკაფავს და საქონელი დაუბაკებია. ამიტომ დარქმევია ნაბაკი. იტყოდნენ კიდევ: ნაბაკი ბათაიაშ ორინჯიშ ნაბაკა რენია „ნაბაკი ბათაიას საქონლის ნატკეპნი არისო“. მეორე მხრივ, გამორიცხული არაა, მეგრულს შევთვისებინა ქართული სიტყვა ბაკი „საქონლის უსახურავო დასამწყვდევი, ირგვლივ შემოზღუდული“, მით უმეტეს, ზემოიმერულში დადასტურებულია: ბაკი „საჩეხი“, ე.ო. „სარით ან წხელით შემოღობილი გადაუხურავი საზაფხულო სამწყვდევი საქონლისა“; ბაკე „ეზო“ (იხ. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974). ზ. ჭუმბურიძეც ასე განმარტავს: „ნაბაკევი სოფელია სამურზაყანოში, ენგურის მარჯვ. ნაპირზე და აღნიშნავს აღგილს, სადაც უწინ ყოფილა ბაკი, საჩიხე ანუ ქართა – „პირუტყვის საზაფხულო საღვრმად შემოზღუდული, მაგრამ უსახურავო აღგილი“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 475).

კასტელის ერთ-ერთ ჩანახატს (№447), სადაც გლეხები და რამდენიმე შენობა ჩანს, აქვს ასეთი წარწერა: „ნაბაკია ერთი სოფელია ტრაპიზონის მიმართულებით, გამოძახილი ვიყავი მკურნალობის ჩასატარებლად. იქ მოვნათლე რამდენიმე ბავშვი“ (კასტელი, 1977, გვ. 177). შენიშვნა: ნაბაკია არის სოფ. ნაბაკევის ადგილობრივი ვარიანტი. წიფურია, სადაც ცხოვრობდნენ კასტელი და სხვა თეატრინელი ბერები,

ამ სოფელთან ახლოს მდებარეობდა. გამოთქმა ტრაპიზონის მიმართულებით გულისხმობს სამხრეთის მიმართულებას და არა ტრაპიზონთან ახლოს მდებარეს. წიფურიადან ტრაპიზონამდე რამდენიმე ასეული კილომეტრია. მაშასადამე, წარწერა, რაც აქვს № 447 ჩანახატს („ტრაპიზონის ახლო მდებარე სოფ. ნაბაკია“) სინამდვილეს არ ასახვას.

დასკვნა: როგორც უკვე ითქვა, მეგრული -ბაკ ქართული -ბეკ-ნ ფუძის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია, მაგრამ გამორიცხული არაა, მეგრულს შეეთვისებინა ქართული სიტყვა ბაკი „საქონლის უსახურავო დასამწყვდევი, ირგვლივ შემოზღუდული, მით უმეტეს, ზემო იმერულში დადასტურებულია ბაკი „საჩეხი“, ე.ი. სარით ან წნელით შემოღობილი გადაუხურავი სამწყვდევი საქონლისა“ (ძოწენიძე, 1974).

ნაგვაზავო სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრია მარტვილის მუნიც-ში. საისტორიო წყაროებში იგი წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტით: ნაგვაზავო, ნაგვაზაუ, ნაგვაზაური. 1621 წელს შედგენილ საეკლესიო საბუთში ნათქვამია: „არის ნაგუაზაუს სასახლე და გამოსავალი მართებული მოსაკრებლობაი...“ და დასახელებულია 10-ოდე საეკლესიო ქმის სახელი და გვარი (ქსძ, III, გვ. 412-413). ნაგვაზავო სოფელია სამეგრელოში (გოულდ., 1962, გვ. 323). 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცო ნუსხა“ აღნიშნულია: „არის ნაგვაზაუს 4 მსახური“ (ქსძ, III, გვ. 481). ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ნაგვაზაურის სასახლისათვის ბატონს ლიპარტიანსა შევეხვეწეო და ცარიელი, უსახლკარო სასახლე აღგილი მომაქრთამა ორის მოსახლითა...“ (ქსძ, III, გვ. 502); „ნაგვაზაურს ორი კვამლი კაცი იყო... შევეხვეწეო

კურთხეულსა ბატონსა ლიპარტიანსა და ეს კაცებიცა და სრულად მკვიდრად დამანება“ (იქვე, გვ. 502).

ნაკიანი. სოფელი და სოფლის საკრებულოს ცენტრი ჩხოროწყუს რ-ნში, მდინარეების – ზანისა და ოჩხომურის შუამდინარეთში. ოდიშ-ლეხხუმის დავით დადიანისული დაყოფის მიხედვით, ეს სოფელი ნაკიანო ფორმით შედის ჯვარის მაზრაში. ისტორიულ წყაროებში გვხვდება ნაკიანი ვარიანტიც. არაა გამორიცხული არქანჯელო ლამბერტისა და ეწ. ლათინურენოვან სამეგრელოს რუკაზე (ორივე 1654 წ.). აბაშის მარჯვ მხარეს, მარსილსა და ნოქალაქევს შორის აღნიშნული საკიანო ამ ნაკიანს გულისხმობდეს. ნაკიანი, რა თქმა უნდა, არის ანთროპოგრაഫიული: კიკიანი → ნაკიანი → ნაკიანი (ჰაბლოლოგია).

ნაპარკევი. აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს 1706 წელს ბიჭვინტის დვორისმშობლისათვის შეუწირავს „თავს ხორგას ნაპარკევის სასახლე მისი წყლითა, ტყითა, ეკლითა...“ (ქსძ, III, გვ. 645).

ნაუანევი, **ნაუანეული** ერქვა სოფელს გვიანფერდალურ ხანაში დღევანდელი ოტობაიის თემის ტერიტორიაზე. ამ სოფლის რამდენიმე ათეული გლეხი ბიჭვინთის საკათალიკოსოს მებეგრე ყოფილა. XVI ს-ის დამლევს ნაუანეულში მცხოვრებ საეკლესიო გლეხთა 30-მდე გვარია დასახელებული (ქსძ, III, გვ. 382, 386). დაახლოებით მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1621 წელს, ისევ ჩაუტარებიათ ნაუანეულის საეკლესიო გლეხთა აღწერა (იქვე, გვ. 423). ნაუანევს მცხოვრები რამდენიმე ყმის გვარი დასახელებულია კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულების ორ წიგნშიც (1706 წ. და 1712 წ.).

ოდიშის სოფელი ნაუანევი (ვარიანტი ნაუანეუ, ნაუანეული და სხვ.) რამდენიმეგზის არის დასახელებული შეა საუკუნეების საეკლესიო სამართლებრივ ძეგლებში. ერთ-ერთი მათგანი განეცუთვნება XVI ს-ის ბოლოს. ესაა ნუსხა ნაუანეულის საკათალიკოსო გლეხების ბეგრისა, სადაც საბუთის ბოლოს ნათქვამია: „არის ნაუანეულს: საკლავის ჯუმალი...“ (ქსძ, III, გვ. 386).

1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ აღნიშნულია: „არის ნაუანეულს აზნაურისშვილები და მსახური 35“ (ქსძ, III, გვ. 481); ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ნაუანაურს ერთი დიდი სახლი ამიშენებია და გარდამიჭედინებია...“ (ქსძ, III, გვ. 501).

აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე 1706 წელს „ბიჭვინტისადმი შეწირულების სიგელში“ აღნიშნავს: „ნაუანევს სოფელი საკათალიკოზო ნემსაძე კათალიკოზის ხელშიდ აფხაზისგან აყრილიყო...“ (ქსძ, III, გვ. 647). (იხ. ნაუანეულზე უფრო ვრცლად: კაპალია, ძიებანი... 2015, გვ. 98-99).

ნაქალაქევი. ნაქალაქევი, ანუ ბერძნული წყაროების არქეოპოლისი, რომელიც მდ. ტეხურის მარცხ. მხარეს მდებარეობს და რომელსაც ერთ დროს დოკონისი ეწოდებოდა, ითვლება ძველი ეგრისის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრად. პროკოპი კესარიელიც აღნიშნავს, რომ არქეოპოლისი იმ პერიოდში იყო „მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“ (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 115). ნაქალაქევს მოიხსენიებენ სხვა ავტორებიც: ლამბერტი აღნიშნავს, რომ ნაქალაქევში „ბლომად არის დაფნა“ (ლამბერტი, გვ. 180). გოულდენშტედტი კი იხსენებს, რომ მას დაუსახელეს ოდიშის სოფლები და მათ შორის:

„ნაქალაქევი, ქველად განთქმული, ახლა გაუდაბურებული ქალაქი“ (გიულდ., 1962, გვ. 325); კასტელი აღნიშნავს: გოჯი, რაც უნდა იყოს ციხე-გოჯი, დღევანდელი ნოქალაქევია (კასტელი, 1977, გვ. 195).

ნაფიჩხოვო – სოფელი, ნაფიჩხოვოს თემის საკრებულოს ცენტრი მდ. ოჩხომურის ზემო წელზე, სოფ. ლედარსალესა და კურზუს საკრებულოს შეუ. ზ. დ. 250 მ., ჩხოროწყვდან 12 კმ. 1642 წლის საბუთში დღევანდელი ნაფიჩხოვო (ადგ. ვარიანტი: ნაფიჩხეუ) მოხსენიებულია ორი სახელით – ნაფიჩხაუ და საფიჩხაო (ნაფიჩხაუ-საფიჩხაოს მცხოვრები დომინგადი დარცალია ლევან დადიანს შეუწირავს მთაწმიდის ხარების ღმრთისმშობლისათვის მამის სულის მოსახსენებლად. იხ. პალ., II, გვ. 56). ეს ორსახელიანობა იმის მაუწყებელია, რომ ჯერ კიდევ არ იყო დავიწყებული თავდაპირველი სახელი საფიჩხაო. ამასთანავე ნაფიჩხოვოს უწინდელი ცენტრი ყოფილა მთარტე.

„ნაფიჩხოვოს“ ეტიმოლოგია სადაო არ არის: იგი ფიჩხაიების ნასახლარია (შემდგომ დაბრუნებული ფიჩხაიები ახლაც ცხოვრობენ ამ სოფელში). მიუხედავად ამისა, პანი აღნიშნავს, რომ ნაფიჩხოუ მიღებულია ნა- პრეფიქსისა და ფიჩი სიტყვის შეერთებით და აღნიშნული სოფლის სახელწოდება ნიშნავს „ (პანი, 1909, გვ. 108).

ნაჯგიბიუ მიკროტოპონიმი ჩანს. თილითში მცხოვრები საეკლესიო სოფლების სიაში აღნიშნულია, რომ შურითოლი მალურავას ერთ-ერთი ბეგარაა „ნაჯგიბიუს მამულის ყურძნის კრეფა“ (ქსძ, III, გვ. 430). ტოპონიმ ნაჯგიბიუსთან დაკავშირებით ი. კეკელია აღნიშნავს: ტოპონიმის ამოსავალია გვარი ჯგიბურია

ან ჯგუბურია და ასახელებს სათანადო წყაროებს (კაპელია, ძიებანი... 2015, გვ. 100).

ნეაპოლისი – შავიზღვისპირა სავაჭრო პორტი ენგურის შესართავთან, ამჟამინდელი ანაკლიის ტერიტორიაზე. ასახელებს პტოლემაიოსი (ახ.წ. II საუკუნე). სტრაბონის გეოგრაფიის მიხედვით კი, ჰერაკლეა, ზღვისპირა ქალაქია პონტოს სამეფოში (ტუღუში, 1991, გვ. 5-6).

ნოქალაქევი – იხ. ნაქალაქევი.

ნოდა სოფელია მარტვილის რაიონში. მოიხსენიება XVIII ს-დან: გიულდენშტედი (რომელმაც 1771-1772 წწ. იმოგზაურა საქართველოში), სამეგრელოს სოფლებს შორის ნოდასაც ასახელებს (გიულდ., 1962, გვ. 323). ნოდა მეგრულში აღნიშნავს მდინარის დამშრალ კალაპოტს: ნოდალი „ნაღელევი“ ← ნოდა (ჭუმბურიძე, 1987). ამავე სიტყვისგანაა წარმოქმნილი მდინარის სახელი ნოდელა და სოფლის სახელი ონოდია. ნოდა ლექსემის სალექსიკონო განმარტება ასეთია: მეგრულში – დელე, ხევი, რუ, მდინარის ტოტი, ნამდინარევი; გურულში – ხევი, დელე, ჭაობი; იმერულში – დაბალი,, სილიანი, მოსავლიანი ადგილი. ნოდელა პატარა დელეა.

ნოდელა მდინარეა სამეგრელოს ველზე, ერთვის მდ. ცივს (გიულდ., 1962, გვ. 321). მაგრამ აქ ერთი უზუსტობაა. ეტიმოლოგიისათვის: 1. ალ. ცაგარელი: „ , „ (ცაგარელი, 1880, გვ. VI); 2. ნოდელა წინავითარების სახელია: ნოდალ-ელა → ნოდელა (მაღრაძე, 2004, გვ. 25), ნოდელა სინამდვილეში ნაოდალევია (მდვდელი კონსტანტინე, 2004, გვ. 57). შესწორებანი: 1. ნოდელა ერთვის არა მდ. ცივს, არამედ რიონს (მარჯვ. მხრიდან აბაშის მუნიციპ-ის ნაესაკაოს თემში); 2. მდინარეს ნოდელა დარქმევია იმის გამო, რომ ჩაუვლის ნოდას (უბანი ნოდელას

ნაპირას). მაშასადამე, -ელა სუფიქსს ისეთივე გრამატიკული ფუნქცია აქვს, როგორიც -ურა-ს (კაცხურა, ჩარგლულა).

ობუჯი სოფელია წალენჯიხის რაიონში, მდ. ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს. ესაზღვრება სოფ. ჯიხასკარს (ზუგდიდის რ-ნი). სოფელში შემორჩენილია XIII–XIV სს. მონასტრის ნანგრევები. არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაში“ (1654 წ.) დასახელებულია ობუჯის მონასტერი, სადაც უწინ, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, საეპისკოპოსო კათედრა და „მთავრების სამარხი იყო, რომელიც ეხლა წალენჯიხაშია“ (ლამბერტი, 1991, გვ. 107); გიულდენშტედტი ობუჯს ასახელებს სამეგრელოს სოფლების ჩამონათვალში (გიულდ., 1962, გვ. 323).

ანტიოქიის პატრიარქი მაკარი წალენჯიხის მონასტერში 1665 წელს დაწერილ შთაბეჭდილებათა წიგნში აღნიშნავს, რომ „ქართველ ერს წმინდა გიორგის დიდი რწმენა აქვს. ამ წმინდანის სახელს ქართველთა ქვეყანაში ურიცხვი ეკლესია ატარებს. ამათგან სამში წმ. გიორგის დღესასწაულების დროს სახწაულები ხდება ხოლმე. ეს ეკლესიები მეგრელთა ქვეყანაშია. ერთია შავი ზღვის აღმოსავლეთით და მას ილორს ეძახიან... რაც შეეხება მეორე ეკლესიას, იგი საეპისკოპოსო ეკლესიაა. მას სუჯუნას ეძახიან. იგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსის ტახტია... წმ. გიორგის მესამე ეკლესიას რაც შეეხება, მას ობუჯი ჰქვია“ (ანტიოქიელი, 1982, გვ. 121) (აქვეა აღნიშნული, რომ ობუჯში წმ. გიორგის დღესასწაული აღინიშნებოდა 23 აპრილს).

XVII ს. დამლევს აფხაზთა მოთარეშე რაზმების შიშით წმინდა გიორგის ხატი ქიაჩის მონასტრიდან (ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ჯგურდის მახლობლად), რომელსაც აფხაზები ამჟამად ქიაჩაბაას უწოდებენ,

გადმოუსვენებიათ ობუჯში. გადმოცემა: „თამარ მეფის ბრძანებით ხარი და ფური კი არ გაუშვიათ, რათა ეკლესიები იქ აეშენებინათ, სადაც ისინი დაწვებოდნენ, არამედ სამი ხარი: ერთი დაწოლილა ჭედისასთან (წალენჯიხა), მეორე – ჯაღულასთან (ჯაღრა), ხოლო მესამე – რობუჟი „ხევის თავზე“, საიდანაც შემდეგ მიგვიღია ობუჯი“. ხალხური ეტიმოლოგია: ობუჯის თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო ოფუჩი „საფუცარი, სალოცავი ადგილი“. ასე ეწოდება დღესაც ნაეკლესიარსა და ძველ სასაფლაოს სკურდიდის მარჯვენა მხარეს, ბორცვზე, რომელსაც ეწოდება ნაოხვამუ. აქ უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეების მონასტერი და ოდიშის მთავართა სამარხი, რომელსაც არქანჯელო ლამბერტი მოიხსენიებს თავის სამეგრელოს აღწერაში. აქედან ეკლესია მოგვიანებით ობუჯში ჩაუტანიათ (ოფუჩი სამეგრელოში სხვაგანაც ეწოდება სალოცავ-შესახვეწარ ადგილს). ი. კეკელიას აზრით, ობუჯის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებათაგან უფრო მისაღებია ასეთი განმარტება: „ობუჯი – საბუდარი; საბრძოლო ადგილი; მოსახვეტი, უხევმოსავლიანი ადგილი“ (კეკელია, ძიებანი... 2015, გვ. 106).

ოდიში. სახელწოდება ოდიში პირველად მოიხსენიება თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხულების მინაწერში „მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“ (ქ. ცხ., I, 1955, გვ. 24).

უამთა აღმწერელის თხულებაში აღნიშნულია, რომ ბედიან დადიანმა „დააწყო ოდიში, რომელ მპარავი და ძკრის მოქმედი არა იპოვბოდა“ („ქ. ცხ.“ 1959, გვ. 243). ახალი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „დარჩა სულთანს იმერეთი, ოდიში, გურია“ (იქვე, გვ. 371). ამავე წყაროში აღნიშნულია: „შემოიყარა ალექსანდრე, მპყრობელმან იმერეთისამან ჯარი, ჩავიდა

ოდიშსა. და ვერა წინა აღუდგნენ, და დაიპყრა ოდიში
და მრავალი ბოროტი მოაწივა ოდიშსა...“ („ქ. ცხ.“, 1959,
გვ. 431).

ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია
კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ოდიშს, სადაც
მე მოვინდომე, დალიძგას, ანაკრიას, ფოთს, ჭალადიდს,
წყალიგზას, გულველისკარს, ეკალს, საქუჩულორიოს,
ჩუენი გამორჩეული მეთევზენი და სხვა კაცები
დადიანმან პატრონმან ლეონ მისდა სადღეგრძელოდ
მისი სულისათვის შესწირა და ყოველსა წელიწადსა
სულისათვს ტრაპეზი გაიჩინა“ (ქსმ, III, გვ. 500-501).

ქვეყნის სახელწოდება ოდიშს არქანჯელო
ლამბერტი რამდენიმე ადგილას ასახელებს: აფხაზეთის
მთავარი „დიდის ამალით შევიდა ოდიშში დადიანთან
მოსალაპარაკებლად. ხოლო როგორც კი შეადგა ფეხი
სამეგრელოში, მაშინვე იგი თავის ამალით
დაატუსაღეს“ (ლამბერტი, 1991 გვ. 72); „ოდიშში
ვერავინ ვერ გაინთავისუფლებს თავს ლაშქრობისაგან,
რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, ან რაც უნდა
ავადყოფი იყოს“ (იქვე, გვ. 83); „ოდიშის პატრიარქს
თავის საბრძანებელში ისეთი ძალა აქვს... რომ არამც
თუ ეთანასწორება მთავარს, რომელიც მას ირჩევს,
არამედ აღემატება კიდეც“ (იქვე, გვ. 105); „ამჟამად
ოდიშში ექვსი ეპისკოპოსია, რადგან დანარჩენი ექვსი
კათედრა გადაკეთებულია მონასტრად“ (იქვე, გვ. 106-
107).

გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ქართული
პროვინცია სამეგრელო და მხარეები ოდიში და
ლეჩეუმი ჰქმნიან საქართველოს მეოთხე სამეფოს“,
რომელსაც მართავს დადიანი (გიულდ., 1962, გვ. 319);
გიულდენშტედტის აღწერილობით, „მეგრული მხარე
ოდიში... გადაჭიმულია შავი ზღვის ნაპირზე, ქედის
დასავლეთი ძირიდან ენგურამდე, რომლითაც ის

აფხაზეთისგან არის გამოყოფილი“ (იქვე, გვ. 321); გიულდენშტედტის მიხედვით, მხარე ოდიში „მდებარეობს სამეგრელოს ჩრდილოეთით და დასავლეთით და აღწევს შავ ზღვას. ჩრდილოეთით მას აფხაზეთი ესაზღვრება... მას სამეგრელოსთან ერთად განაგებს ერთი მმართველი დადიანი“ (იქვე, გვ. 325). გიულდენშტედტის „მოგზაურობის“ მიხედვით, „ოდიშზე მიედინებიან აღმოსავლეთიდან, მთიდან მომავალი [მდინარეები], რიონიდან დაწყებული: აბაშა, რომელიც პატარაა; ჩეური, ძალიან დიდი; ტეხენ, დიდი მდინარე; ოჩხომური, ხობისწყალი, ჭანისწყალი და დიდი მდინარე ენგური. ისინი ამ თანმიმდევრობით უერთდებიან სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ შავ ზღვას. ჩრდილოეთით მოდიან აფხაზეთის მდინარეები“ (იქვე, გვ. 321). გიულდენშტედტის აზრით, ოდიში მხარეა, რომელშიც შედის ზღვისპირა დაბლობი ნაქალაქევი-ჭაქინჯი-რუხის დასავლეთით.

ეს ფრანსუა გამბას მიხედვით, ოდიში მხოლოდ საკუთრივ სამეგრელო: „სამეგრელო დაყოფილია სამ პროვინციად. პირველია საკუთრივ სამეგრელო, რომელსაც აგრეთვე ოდიში ეწოდება“ (გამბა, 1987, გვ. 111). კასტელის „ცნობებსა და ალბომში“ „ოდიში“ მხოლოდ ოთხგზის არის მოხსენიებული, ხოლო თითქმის 30-მდე შემთხვევაში მას ცვლის „სამეგრელო“.

თ. ბერაძის დასკვნით, XVII საუკუნეში ოდიშის სამთავროს შემდეგი ტერიტორია ეკავა: აღმოსავლეთით მას საზღვრავდა მდ. ცხენისწყალი, სამხრეთით – რიონი, დასავლეთით – შავი ზღვა. აფხაზეთსა და ოდიშს შორის გამყოფად მდ. კოდორი გვევლინება, თუმცა გარკვეული ტერიტორია ამ მდინარის დასავლეთით დადიანებს ეკუთვნოდათ, მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ოდიშის სამთავროს დასავლეთით საზღვრავდა მდ. ენგური (ბერაძე, 1967,

გვ. 180). სხვა მოსაზრებანი: 1766 წელს შედგენილ ფრანგულ რუკაზე და ბურნაშოვის (რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე) მიერ შედგენილ რუკაზეც ოდიში მოთავსებულია დაახლოებით ანაკოფიასა და ილორს შორის.

XVIII ს. დასაწყისის ერთ-ერთ საარქივო მასალაში ოდიში ეწოდება ტერიტორიას მდ. ხობსა და მდ. აბაშას შუა... მარი ბროსეს მოსაზრებით კი, ოდიში ეწოდებოდა სამეგრელოს ზღვისპირა ნაწილს, ხოლო ხალხში შემონახული გადმოცემებით, ოდიში სამეგრელოს ის ნაწილია, რომელიც მოთავსებულია ენგურსა და ტებურს შორის (იხ. ბერაძე, გვ. 147, 148-149). გამოთქმულია ასეთი მოსაზრებაც: „ოდიშის სამთავრო ტომობრივ პრინციპზე არ წარმოშობილა. ამიტომ ის ფაქტი, რომ ოდიშის სამთავროს საზღვრები ანაკოფიამდე აღწევდა, სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ მთელი ეს მხარე მეგრელებით იყო დასახლებული“ (ბერაძე, 1967, გვ. 178).

სახელწოდება ოდიშის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით მოიპოვება ცრუხალხური განმარტებანი. დავასახელებთ ზოგ მათგანს: სახელწოდება ოდიშში შემონახულია იქ მოსახლე ტომის დიზერების სახელი, რომელსაც წინ დართვია მეგრული პრეფიქსი ო: დიზი → დიში → ოდიში (ს. კაკაბაძე); ოდიში მომდინარეობს მეგრული დვოაების სახელი ოდისაგან: „ოდი → ო-დიში „ოდისა“, ე. ი. ოდის კუთვნილი (ვ. ბერიძე).

უან შარდენის მტკიცებით, „აღმოსავლეთის ყველა ხალხი კოლხიდას უწოდებს ოდიშს, ხოლო კოლხებს – მეგრელებს. მე ვერ მოვიძიე ამ ორი სიტყვის ეტიმოლოგია და ვერც ამ ხალხების წარმოშობა“ (შარდენი, 1975, გვ. 109).

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ (VI, გვ. 502) მოკლე ტექსტი დაახლოებით ასეთია: საერთოდ ოდიში ისტორიული მხარეა დას. საქართველოში. საისტორიო წყაროების მიხედვით, ოდიში სხვადასხვა ტერიტორიას აღნიშნავდა. გვიანდელ შუა საუკუნეებში სამეგრელოს სამთავროს, უფრო ადრე (წყაროთა არაპირდაპირი ცნობით) ოდიში ერქვა ტერიტორიას ტეხურსა და კელასურს შუა, სამურზაყანოს წარმოქმნის შემდეგ (XVIII ს. დამდეგიდან) ოდიში ერქვა მხოლოდ ენგურსა და ტეხურს შორის მდებარე ტერიტორიას.

ოუგარია(//იოგურია) – იხ. იუგარია.

ოქუმი – სოფელი, ოქმის ცენტრი სამურზაყანოში. მდებარეობს მთისწინეთში, ოქუმწყარის მარჯვ. ნაპირას. ზ.დ. 200 მ. გადიდან 25 კმ. ოქმში შედის სოფლები: ოქუმი, აგვავერა, საბულისკერიო, სამელაიო. ესაზღვრება სამელაიო, საბულისკერიო (ოქუმის ოემისა), აგვავერა, წარჩე. სამეცნიერო ლიტერატურაში ოქუმი განმარტებულია როგორც „საქუმელე“ (ზ. ჭუმბურიძე). მაშასადამე, აგრონომი ჯერ ოკონიმად ქცეულა, ხოლო შემდეგ ჰიდრონიმადაც (ქსე-ში აღნიშნულია, რომ ოქუმი ეწოდება სოფელსაც და მდინარესაც).

ოქუმი ისტორიული სახელწოდებაა. არქანჯელო ლამბერტი კოლხიდის იმ მდინარეებს შორის, რომლებიც კავკასიის მთებიდან მოედინებიან და შავ ზღვას ერთვიან, ასახელებს ოქუმსაც (ლამბერტი, 1991, გვ. 12); „ხეთის (იგულისხმება ერისწყალი – პ. ც.) იქით არის ოქუმი, რომელიც ჩაუდის ტარშენს (იგულისხმება წარჩე – პ. ც.) და რომელმაც შეიძლება ამ ადგილისაგან მიიღო თავისი სახელი, რადგან ეს ის მდინარე უნდა იყოს, რომელიც რუკაზე იწოდება ტარსუსად“ (იქვე, გვ. 163). არქანჯელო ლამბერტისავე „სამეგრელოს რუკაზე“ (აგრეთვე ეწ. პარიზის

ლათინურენოვან რუპაზე) მდინარეს, რომელიც შავ ზღვას ერთვის გუდაგასთან, აწერიძ „ოქუმი, ანუ ტარსურა“. სოფელი ოქუმი მოხსენიებული აქვს შვეიცარიელ მოგზაურსა და გეოლოგს დიუბუა დე მონპერეს, რომელმაც კავკასია მოიარა 1831-1834 წლებში.

ოდუაწიკე. ოდუაწიკე იმ ადგილის სახელია, რომელიც ვამეყ დადიანს შეუწირავს ბიჭვინტის დვოისმშობლის ეკლესიისათვის (ქსძ, III, გვ. 477). 1657-1660 წწ. დაწერილ საეკლესიო საბუთში კი იგივე ტოპონიმი დასახელებულია როგორც ოდუაციკე (იხ. იქვე, გვ. 533).

ოჩხომური. ოდიშის მდინარეთა შორის დასახელებულია ოჩხომური. იგი მოედინება მთიდან და ერთვის შავ ზღვას (გიულდ., 1962, გვ. 321). სინამდვილეში ოჩხომური ხობისწყლის მარცხ. შენაკადია. ოჩხომური (\leftarrow ჩხომუ „თევზაობა“) ნიშნავს სათევზაო ადგილს. მ. კვირტიას განმარტება ასეთია: „ოჩხომური თევზით მდიდარი ადგილის სახელი იყო. ოჩხომური მიუთითებს თევზის სიუხვეზე ამ მდინარეში, მაგრამ იქვე მდინარის სახელს აკავშირებდა ქართულ ჩხამა სიტყვასთან (ჩხამა ჭრელი თევზია ერთგვარი): „რატომ არ შეიძლება, რომ ოჩხომურში მხოლოდ ჩხამა იყო გავრცელებული და მდინარესა და ადგილსაც ოჩხომური ეწოდა“ (კვიმატი, 2001, გვ. 235).

პალიასტომი//პალიასტომის ტბა – ტბა შავი ზღვის პირას, რიონის შესართავთან. ჰყოფს გურიასა და სამეგრელოს. ტოლოჩანოვისა და იევლევის ელჩობის აღწერაში გურია დასახელებულია გურელი ფორმით, ხოლო პალიასტომი – როგორც პოლესტონი, ისე პალესტონი, პოლეასონი ფორმებით: „

... (ხატი – პ. ც.)

,
“ (ელჩობა
იმერეთში, ტფ. 1926, გვ. 155-156). გამბა ადნიშნავს, რომ „უამრავი თევზია პალიასტომის ტბაში, რომელიც მდებარეობს გურიას, სამეგრელოსა და იმ ტერიტორის შორის, ფოთის ციხესიმაგრეს რომ ემიჯნება“ (გამბა, 1987, გვ. 139).

პალიასტომს ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილიც: „კუალად ფოთის სამწრით ზღვს კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღვას მდინარე ამისივე“ (ვახუშტი, 1973, გვ. 790). კ. პანის მართებული განმარტებით, პალეოსტომი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ძველ შესართავს (პანი, 1909, გვ. 115).

პატარა ფოთი. „მოგზაურები რიონსკაიადან გაემზავრნენ, აუკანენ მდინარეს (იგულისხმება მდ. რიონი – პ. ც.) და ცოტა ხნით შეჩერდნენ ციხე-სიმაგრიდან ექვსი ვერსით მოშორებულ პატარა ფოთში. ეს სოფელი, რომელიც ოცი თუ ოცდათი სახლისაგან შედგება, გემების დასატვირთი ნავმისადგომის გასაშენებლად ძალზე მოხერხებულ ადგილს წარმოადგენს“ (გამბა, 1987, გვ. 138). ადგ. ვარიანტი: ჭიჭე ფოთი.

ჟახარი. 3 დეკემბერს რუსეთის ელჩები ყოფილან სოფელში, რომელსაც ელჩინი მოიხსენიებს როგორც ჟახარ (ელჩობა, 1888).

ჟეჯიხი – იხ. დეჯიხი.

ჟირპიჯი. არქანჯელო ლამბერტის „კოლხეთის, ანუ სამეგრელოს რუკაზე“ ერისწყლის სათავესთან აღნიშნული Girpigj ზოგ მკვლევარს ქართულად გადმოაქს როგორც გირპიგი. სინამდვილეში კი ესაა მეგრული ჟირპიჯი, იგივე ქართული ორპირი, რაც

მდინარეთა შესართავის აღმნიშვნელი პიდროგრაფიული ნომენია. სახელდებული ობიექტი მართლაც რთომის ორ სათავე-მდგენელს შეა მდებარეობს. როგორც ჩანს, სახელი ჟირპიჯი დაიკარგა XVII–XVIII სს. აფხაზთა შემოსევების პერიოდში მთისწინეთის დაცარიელების შედეგად, ხოლო შემდეგ მოსულმა ახალმოსახლეებმა აქ წარმოქმნილ დასახლებას სახელი იმავე გეოგრაფიულ-ლანდშაფტური ნიშნით შეურჩიეს, მაგრამ უწოდეს არა ჟირპიჯი, არამედ ჟირლალიშქა „ორლელეს შეა“.

როგორც ცნობილია, „მოტივაცია საგნის მხოლოდ თვალში საცემი თვისებაა... და არა უსათუოდ კონსტიტუციური, არსებითი ნიშან-თვისება“ (ფოჩხუა, 1974, გვ. 121). მართლაც, ორი მდინარის შეერთების ადგილი, როგორც სახელდების მოტივაციის საფუძველი, თვალშისაცემი ნიშანია. ძველ ქართულში ადგილს, სადაც ერთი მდინარე მეორეს ერთვის (და ორ წყალს შეა მდებარე ადგილსაც, ე.ი. ნახევარუენძულს) აღნიშნავდა სიტყვა ხერთვისი (შანიძე, 1973, გვ. 582). ამ მნიშვნელობის გამოსახატავად ახალ ქართულში ყველაზე გაგრცელებული ლექსემაა შესართავი („ადგილი, სადაც შენაკადი უერთდება მდინარეს, ან ზღვას“ (ქეგლ, 7) ან ორწყალი).

ორწყალი (გარიანტები: ორწყალნი, ორწყალანი) და ორხევი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სინონიმებია. მთიულეთში, „ჩვეულებრივ, ორწყალს ორი ხევის შესართავს უწოდებენ“ (ხორნაული, 1983, გვ. 77), ერწო-თიანეთშიც ორწყალი ორი ხევის (დელის) შესაყარი ადგილია (ბედოშვილი, 1980, გვ. 149). ფშავში ორწყალი ეწოდება უკანაფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვის შესართავს. გეოგრაფიული

ტერმინები ორხევი და ორწყალი გავრცელებულია აღმ. საქართველოს ბარშიც: სოფ. ქემფერში (ხაშურის რ.) ორი ტილიანის შესართავისათვის ორწყალი დაურქმევიათ, ხოლო თბილისში ერთი დიდი უბნის სახელია ორხევი. ქართული ენის დასავლურ კილოებში ამ მნიშვნელობით ორწყალი და ორხევი ძალზე იშვიათი, ხოლო ორდელე – შედარებით ხშირი... კერძოდ, ორდელე ეწოდება ორი დელის შესართავს მდ. ლუხუტის სათავესთან, სოფ. მეორე ობჩაში, აგრეთვე დელებს წითელხევსა და ხანში (სამივე სოფელი ბადდათის რაიონშია). ორგორც ტოპონიმური მასალებიდან ჩანს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არც ორწყალი გვხვდება, არც ორხევი და არც ორდელე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ ცვლის ამავე მნიშვნელობის შემცველი ზანური ჰიდროგრაფიული ტერმინი „ორპირი“.

ორპირი ხერთვისის მნიშვნელობით ქართული ენის დასავლურ კილოებში გავრცელებულა, იშვიათი გამონაკლიისის გარდა, მხოლოდ ზანურის უწინდელი გავრცელების არეალში. „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შეტანილია სამი ორპირი: 1. მდინარე ადიგენის რ-ნში, ოცხის მარჯვ. შენაკადი; 2. მდინარე ლანჩხუთის რ-ნში, კუგანის მარჯვ. შენაკადი; 3. სოფელი ტყიბულის მერიის ტერიტორიაზე, მდ. წყალწითელას ნაპირებზე. გურიაში, კერძოდ, სუფსა-ნატანების ხეობებში, ისევ და ისევ ყოფილ ზანურ არეალში, ათამდე თრპირია (ღლონტი, 1993), სამხრ.-დას. საქართველოში კი – ათეულზე მეტი (სიხარულიძე, 1958). ქვემო იმერეთის ტოპონიმიაში, როგორც აღვნიშნეთ, ორი ათეული ორპირი გვხვდება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ქართული ორპირი ზანური ჟირპიჯის კალკია და, როგორც გეოგრაფიული ტერმინი, წარმოქმნილია

ქართის ტომის მიერ დღევანდელი ქვემო იმერეთის, გურიისა და აჭარის ტერიტორიების დაკავების შემდეგ.

ერთმანეთთან რაიმეს შერთვა, ერთმანეთში გარევა მეგრულში აღინიშნება ზმნით (აკო)კათაფა. ამ ზმნური ფუძიდანაა წარმოქმნილი დელფ-მდინარეთა შესართავის აღმნიშვნელი: აკაპათაფუ, აკათაფუ, აკაპათაფური, ოკაპათაფური, ოკათური... მაგრამ უფრო ძველი ჩანს ჟირპიჯი, ჟიპიჯი, ჟგრპიჯი „ორპირი“. ჩვენი დაკვირვებით, პიჯი „პირი“ ამ კომპოზიტებში მეტაფორულად აღნიშნავს დელეს, მდინარს (და არა ნაპირს). ჭანეთში ნ. მარისა და ი. ყიფშიძის მიერ ხოფის უბნად დასახელებული ზურპიჯი, ჟურპიჯი, ჟურპიჯი და ხუთვერსიანი რუკის ამგვარივე მონაცემები. რა თქმა უნდა, და ამას ი. სიხარულიძეც აღნიშნავს, ზანური კომპოზიტია და „ორპირს“ ნიშნავს (სიხარულიძე, 1977, გვ.გვ. 56-57).

ცხადია, ლამბერტის Girpigi არის ზანური ჟირპიჯი „ორპირი“, ერთ დროს მთელ კოლხურ ზღვისპირეთში გავრცელებული გეოგრაფიული ტერმინი: იტალიურში გ გრაფემა i ხმოვნის წინ იკითხება როგორც ჯ (თუ, თავის მხრივ, გი კომპლექსს არ მოსდევს a, o, u), მეორე მხრივ, იტალიურში უ ბგერა არ მოიპოვება და უცხო სიტყვებში მასაც გ გამოხატავს (შდრ. giraffa ჯირაფფა „ჟირაფი“). მაშასადამე, არქანჯელო ლამბერტისეული Girpigi არის მთელ კოლხურ ზღვისპირეთში გავრცელებული გეოგრაფიული ტერმინი „ჟირპიჯი“, ანუ ორპირი. სხვა მოსაზრებას გამოთქვას რ. ხვისტანი: „ლამბერტის აღნიშნული სახელწოდება „გირპიგ“-ი შესაძლოა მეგრ. „ჟინ პიჯ“-ის (ქართ. ზედა ნაპირი) ლათინური ტრანსკრიფცია იყოს (იხ. ხვისტანი, 1999, გვ. 240). ვ. შენგელია არ იზიარებს ჩვენეულ ეტიმოლოგიას და თვლის, რომ ჟიპიჯი (ვაკისა და დაფერდების სახელი ჩხოროწყუს რ-ნის ხოფი).

მოიდანახეში) სინამდვილეში ნიშნავს „ზემო პირს“ (შენგალია, 2003, გვ. 68).

სალიტერატურო ქართულსა და მის აღმოსავლურ დიალექტებში ორპირი ჰიდროგრაფიულ-ოროგრაფიულ ტერმინად ვერ განვითარდა, რადგანაც მიიღო სულ სხვა მნიშვნელობა (ფლიდი, გაუტანელი, სიტყვის გამტეხი....).

უმჭველია, ერისწყლის სათავესთან, მთის ძირას, ორ მდგენელს შუა აღნიშნული ობიექტი Girpigi მდებარეობდა იმ ადგილას, რომელსაც დღეს ეწოდება ჟირდალი//ჟირთომი. მისი ქვემო წელის სახელია თომი. იგი ერთვის ერისწყალს მარჯვ. მხრიდან, დაახლოებით ისე, როგორც მითითებულია „სამეგრელოს რუკაზე“ (თვით რთომი შედგება ორი მდგენელისაგან და აქედან მიუდია სახელი ჟირდალი//ჟირთომი „ორდელე//ორი რთომი“). ბუნებრივია, რომ ორი დელის შუამდინარეთსა და მიმდებარე ბორცვებზე გაშლილ სოფელს ამჟამად ეწოდება ჟირდალიშქა („ორდელეშუა“), ადგ. ვარიანტი: ჟირთომიშქა (ლეკუხონის საკრებულო). როგორც ჩანს, XVII ს-ის მეორე ნახევარში აფხაზთა მიერ გადამწვარ-გადაბუგულ სოფელში რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაბრუნებულმა ახალმა თაობამ სოფლის სახელდებისათვის ისევ და ისევ თვალსაჩინო სამოტივაციო ნიშანი გამოიყენა – ორი დელის შეერთება. ამან გამოიწვია ჟირპიჯის („ორპირის“) შეცვლა ჟირდალით („ორდელით“) და წარმოქმნა სოფლის სახელწოდებისა ჟირდალიშქა „ორდელეშუა“.

რედუტ-კალე. „რედუტ-კალეში ჰავა მავნეა, განსაკუთრებით შემოდგომით... აქ ხშირად ჩნდება ციებ-ცხელება, რომლის სამკურნალოდაც ქინაქინა არ გამოდგება“ (გამბა, 1987, გვ. 97). მოგზაურის ცნობით, რედუტ-კალე საგაჭრო ქალაქია. „ბაზარი მდინარის

მარცხენა მხარეს ორ პარალელურ ხაზზეა განლაგებული... როცა რედუტ-კალეს ვაჭრობა უფრო ფართო მასშტაბს მიაღწევს, მაშინ შესაძლებელი გახდება მდინარის მარჯვენა მხარეს მეორე ბაზრის „აშენება“ (გამბა, იქვე, გვ. 98).

რატომ დაერქვა ერთ ობიექტს – ხობისწყლის შესართავთან მდებარე ნავსადგურსა და დასახლებას – ორი სახელი – რედუტ-კალე და ყულევი//ყულე? ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი და არაქართველი მკვლევრების მოსაზრებანი ასეთია: თავდაპირველი სახელწოდებაა ყულე (ადგ. ვარიანტი: ქულე). ასე ეწოდებოდა ჯაიანის ძველ კოშკს. 1804 წელს კაზაკებმა მდინარის მარცხ მხარეს ააგეს რედუტი. მაშასადამე, რედუტ-კალე არაქართველი ჰიბრიდული სახელწოდებაა. იგი შედგება ორი უცხო სიტყვისაგან: რედუტი (ფრანგ.) „მცირე ციხესიმაგრე“ და კალე (თურქ.) "კოშკი" (შდრ.: სოხუმ-კალე, სუჯუკ-კალე და სხვ.).

ტოპონიმ ყულევის წარმომავლობას უკავშირებენ აღმოსავლურ სიტყვა ყულ-//ყულ-ს, რაც თურქულში დასტურდება და ნიშნავს მონას. ხალხური ეტიმოლოგიაც ასეთია: ხობისწყლის შესართავთან თურქებს ჰქონდათ მონათა ბაზარი. ამიტომ დარქმევია ყულე. სხვათა შორის, ჟან შარდენის ცნობითაც, ოსმალებს სწორედ ხობისწყლის შესართავიდან გაშეკრის ტყველი (ჭითანაგა, 2002.; ბერაძე, 1970). რედუტ-კალე დღევანდელი ყულევია, რომელიც სწორედ იქ მდებარეობს, სადაც ხობისწყალი ერთვის შავ ზღვას (იხ. ყულევი).

რეკა – სოფელი, თემის ცენტრი ოჩამჩირის რ-ნში, ოხურეის მარცხ. მხარეს, ელიაკარის ზემო წელზე. №. დ. 100 მ. ოჩამჩირიდან 18 კმ. ესაზღვრება: ბედია, საჩინო, ჯგურიანი... სოფელში შემონახულია

ადრინდელი შუა საუკუნეების სამი ნაციხარი. რეკა ძირძველი კოლხური გეოგრაფიული სახელია, კერძოდ, ლანშაფტური ტერმინია: აღნიშნავს მდინარისპირა ქვიან ადგილს. სამეგრელოში რეკა რამდენიმე ადგილას გვხვდება მდინარისპირა წვრილქვიანი ადგილის სახელად.

რეკა სამურზაყანოს ერთ-ერთი ძირძველი ტოპონიმია. იგი დამოწმებულია ლევან დადიანის მიერ ბიჭვინთის ტაძრისადმი შემოწირულობის სიგელში, რომელიც 1628 წელსაა შედგენილი. აქ ჩამოთვლილია, რომელ სოფელში ვის რა სახის ბეგარა მართებს, სად და როდის უნდა მოიტანონ იგი. ერთგან ნათქვამია: „შემოგვიწირავს დალიძგას... მოსახლე კაცი ერთი პარასქია ალექსანდრია და მისი კაცი, მეორე მოსახლე ხახუტაი კოზმა რეკას...“ (სულ ჩამოთვლილია 13 მებეგრე). ცოტა ქვემოთ ასეთი გაგრძელებაა: „მართებს პარასკა ალექსანდრიას და ხახუტაი კოზმას ერთი ძროხა, ორივ სწორად სამსამი გუდა ღვინო, ოროლი ქილა ღომი, ერთი ქათამი, ერთი თეფში პური“ (კაკაბაძე, 1921, გვ. 41).

როგორც ო. ქაჯაია განმარტავს, რეკა ორგორაფიული ტერმინია მეგრულში და აღნიშნავს მდინარისპირა ქვიან და ქვიშიან ნაპირს, რიყეს, კრიას (ქაჯაია, 2002). ამ სიტყვის ეს მნიშვნელობა შეუნიშნავს ლამბერტსაც. იგი ცდილობს, საზოგადო სახელი რეკა დაუქაგშიროს ქალღმერთ რეას კულტს: „რადგან რეას კერპი ფაზისის ნაპირად იყო, მე ვფიქრობ, რომ მეგრული სახელწოდება ნაპირისა რეკა აქედან უნდო სწარმოებდეს: სიტყვა რ ე ა გადაუსხვავერებიათ რეკად (ლამბერტი, 1991, გვ. 174). რეკა ეწოდება მდ. ჩხოუშიის ზემო წელს სოფ. პ. ეწერში (წალენჯიხის მუნიც.), ვაკესა და დელეს სოფ. ნამიკოლავი

პირველში (მარტვილის მუნიც.), სოფელს ციფის მარჯვ. მხარეს (სენაკის მუნიც.) და სხვ.

რიონი დასავლეთ საქართველოს უდიდესი მდინარეა, გამოედინება კავკასიონის ქედის კალთებიდან, გამოივლის რაჭა-ლეჩხეუმს, იმერეთს და სამეგრელოსა და გურიას შორის ქ. ფოთოან უერთდება შავ ზღვას. სწორედ ამასვე მიანიშნებს არქანჯელო ლამბერტიც: „რიონი ჰყოფს აგრეთვე სამეგრელოსა და გურიას და ბოლოს წყნარად შეერთვის ზღვას სებასტოპოლის მახლობლად... დღეს კი წყალშია ჩანთქმული“ (ლამბერტი, 1991, გვ. 11). **შენიშვნა:** აქ დაშვებულია უზუსტობა: სებასტოპოლისი, როგორც ცნობილია, სოხუმს ერქვა, რიონი კი ზღვას შეერთვის ფოთოან.

რუსეთის ელჩობის აღწერილობაში მდინარე რიონი დასახელებულია როგორც (ელჩობა, 1888, გვ. 324). ქაკ ფრანსუა გამბა დასავლეთ საქართველოს ამ უდიდეს მდინარეს ყველგან მოიხსენიებს სახელწოდებით ფაზისი და მხოლოდ ოთხ შემთხვევაში აზუსტებს „ფაზისი ანუ რიონი“. იგი „სათავეს იღებს იალბუზის მახლობლად“ (გამბა, 1987, გვ. 224). აქ აშკარა უზუსტობაა: რიონი კავკასიონის სამხრ. კალთებზე ფასის მთიდან იღებს სათავეს. იალბუზი კი ამ ადგილიდან რამდენიმე ათეულ კმ-ზეა, კავკასიონის ქედის ჩრდ.-დას. ნაწილში. კასტელის ჩანაწერებში აღნიშნულია: „კეთილშობილი მთავარი დადიანი მივიდა სანაძიმოდ ფაზისის მდინარესთან, რომელსაც რიონს უწოდებდნენ. ის ყოფს გურიას კოლხეთისაგან“ (კასტელი, 1977, გვ. 47). კასტელი ერთ-ერთი ჩანახატის წარწერაში აღნიშნავს, რომ „კოლხეთის სამხრეთი საზღვარი არის კაბადოკია (?) – კ. ც.), მდ. რიონი და სომხეთი (?) – კ. ც.), ხოლო

დასავლეთიდან შავი ზღვა ეკრა“ (კასტელი, 1977, გვ 49).

ქველ ბერძნულ წყაროებში მდ. რიონი მოხსენიებულია სხვადასხვანაირად: როანი, რეონი, ფაზისი, ფასიდი. პირველი ორი ამათგანი რიონის ვარიანტებია. ფიქრობენ, რომ ეს სახელწოდება უკავშირდება რუს, რომელიც ინდოევროპული ძირის სიტყვად მიიჩნევა: რაც შეეხება რიონის მეორე სახელწოდებას (ფაზის//ფასიდ), აქ ფუძედ გამოიყოფა ფას, ხოლო -ის და -იდ ბერძნული დაბოლოებებია. შესაძლებელია, ფას- ქველი ქართული სატომო სახელი იყოს. მეორე თვალსაზრისით, ფას//ფსა//ფშა ზოგადად წყლის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო იძერიულ-კავკასიურ ენებში... ამიტომაც ბერძენ ისტორიკოსთა თხზულებებში ფაზისი ერქვა არა მხოლოდ რიონს, არამედ ჭოროხსაც და არაქსაც. საგულისხმოა, რომ ფასისი სათავეს იღებს კავკასიონის ქედის ერთ მთაზე, რომელსაც ეწოდება ფასა//ფასის მთა.

რიონსკაია ერქვა რიონის მარჯვ. ნაპირზე რედუტ-კალეს ციხის ინჟინრის მიერ აგებულ ციხესიმაგრეს, რომელიც მდებარეობდა „ფაზისის შესართავიდან ცამეტი ეპოქის მანძილზე“ (გამბა, 1987, გვ. 100). ამ ციხესიმაგრიდან, რომელსაც რუსთა ორასკაციანი გარნიზონი იცავდა, „გემები ფაზისზე აღმასვლას იწყებენ“. შენიშვნა: რიონსკაია მდებარეობდა ქალაქ ფოთსა და პატარა ფოთს შეუა. ამ პერიოდში რიონი შავ ზღვას ორ ტოტად უერთდებოდა, ხოლო ქალაქი ფოთი თურქებს ეპურაო.

რუსა (//იშვიათი ვარიანტები: რუში, რუშე) მცირე დელეა აბაშის მუნიციპალიტეტში, ერთვის რიონს წიფნართან. რამდენიმეგზის არის მოხსენიებული შეუა საუკუნეების საეკლესიო-საისტორიო წყაროებში,

კერძოდ, დასახელებულია 1616-1621 წწ. საეცლებით საბუთში. აქ ერთგან კათოლიკოსი გრიგოლი მიმართავს ბიჭვინტის ღვთისმშობელს: „შემოგწირეს საჭილაოს, რუშას საყდარი თავისი 12 კომლი კაცით, თავის წყლით, მიწით, ტყით...“ (ქსძ, III, გვ. 474-475). რესპოდენტის განმარტება ასეთია: რუშას წყალი შავია. ალბათ ამიტომ თავიდან რუშავი ერქვა. სამეგრელოში არაა იშვიათი მიკროტოპონიმები: რუშავა, რუშიპირი, რუშიპირები.

რუხი სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი ოდიშის დაბლობზე, მდ. ენგურის მარცხ. ნაპირას, ზუგდიდ-სოხუმის საავტომობილი გზაზე. ზ.დ. 100 მ. ზუგდიდიდან 5 კმ. სოფლის ტერიტორიაზე, ენგურსა და მის მარცხ. შენაკად რუხწყარს შორის, შემაღლებაზე აღმართულია შუა საუკუნეების ციხესიმაგრე. იგი აუგია სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის 1647 წელს აფხაზთაგან ოდიშის დაცვის მიზნით. ოდიშისათვის იგი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვინემ ჭაქვინჯის, ხეთის, ლიის, ჯგალის და სხვ. ციხესიმაგრეები. ამ პერიოდში შეიმჩნეოდა საქალაქო ცხოვრების დაჭვეითება. ვაჭრობის განვითარებისა და ევროპასა და სპარსეთს შუა აბრეშუმის საგაჭრო გზის ამოქმედების მიზნით ლევან II დადიანმა რუხის ციხესთან დააარსა ქალაქი – საგაჭრო სახელოსნო აღგილი ჩიხორიდან და ჩხარიდან გადმოსახლებული სომხებისა და ებრაელებისათვის. მაგრამ ლევან II-ის გარდაცვალების შემდეგ ისინი მალევე უკან გაბრუნდნენ. იმ ადგილს, სადაც სომხები ესახლნენ, დღეს ნასომებ ეწოდება.

სამეგრელოს სამთავროს მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო **რუხის ციხე** (ადგ. ვარიანტი: ჯიხა). იგი შედგება ციტადელისა და ეზოსაგან, გარს უკლის 10-12 მ. სიმაღლის გალავანი...

პქონდა საარტილერიო დანადგარები... ვახუშტის ცნობით, 1723 წელს ციხე ოსმალებმა ჩაიგდეს ხელთ, დაშალეს იგი და მისი ქვით „აღაშენეს ანაკლია უმეტესად“. 1770 წელს ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ლაშქარმა რუსის ციხე ოსმალთაგან გაათავისუფლა. 1779 წელს გაიმართა ისტორიული „რუსის ბრძოლა“ – იმერეთ-გურია-ოდიშის ლაშქრის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ. ოსმალებს მოკავშირეებად ჰყავდათ აფხაზები, ჯიქები, ალანები, ჩერქეზები, ბალყარები და ყირიმელი თათრები. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა რუსის ციხესა და ქ. ზუგდიდს შორის მდებარე ველზე. გამარჯვებულმა ქართველებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და დიდალი ალაფი, მათ შორის მტრის არტილერია. 1855 წელს რუსთა და ქართველთა ლაშქარმა რუსის მიდამოებში ერთხელ კიდევ დაამარცხა ოსმალთა საექსპედიციო კორპუსი. შემდგომში რუსის ციხემ თანდათან დაკარგა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა (ქსე, ტ. 8).

რუსი და ზუგდიდი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.), ხოლო „რუსის ციხე“ პირველად მოხსენიებულია შარდენის „მოგზაურობაში“ 1672 წლის ამბებთან (ე.ი. ოსმალების შემოსევასთან) დაკავშირებით. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, XVIII ს. დასაწყისში რუსის ციხეში ჰქონიათ ზარბაზნები „დიდ-დიდნი“, რომლებიც ოფშევითის ბრძოლის დროს წაურთმევიათ ქართლის მეფე სიმონისათვის დადიანის მოლაშქრეებს. სხვათა შორის, რუსის ციხე იმ დროს იდგა უშუალოდ ენგურის მარცხ. ნაპირზე, ამჟამად იგი მდინარისაგან 300-400 მეტრითაა დაშორებული“ (ზაქარაია, 1999, გვ. 282-288).

ეან შარდენი თავის „მოგზაურობაში“ აღნიშნავს, რომ სამეგრელოში „არის ცხრა თუ ათი ციხე-დარბაზი, მათ შორის უმთავრესს ჰქვია რუხი, რომელიც სამეგრელოს მთავრის ადგილ-სამყოფელს წარმოადგენს“ (შარდენი, 1975, გვ. 115).

როგორც საისტორიო წყაროებიდან და გადმოცემებიდან არის ცნობილი, რუხის „მცხოვრებთა ძირითად ნაწილს ემართა „დადიანის მსახურება“, კერძოდ, ფარჩხუა – ნადირის გამორეპარა ტყიდან ჩასაფრებული მონადირეების მიმართულებით, აგრეთვე ბურდული და ლვინო.

მე-19 ს-ის მეორე ნახევარში სამეგრელოს მართავდა ნიკო დადიანი. სწორედ მის პატივსაცემად რუხწყარის მარცხ. ნაპირს დაერქვა ნიკოსია. ეს სახელწოდება 1932 წელს გაუქმდა (იხ. „ყაზახიშ გაზეთი“, 1932 წ. № 121).

გადმოცემა: "სახელწოდება მომდინარეობს რუსული სიტყვიდან რუხუთ – დანგრევა. დადიანებს თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად რუსეთის მეფისათვის დახმარება უთხოვიათ. მეფეს ჯარი გამოუგზავნია. ამ ადგილას ხიდი ყოფილა. გადასვლისას ხიდი ჩანგრეულა და ჯარს წამოუდახია „რუხულა“. მეორე ხალხური ეტიმოლოგიაც რუსებს უკავშირდება: რუსებს აქ მოუსმენიათ, რომ მეკამეჩე კამეჩს მიმართავდა: რრრ...ხია და ადგილისთვის ამის მიბაძვით რუხი დაურქმევიათ. შდრ.: მეგრელთა მეტველებაში სიტყვა რუხი, როხი ნიშნავს ლოდს, მსხვილ ქვებს. შდრ.: „რუხილი, როხილი – ლოდებით ნაგები“. "

სააფაქიძო. გიულდენშტედტის მიხედვით, სააფაქიძო სოფელია სამეგრელოში (გიულდ., 1962, გვ. 323). **შენიშვნა:** არაა გამორიცხული, სააფაქიძოში იგულისხმებოდეს ენგურ-ჭანისწყალს შუა მდებარე ვაკე-მაღლობი, რომელიც ეკუთვნოდათ თავად აფაქიძეებს და სააფაქიო ეწოდებოდა.

სადადიანო. იშვიათად ასეც მოიხსენიებს დონ კრისტოფორ დე კასტელი სამეგრელოს: „ჩვენი მისიონერების გავლენით დვოის კულტი იზრდებოდა სადადიანოში“ (კასტელი, 1977. გვ. 63. სადადიანო იგივე სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროა

საეგრო პირველად დასახელებულია „მატიანე ქართლისაში“ (ქცხ. I, გვ. 316), აგრეთვე XII საუკუნეში თარგმნილ თეოდოსე განგრელის მოსახსენებელში (რომელიც მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს) და თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში. საეგრო ნიშნავს (ე)გერების ქვეყანას: ეგერი → საეგერო → საეგრო. ქვეყნის სახელწოდება საეგრო შემდეგ შეცვალა ეგერისმა: ეგერი → ეგერისი → ეგრისი. საბოლოოდ კი დამკვიდრდა „სამეგრელო“: მეგრელი „ეგრისელი, ეგრისის მცხოვრები“ → სამეგრელო. სახელწოდება სამეგრელო პირველად გვხვდება XI ს-ის ხელნაწერში – მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების კიმენურ რედაქციაში (ეკუთვნის ექვთიმე ათონელს).

სათანჯო – მთა ენგურის მარჯვ. მხარეს, სოფ. რუხის პირდაპირ. მთის ირგვლივ განლაგებულია სოფლები: ოცარცე, დიხაზურგა, ჭყონხუმლა, პ. აკვადა, ჭუბურხინჯი. შუა საუკუნეების (XV-XVI სს.) საისტორიო წყაროების ჩვენების თანახმად, ენგურის მარჯვენა ნაპირას მდებარე მისიონერთა საგაჭრო ფაქტორია სანტ-ანჟელო დღევანდელი სათანჯო უნდა იყოს (იხ. ბართოლომეი, ვლ. ალფენიძე). VIII ს. თურქულ წყაროებში იგი გვხვდება საბანჯო ფორმით (აბ. ტულუში). არქანჯელო ლამბერტისა და ეწ. ლათინურენოვან რუკაზე (1654 წ.) აღნიშნულია Satangi სათანჯო. გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება ამ ორონიმის წარმომავლობასთან დაკავშირებით: ა) „თანჯი სამანია. ეს მთა რამდენიმე სოფლის

სასაზღვრო იყო. ამიტომ დარქმევია სათანჯო (ზ. ჭუმბურიძე). სათანჯო ნიშნავს სასაზღვროს (გ. ზუხბაია); ბ) სათანჯო იგივეა, რაც „სანიშნე“: აქ ანთებვდნენ კოცონს აფხაზთა მოთარეშე რაზმების გამოჩენისას (აბ. ტულუში). მაგრამ ეს სახელწოდება დოკუმენტურადაა დადასტურებული აფხაზთა გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე. როგორც ისტორიკოსი თ. ბერაძე აღნიშნავს, „სათანჯოს ციხე ზღვიდან კარგად მოჩანდა, ამიტომ ორიენტირადაც იყენებდნენ“. მაშასადამე, ეს მთა იყო ერთგვარი სანიშნე, ორიენტირი ზღვისპირეთიდან აღმოსავლეთით მიმავალთათვის როგორც პირველი მაღალი აღგილი კოლხეთის დაბლობისა და მთიანეთის საზღვარზე და ამიტომაც ეწოდა სათანჯო, მისანიშნი, საორიენტაციო. მეგრულში თანჯუა აღნიშნავს ხის დაჭდევებასაც, რაც საჭირო იყო საკუთარი ტყის, მიწა-წყლის შემოსასაზღვრავად, ან უდრანში გზის გასაგნებად. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგი მკვლევარი სათანჯოს აიგივებს მისიონერთა ფაქტორია სანტანჯელოსთან. ამ შემთხვევაში სატანჯო იქნება სახელწოდების თავდაპირველი ფორმა, ხოლო სათანჯო მისი მეგრულად გადააზრების შედეგი. სათანჯოს ახლომახლო ადგილებს ეწოდებათ: სათანჯოშ ბორკი, სათანჯოშ კუდელი, სათანჯოშ კუნთხუ, სათანჯოშ ქვინჯი, სათანჯოშ ჯიხა, ანუ სათანჯოს ციხესიმაგრე, რომელიც ამ მთის თხემზე იდგა. დღემდე მხოლოდ ნანგრევების სახითაა მოღწეული. აგებულია VIII-X სს-ში, ზღვიდან კარგად მოჩანდა, ამიტომ ორიენტირადაც იყენებდნენ. ზოგი მკვლევარი აქ XIII-XV სს-ში გენუელთა სავაჭრო კოლონიის არსებობას ვარაუდობს (თ. ბერაძე, ქსე, ტ. 8, გვ. 658).

საისი – იგივე ცაიში (იხ. აქვე).

სალიპარტიანო ეწოდებოდა ლიპარტიანთა საფეორდალო ერთულს. მდებარეობდა მდ. ტებურის ორივე მხარეს, მარტვილისა და სენაკის მუნიციპალიტეტებში. „და არს ჭყონდიდიდან უნაგირამდე მთისძირი სალიპარტიანო“ (ვახუშტი, გვ. 771). „მერმე ლევან დადიანმან მისცა სალიპარტიანო და თვისად მისანდობელ ჰყო ფრიად“ (იქვე, გვ. 842). სალიპარტიანო სოფელსაც ერქვა.

სამეგრელო. რუსეთიდან სამეგრელოში ჩამოსული ელჩები (1639-1640 წწ.) სამეგრელოს ნაცვლად უკელის ასენებენ ან კიდევ „უბრალოდ ან : „ (ელჩობა 1926, გვ. 45). „июля в 19 день приехал из дидъянские земли...“ (იქვე, გვ. 42). „ , ..“ (იქვე, გვ. 57).

არქანჯელო ლამბერტი თანაბარი მნიშვნელობით ხმარობს სახელწოდებებს – კოლხიდასა და სამეგრელოს. მათი საზღვარია იმერეთთან და გურიასთან ცხენისწყალი, ხოლო აფხაზეთთან – კოლორი (ლამბერტი, 1991, გვ. 8-9). კოლხეთის ბუნება კი „სამეგრელოს აღწერაში“ ასეა წარმოდგენილი: „ბუნებას უხვად დაუბერტებია სამეგრელოსათვის თვისი კალთა და მიუცია მოხერხებული და მშვენიერი მდებარეობა. სამეგრელო მდიდარია ამწვანებულის გორაკებით, ვრცელის ველებით, კეკლუცის ჭალაკებით, მდინარეებით, დელეებით და წყაროებით, რომელიც ყოველის მხრით ჩამოუდის“ (იქვე, გვ. 37).

ეან შარდენი თავის „მოგზაურობაში“ აღნიშნავს: „ვიდრე შევუდგებოდე იმ სიძნელეების და ხიფათების თხრობას, რაც სამეგრელოში გადავიტანე, მე აღვწერ ამ ქვეყანას და მის მოსაზღვრე ადგილებს“ (შარდენი, 1975, გვ. 107). შარდენი აკონკრეტებს: „თეათინელები სამეგრელოში 1627 წ. მოვიდნენ... წიფურიაში ჩემი

ჩასვლის დროს ოთხი თეატინელი იყო“ (იქვე, 1975, გვ. 217-218). „ფიქრობდნენ, რომ თურქების მოსვლა სამეგრელოში აღადგენდა წესრიგს, დაამყარებდა მშვიდობას და მეგრელებს იარაღს დააყრევინებდა, მაგრამ ეს არ მოხდა“ (იქვე, 1975, გვ. 251).

„გიულდენშტედტი სამეგრელოს აღწერას უთმობს მე-8 თავს „მოკლედ სამეგრელოს შესახებ“, რომელიც შეიცავს სამიოდე გვერდს. თავი ასე იწყება: „ქართული პროვინცია სამეგრელო და მხარეები ოდიში და ლეჩხუმი ჰქმნიან საქართველოს მეოთხე სამეფოს და ჰყავთ თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი მმართველი, რომელიც ატარებს დადიანის ტიტულს... [მას] იმერეთის მეფე სოლომონთან სასტიკი მტრობა აქვს“ (გიულდ., 1962, გვ. 319). გიულდენშტედტს სამეგრელოში არ უმოგზაურია და სამეგრელოზე ცნობები შეკრებილი აქვს შემთხვევითი პირებისაგან: „ქვეყნის ბატონის განსაკუთრებული დაცვის და ამაღის გარეშე აქ [მოგზაურობაზე] ფიქრიც ზედმეტი იყო. მე მაინც ვიმოგზაურე ამ ქვეყნის საზღვრებზე იმერეთთან. ნაწილობრივ ამ მოგზაურობისას, აგრეთვე სხვა დროსაც, უმთავრესად ხონის ბაზრობაზე, რომელსაც მეგრელებიც ესწრებიან, დადიანის ქვეყნის შესახებ შეგვრიბე ცნობები, რომელთაგან მე აქ მოვიყვან, ჩემის აზრით, ყველაზე სინამდვილესთან ახლოს მყოფს და მნიშვნელოვანს“ (იქვე, გვ. 319). გიულდენშტედტს შეუკრებია მეგრული სიტყვებიც და დარწმუნებულა, „რომ ეს ენა არის უხეში კილო ქართულ-გურჯისტანულისა, რომელშიც შერეულია ბევრი უცხო სიტყვა. ის დაახლოებით ისეთსავე მიმართებაშია აღმოსავლურ ქართულთან, როგორც პოლანდიური გერმანულთან“ (იქვე, 1962, გვ. 321). „სამეგრელო მდებარეობს ალპების სამხრეთ ძირას, დაბლობზე, ამ მთებსა და მთისწინებს შორის. სამხრეთით მას რიონი

გამოყოფს გურიისგან, აღმოსავლეთით ცხენისწყალი – იმერეთისგან, სამხრეთ-აღმოსავლეთით კირქვიანი მთები ჰყოფენ მას მეგრული მხარისაგან – ლეჩხუმისაგან, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს მეგრული მხარე ოდიში (რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვის ნაპირზე ქედის დასავლეთი ძირიდან ენგურამდე, რომლითაც იგი აფხაზეთისაგან არის გამოყოფილი, სვანეთის პირდაპირ“ (გიულდ., 1962, გვ. 321). სამეგრელოში ოდიშთან ერთად ითვლება ათი ათასი ოჯახი (იქვე, გვ. 323). „სამეგრელოს აქვს ორი მხარე: 1. აბაშა, 2. ბანბა (და არა ბანკა)“ (იქვე, 1962, გვ. 323). გიულდენშტედტის ცნობა, რომ სამეგრელო დაყოფილია აბაშისა და ბანბის მხარეებად, სიზუსტეს მოკლებულია. აბაშა და ბანბა დასახლებული პუნქტებია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გიულდენშტედტი სამეგრელოში არ ყოფილა და ამიტომაც ერთგვარი ბოლიშის მოხდით წერს: „ჩემმა ცნობების მომწოდედბლებმა ამ მხარეთა სოფლები ზუსტად არ იცოდნენ“ (იქვე, 1962, გვ. 323).

1674 წელს პატრი ძამპი აგზავნის წერილს იტალიაში. ამ წერილში ნათქვამია: „სამეგრელო, სამეგრელო ადარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩაგარდნილი, დაქცეული და აოხრებულია“ (თამარაშვილი, 1902, 204. იხ. აგრეთვე, გვ. 207 და სხვ.).

უცხოელთა ჩანაწერებში სახელწოდება სამეგრელოს ხშირად ცვლის „მეგრელთა ქვეყანა“, მაგალითად, მაკარი ანტიოქიელი აღნიშნავს, რომ ქართველთა ერთ-ერთი ეპისკოპოსი (გულისხმობების ბიჭვინტის ეპისკოპოსსაც მართავს სამ ვილაეთს: „ესენია იმერეთის ქვეყანა, მეგრელთა ქვეყანა და გურიის ქვეყანა“. „სამეგრელოს სერავს ფაზისი, ხობი და ენგური, რომლებიც ისე ერთვიან ზღვას, რომ

აქაური მცხოვრებლები ვერაფრით ვერ ახერხებენ ამ მდინარეების სანაოსნოდ გამოყენებას“ (გამბა, 1987, გვ. 104). „სამეგრელო დაყოფილია სამ პროვინციად: პირველია საკუთრივ სამეგრელო, რომელსაც აგრეთვე ოდიში ეწოდება. დასავლეთით მას შავი ზღვა ესაზღვრება, სამხრეთით – გურიის სამთავრო, აღმოსავლეთით – იმერეთი, დაბოლოს ჩრდილოეთით – ენგური... მთელი ეს ქვეყანა ვაკეს წარმოადგენს, სადაც მცენარეთა ნარჩენებით განოყიერებული ნიადაგი ისეთი ნაყოფიერია, რომ ბევრი ქვეყანა ვერცემ შეედრება. სამეგრელოს ამ ნაწილში საკმაო რაოდენობითაა რუსების საგუშაგოები“...

მეორე პროვინციაა ლეჩხუმი. იგი განლაგებულია ცხენისწყლის მარცხენა მხარეს და იწყება ხონის ოდნავ ზემოთ, გადაჭიმულია კავკასიის მწვერვალამდე და იმ მთებამდე, სადაც სვანები ცხოვრობენ... ლეჩხუმის მხარე მთლიანად მთაგორიანია და მისი ჰავა მეტად ჯანსაღია.

სამეგრელოს მესამე პროვინცია გადაჭიმულია ჩრდილოეთით კოდორის კონცხამდე და საზღვრად უდევს ამავე სახელწოდების მდინარე, ძველი ავტორების კორაქსი... ეს პროვინცია ატარებს აგრეთვე სამურზაყანოსა და აფხაზეთის სახელს. იგი დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს; მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება...“ (გამბა, 1987, გვ. 111-112).

„სამეგრელოს ველებზე მიედინებიან 1. ცხენის-წყალი, 2. ნოღელა ჩრდილოეთით, ხოლო ცივი – ჩრდილო-დასავლეთით... მოედინებიან ალპებიდან, ორივენი ერთდებიან და ასე ერთვიან რიონს“ (გიულდ., 1962, გვ. 321). ცხადია, ალპებში იგულისხმება სამეგრელოს ქადი. ამის გარდა, ცივის სათავე ამ ქედამდე ვერც კი აღწევს. გიულდენშტედტი განასხვავებს

სამეგრელოსა და ოდიშს. სამეგრელო მისთვის ქართული პროვინციაა, ხოლო ოდიში და ლეჩეუმი მხარეებია, რომლებიც ქმნიან საქართველოს მეოთხე სამეფოს.

XVII საუკუნიდან რუსულ წყაროებში სამეგრელო აღინიშნებოდა როგორც დადანის ვაკე შემოვიდა ტერმინი მინგრელია (კერძოდ და), რაც დასახელებულია 1774 წელს რუსეთ-თურქეთს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებაში. მაგრამ იტალიელი მისიონერები სამეგრელოს მოიხსენიებენ როგორც ჯორჯიანო (Georgiano) ან როგორც Mengrellia.

XVIII ს-ის თურქი მოგზაური, გეოგრაფი და ისტორიკოსი ევლია ჩელები სამეგრელოზე ასეთი წარმოდგენისაა: „სამეგრელოში ყოველ ტომს (? – პ.ც.) თავისი დამახასიათებელი, განსაკუთრებული კილოკავი აქვს, დიდი ქვეყნაა, სამოცდაათნაირი მოსავალი მოდის, ბევრი ჰყავთ ცხვარი, თხა, ლორი...“ (ევლია ჩელები, 1971, გვ. 33).

ქათიძე ჩელები შავიზღვისპირას გამოყოფს ორ რეგიონს: დადიანი და მაგრილი: მაგრილი მხარეა შავი ზღვის სანაპიროზე. მდებარეობს იმ ადგილას, სადაც ფოთის მდინარე შავ ზღვას ერთვის, საზღვარი გონიოს ემიჯნება; მეგრელი კი არის რიონსა და გონიოს შორის მოთავსებული ტერიტორია (ქათიძე ჩელები, 1978). რა თქმა უნდა, ავტორის ცნობები მოკლებულია სიზუსტეს.

გარკვეულია: გურ- (სატომო სახელი) → ეგურისი (ქვეყნის სახელი) → მ-ეგრ-ელი → სა-მეგრ-ელ-ო (მეგრულად: მარგალი → სამარგალო. ძველ უცხოურ წყაროებში მანრალ და მაკრონ სწორედ მარგალს ნიშნავს). საკუთრივ ტერმინი მეგრელი დამოწმებულია ჯერ კიდევ VI საუკუნის წყაროში: 553 წელს

კონსტანტინეპოლის მსოფლიო კრების მონაწილე ფაზისელმა ეპისკოპოსმა ხელი ასე მოაწერა სათანადო დოკუმენტს: „თეოდორე უღირსმან ეპისკოპოსმან ფასოსამან სოფელსა შინა მეგრელთასა განვასაზღვრენ და წავწერენ“.

სამურზაყანო. ოოგორც ცნობილია, სამურზაყანო ეწოდა ტერიტორიას დალიძგასა და ენგურს შორის იმის გამო, რომ მას XVIII ს. დამდეგს მართავდა ყვაპუ შერვაშიძის შვილი მურზაყანი.

„მოგზაურობაში“ უაკ ფრანსუა გამბა ასახელებს სამ პროვინციას – საკუთრივ სამეგრელოს, ლეჩეუმსა და სამურზაყანოს. სამურზაყანო არის „სამეგრელოს მესამე პროვინცია“, ოოგელიც „გადაჭიმულია ჩრდილოეთით კოდორის კონცხამდე და საზღვრად უდევს ამავე სახელწოდების მდინარე, ძველი ავტორების კორაქსი... ეს პროვინცია ატარებს აგრეთვე სამურზაყანოსა და აფხაზეთის სახელს. იგი დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს“ (გამბა, 1987, გვ. 114). იმავე ავტორის გადმოცემით, სამურზაყანო რეგიონი მდ. ლალიძგასა და მდ. ენგურს შორისაა. იგი შარვაშიძეთა ერთი შტოს სათავადო იყო... (იქვე, გვ. 112). სამურზაყანოს „დაბლობი ნაწილი დაუსახლებელია, სამაგიეროდ მთიან კანტონში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა და, როგორც ვარაუდობენ, იგი დაახლოებით 800 ოჯახს შეადგენს“.

სამურზაყანოს ჩრდილოეთ და სამხრეთ საზღვრებთან დაკავშირებით ბროკაუზ-ეფრონის ლექსიკონში ნათქვამია: „ ...

“ (ენციკლოპედიური ლექსიკონი, გვ. 248). გრანატების ლექსიკონშიც არის მითითებული, რომ სამურზაყანო „

“ (გრანატების

ენციკლოპედიური ლექსიკონი, გვ. 201). ამ წყაროებში ისიცაა აღნიშნული, რომ მურზაყან შერვაშიძემ ეს ქვეყანა წაართვა დადიანებს – სამეგრელოს მთავრებს. ა. დიახკოვ-ტარასოვსა და მრავალ სხვა რუს მკვლევარსა თუ სახელმწიფო მოხელეს აგრეთვე აღუნიშნავთ, რომ სამურზაყანო ოდიოთგანვე სამეგრელოს განუყოფელი ნაწილი და მეგრელ-ლაზებით დასახლებული მხარე იყო (ა. დიახკოვ-ტარასოვისათვის „

“: (ტარასოვ-დიახკოვი, 1910, გვ. 171).

უცხოელი მოგზაურებისა თუ მისიონერების (არქანჯელო ლამბერტი, ჯოვანი ლუკა, მაკარი ანტიოქიელი, ჟან შარდენი, ჟაკ გამბა და სხვ) ნაწილებიდანაც იგივე დასკვნა გამომდინარეობს. ალექსანდრე ცაგარელი და იოსებ ყიფშიძეც თვლიდნენ, რომ სამურზაყანო არის სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ენგურსა და დალიძგას შუა (ყიფშიძე, 1994, გვ. 488). ძირძველი სამურზაყანოელებიც აღნიშნავენ: „ჩვენი კუთხე სამურზაყანო მდებარეობს ენგურსა და დალიძგას შუა. ენგურს იქით არის სამარგალო, ხოლო დალიძგის იქით – აბუა“ (ჩავიწერეთ გუდავასა და ოხოჯაში 1975 წელს). მხარის სახელწოდებისაგან წარმოიქმნა გეოგრაფიული ნომენი „სამურზაყანოს დაბლობი“, რომელიც მოიცავს ბევრად უფრო ფართო ტერიტორიას, კერძოდ, კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მდ. ენგურიდან მდ. კელასურამდე (უკლება, 1985, გვ. 37). ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე თავის „კავკასიის გარშემო მოგზაურობაში“ აღნიშნავს: სამურზაყანოში ცხოვრობენ ქართველები და აფხაზები. ისინი ლაპარაკობენ როგორც ერთ, ისე მეორე ენაზე (მონპერე, 1937, გვ. 163).

საპატეი. ამ სოფელს გიულდენშტედტი ასახელებს სამეგრელოს სოფელთა ჩამონათვალში (გიულდ., 1962, გვ. 323). მთარგმნელი აიგივებს სოფელ სეფიეთთან.

საქოჩაქიძე. ტოპონიმი დასახელებულია (1616-1621 წწ. დაწერილ სიგელში „ნუსხა ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავალისა“) როგორც სოფ. ჯგალთან მდებარე ლევან დადიანის მამული (ქსძ, III, გვ. 477). დღეს სოფ. ჯგალში ამგვარი ტოპონიმი არ დასტურდება.

საქუჩულორიო. დასახელებულია 1621 წელს შედგენილ საეკლესიო საბუთში, სადაც ნათქვამია: „მართებს საქუჩულორიოს კაცებსა...“ (ვარიანტი: ნაქუჩულორიუს“ (ქსძ, III, გვ. 413); 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ ხაზგასმულია: „არის საქუჩულორიოს 3 მსახური“ (ქსძ, III, გვ. 481). ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „საქუჩულორიოს ბატონმან დადიანმან ერთი სასახლე ოთხის კვამლის კაცითა მიბორძა...“ (ქსძ, III, გვ. 502). სამეგრელოში გვარი ქუჩულორია რამდენიმე უბნის სახელწოდების ფუძეში ჩანს. ამიტომაც შეუძლებელი ხდება, ზემოთ დასახლებულ შემთხვევებში რომელ მათგანზეა საუბარი.

სადალიძეო. ერთ-ერთ საეკლესიო საბუთში, რომელიც დაწერილია 1616-1621 წწ., დასახელებულია საღალიძეო როგორც გამაერთიანებელი ტერმინი იმ სოფლებისა, სადაც დალიძის ეკლესიას პყავს საეკლესიო გლეხები (ქსძ, III, გვ. 477).

საჩინო – სოფელი რეკის თემში (სამურზაყანო) ოხურეის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 200 მ. ოჩამჩირიდან 22 კმ. ესაზღვრება: აყვარაში (ფოქვეშის თემისა), პატრაწუხა, რეკა. ჯგერიანი. სოფელი საჩინო 1886

წელს შედიოდა ბედიის თემში, ხოლო 1930 წელს – გალის მაზრის რეგის სას. საბჭოში. იგი ისტორიული სოფელია. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან (პარიზის) „სამეგრელოს რუკაზე“ (ორივე 1654 წ.) ოქუმის ორ მდგნელს შუა გადესის თავზე არის წარწერა *Sacino* საჩინო. აქედან გამომდინარე, გადმოცემა, რომ სახელი საჩინო XVIII ს-ში დაურქმევიათ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. საჩინოდან გადმოსახლებულ და აქ დამკვიდრებულ ქუჩელორიებს, სიმართლეს არ შეესაბამება. საჩინო ძველი ქართული სიტყვადა აღნიშნავს ცხადს, შესამჩნევს, ჩინებულს, გამოჩენილს. როგორც ჩანს, ეს სიტყვა დროთა განმავლობაში იქცა ლამაზი, მშვენიერი, წარმტაცი, შემკული შენობის, ადგილის, მხარის აღმნიშვნელ ტერმინად. კერძოდ, საჩინო დაარქვეს დედოფალ დარეჯანის (ერეკლე მეორის მეუღლე) სასახლეს თბილისში (შემდგომდონდელ დვინის აღმართზე. აშენდა 1776 წ.). საჩინო ერქვა ისტორიულ მხარეს იმერეთში და სოფელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. საჩინო-რეკის დამაკავშირებელ სერზე არის რამდენიმე ნაციხარი, რომლებიც ადრინდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.

საცაიშლო. შუა საუკუნეების საეკლესიო ძეგლებში საცაიშლო აღნიშნავს ცაიშის ღვთისმშობლის ეკლესიის კუთვნილ სოფლებს. იხ. „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“, სადაც დასახელებულია სოფლები: ცაიში, დარჩელი, ჩოხათი, ჭალაი, ჯგალი, ჯორიელი, წყარიგზა და რამდენიმე მიკროტოპონიმი (ქსძ, III, გვ. 438-478). 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ აღნიშნულია: „არის საცაიშლო აზნაურის შვილები და მსახური 63“ (ქსძ, III, გვ. 481).

საცილორო შარა 1616-1621 წწ. საეკლესიო საბუთში დასახელებულია როგორც ბიჭვინტის დვოისმშობლისადმი შეწირული რუშას ერთ-ერთი საზღვარი. აქვე დასახელებულია მისი ვარიანტი საცილორო გზა (ქსძ, III, გვ. 475). საცილორო შარა, საცილორო გზა აღნიშნავს სოფ. ცილორისაკენ მიმავალ გზას. ცილორი სოფელია აბაშის მუნიციპალიტეტის ტყვირის თემში. გადმოცემით, შუა საუკუნეებში ცილორი მდებარეობდა მუნიციპალიტეტის მარჯ. ნაპირას, მაგრამ ამ მდინარის ხეობის აღდების გამო მთელი სოფელი გადაბარგდა ჩრდილოეთით, რუშების მარჯვ. მხარეს. რა თქმა უნდა, უწინდელი ცილორი იგულისხმება იტალიელი მისიონერების კოლხეთის რუკებზე (ნეაპოლისა და პარიზის მუზეუმებში) აბაშა-ცხენისწყლის შუამდინარეთში ეკლესიის გამოსახულების თავზე წარწერაა Tsilors.

საჭილაო ერქვა ჭილაძეთა სამფლობელოს აბაშის რაიონში, ნოღელის მარცხ. მხარეს. საისტორიო წეროში პირველად დასახელებულია 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში, სადაც კათალიკოსი გრიგორი ბიჭვინტის დვოისმშობელს მიმართავს: „შემოგწირე საჭილაოს რუშას საყდარი თვისი თორმეტი კომლი კაცით“ (ქსძ, III).

საჭყონდელო. გიულდენშტედტის მოგზაურობაში აღნიშნულია: „საჭყონდელო, დიდი სოფელი 500 ოჯახით; იმის ახლოს რიონი ერთგის ზღვას“ (გიულდ., 1962, გვ. 323). იგულისხმება „ჭყონდიდელი“ (← ჭყონდიდი „მუხადიდი“ – შემდგომში „მარტვილი“) ჭყონდიდის საეპისკოპოსოს მთავარეპისკოპოსი X ს-დან დღემდე. XII-XIII საუკუნეებში ჭყონდიდელი არაიშვიათად ქართლის კათალიკოსისა და ვაზირის თანამდებობასაც ითავსებდა, მაგრამ XV-XVIII საუკუნეებში ოდენ სამეგრელოს ეკლესიის მეთაურია,

თუმცა გარკვეულ პერიოდში აფხაზთა კათალიკოსსაც ექვემდებარებოდა. ჭყონდიდელს რეზიდენცია ჰქონდა ფოთში. ამან გამოიწვია გიულდენშტედტის ინფორმაცია, რომ საჭყონდიდლო „დიდი სოფელია“, სადაც რიონი ერთვის შავ ზღვას. აფხაზთა მეფემ გიორგიმ „დასუა მუნ ეპისკოპოსი და აწცა არს მწყემსი ენგურის აღმოსავლეთით ცხენისწყლამდე“ (ვახუშტი, 1972, გვ. 776).

სახარბედიო. უაპ ფრანსუა გამბა თავისი „მოგზაურობის“ 118-ე გვერდზე ასახელებს სახარბედიოს საგუშაგოს, რომელიც ხობიდან „მხოლოდ 8 ვერსზეა“ (გამბა, 1987, გვ. 122). „სახარბედიო, სადაც ჩვენ გავჩერდით, წარმოადგენს დაახლოებით 200 გაფანტული სახლისაგან შემდგარ სოფელს. თითქმის ყველა სახლი საკმაოდ ამაღლებულ პლატოზეა“. აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს 1706 წელს ბიჭვინტისოვის შეუწირავს: „სახარბედიოს სამი გლეხი“ (ქსძ, III, გვ. 647). 1712 წლის საეკლესიო საბუთში დასტურდება ვარიანტი სახარაბედიო (ქსძ, III, 674).

სახობიანა დასახელებულია 1616-1621 წწ. დაწერილ საეკლესიო საბუთში როგორც იმ ადგილის სახელი, რომელიც მდებარეობს „ცხენისწყალი რიონს რომ შეერთვის, ორპირს ზეით“ (ქსძ, III, გვ. 475).

სებასტოპოლი. არქანჯელო ლამბერტი „სამებრელოს აღწერაში“ ჩამოთვლის ექვს მონასტერს, სადაც უწინ საეპისკოპოსო კათედრები იყო. ერთ-ერთი მათგანია „სებასტოპოლის მონასტერი, რომელიც ეხლა წყალშია ჩანთქმული“ (ლამბერტი, 1991, გვ. 107). სებასტოპოლი ქ. სოხუმის ერთ-ერთი ისტორიული სახელია. სახელწოდება მომდინარეობს ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელთა მიერ აქ აშენებული ციხესიმაგრის სახელიდან.

სენაკი (იგულისხმება ძველი სენაკი) პირველად დასახელებულია 1621 წელს შედგენილ საეკლესიო-სამართლებრივ ძეგლში, სადაც ნათქვამია: „არის სენაკს შაფათააღ, მართებს...“ (ქსძ, III, გვ. 413). ამავე პერიოდში (1616-1621 წწ.) დაწერილ საეკლესიო საბუთში კი აღნიშნულია, რომ ვამებ დადიანსა და დედოფალ ელენეს ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის შეაწირვინეს „სენაკს საყდარი მაცხოვრისა, ორის მისის სასახლითა, ღეჯის ტყითა და ოდუაწკითა...“ (ქსძ, III, გვ. 477). ამავე წლებში შედგენილ საეკლესიო საბუთში „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ აღნიშნულია: „არის წყარიგზას და სენაკს 4 მსახური“ (ქსძ, III, გვ. 481). 1658 წელს ვამეე დადიანმა სენაკის საყდარი შესწირა აფხაზეთის კათალიკოსს, ხოლო 1358 წელს ვამეე დადიანმა სენაკის საყდარი შესწირა აფხაზეთის კათალიკოსს. ოდიშის სოფელთა შორის გიულდეგშტედი ასახელებს სენაკსაც (გიულდ., გვ. 325). უცხოელთაგან სენაკი დაასახელა არქანჯელო ლამბერტმაც (მაკვიდრობდა ენგურისპირა სოფელ წიფურიაში 1633-1651 წწ.). „კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკაზე“ და მის ლათინურენოვან ვარიანტზე (ინახება პარიზის ეროვნულ მუზეუმში) ტეხურის მარჯვ. ნაპირას ეკლესიის გამოსახულების თაგზე არის წარწერა *Sinaghki*. XIX ს-ში სენაკის მაცხოვრის ეკლესიაში ყოველ წელს იმართებოდა 6 რელიგიური დღესასწაული და თითოეულს თან ახლდა ბაზრობა (სანებლიძე, 1890, გვ. 96). **სენაკი** (სანაკი) ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს პატარა თოახს, რაც აუცილებელია განმარტოებული ცხოვრებისათვის.

სეპია. კასტელის ერთ-ერთ პორტრეტს აქვს წარწერა: „ოსკამაჯა, სეპიას მდვდლის ვამიყის შვილი და ჩვენი პატრების მსახური“ (კასტელი, 1977, გვ. 83). სეპიას ეკლესია დასახელებულია კასტელის №343

ჩანახატის წარწერაშიც (კასტელი, 1977, გვ. 149). კასტელისავე № 486 ჩანახატს კი ასეთი წარწერა აქვს: „მისიონერების სამეურნეო საქმიანობა სამეგრელოს სოფ. სეპიაში“ (რომელიც, როგორც ჩანს, ეკუთვნის მთარგმნელსა და კომენტატორს). კასტელის ამ ჩანახატის მინაწერში კი გკითხულობთ: „სოფ. სეპიაში ჩვენი პატრების ცხვრის ფარა მოწყალებითაა მიღებული“ (იქვე, გვ. 181), ხოლო № 491-ე ჩანახატს, რომელიც წარმოადგენს სოფლის ხედს, ახლავს იტალიური წარწერა: „გენათი“ ისეთი სოფელთაგანია, სადაც ძალიან ბევრ დვინოს აყენებენ... ჩვენი რეზიდენციის სეპიასაგან ოთხ მილზე მეტადაა დაცილებული. ხშირად მივდივართ ამ მხარეში სამკურნალოდ და ბავშვების მოსანათლად“ (კასტელი, 1977, გვ. 182). **შენიშვნა:** „სეპიას“ აიგივებენ წიფურიასთან, ხოლო გენათი, მკვლევართა ვარაუდით, ენგურის მარჯვ. ნაპირზე მდებარეობდა. კასტელის ორენვან რუკაზე წარწერილი გენათი, როგორც ჩანს, იგივე ჭუბურხინჯის უწინდელი სახელწოდებაა (იხ. გამსახურდია, 1989, გვ. 4-5).

სიდა – სოფელი, თემი სამურზაყანოს დაბლობზე, სიდაწყარის (ქირის მარჯვ. შენაკადი) ორივე მხარეს. სოფ. თაგილონის თემისაგან გამოჰყოფს მდ. ტობა, ხოლო მზიურის თემისაგან – მდ. ხუმუშქური, მზიური, პ. აკვადა. სიდა უძველესი სოფელია. იგი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.) ერისწყლის მარცხ. მხარეს, ხვითს ქვემოთ Suddas ფორმით. 1886 წელს სიდა შედიოდა ბარდების თემში, 1930 წლისათვის კი – სიდა-ნაბაკევის სას. საბჭოში, რაც შემდეგ დაიშალა სიდის, ზ. ბარდებისა და ქვ. ბარდების სას. საბჭოებად. ადგ. ვარიანტი სგდა (სიდა//სგდა სხვაგანაც პქვია ადგილს. კერძოდ, სოფ. ვახაში).

სინგამი, ფლავიუს არიანეს (II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი) მიხედვით, მდინარეა კოლხეთში. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი გაიგივებულია მდ. ერისწყალთან. ლამბერტი აღნიშნავს: „ტეხური შეიძლება იყოს არიანეს სიგამე“, რაც სენაკს ჩაუდის (იხ. აქვე: ტეხური და კოდორი).

სიპიასი. ასეა აღნიშნული ენგურისპირა სოფელი წიფურია გამბას მოგზაურობის წიგნში: „პატრი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1672 წელს ანაკლიის ახლოს სიპიასის მონასტერში ცხოვრობდა, გვამცნობს... (გამბა, გვ. 113). ავტორს, როგორც ჩანს არქანჯელო ლამბერტი ეშლება ძამპში, რომელიც 1672 წელს მართლაც იმყოფებოდა სამურზაყანოში და მასპინძლობა გაუწია შარდენს (იხ. წიფურია).

სკურდი. სოფელი სამეგრელოში (გიულდ., 1962, გვ. 323). როგორც ჩანს, იგულისხმება სოფელი სკურდი მარტვილის რაიონში. სკურდი წარმოქმნილია პაპლოლოგიის გზით: სკურდიდი „ფართო და წყლიანი ხევი“ → სკურდი.

სკურჩა. სკურჩა შეა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ყოფილა. შარდენის მოგზაურობაში ეს პუნქტი აღნიშნულია როგორც ისგაური: „10 სექტემბერს ისგაურში ჩავედით. აქ დგას კოლხიდაში სავაჭროდ მოსული გეემები“ (შარდენი, 1975, გვ. 107). Scjrcia მოხსენიებულია ერთ-ერთი მისიონერის წერილშიც, რომელიც 1615 წლის 2 მარტს არის გაგზავნილი მოქვიდან ევროპაში (თამარაშვილი, 1902, გვ. 145). სკურჩა მეგრული სიტყვაა: სკური „ტყიან-წყლიანი ხეობა“ → სკურუჩა „დაბურული სკური“ → სკურჩა.

სუბგი, სუბგიში. შეა საუკუნეების საეკლესიო ძეგლების თანახმად, სუბგი, იგივე სუბეიში, სოფელია საგარაუდოდ დღევანდელი სამურზაყანოს მუხურის

თემისა თუ თანამედროვე აჩიგვარის მიდამოებში, ოქუმის ნაპირზე. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ ოქუმის მარჯვ. მხარეს დასახლებული პუნქტის ნიშნის თავზე აწერია Subeis (=სუბეიში). 1621 წელს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია: „არის სუბეის სასახლე და მისი მიმდგამი სოფელი მუხურის გამოსავალი მართებული მოსაკრებლობაი“ (ქსძ, III, გვ. 426). ვარიანტი სუბეიში დასახლებულია ამავე პერიოდში (სავარაუდოდ 1616-1636 წწ.) მალაქია კათალიკოსის მიერ ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში, სადაც ნათქვამია: „ამას გარეთ სუბეიშს სასახლე გამიკეთებია, საყდარი დამიდგამს“... (ქსძ, III, გვ. 501).

სუჯონა – პარიზის ეროვნულ მუზეუმში დაცულ ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ ენგურის მარცხ. მხარეს, დაახლოებით დღევანდელი საბერიოს თემის ტერიტორიაზე, არის წარწერა Sugionia. რუკის ქართულ ვარიანტში იგი გადმოტანილია არასწორი სუჯიონა ფორმით. სუჯონა ისტორიული სოფელია აბაშის მუნიციპალიტეტში, მდ. აბაშის ნაპირას. მრავალგზისაა დასახლებული XVI-XIX სს საეკლესიო საბუთში (იხ. ზუსტად: ცხადია, 2013, გვ. 80-84). გიულდენშტედტი სამეგრელოს სოფლებს შორის ასახელებს: „სუჯუნა, სოფელი დიდი ეკლესით, აგრეთვე ეპისკოპოსის კუთვნილი“ (გიულდ., 1962, გვ. 323).

მაკარი ანგიოქიელი აღნიშნავს, რომ „ქართველ ერს წმინდა გიორგის დიდი რწმენა აქვს. ამ წმინდანის სახელს ქართველთა ქვეყანაში ურიცხვი ეკლესია ატარებს. ამათგან სამში წმ. გიორგის დღესასწაულების დროს სასწაულები ხდება ხოლმე. ეს ეკლესიები მეგრელთა ქვეყანაშია. ერთია შავი ზღვის აღმოსავლეთით და მას იღორს ეძახიან... რაც შეეხება

მეორე ეკლესიას, იგი საეპისკოპოსო ეკლესიაა. მას სუჯუნას ეძახიან. იგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსის ტახტია... წმ. გიორგის მესამე ეკლესიას რაც შეეხება, მას ობუჯი ჰქვია“ (ანტიოქიელი, 1982, გვ. 121). სუჯუნას ეტიმოლოგიას რამდენიმე მკვლევარი შექმნია (ნ. მარი, გ. როგავა, ზ. ჭუმბურიძე...). ჩვენ ვიზიარებთ ასეთ მოსაზრებას: „სუჯუნა ტოპონიმი შედგება ქართ. სუროს შესატყვისი სუჯ- ფუძისა და -ონა სუფიქსისაგან“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 505).

სუხჩე. სუხჩე სოფელია სამეგრელოში (გიულდ., 1962, გვ. 323). შდრ. სუხჩე, სოფელი და თემის ადმ. ცენტრი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე, ხონის მუნიციპალიტეტში (სუხჩა დღესაცაა სოფელი ხონის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას, სამეგრელოს საზღვარზე).

ტარშენი, ტარსურა – იხ. წარჩე.

ტერასონი. იხ, ტერნა.

ტერნა. უან ფრანსუა გამბას და მის თანმხლებ პირებს, ჭალადიდიდან გემით გამგზავრებულებს, გაუვლიათ რიონის მარჯვენა მხარეს მდებარე მეგრულ სოფელ ტერნაში, რომლის „მცხოვრებლები კათოლიკები არიან“, შემდეგ გადმომსხდარან კალიცაში, რომელიც ფაზისის, ანუ რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, შემდეგ კი გზა გაუგრძელებიათ და მეორე დღეს ერთი საათით შეჩრებულებან „მდინარის მარცხენა ნაპირზე სოფ. ტერასონში“. ბოლოს კი მისულან წალიკარში (გამბა, 1987, გვ. 140, 141). აქ დასახელებული სოფლები ტერნა, კალიცა და ტერასონი არაა ლოკალიზებული.

ტეხური (ადგ. ვარიანტები: ტეხირი, ტეხერი). არქანჯელო ლამბერტი ტეხურს ასახელებს იმ მდინარეთა შორის, როლებიც კავკასიის მთებიდან მოედინებიან და შეერთვიან შავ ზღვას (ლამბერტი,

1991, გვ. 12). სინამდვილეში ტექური რიონის მარჯვ. შენაკადია. გახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ტექური „იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტგხარე პყოფს ჭიდსა თუ სხუასა რაის“ (ვახუშტი, 1973, გვ. 777). პანიც თვლის, რომ ტექური მომდინარეობს ზმნური ფუძისაგან „ტეხვა“, რადგანაც ეს მდინარე გამოედინება ვიწრო ხეობაში (პანი, 1909, გვ. 137). რესპოდენტთა „ეტიმოლოგიაც“ ასეთია: „ლებარდედანვე მოედინება ტეხილად. ამიტომ ვუწოდებო ტექურს (მაგრამ: ქართ. ტეხ : მეგრ. ტახ-). „ტეხური შეიძლება იყოს არიანეს სიგამე... ამის მსგავსი სახელი მართლა ჰქვია იმ ადგილს, რომელსაც ჩაუდის ტექური. ამ ადგილის სახელია სენაკი“ (ლამბერტი, 1991, გვ. 162).

შდრ. „ცივსა და ტექურს შორის დაახლოებით 6 ვერსის მანძილზე შესანიშნავი ტყე შეგვედა... ტექური, რომელიც ვაზისს ერთვის, არ არის ისეთი სწრაფი, როგორც ცივი“ (გამბა, 1987, გვ. 125); ინფორმაციას სიზუსტე აკლია: ცივი, რომელიც მხოლოდ დაბლობში მიედინება სრულებითაც არ არის სწრაფი. ტექური კი დიდი და, ცივთან შედარებით, წყალუხვი მდინარეა. ჩამოედინება ეგრისის ქედის კალთებიდან. შენიშვნა: მთარგმნელის ვარაუდით, „ჩეური“ და „ტეხენ“ უნდა იყოს „ტექური“.

ტყავრუ. 1621 წელს შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსაგალის მოსაკრებლობის დავთარში“ ნათქვამია: „არის ტყავრუს მეთევზე და მენავე“. ესენი არიან თავაზა შამბია, მაშუტუა შამბია, ქუქუალია შამბია, უჩაკოჩი ჭუჭურია და გავაშელი დაორია (ქსძ, III, გვ. 434). ტყავრუს ზუსტი ლოკალიზაცია არ მოგვეპოვება. იგი უნდა ყოფილიყო ნავსადგური ოჩამჩირის დასავლეთით, რომელიდაც მდინარის (ვარაუდობენ კოდორის) შესართავთან. XVII

ს-ში ამ სოფელში მცხოვრებთა გვარებია: შამბია, ჭუჭურია, დათია, გორგაძე... გ. როგავას ეტიმოლოგია ასეთია: ტყაჩურუ „ტყე ყრუ“ → ტყაურუ → ტყავრუ.

ტყვირი. კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ შედგენილ შეწირულების წიგნში აღნიშნულია, რომ: „ტყვირის მონასტერი თორმეტის მოსახლე კაცით მეფემ ალექსანდრემ თავის მეუღლის დადიანის ქალის ნიშანში შესწირა“ (ბიჭვინებას – პ. ც.) (ქსძ, III, გვ. 716). ტყვირი სოფელია აბაშის რაიონში, რიონის მარჯვ. მხარეს. როგორც ტყვირის ეკლესიის ერთ-ერთ ასომთავრულ წარწერაშია აღნიშნული, იგი აუშენებია ქუველი ჭილაძეს. სოფელი ტყვირი სწორედ ჭილაძეების საკუთრებას წარმოადგენდა. ამავე საბუთში დასახელებულია სოფლის სახელწოდების თავდაპირველი ვარიანტი „მტყუვირი“ (ბერაძე, 1967, გვ. 166). ს. კაკაბაძის „დას. საქართველოს საეკლესიო საბუთებში“ დასახელებულია „ტყვირის საყდარი და ზედ მოსახლე გლეხნი“ (კაკაბაძე, II, 1921, გვ. 56). ტოპონიმი წარმოქმნილი ჩანს მეგრული ტყვა//ტკვა „კიბე“ სიტყვისაგან და უნდა ნიშნავდეს კიბესავით დამრეცს, კიბულას (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 509).

უნაგირა. „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ ტექსტში აღნიშნულია, რომ მთა უნაგირა არის საზღვარი ვამეყ დადიანისა და ალექსანდრე მესამის სამფლობელოებს (ე. ი. ოდიშსა და იმერეთს) შორის. **შენიშვნა:** უნაგირა არის ქედი მდინარე ტეხურსა და ცივს შუა. ის იწყება ქ. სენაკიდან და გრძელდება აღმოსავლეთით რამდენიმე კმ-ზე. უნაგირა სამეგრელოში რამდენიმე ჩაზნექილ შემაღლებას (რომელსაც უნაგირის ფორმა აქვს) დარქმევია. მაშასადამე, უნაგირა მეტაფორულ (მიმსგავსების მიხედვით დარქმეულ) ტოპონიმს წარმოადგენს.

ურთა სოფელი და სოფლის საკრებულოა ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის მარცხ. მხარეს. უკავია ურთის მთის ჩრდ. კალთები. ზ. დ. 70 მ. ზუგდიდიდან 13 კმ. ცაცხვის რკინიგზის სადგურიდან 6 კმ. ესაზღვრება: ჭითაწყარი, აბასთუმანი, ცაიში. ურთის მთის კალთაზე დგას ეკლესია ჯუმათი (XVII ს.). მდ. ჯუმის მარცხ. მხარეს კი არის ურთის მღვიმე (ქსე, ტ. 10) (უნდა აღინიშნოს, რომ ურთა ისტორიული სოფელია სამხრ. საქართველოშიც, ჩილდირის ტბის დასით. ურთა ეწოდება სოფელს ოჩამჩირის რაიონშიც).

„ურთის სოფელი“ დასახელებულია 1636-1641 წწ. შედგენილ „ცაიშის ეკლესიისა და გარშემო სოფლების საზღვრების“ აღწერაში (იხ. ქსდ, III, გვ. 571). ხალხური ეტიმოლოგია: **ურთუ** ნიშნავს განუყოფელს, ერთიანს. სხვა გადმოცემით, თავადებს – ჟორდანიებს, ჩიჩუებს, აფაქიძეებს და სხვ. გაუყვიათ ბარი, ხოლო ეს მთა გაუყოფლად („ურთუო“) დაუტოვებიათ. ამიტომაც დარქმევია **ურთაფ** გვალა „გაუყოფელი მთა“. სხვა გადმოცემაც არსებობს: ერთ ბატონს ურთაზე დავაკებულ ადგილას ედგა ბზრიალა, ზედ აკრავდნენ დამნაშავეს და ატრიალებდნენ ("ურთანდეს") ორი დღე, ვინც გადარჩებოდა, გაუშვებდნენ. თითქოს აქედან გამოდინარეობს სახელწოდება ურთა. იხ. ალ. ქობალია: „ურთა – ზებუნებრივი, უბრუნველი, უძრავი, მოუქცეველი“.

ფაზისი. ლამბერტის „აღწერაში“ აღნიშნულია, რომ კოლხიდას, ანუ სამეგრელოს, „იმერეთისაგან პყოფს სახელგანთქმული მდინარე ფაზისი, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება რიონად. ეს მდინარე გამოდის კავკასიის მთებიდან... რიონი პყოფს აგრეთვე სამეგრელოსა და გურიას და ბოლოს წყნარად შეერთვის ზღვას სებასტოპოლის მახლობლად... დღეს კი წყალშია ჩანთქმული“ (ლამბერტი, 1991, გვ. 11);

(მაგრამ სებასტოპოლი ხომ ცხუმთან მდებარეობდა“ – პ.ც.). „ეს მდინარე, როცა ჩამოდის მთებიდან, საშინელი სისწრაფით მომდინარეობს, ხოლო როცა ვაკეში შედის, ისე მდორედ მიდის, რომ თითქმის ვერც კი შენიშნავთ, საითკენ მიემართება“ (იქვე, 1991, გვ. 158); „ფაზისი ზღვას შეერთვის ორის ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული, რომელზედაც თურქებმა 1578 წელს ციხე ააგეს“ (იქვე, გვ. 159); „არიანე... ამბობს ფაზისის თაობაზე, რომ ამჟამად ფაზისის შესავალის მარცხნით მოსჩანს კერპი რეა დმერთასი, რომელსაც ჰქვია ფაზისის ღმერთა“ (იქვე, გვ. 160).

ფაზისი, როგორც მდინარე, გამბას მოგზაურობათა წიგნში რამდენიმე ათეულჯერ არის დასახელებული, ხოლო ფაზისი, ანუ რიონი – მხოლოდ ორჯერ. ჟან შარდენიც მდინარე რიონს იშვიათად ფაზისსაც უწოდებს: „მე შემოვუარე ფაზისის კუნძულს, რათა აღმომეჩინა რეას ტაძრის ნანგრევები, რომლის შესახებაც არიანე ამბობს, რომ მის დროს იგი არსებობდა, მაგრამ მისი ვერავითარი კვალი ვერ ვნახე“ (შარდენი, 1975, გვ. 259). „მდინარე ფაზისი სამეგრელოს ჰყოფს გურიის სამთავროსაგან და იმერეთის პატარა სამეფოსაგან. ანაკლია ამ მდინარის შესართავიდან დაცილებულია ოცდაოქტესმეტი მილით“ (იქვე, გვ. 259).

იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი (XVII ს.) მდინარე „რიონის“ ნაცვლად რამდენიმე შემთხვევაში ასახელებს ფაზისს: „სხვებზე უწინ კეთილშობილი მთავარი დადიანი მივიდა სანადიროდ ფაზისის მდინარესთან, რომელსაც რიონს უწოდებდნენ. ის ჟოფს გურიას კოლხეთისაგან“ (კასტელი, 1977, გვ. 47); სხვაგან ავტორი აღნიშნავს, რომ მიღამოები მდინარე ფაზისისა, „რომელიც იბერიას ჰქვეთს და ჰყოფს კოლხეთისაგან...“

უმთავრესად განთქმულია ხოხბებით, რომლისგანაც მიიღო სახელწოდება „ფაზიანუსი“ (იქვე, გვ. 52). ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში ფაზისი არაიშვიათად დასახელებულია ფასისი ფორმით.

ფასისი – იხ. ფოთი.

ქსე-ში (10, გვ. 238)) შეგანილია ფასისი როგორც ქალაქი და როგორც მდინარე: ფასისი მდ. რიონის ბერძნული სახელწოდებაა. ძველი ბერძნები სწორედ ამ მდინარეს მიიჩნევდნენ ევროპისა და აზიის საზღვრად. ზოგნი თვლიდნენ, რომ ფასისი და კოლხეთი ერთი და იგივეა და იასონისა და არგონავტების სამოქმედო ტერიტორიაც სწორედ აქაა. არიანე (ახ. წ. II ს.) და V ს. ანონიმი ავტორი თვლიდნენ, რომ ქ. ფასისი მდ. ფასისის მარცხ მხარეს მდებარეობს და ტბას ემიჯნება. აქვე იყო უმაღლესი რიტორიკული სკოლა აანალიზებენ რა ისტორიულ წყაროებს, ქართველი მკვლევრები თვლიან, რომ ფასისპირა ქალაქი ფასისი დღევანდელი ფოთია. შეა საუკუნეებში აქვე იყო უმაღლესი რიტორიკული სკოლაც და ლაზიკის მიტროპოლიტის რეზიდენციაც.

ფესონი. კასტელის მონათხრობში „აფხაზეთის ქვეყნებს“ შორის დასახელებულია „ნიკომენე, ანაკლია, ფესონი, ცხეუმი, გოჯი...“ (კასტელი, 1977, გვ. 195). შენიშვნა: ნიკომენე და ფესონი ჯერჯერობით არაა ლოკალიზებული.

ფოთი. ამიერკავკასიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი და ნაგსადგურია შავი ზღვის ნაპირზე, მდ. რიონის შესართავთან (ზოგ წყაროში გვხვდება ფუთი ფორმითაც). შავ ზღვას ასურელები „ზემო ზღვას“ ან „დიდ ზღვას“ უწოდებდნენ. ძვ. წ. XIII-XII საუკუნეების ასურულ ლურსმულ ნაწერებში ნახსენებია შავი ზღვისპირა კოლხეთიც. მას ოდითგანვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკონომიკურ-პულტურული კავშირის

ფუნქცია პქონდა დაკისრებული. ამ გზაზე მთავარი სანაცვალგურო პუნქტი იყო ფაზისი (//ფაზისი), შემდგომი დროის ფოთი.

ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ფაზისი და ქოლხეთი იასონისა და არგონავტების მიერ ოქროს საწმისისათვის ლაშქრობას დაუკავშირდა.

ძვ. წ. აღ. IV ს-ის ბერძენი ავტორი ფსევდოსკილაქს კარიანდელი თავის „პერიპლუსში“ წერს: „ფაზისის მარცხენა მხარეზე მდებარეობს მილეტულების მიერ დაარსებული ქალაქი ფაზისი“. ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. I ს. – ას. წ., I ს.) აღნიშნავს: „ფაზისის პირას მდებარეობს მისი მოსახლე ქალაქი, კოლხური ემპირიონი, რომელსაც წინ უძღვის მდინარე, ტბა და ზღვა“ (ტბაში, რა თქმა უნდა, იგულისხმება პალიასტომი). ფაზისს ასახელებენ პროკოფი კესარელი, მენანდრე, აგათია სქოლასტიკოსი, პტოლემე და სხვ.

მაშასადამე, მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო ფაზისის გადაქცევას სავაჭრო პუნქტად და ქალაქად. აქ მთავრდებოდა ძველი საბერძნეთის, ბიზანტიისა და ყირიმის ნახევარკუნძულების სანაოსნო გზა, რომელიც სურამის უღელტეხილით გადადიოდა მტკვარზე და კასპის ზღვის გავლით მიემართებოდა ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ. სტრაბონი ფაზისს მიიჩნევს „კოლხების სავაჭრო ქალაქად“, სადაც თაგს იყრიდა 70 სხვადასხვა ტომის წარმომადგენელი. აქედან გაჰქონდათ ხე-ტყე, ხილი, კანაფი, ცვილი, სელის ტილო, ბეწვეული, ტყავეული, ოქრო, ლითონები...

ძვ. წ. აღ. I საუკუნის დამდეგს ფაზისი (//ფაზისი) ჯერ პონტოს მეფე მითოდატ ეპატორმა დაიპყრო, ხოლო შემდეგ – რომაელთა სარდალმა პომპეუსმა.

ახ.წ. II საუკუნიდან ფაზისში რომაელები გაბატონდნენ. რომის იმპერიამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო ფასისი აღმოსავლეთში ექსპანსიის პლაცდარმად აქცია. 555 წელს ირანელებმა სცადეს ამ ქალაქიდან ბიზანტიულთა განდევნა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ბერძნული წყაროების ცნობით, IV საუკუნეში ფასისის მახლობლად რიტორიკულ-ფილოსოფიური სკოლა-აკადემიაც კი არსებულა, სადაც განათლებას იღებდნენ კოლებიც. ცნობილია, რომ ამ სკოლაში განათლებამიღებული ევგენიოსი კონსტანტინოპოლიში ფილოსოფიის მასწავლებელი გამხდარა. აქვე მიუღია განათლება ბაკურს – ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს. VII საუკუნეში ფოთი ლაზიკის მიტორპოლიტის რეზიდენცია იყო.

1578 წელს ოსმალეთმა ხელთ იგდო რიონის შესართავთან მდებარე ქალაქი და იგი ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის ცენტრად აქცია. რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა თურქთა ბატონობისაგან ფოთი გაათავისუფლა, 1858 წელს კი მან სანავსაღ-გური ქალაქის სტატუსი მიიღო.

საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე წინასწარმეტყველებდა: „ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში. ფოთი შეიქმნება ერთი უდიდესი და უმდიდრესი ქალაქთაგან!“ 1894 წელს ნიკო ნიკოლაძე ქალაქისთავად აირჩიეს. ამას მოჰყვა ფოთის აღმშენებლობა.

ფოთს და ფოთელთა საქმიანობას აღწერს არქან-ჯელო ლამბერტი 1654 წელს ნეაპოლში დაბეჭდილ „სამეცნიეროს აღწერაში“. კერძოდ, იტალიული მისიონერი აღნიშნავს: „ფაზისი ზღვას შეერთვის ორი ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული, რომელზედაც თურქებმა 1578 წელს ციხესიმაგრე ააგეს... დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს ციხე დაანგრია

აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა, რომელმაც წამოიღო იქიდან უცხოური ზარბაზანი“... ამასთანავე, ფაზისის შესართავთან „ეოველთვის ბლომად არიან მეთევზები, რომელნიც უხვად იჭერენ ზუთხს. მდინარის ზემოთ არის კიდევ რამდენიმე კუნძული. ორივე ნაპირი მდინარისა სულ დასახლებულია. თითოეულ ოჯახს აქვს თავისი მთლიანი ხისგან გამოთლილი ნავი, რომლითაც გადიან და გამოდიან ერთი ნაპირიდან მეორეზე. ...ნავებს ხშირად ქალები მართავენ“ (ლამბერტი, 1991, გვ. 159).

სახელწოდება „ფოთი“ პირველად გვხვდება სომები ისტორიკოსის – ლევონდის (VIIIს.) თხზულებაში, სადაც ვრცლად არის აღწერილი ამ ქალაქის ადგილმდებარეობა და სამხედრო-სტრატეგიული თუ ეკონომიკური მნიშვნელობა არა მარტო საქართველოს, არამედ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორეული ქვეყნებისათვისაც. შუა საუკუნეებში ფოთი შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო.

ქართულ წყაროებში კი ფოთი პირველად გვხვდება 1074 წლით დათარიღებულ ხელნაწერში, სადაც აღწერილია გიორგი ათონელის (მთაწმინდელის) მგზავრობა საბერძნეთიდან სამშობლოსაკენ: „მივიწიენით სამოსონს, ქალაქსა ზღვის-კიდისასა და მუნ განვყიდენით საკედარნი ჩუენნი და ესეთ ნავითა წარვემართენით კერძოთა აფხაზეთისათა, კეთილითა და პამოითა ნიავითა მივიწიენით ფოთს და მიერ სახედრითა ქუთათისს“.

1474 წელს ვენეციელმა ელჩმა ამბროზიო კონტარინმა მოიარა დას. საქართველო, კერძოდ, დაათვალიერა ქ. ფოთი და დაახასიათა იგი როგორც მოზრდილი სავაჭრო პუნქტი და შესანიშნავი ნავსადგური (მიქავა, 2006). ვახუშტი ბატონიშვილის ქ-

ული ლოკალიზაცია ასეთია: „სადაცა ერთვის რიონი ზღუას, აქა არს ფოთი“ (გახუშტი, 1973, გვ. 782).

ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ოდიშს, სადაც მე მოვინდომე, დალიძგას, ანაკრიას, ფოთს, ჭალადიდს, წყალიგზას, გულველისკარს, ეკალს, საქუჩულორიოს, ჩუქნი გამორჩეული მეთვეზენი და სხვა კაცები დადიანმან პატრონმან ლეონ მისდა სადღეგრძელოდ მისი სულისათვის შესწირა და ყოველსა წელიწადსა სულისათვს ტრაპეზი გაიჩინა“ (ქსძ, III, გვ. 500-501). XVI ს-ში დაწერილ კიდევ ერთ საეკლესიო საბუთში აღნიშნულია: „მართებს ფოთელსათ ნავსათ მაისობისა...“ (ქსძ, III, გვ. 350).

თურქი ისტორიოგრაფის ქათიბ ჩელების (მე-17 ს.) კავკასიის რუკაზე, რომელიც „ჯიპან-ნუშას“ („მსოფლიოს სარკე“) ერთვის, აღნიშნულია „ფოთი“, თუმცა, როგორც გ. ალასანია აღნიშნავს, ეს უნდა იყოს არა დღევანდელი ქალაქი ფოთი, არამედ სოფელი პატარა ფოთი, რადგანაც ეს პუნქტი აღნიშნულია ჰუსონით, რაც სოფელს (და არა ქალაქს) აღნიშნავს (ქათიბ ჩელები, 1978).

ფასისი მდ. რიონის ბერძნულ სახელწოდებად ითვლება, მაგრამ არაერთ ქართველ მკედვებარს უცდია მისი წარმომავლობის ახსნა ქართველურ ენათა მონაცემებით. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ ბერძნული ფასიდი და ქართული ფოთი ერთი და იმავე ძირისაა, კერძოდ, ამოსავალია ფორმა „ფასთი“. პ. ინგოროვას აზრით, ამოსავალია "ფას-//ფს-", რაც ქართულში წყალს ნიშნავს. ფოთის თავდაპირველი სახელწოდება უნდა ყოფილიყო ფასითი, რასაც მეგრულ-ლაზურში შეესატყვისება ფოსთი (→ ფოთი), თავდაპირველი მდინარის სახელწოდება, რაც შემდეგ ფასისის შესართავთან მდებარე ქალაქზე გადავიდა. გ.

მელიქიშვილი თვლის, რომ ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში ფოთი შესაძლოა ატარებდა სვანურ სახელწოდება „ფაშდ“-ს.

ფოთი (ბერძნულ-რომაულ წყაროებში ფაზისი) პირველად მოიხსენიება VIII ს-ის სომები ისტორიკოსის – დევონდის თხზულებაში, სადაც კრცლადა აღწერილი ფოთის ადგილმდებარეობა, მისი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა არამარტო საქართველოს, არამედ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორეული ქავებისათვისაც.

გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ „ფოთი მდებარეობს რიონის შესართავის სამხრეთ მხარეზე“. მოგზაური აქვე განმარტავს, რომ ფოთს თურქები უწოდებენ ფაშს, რაც ზოგადად ნიშნავს ნავსადგურს ან ნავმისადგომს (გიულდ., გვ. 171). „რიონის შესართავთან მდებარე თურქულ ქალაქ ფოთიდან იმერლებს თბილისში მოაქვთ ქვაბის ჯაჭვები, სპილენძის ქვაბები...“ (გიულდ., 1962, გვ. 251). ფოთთან დაკავშირებით, გიულდენშტედტი თავისი „მოგზაურობის“ დასასრულს ერთხელ კიდევ აღნიშნავს: „ფოთი, თურქულად ფაში, მისადგომი ქალაქი და გამაგრებული ნავთსადგური რიონის შავზღვასთან შეერთვის მარცხენა მხარეზე. ის ახლა თურქების ხელშია“ (გიულდ., 1962, გვ. 313).

უან ფრანსუა გამბა 10-ჯერ მაინც ასახელებს ქალაქ ფოთს. კერძოდ, ერთგან ნათქვამია, რომ პალიასტომის ტბა ემიჯნება ფოთის ციხესიმაგრეს (გამბა, 1987, გვ. 132) (ამ პერიოდში ფოთი თურქებს ეპურათ). რედუტ-კალედან, ანუ ყულევიდან სანაოსნო გზა გადიოდა ხობისწყალზე და რიონიდან და ცივიდან გამოყვანილი არხების მეშვეობით გადიოდა მდ. რიონზე.

ფოთი უძველესი ქალაქია შავიზღვისპირეთისა. ზოგ წყაროში იგი გვხვდება ფუთი გარიანტით. უწინდელ

წყაროებში კი მოიხსენიებოდა როგორც ფაზისი (მდებარეობდა ფაზისის შესართავთან). როგორც იყ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ქალაქი ფოთი, სომებთა ისტორიკოსის ლევონდის სიტყვით, ეგრისს პაუთვნოდა... მიქელ ასურის სომხურ თარგმანშიაც ეს ფოთი უძველესი ქალაქია და მეგრელთა დედაქალაქად არის დასახელებული“ (ჯავახიშვილი, 1948, გვ. 48).

1578 წელს თურქებმა ფოთი აიღეს და იქაურ ციხეში თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს. 1640 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან მეორე დადიანმა ფოთი აიღო, თურქების ციხე დაანგრია, ზარბაზნები კი ნადავლად წაიღო. 1725 წელს ფოთი ისევ დაიპყრეს თურქებმა და იქ ახალი ციხესიმაგრე ააშენეს. მხოლოდ 1828 წელს მოხერხდა იქიდან თურქების განდევნა.

მეცნიერთა ვარაუდით, სახელწოდება ფოთი უკავშირდება მდ. რიონის ძვ. ბერძნულ სახელს ფაზისს, ანუ ფასიდს: „ფასიდი → ფასდი → ფასთი → ფოთი. განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა აკადემიკოსმა ქ. ლომთათიძემ. ფოთის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების განხილვის შემდეგ იგი წერს: „ბუნებრივად გვეჩვენება, გაჩნდეს აზრი, ხომ არ უკავშირდება ეს ფუძე ოვით პონტო-ს?! ბერძნული პ-ს ტ-ს... ქართველურ ზეპირმეტყველებაში ფშვინვიერებით გადმოღება უწვეულო არ არის“ (ლომთათიძე, 1998, გვ. 64).

ფუწყური სოფელია აჩიგვარის თემში, ოქუმისა და ოხოჯის შესართავთან. ფუწყური დამოწმებულია XVIII ს. უცხოენოვან კარტოგრაფიულ მასალებში (არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“) Pozcuar ფორმით. ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: „ამ ადგილს უწინ რქმევია

გოჩიხილი. ჩამოუვლია კაცს, უნახავს, რომ ცუდი, დაქცეული ადგილია და უთქამს: „ფუ ნწყვილი“. ამის მერე დარქმევია ფუწყური“ (მეცნიერული ახსნა-განმარტება იხ. ქვემოთ (შდრ. აგრეთვე: ო. ქაჯაია: „ფუქი – ბალახია ერთგვარი“). მაშასადამქ: ფუქი ნწყური → ფუწყური.

რუსეთის ელჩი ფედოტ ელჩინი წერს, რომ 1640 წლის 2 თებერვალს „

2 , “

(ელჩობა, გვ. 323). ზახარევის მოხსენებით ბარათში კი ეს სოფელი აღნიშნულია როგორც და

(ელჩობა, 1888, გვ. 350). ამ კონტექსტში დასახელებული და , რა თქმა უნდა, არის ამჟამინდელი სოფელი ფუწყური (სამურზაყანოში, ოქუმის მარცხ. მხარეს).

ფუწყური რთული სახელწოდებაა და იხსნება მეგრულის მონაცემებით. თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს ფუქი(ნ)წყური. „ფუქი ფურსი მიწის სახეობაა: არც ძალზე მაგარია, არც ძალზე რბილი. ტკილი ახლავს“, – ასე განმარტეს სანდაზმულმა რესპონდენტებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. ფუქის სახელწოდების წარმომავლობა. მსაზღვრელი სიტყვის ბოლო მარცვალი მოკვეცილია კომპოზიტურ ტოპონიმში (ფუსქური ← ფუქიშ სქური), რაც ჭანისწყლის მარცხენა შენაკადია ჯგალსა და მაზანდარაში (წალენჯიხის მ.) ასეთივე ვითარებაა ფუწყურის შემთხვევაშიც: მისი პირვანდელი ფორმა უნდა ყოფილიყო ფუქი(ნ)წყური, ანუ „დაქცეული (ჩაქცეული), დამეწყრილი ფუქი“. (ნ)წყური, (ნ)წყვირი და (ნ)წყვილი წარმოადგენს (ნ)წყუალა „დაქცევა, ჩაქცევა, ჩაძირვა“ ზმნის მიმღეობებს და ტოპონიმიაშიც ხშირად გვხვდება. ო. ყიფშიძე ასახელებს: პაპანწყვილი//პაპანწყური – ტბა სამურზაყანოსა და

აფხაზეთის საზღვარზე. მიმოიხილავს რა ჩვენეულ ეტიმოლოგიებს, ი. კაკელია აღნიშნავს: „ჩვენი აზრით, დასაშვებია შემდეგი განმარტებაც: „ფუწყური – ვოკლუზი, ქვა-ქვიშიანში ამოხეთქილი წყაროსწყალი, გეოზერი“. ფუწყურს სამეგრელოში ეძახიან ნაწვიმარზე გამოსულ წყაროსთვალსაც და მცირე წყაროს, რაც ზაფხულობით შრება“ (კეკელია, ძიებანი... თბ., 2015, გვ. 104).

ქედი. რუსეთის ელჩი ფედოტ ელჩინი წერს, რომ 1640 წლის 1 ოქტომბერგალს „;

“(ელჩობა, 1888, გვ. 323).

ზახარევის მოხსენებით ბარათში ეს სოფელი აღნიშნულია როგორც . აღწერიდან ჩანს, რომ ეს სოფელი მდებარეობს წალენჯიხასა და ბოჭს შუა ნახევარი გზის სავალზე (ელჩობა, გვ. 349).

ქვალონი სოფელია ხობის მუნიციპალიტეტში. სიტყვა მეგრულია და ნიშნავს „ქვიანს“. „ქვალონი სოფელი სამეგრელოში“ (გიულდ., 1962, გვ. 323).

ქიაჩი. ქიაჩის მონასტერს არქანჯელო ლამბერტი ასახელებს იმ საეპისკოპოსო ეკლესიებს შორის, რომლებიც „ეხლა გადაკეთებულნი არიან მონასტრებად“ (ლამბერტი, 1991, გვ. 107). იხ. აგრეთვე ობუჯი.

ქბისი – ასე უწოდებს არიანე მდ. ხობს (იხ. აქვე, გვ. 46).

ღალიძგა „ღელისპირი“ მდინარეა, ითვლება სამურზაყანოსა და აბჟუას საზღვრად. ისტორიულ წყაროებში პირველად დასახელებულია 1629 წლის საეკლესიო საბუთში (შდრ. საღალიძგო, რაც დასახელებულია 1616-1621 წწ. საეკლესიო საბუთში. იხ. აქვე: საღალიძგო). ერთვის შავ ზღვას ილორთან. როგორც ჩანს, ღალიძგა ერქვა სოფელსაც. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან

„სამეგრელოს რუკაზე“ ამ მდინარეს აწერია Echalis, ხოლო სოფელს მის მარჯვ. მხარეს – Echaligas. დღეს ამ ადგილას არის სოფელი ბესლახუბა. მდ. ლალიძება აღნიშნულია ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის რუკაზეც. ლალიძება „ლელის ნაპირი“ წარმოიშვა როგორც სწორედ სოფლის სახელი. დასახელებულია შუა საუკუნეების მრავალ ძეგლში: „არის ბატონის ლევან დადიანისგან ლალიძება სასახლე და ზემოთ რიონის პირი წყალიძება ბიჭვინტისა დმრთისმშობლისა შეწირული საკათალიკოზო... ყოველსა წელიწადსა... ორმან მღრღდელმან და ერთმან მთავარმან სასახლის ლალიძის ეკლესიაში ჟამი სწიროს“ (ქსძ, III, გვ. 476).

ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში (1616-1639 წწ.) მალაქია კათალიკოზი აღნიშნავს: „ლალიძებას სასახლე არ იყო. ბატონის დადიანისა ძველი გაოხრებული სასახლე იყო და ჩუენცა შევეხვეწეო და ვსოთხოვთ და თვთან ხატსა შესწირა და ჩუენცა დაგვამადლა“ (ქსძ, III, 501); მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) სხვაგანაც მოიხსენიებს ლალიძებას: „ოდიშს, სადაც მე მოვინდომე, ლალიძებას, ანაკრიას, ფოთს, ჭალადიდს, წყალიგზას, გულველისკარს, ეკალს, საქუჩულორიოს, ჩუენი გამორჩეული მეთევზენი და სხვა კაცები დადიანმან პატრონმან ლევინ მისდა სადლეგრძელოდ მისი სულისათვის შესწირა და ყოველსა წელიწადსა სულისათვს ტრაპეზი გაიჩინა“ (ქსძ, III, გვ. 500-501). მკვლევარ თ. ბერაძის მოსაზრებით, მეგრული დალიძება ნიშნავს „კიდე მდინარისა“: იგი, როგორც ჩანს, ორ რაღაც პოლიტიკურ ერთეულს შორის საზღვარს წარმოადგენდა. მართალია, ტოპონიმი დალიძება დამოწმებულია მხოლოდ XVII ს-დან, მაგრამ იგი უნდა წარმოქმნილიყო XII-XIII საუკუნეებში (ბერაძე, 1967, გვ. 168).

დაჩუ. დაჩუ მიკროტოპონიმი ჩანს. თილითის საეკლესიო გლეხების ჩამონათვალში ვკითხულობთ: „მართებს დაჩუს ხუთ კვამლს კაცსა გაირჩებია სალატიას საპურობო ქანდაქი და სამოგუე...“ (ქსძ, III, გვ. 332).

ლეჯის ტყე. აღნიშნული მიკროტოპონიმი დასახელებულია ვამეყ დადიანის მიერ ბიჭვინტის მონასტრისადმი შეწირულობის სიგელში, რომლის მიხედვითაც ვამეყ დადიანს ბიჭვინტის ლვთისმშობლისადმი შეუწირავს: „სენაკს საყდარი მაცხოვრისა ორის მისის სასახლითა, ლეჯის ტყითა და ოდუაწკითა“ (ქსძ, III, გვ. 477). მაგრამ 1657-1660 წწ. დაწერილ ამავე ტიპის საბუთშიც ლეჯის ტყეა დასახელებული (იქვე, გვ. 533). თარგმანი „ლორის ტყე“.

ლუმურიში ზემო ლუმურიშისა და ქვემო ლუმურიშის საერთო სახელწოდებაა. ლუმურიშის თემში (სამურზაყანო), სადაც, ამ ორი სოფლის გარდა, შედის სოფელი ფართოდალიც. ლუმურიშში ნაპოვნია XI ს-ის ასომთავრული წარწერა საგდუხტ დედოფალთდედოფლისა. წარწერის ერთ-ერთი წაკითხვა ასეთია: „ქ ლმერთო, შეიწყალე ორთავე ცხოვრებასა შინა ამის ტაძრისა მაშენებელი დედოფალთდედოფალი საგდუხტ, ნიანიას ასული, ამენ“. ეტიმოლოგია: ლუმურიში სვანური სუბსტრატია კოლხეთის მიწაზე: წარმოქმნილია უძველეს დროში სვანური ლუმირ „ნაძვი“ სიტყვიდან ზანურ-სვანური -იში სუფიქსის დართვით. ეს -იშ ფონეტიკურადაც და დანიშნულებითაც შეესაბყისება ქართულის ნანათესაობითარ -ის სუფიქსს, რომელსაც აგრეთვე შეძენილი აქვს სიტყვაწარმოებითი ფუნქცია (შდრ.: შინდისი, ცხემლისი...). სვანები რომ უძველეს დროში კოლხეთის დაბლობზე ცხოვრობდნენ, ისტორიოგრაფიაში ცნობილი ფაქტია. მაშასადამე, ლუმურიში ერთ-ერთი უძველესი ქართველური

ტოპონიმია სამურზაყანოში. მიუხედავად ამისა, ზოგი აფხაზი მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სოფლის სახელწოდებაა ღუმრიფშ, რომელშიც გამოიყოფა აფხაზური სუფიქსი -ფში (ამოსავალ ფუძეზე არაფერს ამბობენ).

ყულევი. სოფელი და სოფლის საკრებულო შავი ზღვის ნაპირზე, მდ. ხობისწყლის შესართავთან. შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ნაშთი. სოფლის მთელი მოსახლეობა განთავსებულია ერთ ქუჩაზე, რომელიც მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირს გასდევს სოფ. ყორათიდან ისტორიული ციხესიმაგრის ნანგრევებამდე.

ბერძნული წერილობითი წყაროების ცნობით (II ს.), მდ. რიონი უძველესი დროიდან იყო დაკავშირებული მდ. ხობისწყალთან სანაოსნო არხით. შემორჩენილია ცივი-ხობისწყლის უძველესი არხის ნაშთი. ყულევის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ. წ. ა. IV-III ათასწლეულების ნასახლარები ხელოვნურ ბორცვებზე (მდ. ცივისა და ხობისწყლის ნაპირებზე), აგრეთვე ბრინჯაოს ხანის ნაკეთობანი, რკინის დასამუშავებელი ქურა-სახელოსნოების ნაშთები და სხვ.

შუა საუკუნეების ქართული და უცხოენოვანი საისტორიო წყაროები ასახელებენ ხობისწყლის შესართავთან მდებარე დასახლება კემხელს (//კემხალი). ქართველი მკვლევრები ნ. ბერძენიშვილი, თ. ბერაძე, მ. დუმბაძე, ზ. ქირია კემხელს აიღივებენ შემდგომში ყულევად მოხსენიებულ ობიექტთან (იხ.: ქირია, 2004).

ესპერანცუა გამბა რამდენიმე ათეულ შემთხვევაში ასახელებს რედუტ-კალეს, ყულევს კი – არც ერთხელ, თითქოს არც არსებობდეს. შვეიცარიელი სწავლული დიუბუა დე მონპერე, რომელმაც 1831-1834 წლებში იმოგზაურა შავიზღვისპირეთში, ასახელებს რედუტ-

კალებ: „ბოლოს 21 ივნისს (2 აგვისტოს) გადავედი ნაპირზე რედუტ-კალესთან. არასტუმართმოყვარე ჩერქეზეთისა და აფხაზეთის ნაპირებზე ორთვიანი მოგზაურობის შემდეგ“ (დიუბუა, 1937).

კავკასიაზე საყურადღებო გამოკვლევების ავტორი, წარმოშობით გერმანელი მკვლევარი კარლ ჰანი, რომელსაც ეკუთვნის 900-მდე ქართული ტოპონიმის წარმომავლობის ახსნის ცდა (მათ შორის ბევრია გულუბრყვილო და მიამიტური ეტიმოლოგია). სახელწოდება ყულევს აკავშირებს სიტყვა კულა-სთან (,).

მოტივაცია ასეთია: ამ სოფელში ამზადებდნენ ამგვარ ჭურჭელს (ჰანი, 1909, გვ. 118).

რატომ დაერქვა ერთ ობიექტს – ხობისწყლის შესართავთან მდებარე ნავსადგურსა და დასახლებას – ორი სახელი – რედუტ-კალე და ყულევი//ყულე? ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი და არაქართველი მკვლევრების მოსაზრებანი ასეთია: თავდაპირველი სახელწოდებაა ყულე (ადგ. ვარიანტი: კულე). ასე ეწოდებოდა ჯაიანის ძველ კოშკს. 1804 წელს კაზაკებმა მდინარის მარცხ მხარეს ააგეს რედუტი. მაშასადამე, რედუტ-კალე არაქართული ჰიბრიდული სახელწოდებაა. იგი შედგება ორი უცხო სიტყვისაგან: რედუტი (ფრანგ.) "მცირე ციხესიმაგრე" და კალე (თურქ.) „კოშკი“ (შდრ.: სოხუმ-კალე, სუჯუქ-კალე და სხვ.).

ტოპონიმ ყულევის წარმომავლობას უკავშირებენ აღმოსავლურ სიტყვა ყულ-//ყულე-ს, რაც ოურქულში დასტურდება და ნიშნავს მონას. ხალხური ეტიმოლოგიაც ასეთია: ხობისწყლის შესართავთან თურქებს ჰქონდათ მონათა ბაზარი. ამიტომ დარქმევია ყულე. სხვათა შორის, უან შარდენის ცნობითაც, ოსმალებს სწორედ ხობისწყლის შესართავიდან

გაპყავდათ ტყვეები (ყოველივე ამის შესახებ იხ.: ჭითანავა, 2002.; ბერაძე, 1970). სოფელი უულევი იყო ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის ერთ-ერთი პუნქტი. მეგრულში შემოსული აღმოსავლური სიტყვა უული ნიშნავს ტყვეს, მონას. -ევ კი გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია. სიტყვა უულე გაძეს ტოპონიმ საყულიაშიც.

უულიშკარი. სოფელი და სოფლის საკრებულო ოდიშის ვაკეზე, მდ. უულისწყლის ორივე ნაპირას, სოფ. უჩაშონასა და წალენჯიხის ჩაის მეურნეობას შორის. იშვიათი ქართული ვარიანტი: **უულისკარი.** სოფელს ორჯონიკიძე უწოდეს 1937 წელს (ამავე წელს ალერტკარის უბანს უწოდეს გრიგოლიში რევოლუციონერ გრიგოლ როგავას პატივსაცემად).

სამეგრელოში წარმართობისდროინდელ ერთ-ერთ ძლიერ ხატ-სალოცავს სწორედ უულიშკარი წარმოადგენდა. ამჟამად ამავე სოფლის ჩრდილოეთით დგას XIX საუკუნის უულიშკარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. უიულ მურიე ფრანგულენოვან წიგნში „სამეგრელო“, რომელიც 1883 წელს გამოიცა ოდესაში, აღნიშნავს, რომ უულიშკარის ეკლესია მდგდელმა ეგნატე როგავამ ააშენა 50 წლის წინ აქ მდგარი ძველი ეკლესის ადგილას.

გადმოცემით, უული ხატის სახელია. ეს ხატი სვანეთიდან ჩამოუსვენებიათ დადეშქელიანის მოკვლი-სათვის გამოქვეულ როგუანებს და ჯებეფერდთან დაუსვენებიათ, თავად კი გვარი როგავად გადაუკუთებიათ. იმ ადგილას ჯერ პატარა ხის ეკლესია აუშენებიათ, შემდეგ კი, XIX საუკუნეში, ქვის ეკლესიაც და ხატი იქ გადაუსვენებიათ (ამ გადმოცემებს იცნობენ: ე. თაყაიშვილი, ს. მაკალათია, თ. სახოკია, ჯ. როგავა, დ. ჭითანავა. თუმცა კი გვარი როგუანი ამჟამად არ არსებობს და არც ისტორიულ წყაროებში ჩანს). როგავები ამ ეკლესიის მნათეები იყვნენ.

სვანეთიდან მათს ჩამოსვლას ე. თაყაიშვილი ვარაუდობს XVIII ს. ბოლოს. ამ ხატს ასეთი წარწერა ჰქონია: "მღვდელმა გაბრიელ როგავამ გავაჭედიე ხატი ყულის". გადმოცემით, ყულის, ილორის, უგურყელის და ალერტის ხატ-სალოცავები ძმები არიან (ყველგან წმ. გიორგის ხახელობის ეკლესია). ჟ. მურიეც კი აღნიშნავს, რომ ყულიშპარის წმ. გიორგის მთელ სამეგრელოში უდიდეს პატივს სცემდნენ. დ. ჭითანავას მტკიცებით, ტოპონიმი ყულიშპარი გვიანდელი წარმოშობისაა, კერძოდ, სვანეთიდან როგუანების ჩამოსახლების (XVIII ს. მეორე ხახევარი) შემდეგ არის წარმოქმნილი.

სამურზაყანოში ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, ლაშქნ-დარნგხა და ილორნგხა ყველაზე ძლიერი ხატებია აფხაზეთში. ლაშქინდარის ხატს ყულიშპარიშ ხატიც ერქვა. ყულიშპარიდან გამოფრინდებოდა რაღაც ნათელი, სხივების ფრეკვით, გადაუფრენდა ლაშქინდარს და გაემართებოდა ფსხუს ხეობისაკენ.

ტოპონიმი ყულიშპარი აღადგენს თავდაპირველ ტოპონიმს – ყულს. ხალხური ეტიმოლოგიით, ყული თურქული სიტყვაა და ნიშნავს „მონას“. ყულიშპარში უწინ მონათა ყიდვა-გაყიდვის ადგილი ყოფილა და თითქოს ამიტომ დარქმევია. დ. ჭითანავას აზრით, ყული საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარე სიტყვაა და სასჯაბაასო, სამსჯავრო-სასამართლო ადგილს აღნიშნავს. როგავების წინაპრების მიერ სვანეთიდან ჩამოტანილი ხატიც აქ ესვენა და ამიტომ ეწოდა „ყულიშ ხატი“. მაშასადამე, ყულის ხატი და ყულიშპარი არის არა თეონიმური, არამედ ტოპონიმური წარმოშობისა (იხ. დაწვრილებით, ჭითანავა, 2002, გვ. 431-444).

ისტორიული წყაროების მიხედვით, სამეგრელოს მთავარს ყულიშპარი უბოძებია თავადი

მხეიძეებისათვის. თირქიები და ანთელავები მათი აზნაურები ყოფილან. სათირქიო ახლაცაა მონოგენური უბანი ყულიშვარში (41 კომლი), ხოლო ანთელავებისა მხოლოდ ორი ოჯახია დარჩენილი.

შანის დელე. 1616-1621 წწ. დაწერილი საეკლესიო საბუთის მიხედვით, შანის დელე არის ცხენისწყლის შენაკადი. სახელწოდება დღემდეა შემორჩენილი. კერძოდ, დრმა ხევში მიმდინარე „შანის დელე“ (მეგრ. „შანიშ ლალ“) გაივლის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებს – აბედათს, ლემიქავეს, ჯოლევს... და გაედინება ცხენისწყლისკენ.

შეშელეთი პირველი შეშელეთისა (ერისწყლის მარჯვ. მხარე) და მეორე შეშელეთის (ერისწყლის მარცხ. მხარე) საერთო სახელწოდებაა. არქანჯელო ლამბერტისა და გ.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.) ერისწყლის მარცხ. მხარეს, გოგიელსა და ხვითს შუა ეკლესიიანი სოფლის სახელად დატანილია Sciascialeti ფორმით. რა თქმა უნდა, ესაა დღევანდელი შეშელეთი. სახელწოდება ქართულია. გამოიყოფა -ეთ სუფიქსი, რომელიც, ჩვეულებრივ, დაერთვოდა ანთროპონიმის ფუძეს და პქონდა როგორც მრავლობითობის, ისე კრებითობის გამოხატვის ფუნქცია. ამოსაგალი ფუძე შეშელ-დასტურდება სხვა შემთხვევებშიც (შდრ.: გვარი შეშელიძე, „შეშელეთი“ ერქვა სოფელს ხობისწყლის ხეობაშიც, თარზენის კალთაზე).

შეხტი – იგივე შხეფი.

შხეფი. ნასოფლარი შხეფი მდებარეობს ტეხურის მარჯვენა ნაპირას, ქ. სენაკის მიმდებარე ტერიტორიაზე. შხეფის მთის თხემზეა ციხე, რომელსაც სათანადო ისტორიული წყაროების მიხედვით აიგივებენ არქეოპოლისის ახლოს მდებარე თნოგურისის ციხესთან. ამ ციხეში 1590 წელს გარდაიცვალა

იმერეთის მეფე (ქსე, 11). ისტორიული სოფელი შევეფი პირველად მოხსენიებულია 1733 წლის 16 ოქტომბერს შედგენილ „შეწირულების სიგელში“, სადაც აღნიშნულია: „შევეფს იმ საყდართან ბერდია დოხვადია შეწირული...“ (ქსძ, III, გვ. 731). ვახუშტი სამჯერ ასახელებს ამ სახელწოდებას ზოგან შევის, ზოგან კი – შევის ფორმით (ვახუშტი, გვ. 777, 821, 919).

„ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტაქსტის მიხედვით, „მაშინ განირისხა ღმერთი მამია დადიანმან, წართუა დედასა მისსა, და წარმოიყვანა ყრმა იგი და შევის ციხეში დაატყუევა... შეწუხდა ყრმა იგი“... გიულდენშტედტი მოკლე ინფორმაციას გვაწვდის: შეხტი სოფელია სამეგრელოში (გიულდ., 1962, გვ. 323). როგორც ჩანს, იგულისხმება სოფელი შევი. კ. პანის „ეტიმოლოგიით“, აღნიშნული სახელწოდება მომდინარეობს ზმისაგან შევპა „ : , . . (?)“ (პანი, 1909, გვ. 162).

ხალხური ეტიმოლოგია: შევი საბრძოლო მოედანია. შევა მეგრულში ნიშნავს მძვინვარებას, გააფთრებას, გესლიანობას. იშხაფუუდუ „გესლს ანთხევდა“. შევი ამჟამად ქ. სენაკის უბანია.

ჩაისი. გიულდენშტედტისათვის ოდიშის სოფელთა შორის ჩაუწერინებიათ: „ჩაისი – ეპიკოპოსის საჯდომი“ (გიულდ., 1962, გვ. 325). იხ. ცაიში.

ჩაჩგა. მოგზაური გიულდენშტედტი სამეგრელოს სოფლებს შორის ჩაჩგასაც ასახელებს (გიულდ., 1962, გვ. 323).

ჩეური. ოდიშის მდინარეთა შორის დასახელებულია: „ჩეური, ბალიან დიდი; ტეხენ, დიდი მდინარე“ (გიულდ., 1962, გვ. 321). მთარგმნელის შენიშვნა სქოლიოში: „ეს ორივე სახელი „ჩეური“ და „ტეხენ“ უნდა იყოს „ტეხური“.

ჩოხათი. 1616-1621 წწ. დაწერილ საეკლესიო საბუთში („საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“) აღნიშნულია: „მართებს ჩოხათის მიმდგამსა კაცსა...“ (ქსძ, III, გვ. 465). დღეს ასეთი სახელწოდების სოფელი სამეგრელოში არ ჩანს. თ. ბერაძის აზრით, ის მდებარეობდა ენგურის მარცხენა მხარეს, დარჩელის სიახლოვეს. 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ აღნიშნულია: „ჩოხათს არის 5 მსახური“ (ქსძ, III, გვ. 481).

ჩქონი. ასე ეწოდება ადგილს ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. იხ. „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“ (1616-1621 წწ.) (ქსძ, III, გვ. 475). მეგრულში ჩქონი აღნიშნავს კუნძულს, წყლისპირა ჯაგნარ რიყეს.

ჩხორთოლი – სოფელი სამურზაყანოში, წარჩეწყარის ზემო წელზე, სამურზაყანოს მთის ძირას. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკაზე“ (ორივე 1654 წ.) დაფიქსირებულია Scorotoli ჩხორთოლი „ცხრათვალი“, რაც მეგრულში უხვდებიტიანი, გამორჩეული წყაროს (ე.წ. ვოკლუზის) ეპითეტია. აფხაზურად გამოითქმის როგორც ჩხვართალ. აქედან გამომდინარე, ზოგმა აფხაზმა მკვლევარმა იგი ჩათვალა -ალ სუფიქსიან აფხაზურ ტოპონიმად, თანაც ისე, რომ არც ჰიპოთეტური „სუფიქსის“ დანიშნულებაა გამორკვეული და არც ამოსავალი ფუძის სემანტიკა. ცხრა (მეგრ. ჩხორო) ქართველ ტომებში საკრალური მნიშვნელობის რიცხვია და აღნიშნავს სიმრავლეს, სიშორეს, მიუწვდომლობას. თვალი, თოლი მეტაფორულად აღნიშნავს წყაროსაც. მაშასადამე ჩხორთოლი, ისევე როგორც ცხრაწყარო და ჩხოროწყუ, ჩვეულებრივ, დაურქმეოდა მრავალწყაროიან ადგილს, ან ისეთ წყაროს, რომელიც მიწიდან მდინარესავით ერთბაშად

ამოდის. ფუძეთა საზღვარზე ო ხმოვნის ამოვარდნის შემდეგ დარჩენილ ჩხორთოლ ფორმას აფხაზურში, მისთვის დამახასიათებელი ბგერობრივი შედგენილობისა და საზოგადო თუ საკუთარი სახელების სესხების წესების თანახმად, უნდა მოცეა ჩხვართალ. ეს სახელი რომ აფხაზური ყოფილიყო, მეგრული მას ზუსტად ასევე გადმოიდებდა. ხალხური ეტიმოლოგია კი ასეთია „წარჩესა და ოხარჩალაიას შუა მდებარე ციხეს ცხრა თვალი პქონია და ამიტომ დარქმევია ჩხორთოლი“.

ცაიში — სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი მდ. ჯუმის ორივე ნაპირზე, ზუგდიდ-ქუთაისის საავტ. ტრასაზე, ზ.დ. 50 მ. ზუგდიდიდან 10 კმ. ცაცხვის რკინიგზის სადგურიდან 2 კმ. ესაზღვრება: ცაცხვი, ჩხოუში, ურთა (მთა და სოფელი), ჭითაწყარი და სხვ. სოფელში არის იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმი. მდ. ჯუმის მარჯვ. ნაპირზე შემორჩენილია ძელქვის კორომი, ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის ცხოვრების ნაკვალევი, ახალი ქვის ხანის ძეგლები. ადგ. ვარიანტები: ცეიში, ცეში. გამოოქმულია ვარაუდი, რომ ცაიში, როგორც ცა-დმერთის სალოცავი (ცა+იში „ცისა“), წარმართობის დროინდელია.

ცაიშში შემონახულია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — სატაძრო კომპლექსი, რომელიც შედგება დვოისმშობლის გუმბათოვანი ტაძრის სამრეკლოსა და პალატის პირველი სართულისაგან. ტაძარი აგებულია XIII–XIV სს. მიჯნაზე უფრო ადრინდელი ეკლესიის ადგილზე. 1614 წ. იგი მიწისძვრამ დაანგრია. ლეონ დადიანის დაგალებით კათოლიკოს მალაქიას აუშენებია დღეს მოქმედი ცაიშის ეკლესია. იგი 1616-1621 წლების საეკლესიო საბუთში წერს: „აღვაშენე ცაიშის ეკლესია, რაოდენ შესაძლო იყო; შევამკე ხატითა, ჯვარითა, სხვათა

სამკაულითა“ (ქსძ, III, გვ. 470). სოფლის მახლობლად, ურთის მთაზე, არის ხუროთმოძღვრული კომპლექსი „ჯეგეთა“.

ცაიში „საისი“ ფორმით გვხვდება VII ს-ის დამდეგის ბერძნულენოვან წყაროში, კერძოდ, გიორგი კვიპროსელის მიერ შედგენილ საეპისკოპოსო კათედრათა ნუსხაში. იგივე ფორმა დასტურდება IX ს-ის თხულებაშიც: ლაზიკის ეპარქიის ეპისკოპოსთა შორის დასახელებულია საისის ეპისკოპოსიც (ქართული ც და შ ბერძნულში მხოლოდ ს გრაფემით გადმოიცემა). X ს. დამდეგს ლაზიკის ეპარქია დაუქვემდებარდა მცხეთის საკათალიკოსოს. შუა საუკუნეებში ცაიშელი ეპისკოპოსი სვანეთში მდებარე ეკლესიებსაც განაგებდა. 1823 წელს ეგზარქოსმა გააუქმა ცაიშის კათედრა. მისი აღდგენა მხოლოდ 1989 წელს გახდა შესაძლებელი.

ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება ორი ფორმა – ცაიში და ჩაისი. კერძოდ, ცაიშის დვთისმშობელი და ცაიშელი ეპისკოპოსი დასახელებულია ე. წ. „საპატიუოს დაწერილში“, რომელიც შედგენილია 1271-1289 წლებს შორის. ცაიში და საცაიშლო დასტურდება სხვა მრავალ საეკლესიო საბუთშიც: 1616-1621 წლებში შედგენილ „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ გამოყოფილია ქვეთავი: „მართებს ცაიშის მიმდგამსა კაცებსა ბეგარა“, სადაც დასახელებულია საცაიშლო (ცაიშის ეპისკოპოსისა და ცაიშის დვთისმშობლის ეკლესიის) ბეგრის გადამხდელთა სახელ-გვარები. დავასახელებთ გვარებს: ბუკია, ლატარია, ხაზალია, ქუტალია, წყაროსია, სერგია, გაპაჭაია, ქურია, წარბია, ჩანგელია, წულაია, სალდაყია, შულულია, ფიცხუა, ფიცხუია, ლაქენაა, კოდუა, მეუნაგრია, ხვანია, ხვიჩია, ფიმულაა, მჭიფია, კვაჭალია, ქუდუბერია, ნაჭყებია, წიწაა, სალაბეხია,

ორქოია, გაბელია, სალარია, ფაჩხაა, ჯეია, ძიგურავა, ბაბუტიი, ტურაა, ოფსაია, ქვაცალაია, შანიგია, კუპურდია, შონია, საფარია, ბერაკია, გიგაია, აბაშია, ღვაჭაჭია, ბერია, ჭაჭია, მალუმია და სხვ. (ქსძ, III, გვ. 438-455). დასახელებული დოკუმენტის შემაჯამებელ ნაწილში ნათქვამია: „არის ჩაისის სასახლის მიმდგამის კაცების ბეგრის ჯუმალი: 6 ზროხა, 290 საკლავი, 76 ქათამი, 70 პური, 5 მრთელი თევზი, 511 ლიჯი ღომი, 792 ფოხალი ღვინო“ (იქვე, გვ. 474).

1640 წლის 1 თებერვალს რუსეთის ელჩები თეოდორე ელჩინი და პავლე ზახარევი გამომგზავრებულან ბედიის მონასტრიდან და 13 თებერვალს მოუღწევიათ ცაიშის სამების მონასტრამდე. აქ შეხვედრიან ეპისკოპოს ანდრიას, ხოლო 17 თებერვალს გასდგომიან გზას აღმოსავლეთით, მოუნახულებიათ ბანძა, ჭყონდიდი. იქიდან გამობრუნებულან 7 აპრილს და 3 მაისს მოუნახულებიათ ხობის მონასტერი და 6 მაისს ცაიშის მონასტერში დაბრუნებულან (ელჩობა, 1888, გვ. 359-373). რუსეთის ელჩების დღიურებში დასახელებულია ზუგდიდიც (გვ. 301) და (გვ. 394) ფორმებით. რუსეთის ელჩები ელჩინი და ზახარევი ბედიის მონასტრის შემდეგ 1640 წლის 13 თებერვალს სწვევიან ცაიშს, სადაც ყოფილა ქვითკირის ეკლესია (ელჩობა, 1888, გვ. 355).

არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ ჩამოთვლის ექვს მოქმედ საეპისკოპოსოს. მათ შორისაა ცაიშისა. „აგრე იწოდება იმ მთის გამო, რომელზედაც იგი მდებარეობს და რომლის კალთებზე მდინარე ჩამოურბის. ეს ეკლესიაც დვოისმშობლის სახელობაზეა აშენებული. მისი ეპისკოპოსი იწოდება ცაიშელად“ (ლამბერტი, გვ. 107); წიგნის ბოლო ნაწილში არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ ამ ცაიშის მთაზე „ბლომად არის დაფნა“ (ლამბერტი, 1991, გვ.

180). რუსეთის ელჩები ელჩინი და ზახარევი ბედიის მონასტრის შემდეგ, 1640 წლის 13 თებერვალს, სწვევიან ცაიშს, სადაც ყოფილა ქვითკირის ეკლესია (ელჩობა, გვ. 355).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ საისტორიო-საგეოგრაფიო შრომაში დასახელებულია მხოლოდ ჩაისი („არს ეკლესია ჩაისს, დიდი, გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული, ზის ეპისკოპოზი“) და ჩაისელი (თოთოჯერ). გერმანელი მეცნიერი იოჰან გიულდენშტედტიც სოფლების დასახელებისას აღნიშნავს: "ჩაისი, ჩაისელი ეპისკოპოსის საჯდომი"). როგორც ცნობილია, ცაიშის საეპისკოპოსო ვრცელდებოდა ურთის მთის ბოლოდან ზღვამდე და ენგურიდან ხობის საეპისკოპოსომდე.

სახელწოდება ცაიშის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გამოთქმულია ორი ვარაუდი: 1. ამოსავალია ცა, ცის წარმართული დვთაება (შდრ. მეგრ. ცაშხა "ცის დღე", იგივე ხუთშაბათი). 2. ამოსავალია პირსახელი ცაა (შდრ. გვარი ცაავა. იხ. ცაიშთან დაკავშირებით: ზაქარაია, 1956; ზაქარაია, 1947; ტუდუში, 2000).

გადმოცემა: ცაიშის ეკლესიის ოთხი კუთხის ქვეშ ოთხი რკალის კაცია დამარხული, თითო გვარისა თითო კუთხეში; ცაიშის ეკლესიას აშენებდნენ, მაგრამ არ შენდებოდა. ერთ მღვდელს უთქვამს, საძირკველში ცოცხლად ჩამატანეთო, ჩაუტანებიათ და ეკლესიაც აშენებულა. იმ მღვდელის გვარი ყოფილა ცემარი. ცაიშის სახელი რომ ფართოდ იყო გავრცელებული, ამაზე მეტყველებს ერთი ასეთი გავრცელებული ფრაზა-დაქადნება: ინოილე ცემარი დო ექმათხოზია უკული "ჩავალ ცემარი და მეძიე მერე" (ჩაწერილია ყულიშკარელი როგავებისაგან).

, – ასეა წალენჯიხა სახელდებული „დადიანის მიწაზე“ რუსთა ელჩობის აღწერაში (იხ. აქვე: „წალენჯიხა“).

ცივი (//ცია, ციი). „ხობის შესართავიდან დაახლოებით ერთ ვერსზე ვხვდებით ერთ ვიწრო, მაგრამ ძალიან ღრმა მდინარეს, ოომელიც ერთვის მას და მის აუზად შეიძლება იქნეს გამოყენებული. ამ მდინარეს ცივი ეწოდება“ (გამბა, 1987, გვ. 97). „ცივსა და ტეხურს შორის, დაახლოებით, 6 ვერსის მანძილზე შესანიშნავი ტყე შემოგვევდა“ (იქვე, გვ. 125). იგი, ისევე როგორც ნოდელა, „მოედინება ალპებიდან, ორივენი ერთდებიან და ასე ერთვიან რიონს“ (გიულდ., 1962, გვ. 321). ცივი (//ციი) ერთვის რიონს მარჯვ. მხრიდან სოფ. სირიაჩქონის პირდაპირ. ალპები, როგორც ჩანს, ზოგადად მაღალ მთას აღნიშნავს: თუმცა კი ცივი მაღალი მთიდან არ მოედინება.

ცინაჟიგა – იხ. წალენჯიხა.

ციხე-გოჯი – იხ. ხოქალაქევი.

ცორიკა. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე ენგურსა და დალიბას შეა ასახელებს მნიშვნელოვან მდინარეებს ცორიკას, გუდავასა და გაგიდას. ცორიკაში ალბათ იგულისხმება დღევანდელი ცორკა – ზღვისპირა საძოვარი და ყურე – ოხურეიწყარის მონაკვეთი (10-11 კმ) ჯოცობასთან შეერთების შემდეგ ზღვამდე. ესაა პირობითი საზღვარი გალისა და ოჩამჩირი რაიონებისა. ხოლო გუდავასთან რომ ზღვას მიერთვის, იმ მდინარეს ეწოდება ოქუმი//ოქუმწყარი. ასევე სოფ. გაგიდასთან შავ ზღვას ერთვის გაგიდა//გაგიდაწყარი. მისი მდგენლებია ქირი და ხუმუშქური. ამ მდინარის არხში გადაგდების შემდეგ ნამდინარევს ეწოდა ჯვეშ გაგიდა. ხოლო იმ სრუტეს, რომლითაც გაგიდაწყარი უერთდება ზღვას – დიდბუდაზი//დიდგაგიდა.

ცხენისწყალი. არქანჯელო ლამბერტი ცხენისწყალს ასახელებს იმ მდინარეებს შორის, „რომლებიც ჩამოდიან კავკასიის მთებიდან, სჭრიან მთელს სიგრძეს კოლხიდისას და მიემართებიან ზღვასთან შესართავად“ (ლამბერტი, 1991, გვ. 11); „ცხენისწყალი პირველი მდინარეა რიონიდან აფხაზეთის მიმართულებით. ცხენისწყალი მას „უწოდეს მისი სიჩქარის გამო“. ადრიანესათვის ცხენისწყალი მეხუთე მდინარეა ფაზისის შემდეგ (იქვე, გვ. 162); „ცხენისწყალი და გლავკოსი ერთად გამოდიან მთებიდან და შეერთვიან ფაზის... ცხენისწყალს არიანე ხარენტად უწოდებს“ (იქვე, გვ. 162). გამბა მრავალგზის ახსენებს მდ. ცხენისწყალს. „მოგზაურობის“ 129-ე გვერდზე იგი წერს: „ეს არის ბერძნების ჰიპოსი, ანუ ცხენისწყალი. ეს სახელი მას სწრაფი დინების გამო ეწოდა. იგი ისეთივე სიგანისაა, როგორც ფაზისი“ (გამბა, 1987, გვ. 129). რა თქმა უნდა, ავტორისათვის ცხენისწყალი რაიონის მარცხ. შენაკადია.

წალენჯიხა – ქალაქი ჭანისწყლის ხეობაში, მუნიციპალიტეტის ცენტრი. ზ. დ. 222 მ. ობილისიდან 343 კმ., ზუგდიდიდან 25 კმ. წალენჯიხის განაპირას, ჭანისწყლის მარცხნა მხარის მაღლობზე დგას განვითარებული შუა საუკუნეების საეკლესიო ანსამბლი. სამეგრელოს მთავარს – ვამეყ დადიანს (1384-1396 წწ.) ტაძრის ინტერიერი მოუხატვინებია კონსტანტინოპოლესი მხატვრისათვის – კირ მანუელ ევგენიკოსისათვის, რომლის ჩამოსაყვანად გაუგზავნია ქვაბალია და გაბისულავა. ეს წარწერა არის მეგრული გვარსახელების ქრონოლოგიურად მესამე ეპიგრაფიკული დადასტურება ილორისა (XI ს. გვარი ქოჩოლავა) და წებელდის (XIII ს. გვარი მარტინავა) შემდეგ. მარი ბროსე წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების

ეკლესიის აშენებას მიაწერს ვამეყ დადიანს. ეთაყაიშვილი კი თვლის, რომ ეს ეკლესია აშენებულია X-XI ს-ში. ვამეყ დადიანს კი ეკუთვნის ამ ეკლესიის განახლება (თაყაიშვილი, 209). საერთოდ, აღნიშნული ეკლესია ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია.

წალენჯიხა დასახელებულია „დადიანის მიწაზე“ რუსთა ელჩობის აღწერაში. კერძოდ, ელჩები 1639 წლის 8 დეკემბრიდან მომდევნო წლის 31 იანვრამდე ყოფილან „, ხოლო „ 31

„. ელჩობის დასასრულს ნათქვამია

„ 16

...

“ (ელჩობა, 1888, გვ. 374). ეს

და , რა თქმა უნდა,

არის წალენჯიხა. ეს პუნქტი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტისა და ეწ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზეც“ საერთოდ, აღნიშნული ეკლესია ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა და ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს (ორივე 1654 წ.).

ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო-საგეოგრაფიო ხასიათის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წალენჯიხა დასახელებულია „ჭელენჯიხი“, „ჭენჯიხი“ ფორმით: „ამ ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს“ (ვახუშტი, 1979, გვ. 778).

წალენჯიხის ფერისცვალების სახელობის ეკლესია, რომელიც გორაკზე დგას, XVII ს-შიც მოქმედი საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა. „აქ პმარხავენ მთავრებს. მის ეპისკოპოსს ჰქვია წალენჯიხიელი“ (ლამბერტი, 1991, გვ. 107). კასტელის № 463 ჩანახატს, რომელშიც მოჩანს წალენჯიხის ცნობილი მონასტრის სილუეტები, ერთვის წარწერა: „1648 წელს გურიის

სოფელ წალენჯიხაში ხშირად დადიოდნენ ჩვენი პატრიტი სამკურნალოდ და მოსანათლად“ (კასტელი, 1977, გვ. 176). მთარგმნელი სქოლიოში განმარტავს: ალბათ კასტელი ცდება. უნდა იყოს სამეგრელო და არა გურია.

სახელწოდების მეცნიერული ეტიმოლოგიები: ჭალენჯიხა „ჭალის ციხე“ (ს. ჯანაშია); წალენჯიხა „ქვემო ციხე“ (არნ. ჩიქობავა). ადგ. ვარიანტი: წენდიხა (იშვიათად, წენჯიხა, წენჯიხა).

კ. ჰანის განმარტება (თუ ეს განმარტებაა): „Цаленджиха“ მიღებულია ორი სიტყვის „ცალი“ და „ჯიხა“ შეერთებით და ნიშნავს: „ორი ციხესიმაგრიდან ერთ-ერთი“ (ჰანი, 1909, გვ. 149).

წალიკარი. გამბას „მოგზაურობის“ დღიურის მიხედვით, სოფელ წალიკარის „მოსახლენი უფრო შრომისმოყვარენი ჩანდნენ და უფრო შეძლებულადაც ცხოვრობდნენ, ვიდრე სხვა სოფლების ბინადარნი“ (გამბა, 1987, გვ. 141). ამ მოგზაურებს 1723 წლის 7 (19) ნოემბერს დილის 4 საათზე დაუტოვებიათ წალიკარი და 11 საათზე ჩასულან კოდორში, რომელიც მისგან 10 ვერსითაა დაშორებული (იქვე, გვ. 141). წალიკარი დღესაც სოფელია აბაშის მუნიციპალიტეტის სუჯუნის ოქმში. ეტიმოლოგიისათვის: წალიკა (ბალახეული მცენარეა ერთგვარი) გავრცელებულია გურულ და იმერულ დიალექტებში და შესაძლოა, მეგრულ შიც გადაინაცვლა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია: წალიკნარი → წალიკარი.

წამხარი ეწოდება ნაეკლესიარსა და სასაფლაოს სოფ. თაგილონში. წამხარი ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმია. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ (ორივე 1654 წ.) არის წარწერა Zamchar წამხარი.

წარჩე ისტორიული სოფელია სამურზაყანოში, წარჩეწყარის ნაპირას. არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოს რუკაზე (1654 წ.) ერისწყალსა და ოქუმს შეა აღნიშნული Tarsce და პარიზში დაცულ ლათინურენოვან რუკაზე (აგრეთვე 1654 წ.) დამოწმებული Tarse სწორედ წარჩეა. მაგრამ არქანჯელო ლამბერტი ამ სოფელს გარშენი ფორმითაც მოიხსენიებს „სამეგრელოს აღწერაში“. ზემოთ დასახელებულ რუკებზე მდ. ოქუმს აწერია: „ოქუმი ანუ ტარსურა“. ქსე-ს მიხედვით, წარჩე არის ყოფილი ტარსურა, ტარშენი (ქსე, 11, გვ. 300). სოფელში შემორჩენილია XIII-XIV სს. საეკლესიო კომპლექსი „მაფაშ ოხვამე“ ლაპიდარული წარწერით. ეკლესია XVII ს-ში განუახლებით სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანს. ამჟამად შემორჩენილია ამ ეკლესის კედლები და მოსახლეობა მას უწოდებს ნოჭისს („ნაციხეარი“). გადმოცემა: „აქაა დაკრძალული მეფის შვილი, რომელიც ანჩბაიას – გამზრდელს – არ დაუტირია. ამის გამო დედოფალს ანჩბაიები დაუწყებლია, არც გამრავლდეთ და არც გაწყდეთო. ალბათ ამიტომ იტყვიან მაფაშ ჭყელი წარჩე „მეფისგან დაწყებლილი წარჩე“. სახელწოდება წარჩე მეგრულია და ნიშნავს წყალთეთრს, ე.ი. ჰიდრონიმი გადაქცეულა იოკონიმად, ანუ დასახლებული პუნქტის სახელად.

წიფურია. წიფურიას მონასტერს, რომელიც გაშენებულია ენგურისპირა ვაკეზე, არქანჯელო ლამბერტი ასახელებს იმ ექვს მონასტერს შორის, სადაც უწინ საეპისკოპოსო კათედრა იყო (ლამბერტი, 1991, გვ. 107); ამასთანავე, „უმთავრესი ბაზრობა იმართება სექტემბრის პირველ კვირაში წიფურიას ეკლესიასთან, რომელიც ჩვენების ხელშია...“ (იქვე, 1991, გვ. 144); წიფურიას ბაზრობა „სამეგრელოს ყველა სხვა

ბაზრობაზე უფრო დიდხანს გრძელდება“ (იქვე, 1991, გვ. 145).

შარდენის „მოგზაურობაშიც“ არაერთგზისაა დასახელებული თეატინელ მისიონერთა სოფლის სახელი წიფურია: „ჩვენს გემთან იყო ანაკლიიდან (Anarguie) მოსული ნავი; ის არის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელი, რომელიც 20 მილით არის დაშორებული წიფურიადან, სადაც ეს წმინდა მამები ცხოვრობენ“ (შარდენი, 1975, გვ. 209). „წიფურია ორი პატარა ეკლესიის სახელია, რომელთაგან ერთი მეგრელებისაა, ხოლო მეორე თეათინელებს ეპუთვნის“ (იქვე, 1975, გვ. 217). „წიფურიაში ჩემი ჩასვლის დროს ოთხი თეათინელი იყო“ (იქვე, 1975, გვ. 218).

ჟაკ ფრანსუა გამბა თავისი მოგზაურობის წიგნის ბოლო ნაწილში სამეგრელოს სამი პროვინციის ჩამოთვლისა და მათი მოკლე გამოგრაფიული აღწერის შემდეგ გვამცნობს, რომ პატრი არქანჯელო ლამბერტი 1672 წელს ცხოვრობდა ანაკლიის ახლოს სიპიასის მონასტერში. ეს სიპიასი უნდა იყოს „წიფურიას“ დამახინჯებული ტრანსკრიფცია. თუკი სიპიასი იგივეა, რაც წიფურია, მაშინ გამბას ცნობა, რომ არქანჯელო ლამბერტი 1672 წელს წიფურიაში იმყოფებოდა, არ შეესაბამება სინამდვილეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „წიფურია“ სხვადასხვა წყაროებში დასახელებულია როგორც სიფორია, სიპურია, ჭიპურია. სამეგრელოში ჩასულმა იტალიელმა პატრებმა 1634 წლის ოქტომბერში ჩაიბარეს ჭიპურიის მამულები (თამარაშვილი, 1902, გვ. 174).

მკვლევარ თ. ბერაძის დასკვნით, მისიონერთა დასახლება წიფურია „მდებარეობდა ენგურის მარჯვენა ნაპირზე და შეესაბამება დღეს სოფელ

განარჯიამუხურის ერთ უბანს – „წიფურონს“ (ბერაძე, 1970, გვ. 43).

სამეგრელოს მთავრის მიერ იტალიელი მისიონერებისათვის გადაცემულ სოფელს ასე მოიხსენიებს კასტელი: „ეს იყო მხარე, რომელსაც მიწათმოქმედნი წიფურიას უწოდებდნენ. აქ იყო გრძელი და ვიწროდ აშენებული ტაძარი“ (კასტელი, 1977, გვ. 62). ხოლო სხვაგან ავტორი აღნიშნავს: „წიფურიის ცოტა ზემოთ, ოუგარიაში, ჩვენები ეკლესიას რთავდნენ, რომელიც დადიანმა გადმოგვცა, სადაც ჩვენი ოჯახი შეჩერდა“ (იქვე, გვ. 63). მაგრამ ოუგარია სხვაგან მოხსენიებულია იოგურია ფორმით. დადიანმა „ჩვენი ძმები თავისთან წაიყვანა და პვლავ მისცა სოფ. იოგურია მის მორჩილებაში მყოფ მდგდელთან ერთად. ამასთანავე, იქ მცხოვრები 10 კომლი ოჯახი“ (იქვე, გვ. 66).

წიფურიას ლოკალიზაციასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე მოსაზრება.: 1. წიფურია დღევანდელი დიხაზურგაა; 2. წიფურია მდებარეობდა განარჯიის მუხურში (ზუგდიდის მუნიც.). წიფურიას ლოკალიზაციის საკითხს სპეციალური სტატია მიუძღვნა მკვლევარმა თ. ყალიხავამ. გამოკვლევის დასასრულს იგი წერს: „ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება: არქ. ლამბერტის წიფია და შარდენის წიფურია ერთი და იგივე სავაჭრო პუნქტი უნდა იყოს და მდებარეობდა იმ ტერიტორიაზე, რომელზეც დღევანდელი სოფელი თაგილონია“ (გალის რ-ნი) (ყალიხავა, 1977, გვ. 266).

წელებარი – მაღლობი ერისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფ. ხოლები (სამურზაყანო). აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი არქიტექტურული და ეპიგრაფიკული ძეგლი X ს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია XII-XIV სს. მიშენებული

ეკვდერებით. ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა ასომთავრული და მხედრული წარწერები კედლის მხატვრობის მრავალ საინტერესო ნიმუშთან ერთად. ერთ-ერთ წარწერაში დაფიქსირებულია ადგილის სახელი „მწკელიკარი“, რასაც ზოგი მკვლევარი მეგრულ „წყევლის კარად“ თვლის. მაგრამ ქართულ სიტყვა წყევლას მეგრულში ფონეტიკურად და სემანტიკურად შეესატყვისება „ჭყალა“. აფხაზი მკვლევრები (პ. შავრილი, ლ. შერვაშიძე) თვლიან, რომ ამ ობიექტის თავდაპირველი სახელია აწკარ, ხოლო წკელკარი მისი მეგრული ვარიანტია და ნიშნავს: „კუთხე, მიჯნა, საზღვარი“ და, მაშასადამე, წარმოადგენს ამ აფხაზური ტოპონიმის ენობრივ ტრანსფორმაციას (შერვაშიძე, 1967, გვ. 39). მაგრამ რისი საზღვარი უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც ეს გეოგრაფიული და საეკლესიო ობიექტი? რა თქმა უნდა, აწკარ არის აფხაზური ვარიანტი წკელკარისა, წარმოქმნილი გადააზრების შედეგად, რასაც საფუძველი მისცა რამდენიმე ბგერის დამთხვევამ. ადგილობრივ ინფორმატორთა გადმოცემით, წკელი ყოფილა ხატი, რომელიც აქ ესვენა ხის ძირას და ყველა მლოცველს მფარველობდა, შემწეობას ანუ მეოხებას უწევდა. შდრ. ალ. ქობალია: „წკელი – მეოხი, ხელის შემწყობი“; „წკელკარი – მეოხისკარი“. წკელის ხატი ცნობილია ზუგდიდის რ-ნის ზღვისპირა სოფლებშიც. მეორე მხრივ, ხატისა თუ ეკლესიის სახელთან კომპონენტი „კარი“ ხშირია სამეგრელოს ტოპონიმიაში და აღნიშნავს კარის წინა კომპონენტით აღნიშნული ეკლესიისა თუ სხვა ობიექტის გარშემო მდებარე ადგილს. წკელკარიც ამ მოდელითაა წარმოქმნილი. თუ კი თავდაპირველი ფორმა ამ ტოპონიმისა იქნებოდა აწკარ, მაშინ იგი მეგრულში უცვლელად გადმოვიდოდა.

მკვლევარი იგორ კეკელია მიმოიხილავს საისტორიო წყაროებსა და სამეცნიოერო კვლევათა ჩვენებებს „წკელ-კარსა“ და „მწკელწკარზე“ და ასკვნის: „წკელი წმინდანის (ან წმინდანთა) ეპითეტია ისევე, როგორც ხანგარამი „ლახვროსანი“, ჯეგმ ჯგუბი „წმინდანი“ და, ზოგადად, შესაძლებელია მიემართებოდა მაცხოვარს ან წმინდა გიორგის. წკელკარი უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც ადამიანთა შემწე რომელიმე წმინდანის ხატი იყო დასვენებული“ (კეკელია, „წკელკარის“ ეტიმოლოგიისათვის... 2014, გვ. 241).

წყარიძება (//წყალიძება). შუა საუკუნეების სამართლებრივ ძეგლებში წყარიძება (//წყალიძება) და წყალიგზა ჩანს როგორც სოფელი, რომელიც, სავარაუდოა, მდებარეობდა რიონის მარჯვ. მხარეს. XVI ს-ში დაწერილ ხოფის ეკლესიის საეკლესიო გლეხთა ნუსხაში ნათქვამია: „მართებს წყალისხმელთა ხატის ბეგარაი ომაისური იოვანე ილივარიასავ ოცი თეთრი“ (ქსძ, III, გვ. 350). „არის ბატონის ლევან დადიანისგან ლალიძება სასახლე და ზემოთ რიონის პირი წყალიძება ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისა შეწირული საკათალიკოზო...“ (იქვე, III, გვ. 476). ამავე წყაროში აღნიშნულია: „წყალიძებას სასახლე და 12 კვამლი კაცი, ორი მოსახლე ფოთური და ერთი მოსახლე ჭალადიდური“ (იქვე, გვ. 477); კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის (1696-1742 წ.) „ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში“ აღნიშნულია: „ეს წყალიძება უმაღლ კურთხეულს ნებსაძე კათალიკოს ციხისთვის შვილის ცაიშლის მაქსიმესათვის მიეცა...“ (ქსძ, III, გვ. 767).

წყარიგზა და მისი ვარიანტი წყარიგზური დასახელებულია 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, 473, 474); ამ საბუთში („კათალიკოს

მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“) აღნიშნულია: „არის წყარიგზას და სენაკს 4 მსახური“ (ქსძ, III, გვ. 481). ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „წყალიგზას... ვიყიდე და სასახლე აღვაშენე“ (იქვე, III, გვ. 503). წყალიგზა ნიშნავს **წყლისპირს**. შდრ.: დალიგზა „დელისპირი“. ი. კეკელიას დასკვნით, „წყარიგზა უნდა გავიაზროთ როგორც „წყლის კიდე (ნაპირი)“ (კაკელია, „კალიცას“ ეტიმოლოგიისათვის“... 2014, გვ. 235).

ჭალა. ოდიშის სამთავროში ისტორიულად ცნობილია რამდენიმე სოფელი ჭალა. ერთი მათგანი მდებარეობდა ენგურის მარცხ. მხარეს. 1621 წელს დაწერილ ერთ-ერთ საეკლესიო საბუთში ნათქვამია: „არის ჭალას საყდარი და სასახლე და კაცები და მართებული გამოსავალი“ (ქსძ, III, გვ. 434). 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ აღნიშნულია: „არის ჭალას მსახური 2“ (იქვე, III, გვ. 481).

ჭალადიდი საკრებულოა ხობის მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობზე, მდ. რიონის ორივე მხარეს, საგვიჩიოსა და პატარა ფოთის საკრებულოებს შორის, გურიის საზღვარზე. შედის სოფლები: საბაჟო (ც.), საქორქიო, საღვამიჩავო, საჭოჭუო.

სოფელი **ჭალადიდი** წერილობით წყაროებში პირველად დასახელებულია 1616-1639 წლებში დაწერილ „შეწირულების წიგნში“, სადაც აღნიშნულია, რომ ლევან დადიანს (1611-1657 წწ.) „ბიჭვინტისათვის შეუწირავს დალიგზას, ანაკლიას, ფოთს, ჭალადიდს, წყალიგზას, გულევლისკარს, ეპალს, საქუჩულორიოს მცხოვრები „გამორჩეული“ მეთევზენი და სხუა კაცები ოცდაათი მოსახლეები“ (ქსძ, III, გვ. 500-501). თვით ლევან დადიანის ერთ-ერთ სიგელში ნათქვამია: „წყლის პირს რიონზედა ჭალადიდსა ნახევარი ბაჟი ხოფისა

დმრთისმშობელისა არის; ქარიატას და კემხელს მესამედი ნავი და ბაჟი ყოვლადწმიდისა; არის ნოხუდენს ოთხი კუამლი კაცი: უურუა და სხვიტავა, ანდალაისშვილი და შონია, მათით მამულითა, წყლითა, ტყითა, საოვაზაოთა და უკლესის კარითა“ (ხობის მონასტერი, 2002, გვ. 44). დასახელებული ტოპონიმებიდან კემხელი ყულევია, ხოლო ნოხუდენი არაა ლოკალიზებული.

ტოპონიმი ჭალადიდი დასახელებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ნატურალისტ იოჰან ანტონ გიულდენშტეგდტის სამოგზაურო ჩანაწერებში. 1771 წელს იმერეთ-სამეგრელოს საზღვარზე ყოფნისას მისთვის დაუსახელებიათ სამეგრელოს ზოგი სოფელი, მათ შორის ჭალადიდიც (გიულდ., 1962, გვ. 323). სოფელი ჭალადიდი დავით დადიანის მიერ განხორციელებული ოდიშ-ლექხეუმის დაყოფის მიხედვით, შედის საჭილაოს მაზრაში, ისევე როგორც საღვამიჩაო და პატარა ფოთი (მეუნარგია, 1939, გვ. 113). 1886 წელს ჭალადიდის თემი შედიოდა სენაკის მაზრის ნაქალაქევის საპოლიციო უბანში შემდეგი სოფლებით: პატარა ფოთი, საღვამიჩავო, საქორქიო, საჩახავო, სირიაჩქონი, ჭალადიდი (ჭალადიდის მუხური – ცენტრი).

ჭალადიდი გამჭვირვალე სემანტიკის მქონე სახელწოდებაა. მიუხედავად ამისა, კარლ პანი, რომელიც სათანადოდ არ იცნობდა ქართული თუ ქართველური ენების ლექსიკას, გვთავაზობს ასეთ გულუბრყვილო ეტიმოლოგიას: ჭალადიდი-მუხური როჟა из старых дубов „ძველისძველი მუხების ტევრი“ (პანი, 1916).

ჭალადიდი საქმაოდ ვრცელ ტერიტორიას ეწოდებოდა რიონის ორივე ნაპირას რამდენიმე კმ. მანძილზე. იგი ამჟამად დაყოფილია ქვემო ჭალადიდის

თემის საკრებულოდ (ხობის მუნიც.) და ზემო ჭალადიდის თემის საკრებულოდ (სენაკის მუნიც.).

ჭალადიდი სოფელია სამეგრელოში (გიულდ., 1962, გვ. 323). „ჭალადიდი რიონსკაიადან თვრამეტ ვერსზე ძევს და წარმოადგენს სოფელს, სადაც ორასზე მეტი სახლია, ას თოხმოცი სახლი ფაზისის მარცხენა ნაპირზე დგას, ხოლო ოციოდე – მარჯვენაზე“; ჭალადიდელები ზაფხულობით „აწარმოებენ სახელმწიფოსათვის ტვირთის გადაზიდვას. მათ ეკუთვნით უდიდესი რაოდენობა იმ გემებისა, რომლებიც ფაზისზე დაცურავენ. ისინი ეწვიან აგრეთვე მეთევზეობას...“ ზამთრობით ნადირობას...“ (გამბა, 1987, გვ. 139). ავტორი სქოლიოში განმარტავს: „ამ სოფლის ახლოს გაყვანილია არხი, რომელიც ცივამდე აღწევს და რომელმაც სამდინარო კომუნიკაცია დაამყარა ფაზისა და ხობს შორის (იქვე, 1987, გვ. 138).

ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ოდიშს, სადაც მე მოვინდომე, დალიძგას, ანაკრიას, ფოთს, ჭალადიდს, წყალიგზას, გულველისკარს, ეკალს, საქუჩულორიოს, ჩუენი გამორჩეული მეთევზენი და სხვა კაცები დადიანმან პატრონმან ლეონ მისდა სადლეგარძელოდ მისი სულისათვის შესწირა და ყოველსა წელიწადსა სულისათვს ტრაპეზი გაიჩინა“ (ქსძ, III, გვ. 500-501).

ჭალაი. 1616-1621 წწ. საეკლესიო საბუთში აღნიშნულია: „მართებს ჭალაის სასახლის მიმდგამსა კაცებსა“ (ქსძ, III, გვ. 467). აქ დასახელებულია ცაიშის ეკლესიის ბეგარის გადამხდელთა რამდენიმე ათეული კომლის სახელ-გვარები. მაშასადამე, ეს ჭალაი იგივეა რაც ჭალა.

ჭალენჯიხა, გიულდენშტეგდტის მიხედვით, სოფელია სამეგრელოში (გიულდ., გვ. 323). ჭალენჯიხა არის

იგივე დღევანდელი წალენჯიხა, ქალაქი და
მუნიციპალიტეტის ცენტრი ჭანისწყალის ზემო წელზე.

ჭანისწყალი (ადგ. ვარიანტი: წენწყარი) – მდინარე.
სათავე აქვს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, 1960 მ.
სიმაღლეზე. სიგრძე 63 კმ. მდინარის ზემოთში
მდებარეობს კურორტი სქური, შუა წელზე – ქალაქი
წალენჯიხა. ერთვის ხობისწყალს მარჯვნიდან
(წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის
მუნიციპალიტეტები). აღნიშნულია არქანჯელო
ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს
რუკაზე“ (ორივე 1654 წ.). მდინარე ჭანისწყალს
ასახელებს ანტიოქიის პატრიარქი მაკარიც
წალენჯიხის მონასტერში 1665 წელს დაწერილ
შთაბეჭდილებათა წიგნში. ვახუშტი ბატონიშვილის
საისტორიო-საგეოგრაფიო ნაშრომის მიხედვით
ჭანისწყალი უშუალოდ ერთვის შავ ზღვას ხოფ.
ხოფასთან, რაც მნიშვნელოვანი უზუსტობაა. იმავე
ავტორის აზრით, მდინარეს ჭანისწყალი დარქმევია
„ჭელენჯიხის გამო“ (ქცხ. IV, 1973, გვ. 778). მაგრამ
ნაშრომის ერთ-ერთ ხელნაწერში იმ სტრიქონის
გასწვრივ, სადაც დასახელებულია მდინარე
ჭანისწყალი, აშიაზე არის მინაწერი „ჭანიას წყალი“
(ალბათ გადააზრების შედეგი).

არქანჯელო ლამბერტი ჭანისწყალს ასახელებს იმ
მდინარეებს შორის, რომლებიც კავკასიის მთებიდან
მოედინებიან და მიიმართებიან ზღვასთან შესართავად
(ლამბერტი, 1991, გვ. 12). გიულდენშტედტის
ჩვენებითაც, ჭანისწყალი მდინარეა ოდიშში, მოედინება
მთებიდან და უერთდება შავ ზღვას (გიულდ., 1962, გვ.
321). ლამბერტი ამასაც აღნიშნავს: „ხოფის შემდეგ რომ
მდინარეა, მკვიდრნი უწოდებენ მას ჭანისწყალად და
რუკებზე კი იწერება Cianeo. ეს მდინარე შეერთვის
ხოფს... ჩემის აზრით, ეს სახელი იმიტომ ეწოდება ამ

მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნავებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ჰანი“ (ლამბერტი, 1991, გვ. 162). სინამდვილეში ჰანისწყალი ხობისწყლის მარჯვ-შენაკადია ქ. ხობის ზემოთ რამდენიმე კმ-ზე.

მაკარი ანტიოქიელი სამეგრელოში მისი უოფნის ამსახველ ჩანაწერებში აღნიშნავს: „დაწერა ეს გლახაგმა მაკარი პატრიარქმა თავისი ხრწნადი ხელით, აგვისტოს თვის ოთხს, სამყაროს შექმნიდან 7173 წელს (ე.ი. 1665 წელს – პ.ც.) ჰანისწყალის მონასტერში, როდესაც იქ ვიყავით. ეს მონასტერი მეგრელთა ქვეყანაშია, ქართველთა ქვეყნის მეზობლად“ (ანტიოქიელი, 1982, გვ. 122). შენიშვნა: „ჰანისწყალის მონასტერში“ იგულისხმება წალენჯიხის ცნობილი მონასტერი. ანტიოქიის პატრიარქს წალენჯიხაში თან ახლდა თავისი შვილი მთავარდიაკვანი პავლე ალექოელი. სწორედ ამ გარემოების გამო წერს: „როდესაც იქ ვიყავით“ (პავლე ალექოელი გარდაიცვალა 1669 წ. თბილისში და აქვე დაიკრძალა).

ჰაქვინჯი სოფელი და საკრებულოს ცენტრია ოდიშის დაბლობზე, მდ. ჰანისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 130 მ. ზუგდიდიდან 16 კმ. ისტორიაში ცნობილი ჰაქვინჯის ციხესიმაგრე სინამდვილეში მდებარეობს სოფ. ჯიხასკარში. საქმე ისაა, რომ ჯიხასკარი უწინ ჰაქვინჯის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა. ამ ციხესიმაგრეს ჯიხასკარელები უწოდებენ „ჯიხას“. იგი ადრეფეოდალურ ხანაში უნდა იყოს აგებული. „ჰაქვინჯის ციხე“ მოხსენიებულია „დავითისა და კონსტანტინეს წამებაში“, რომელშიც გადმოცემულია VIII ს-ის ამბები. აღნიშნული ციხესიმაგრე უმნიშვნელოვანესი გზების შესაყარზე მდებარეობს (სვანეთის გზაც, რომელიც ჰანისწყლის სათავეს სქურთან გამოივლის, სწორედ აქ უერთდებოდა შუა

სამეგრელოს გზას). სიდიდითა და სიძლიერით ამ ციხესიმაგრეს ოდიშის საერისთავოს ვერცერთი სხვა ამგვარი ნაგებობა ვერ შეედრება. ამიტომაც ოდიშის საერისთავოს ცენტრი სწორედ ჭაქვიჯშია საძებნი (ბერაძე, 1967, გვ. 141). ჭაქვინჯის ციხესიმაგრე შედგება ციტადელისა და ქვედა ციხისაგან. არქეოლოგიურმა გათხრებმა მშენებლობის რამდენიმე ფენა გამოავლინა. I ფენა III-IV საუკუნეებს მიეკუთვნება, II – დაახლოებით VIII-IX საუკუნეებს, ხოლო III – XVI-XVIII საუკუნეებს. ციტადელი აღმართულია მაღალი მთის თავზე. გარს ერტყმის გალავანი ჩაშენებული კოშკებით. ციტადელი ქვედა ციხეს უკავშირდება ჩრდ. ფერდობზე გაყვანილი გვირაბით. ციხეში წყაროც იყო. დარჩენილია კარის ეკლესიის ნაშთიც. აკ. ჭაქტურია აღუფროვანებია ჭაქვინჯის ციხის გრანდიოზულობას: „ჭაქვინჯის ციხე ისევე მედიდური და გრანდიოზულია, როგორც რუხის ციხე, მაგრამ ერთი დიდი განსხვავებით. როდესაც რუხის ციხის შეხედულობა შიშსა გგვრის, ჭაქვინჯის ციხე პირიქით – გხიბლაგს... ჭაქვინჯის ციხე ყოველმხრივ კაპლურია (კალანდია, 2006, გვ. 398).

ისტორიული წყაროების თანახმად, ჭაქვინჯი იყო სახასო, ე. ი. მთავრის კუთხინილი სოფელი. პაგასიაზე მრავალი საყურადღებო გამოკვლევის ავტორი, წარმოშობით გერმანელი მკვლევარი კარლ ჰანი ჭაქვინჯს განმარტავს როგორც „ქვიშიან ჭას“ (?). (ჰანი, 1909), გიულდენშტედტს ოდიშის სოფელთა შორის დაუსახელეს: ჭაქვინჯი, ციხე (გიულდ., 1962, გვ. 325).

ქართულ საისტორიო წყაროებში ჭაქვინჯი ცნობილია ჭაქითი ფორმითაც. ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო-საგეოგრაფიო შრომაში დასახელებულია ფორმები: ჭაქითის ციხე (ორგან) და ციხე ჭაქითი (ერთგან), კერძოდ, ოდიშის აღწერაში

ნათქვამია, რომ ხორგის წყალზე (იგულისხმება ხობისწყალი) "მთის ძირში, უნაგირს ჩრდილოთ არს ციხეჭაქვითი და სასახლე დადიანისა (ქ. ცხ. IV, 1973, გვ. 778), ხოლო სხვა ადგილას ნათქვამია, რომ სვანეთს თავშეფარებული ვამებს დადიანის მოდალატურად მოკვლის შემდეგ ვახტანგ მეფემ „მოსრნა ურჩინი ოდიშს, მოსტყუევნა, აღიღო ციხენი და მოადგა ჭაქვითის ციხესა, აღიღო იგიცა"… ხოლო ზუგდიდს ჩასულმა ოდიშის მთავრად დასვა ლევან III შამადავლე. ეს ყოველივე მომხდარა 1662 წელს. მოკლე დასკვნა: ჭაქვინჯი უფრო ჯიხაშკარს ერქვა, დღევანდელი ჭაქვინჯის ძველი სახელი კი ქუატახტია.

ხალხური ეტიმოლოგია: „სამოსახლო ადგილებს ემებდნენ და უთქვამთ, ზოგან ჭე ქვინჯი "ცოტათი ჩადაბლებული" ადგილი არისო. ამიტომ დარქმევია ჭაქვინჯი.

ჭელენჯიხი, ჭენჯიხი – ასეა დასახელებული წალენჯიხისა ვახუშტის „აღწერაში“ (იხ. აქვე: წალენჯიხისა).

ჭყონდიდი დღევანდელი მარტვილის უწინდელი სახელწოდებაა. ტაძარი, რომელიც მაღალ ბორცვზეა გაშენებული, ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლია. იგი მიეკუთვნება VI საუკუნეს. XII საუკუნის დასაწყისიდან ჭყონდიდელობა საქართველოს უმაღლესი კუთხირის ტიტულს წარმოადგენდა.

მნიშვნელოვან საისტორიო წყაროში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ ნათქვამია, რომ ანტონ გლონისთავისძეს რომელიც იყო „ჭეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა… დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი და… მწიგნობართუხუცესობა“ („ქ. ცხ.“, 1959, გვ. 123). როგორც ცნობილია, „მისცეს ჭყონდიდი“ ნიშნავს ჭყონდიდელობას.

როგორც ქართლის მატიანე მოგვითხრობს, გიორგი აფხაზთა მეფემ „ადაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეფისკოპოსოდ და განაშუენა იგი სიმრავლითა წმიდათა მარტვილთაითა“. „დადიანის მიწაზე“ რუსთა ელჩობის (1639-1640 წლ.) აღწერაში ნახსენებია „Хоньиди“ და „Чондиди“ (ელჩობა, 1888, გვ. 359, 366). სამეგრელოში მოქმედ 6 საეპისკოპოსო ეკლესიას შორის არქანჯელო ლამბერტი ასახელებს ჭყონდიდის წმინდა მოწამეთა სახელობის ეკლესიას. მისი ეპისკოპოსი იწოდება ჭყონდიდლად (ლამბერტი, 1991, გვ. 107).

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით: „სამეგრელოში ხე-მცენარეთა ოაუგანისცემის არსებობის საუკეთესო დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს ძველ საქართველოში განთქმული ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს და, ოავდაპირველად, უმარესია მუხა მსახურების სალოცავ ადგილად უნდა ყოფილიყო. ეხლა იქ მუხის მაგიერ განთქმულია დიდი ცაცხვი“ (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 134). ჩემი დაკვირვებით, ადგილობრივი მეგრულად საუბრისას არაიშვიათად იტყვიან „ჭყონდა“ ვარიანტსაც (ჰაპლოლოგია: ჭყონდიდი → ჭყონდი. სქურდი ← სქურდიდი...).

ხარენტი – ასე აღნიშნავს ადრიანე ცხენისწყალს (იხ.).

ხაუშელი. ხაუშელი ყოფილა სოფელი მეფის სასახლით ოდიშის ჩრდილოეთ ნაწილში, დღევანდელ სამურზაყანოსა თუ აბუუაში, სოფ. დალიძგას მახლობლად (ოკუჯავა, 1998, გვ. 77). 1616-1621 წლ. შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ აღნიშნულია: „არს ხაუშელს სასახლე და მართებული გამოსავალი მოსაკრებლობაი“, აქვე სახელითა და გვარით

(იშვიათად სახელით ან გვარით) წარმოდგენილია რამდენიმე ათეული საეპლებიო ყმა (ქსძ, III, გვ. 431 და შემდგომი). ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მაღაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ხაუჟელს სასახლე აოხრებული იყო და მომცრო ადგილი იყო და გარშემო სხვისი ადგილები იყო და ჩემის თეთრითა მიყიდია და გამიმატებია და სასახლე ამიშენებია...“ (ქსძ, III, გვ. 500).

სეთა – სოფელი ხობის მუნიციპალიტეტში, ადმ.-ტერიტ. ერთეული ურთის მთის კალთებსა და ოდიშის დაბლობზე, სოხუმი-თბილისის საავტომობილო და სარკინიგზო ტრასებზე. მაღაქია კათალიკოსის მიერ 1616-1621 წლებში შედგენილ „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ საცაიშლო სოფლების – დარჩელის, ჩოხათის, ჭალას – გვერდით დასახელებულია ხეთაც (ქსძ, III, გვ. 470, 481. იხ. ვარიანტი **ხევთა** გვ. 474); ამასთანავე, „კათალიკოს მაღაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხაში“ აღნიშნულია: „არის ხეთას მსახური 30“ (ქსძ, III, გვ. 481).

არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, მდ. ხეთა ჩამოედინება კავკასიის მთებიდან, სჭრის მთელს სიგრძეს კოლხიდისას და მიმართება ზღვასთან შესართავად (ლამბერტი, 1991, გვ. 12). **შენიშვნა:** როგორც ჩანს, არქანჯელო ლამბერტი გულისხმობს მდ. ხობისწყალს. უან შარდენის მიერ დასახელებული „Ketas, როგორც ვარაუდობენ, უნდა იყოს ხობის მუნიციპალიტეტის დღევანდელი სოფელი ხეთა.

ვახუშტი ბატონიშვილი ოდიშის აღწერისას აღნიშნავს, რომ ხორგისწყლის „ჩრდილოთ, მთისბირას, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა“ (ვახუშტი, 1973, გვ. 778). გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ხეთა დიდი სოფელია ოდიშში (გიულდ., 1962, გვ. 325). ცნობილი ხეთის ციხესიმაგრე სინამდვილეში

მდებარეობს სოფ. ხამისკურში (შედის ხეთის თემში). მისი აშენების თარიღის შესახებ ცნობები არ შემონახულია. ხობის მუნიციპალიტეტის საეკლესიო და სხვა ისტორიული ძეგლების მკვლევარი გოგიტა ჩიტაიას აზრით, იგი უნდა აშენებულიყო XVII საუკუნემდე. XVII საუკუნის სახარებაზე მინაწერში ანიკა ქორთოძე აღნიშნავს, რომ მან აფხაზების თავდასხმის შიშით მოტაცებული ერთ-ერთი ხატი დაასვენა ხეთის ციხის საჯვარეში, ანუ კარის ეკლესიაში (ჩიტაია, გვ. 70-71).

ხეთი. „ენგურს იქით არის ხეთი, რომელსაც სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ... ზღვას შეერთვის გაგიდასთან“ (ლამბერტი, 1991, გვ. 163). ამასთან დაკავშირებით მთარგმნელი შენიშნავს „ამ მდინარეს დღეს გაგიდა ჰქვია“. ჩვენი აზრით, არაა გამორიცხული, „ხეთი“ იყოს მდინარე ერისწყალი, ოქუმის მარცხ. შენაკადი.

ხვითი. ძველისძველი გეოგრაფიული სახელია. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ (ორივე 1654 წ.) შეშელეთსა და სიდას შეა აღნიშნულია დასახლებული პუნქტი Quiti ხვითი.

ხვითი ამჟამად ეწოდება დელეს – ხუმუშქურის შენაკადს სოფ. საშამუგიოში. უტყუარი ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. ხვითო მეგრულში არის კვერცხი, რომელსაც ვითომ გველი დებს, გადატანით კი აღნიშნავს მარგალიტს, საუცხოო და ძვირფას რამეს ან კიდევ ეშმაკსა და გულთმისანს. ხალხური გადმოცემით, ხვითი ერქვა კაცს, ვინც ამ დელის სათავესთან ცხოვრობდა (შენიშვნა: კარტოგრაფიული წარწერა Quiti ქართულად გადმოაქვთ როგორც ქვითი და ასეც განმარტავენ: ტოპონიმი მომდინარეობს სიტყვა ფქვილიდან, რომელსაც ზანურად ეწოდება ქვითი (<

ქვირი). ამავე ფუძესთანაა დაკავშირებული კვიტოული (ქვითოული) და ქვიტირი (ოკუჯავა, 1999, გვ. 236). ამგვარი დაკავშირება ტოპონიმ ხეითისა და აპელატივ ქვირისა ჰქეშმარიტებისაგან შორს დგას.

ხიბულა სოფელიდ ხობის მუნიციპალიტეტში, ხობისწყალსა და ჭანისწყალს შუა. ხიბულა (//ხიბლა) იყო საერთო სახელი ჭანისწყლის მარჯვ. და მარცხ. ნაპირებზე მდებარე დასახლებებისა სანამ იქ ორი სასოფლო საბჭო დაარსდებოდა – ახალხიბულისა და ძველი ხიბულისა. ძველი ხიბულის ცენტრში, სქურჩის მარჯვ. ნაპირას იყო ეკლესია „მთავარანგელოზი“. ამ სოფლის სახელწოდების აღგ. ვარიანტია: ჯვეშხიბლა. ხალხური ეტიმოლოგია: „მაია დადიანს, რომელსაც აქ სასახლე ჰქონდა (და აქვეა დაკრძალული), ერთხელ აფხაზურად უთქვამს, ახგბ „მომწონს; ლამაზია“. ამიტომ დარქმევია.

ხიბულა ქართულ წყაროებში პირველად მოიხსენიება 1525-1550 წლებში შედგენილ „ბიჭვინთის იადგარში“. სავარაუდოდ 1616-1621 წწ. შედგენილ „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხაში“ აღნიშნულია: „არის ხიბულას აზნაურისშვილი და მსახური 30“ (სქმ, III, გვ. 481; იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 502). 1616-1639 წლებში შედგენილ ბიჭვინთისადმი შეწირულობის წიგნში კი კათალიკოსი მალაქია გურიელი ამბობს: „ხიბულას საყდრის იარაღისათვის ციხე სალაროდ გამიკეთებია, შიგან ორი კვამლი კაცი დამისახლებია, საყდარი, სახლი და ჩარდახი დამიდგამს და ერთი სასახლეთ ის გამიკეთებია“

1706 წელს დაწერილ საეკლესიო საბუთში კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე წერს: „არმანია ყვაპისეული კაცი მაგიერშიდ ამოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ“ (იქვე, გვ. 648; იხ. აგრეთვე: გვ. 470). ხიბულა აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის

„სამეგრელოს რუპაზე“, რომელიც ჩართულია 1654 წელს ნეაპოლში გამოცემულ „სამეგრელოს აღწერაში“ და აგრეთვე ამავე წლით დათარიღებულ ეწ. ლათინურენოვან რუპაზე (პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა). ამის გარდა, ქრისტოფორო კასტელის (XVII ს. პირველი ნახევარი) ნახატების ალბომში ეკლესიის გამოსახულების ქვეშ მიწერილია: „სოფ. ხიბულის მთაზე ეკლესია“ (სურათი № 454, გვ. 174).

ხიბულა პირველად დასახელებულია 1621 წელს: „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებვლობის დავთარში“, სადაც ვკითხულობთ: „არს ხიბულას სასახლე და გამოსავალი მართებული მოსაკრებლობა“, სადაც ჩამოწერილია, თუ რა სახის ბეგარა მართებოთ ამ ხოფლის საეკლესიო გლეხებს (ქსძ, III, გვ. 414). ისინი წარმოდგენილნი არიან სახელ-გვარებითი. ამ გვარებს შორის სიმრავლით გამოირჩევა გვარი ქავთარია, ქარცხია, ლომაია, ზარქუა (იქვე, გვ. 414-419). ხიბულა გაშლილი იყო საქმაოდ ფართო ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად ორი თემის საკრებულოა – ახალხიბულისა და ძველი ხიბულის ხოფლის საკრებულო.

ძველი ხიბულის ცენტრში, სქეურჩის მარჯვ. ნაპირას, იყო ეპლესია „მთავარანგელოზი“. სოფლის სახელწოდების ადგ. ვარიანტია: ჯვეშხიბლა.

1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ აღნიშნულია: „არის ხიბულას აზნაურიშვილი და მსახური 30“ (ქსძ, III, გვ. 481). ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ხიბულას საყდრის იარაღისათვის ციხე სალაროდ გამიკეთებია... ხიბულას გამოღმა სასახლისათვს გამიმატებია დიდი დარბაზი...“ (ქსძ, III, გვ. 502).

სალექსიკონო განმარტებანი ასეთია: „**ხიბულა** – ქვის კედლის ამოყვანა მშრალი წყობით; ქვის დაყრა; **ხიბილი** – ჩახერგილი, ყორე, ხერგილი; **ხიბულა** – შემოყორილი ადგილი“ (ო. ქაჯაია).

დავით დადიანის ეულ აღმ.-ტერიტ. დაყოფისა და თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების კომლობრივი აღწერის (1886 წ.) მასალებში სოფელი ხიბულა დასახელებულია ზუგდიდის მაზრის შემადგენლობაში. ხიბულის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირზე, მოგვიანებით დაერქვა ძველი ხიბულა და გამოიყო ცალკე სოფსაბჭოდ. "საქართველოს სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის" 1930 წლის გამოცემის მიხედვით, ხობის რაიონში გამოყოფილია ახალხიბულის სასოფლო საბჭო, რომელშიც შედის სოფლები: ახალხიბულა (ც.), გაშფერდი, პირველი ზუბი და ხიბულა. ამ უკანასკნელში ცხოვრობდა 587 კომლი (2432 სული).

ხერდილი სოფელია სამეგრელოში (გოულდ., 1962, გვ. 323).

ხობი – ქალაქი და მუნიციპალიტეტის ცენტრი სამეგრელოში, მდ. ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, სოხუმი-თბილისის საავტ. ტრასაზე. ზ.ღ. 25 მ., თბილისიდან 312 კმ (რკინიგზით 285 კმ). ზუგდიდიდან 27 კმ., შავი ზღვიდან (ყულევიდან) 26 კმ. ხობის ცნობილი ტაძარი (XIII ს. დასასრული) დგას ბორცვზე დღეგანდელი ქ. ხობიდან 2,5 კმ-ზე. ძველად ხობი სწორედ იქ მდებარეობდა. საბჭოთა პერიოდში ხობის მონასტრის გარშემო მდებარე სოფელს ეწოდებოდა მეორე ხობი. ხობის პირველ მოხსენიებად უნდა ჩაითვალოს XIII-XIV სს. ჯვრის მონასტრის აღაპებში მოცემული ცნობა: „ეგნატე ხობის წინამდღვარი“ (იხ. ხობის მონასტერი, 2002).

ხობი და მისი ვარიანტები ხოფი, ხოპი არაერთგზის არის დასახელებული ქართულ და უცხოენოვან წერილობით წყაროებში. 1569 წელს შედგენილ „შეწირულების წიგნში“ შეტანილია ფორმა ხოფი. ნიკოლოზ ხოფელი (წულუკიძე) წერს, რომ მას თაორისაგან უყიდია, მოუნათლავს და ხოფს დაუსახელებია სქვამიკოჩა ფაცია (ფაცია ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია დღევანდელ სამეგრელოში განსაკუთრებით ზუგდიდისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში).

ზემოთ დასახელებული სიგელის მინაწერში კი ვკითხულობთ: „კიდევ ამას გარეთ ზამან ბარძიმისშვილი მოკვდა და მის ნიშანსა და ნაწირევში ამიყვანია ივანე სარჯელია და კაკულიაი სერგია და ხატისდა შემიწირავს ხოფის ღმრთისმშობლისათვის მათის ცოლ-შვილით, სახლ-კარითა, ჭურ-მამულითა, მისის ყოვლის ფერითა“ (ქსძ, III, გვ. 275. ციტატის მართლწერა დაცულია). დასახელებულ „შეწირულების წიგნში“ ისიც ჩანს, რომ ხობის მონასტერში ზის კაისკოპოსი და მისი ზედწოდებაა „ხოფელი“. აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს 1706 წელს ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს „ხობს სამი მოსახლე კაცი სადადიანო“ (ქსძ, III, გვ. 647).

ხობი, როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, ერქვა სოფელს ხობის მონასტერთან, საბჭოთა პერიოდში იგი შედიოდა ნოჯიხევის სასოფლო საბჭოში. სოფელი ამჟამად გაუქმებულია. ხოლო იმ ადგილს, სადაც გაშენებულია ქ. ხობი, ერქვა ოხარჩალე. აქ ნიკოლოზ მეფის დროს გაუყვანიათ სამხედრო გზა და გაუშენებიათ „ახალი ხობი“. მას საბჭოთა პერიოდში დაერქვა სოფელი ხობი და 1961 წელს მიიღო ქალაქის სტატუსი.

რუსთა ელჩობის (1639-1640 წწ.) დღიურებში ხობი დასახელებულია როგორც ხაბი, ისე ხინი ფორმებით (ელჩობა, 1888, გვ. 373). ოდიშის სოფელთა შორის გიულდენშტედტს (გიულდ., 1962) დაუსახელეს „ხობი, არა კხოფა“. აქ ყოფილა დიდი ეკლესია, რომელიც პატრიარქს ეკუთვნის (გიულდ., 1962 გვ. 325); მდინარე და სოფელი. უაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობაში“ წარმოდგენილია Khorpi ფორმით, რაც მთარგმნელს გადმოაქვს როგორც ხობი. სწორედ ამ ხობის შესართავთან არის ციხე რედუტკალე (გამბა, 1987, გვ. 83). ამ რედუტკალესა და სოხუმკალეს შორის ასი ვერსია. „მდინარე ხობი ძლიერ დაკლაკნილია და ყოველ მოსახვევში... მორევია“ (იქვე, 1987 გვ. 117). „ხობი, ისევე როგორც ფაზისი, სამეგრელოს დაბლობზე მიედინება, მაგრამ მას გაცილებით ნაკლები სისწრაფე აქვს“. ხობის ლოკალიზაცია ასეთია: „ხობიდან სახარბედიოს საგუშაგომდე მხოლოდ 8 ვერსს ანგარიშობენ“ (იქვე, გვ. 122). „მანძილი ხობიდან ზღვამდე პირდაპირი ხაზით სამოცდაათი ვერსი ძლიერ იქნება, მაგრამ მდინარე ისეა დაკლაკნილი, რომ მისი ნაპირის გაყოლებაზე გაყვანილი გზა ას ვერსზე მეტი მაინც იქნება“ (იქვე, გვ. 98). აქაც გარკვეული უზუსტობაა: მანძილი სოფელ ხობიდან შავ ზღვამდე (ყულევამდე) 25 კმ-მდეა. იმ დროს ხობი მდებარეობდა მდ. ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე, მისი შესართავიდან 20 კმ. დაშორებით. იგულისხმება სოფელი, რომელიც ისტორიული ხობის მონასტრის ირგვლივ მდებარეობდა (და არა დღევანდელი ქ. ხობი).

ჯუზეპე მამპი თავის თხზულებაში აღნიშნავს: „მეც მინახავს იგი (ქრისტეს კვართი – პ. ც.) ხობის ეკლესიაში, სადაც ის ინახება“. გამბას მოგზაურობის წიგნში დასახელებულია ხობის მონასტერიც: „ხობის

მონასტრის მახლობლად ამზადებენ... აგურსა და კრამიტს“. გამბას თარჯიმანმა 10-12 წლის ბიჭს პკითხა, „სად მიღიხარო; ბიჭმა უპასუხა, ხობის მონასტერშიო“. „ხობი, ძველი კიანეი, რომლის ნაპირებზეც რედუტ-კალე მდებარეობს, ისტორიული თვალსაზრისით არაფრით არ არის ცნობილი“ (გამბა, 1987, გვ. 100).

ხობი დასახელებულია იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის მოგზაურობის (XVII ს. 70-იან წლები) ჩანაწერებში: „ ...

„“ ტოლოჩანოვისა და იევლევის ელჩობის აღწერაში (1651-51 წწ.) ხობი აღნიშნულია „Хоти“ ფორმით: „ ,

,

“ (ელჩობა იმერეთში, 1926, გვ. 158).

დონ კრისტოფორო დე კასტელის „ცნობებისა და ალბომის“ თხრობითს ნაწილში ორგან არის დასახელებული ადგილის სახელი Copi (გვ. 390,394), რაც ქართველი მთარგმნელის მიერ გადმოტანილია ერთ შემთხვევაში როგორც ხოფი, ხოლო მეორე შემთხვევაში როგორც – ხობი: „სხვა რელიკვიები, როგორიცაა ჩვენი უფლის კვართი, უფლის დიდი-დედა, ხოფის მონასტერშია“ (კასტელი, 1977, გვ. 172); „ხობის განთქმული ეკლესიის სურათი, რომლის შიგნით ლამაზად მორთული თადის ქვეშ, შემონახულია სათაყვანებელი რელიკვიები, ჩვენი უფლის და დვთის დედის, ქალწული მარიამის კვართები“ (იქვე, გვ. 176).

ვახუშტი ბატონიშვილი თდიშის გეოგრაფიული აღწერისას აღნიშნავს, რომ ჭანისწყალი "გამოსდის მისგე კავკასია და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ზღუას ხოფს (? – პ. ც.). ამ მდინარის ჩრდილოთ კერძოდ, ზღვს კიდეზედ არს ხოფი. აქ არის ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული. აქ ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოვლად წმიდის

ღვთისმშობლისა, სასწაულმოქმედი" (ვახუშტი, 1973, გვ. 778). (სიზუსტისათვის: ჭანისწყალი უერთდება მდინარე ხობისწყალს მარჯვ. მხრიდან ხობის მონასტრის პირდაპირ. ვახუშტი ბატონიშვილი დას. საქართველოს გეოგრაფიულ ობიექტებზე სხვათა და სხვათა მონათხოვის მსჯელობს).

გავრცელებული ეტიმოლოგიის თანახმად, ხობი, ანუ ხოფი, მეგრული სიტყვაა და ნიშნავს წყლის მოსახმელ ნიჩაბს, ჩაღრმავებულ ადგილს ან რაბს – წისქვილის არხის გადასაკეტს. სავარაუდებელია: ქართ ხევი : მეგრ. ხობი.

ხობის მონასტერი (ზოგი წყაროს მიხედვით, ხოფის) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მამათა მონასტერია მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირის მაღლობზე, დღევანდელი ქ. ხობიდან 2,5 კმ-ზეა აშენებული XIII ს. დასასრულს. როგორც მკვლევარი გოგიტა ჩიტაია აღნიშნავს, „ხობის ტაძრის აშენების შესახებ ზუსტი თარიღი არ არსებობს. ამ საკითხის ირგვლივ მეცნიერებს სხვადასხვა აზრი აქვთ. XVII საუკუნის შუა ხანებში სამეგრელოში მყოფი ათონელი ბერები – აბესალომი და იოსაფი – მის აშენებას ბერძენთა კეისარს ჰერაკლეს (VII ს. პირველი ნახევარი) მიაწერენ“ (ჩიტაია, 2007, გვ. 15). ხალხური გადმოცემით, ტაძრის აშენება უკავშირდება დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ცოტნე დადიანის სახელებს. სხვათა შორის, ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც ჩანს, ძველ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს: „ვამსა ერთსა გარდავიდა მეფე გეგუთს და მუნით ხობს“. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ტაძარი აშენდა არა უგვიანეს X-XI საუკუნეებისა, ხოლო ვახტანგ ბერიძის მოსაზრებით – XIII-XIV სს მიჯნაზე. ასევა თუ ისე, ხობის მონასტერი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ საკათალიკოსო რეზიდენციას

წარმოადგენდა (ჩიტაია, 2007, გვ. 16). სამეგრელოს მთავარმა ვამეყ დადიანმა ამ ტაძრის ეგუზერი (სამლოცველო) საგვარეულო საძვალედ გადააქცია და კედლები მოახატვინა. ამ კედლებზე შემონახულია კტიტორების – ვამეყ დადიანისა და მისი მეუღლე მარების – გამოსახულებანი. მოხატულობა ახლოს დგას წალენჯიხის ტაძრის მოხატულობასთან. მხატვრის ვინაობა უცნობია (ქსე, ტ. გვ. 11).

1640 წლის 3 მაისს ბანძა-ჭყონდიდიდან გამომგზავრებულ რუსეთის მეფის ელჩებს – ელჩინსა და ზახარევს – დამე გაუთვევიათ ხობის მონასტერში. მეორე დღეს დაუტოვებიათ იგი და 6 მაისს უკვე ცაიშს სწვევიან (ელჩობა... 1888, გვ. 373). დაახლოებით ამავე პერიოდში ხობს ასახელებენ მისიონერები არქანჯელო ლამბერტი და ქრისტეფორე დე კასტელი. ამ უკანასკნელის ნახატების ალბომში (კასტელი... 1977, გვ. 176, სურათი № 464) ერთ ეკლესიას ახლავს წარწერა: „ხობის განთქმული ეკლესის სურათი“.

ხობის (ძველ საბუთებში: ხოპი, ხოფი) მამათა მონასტრის აშენების თარიღზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს (VII ს. პირველი ნახევარი; IX ს.; X-XI სს.; XIII ს. პირველი ნახევარი). მაგრამ ის კი სადაცო არ არის, რომ თანამედროვე ტაძარი XIV ს. დამდგენ აუგია გიორგი I დადიანს. იგი კიდევაც არის გამოსახული კედლებზე ეკლესის მოდელით და წარწერით „ამ საყდრის აღმაშენებელი ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი გიორგი“.

სამონასტრო კომპლექსის სხვადასხვა ნაგებობის აშენებისას გამოყენებულია ვამეყ დადიანის (ზეობდა 1384-1396 წწ.) მიერ ჯიქეთის დარბევის შემდეგ იქიდან წამოდებული მარმარილო. XVI საუკუნის პირველ ნახევარში ხობის მონასტერი საეპისკოპოსო ტაძარი

ჩანს. იმერეთის მეფის მიერ 1432 წ. გაცემულ ერთ-ერთ საბუთში მოხსენიებულია ხოფელი ეპისკოპოსი.

ხობის მონასტერში ინახებოდა დვთის შობლის კვართი, ძელიცხოვლის ნაწილი, წმინდანთა ნაწილები. მაკარი ანტიოქიელი, რომელმაც XVII ს-ის 60-იან წლებში რამდენიმე წელი იცხოვრა სამეგრელოში (კერძოდ, წალენჯიხაში) წერს: „მეგრელთა ეპარქიაში ექვსი ეპისკოპოსია. ესენია: ჭყონდიდელი, ხობელი, ცაიშელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი“. „ხობელთან“ მითითებულია: „აქაურ ეკლესიაში დღემდე ინახება დვთის შობლის კვართი. ჩვენ ის ვნახეთ (ვემთხვიერ) და თავი დავიწყალობეთ. ზუსტად მის თარგზე გამოვჭერით პერანგი თეთრი სელისაგან, რათა ჩვენს ქვეყანაში წაგველო და დვთის მშობლისაგან ლოცვა-კურთხევა მიგველო“ (მაკარი ანტიოქიელი, 1982, გვ. 112-113).

იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა XVII ს-ის 70-იან წლებში იმოგზაურა დას. საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში. იგი მდინარე ხობით (ხოპი) გასულა ზღვამდე, მიუღწევია ფაზისამდე, ხოლო შემდეგ – ქობულეთამდე.

1706 წელს შედგენილ „შეწირულების წიგნში“ დასახელებული არიან ბიჭვინტის ღმრთის შობლის ეკლესიისადმი შეწირული გლეხები: "ხობს მოსახლე სამი კაცი სადადიანო: გაჯინედი საარია, მერკვირია გიორგი, ბოლქვაძე ბიბია და მათი შვილები" (ქსმ, III, გვ. 647. იხ. აგრეთვე: გვ. 648, 670, 732, 768, 769). მე-18 ს-ის 20-30-იან წლებში შედგენილ კიდევ ერთ საეკლესიო საბუთში ჩამოთვლილია საეკლესიო გლეხები, რომელთაც შეუწირავთ ხობის ეკლესიისათვის ხუთხუთი „ლოდარიკი“ სანთელი. ესენი არიან: ბაბაკოჩი ბიგვავა, ძლიკვი დიხამიჯია და თაიმაზი; წულაი თუთაშხია და გვაძაბია; ლოდუზხია გოგოლეი; ხუტუ

კოდუა და გოგელი; სუბუქია მამაგული, ბაბადიში და ბიძამისი; ჯგუბურია ჭუჭუ ახალიკონი და მისი ძმები; ელიშია ოსათარა და ვავა (ქსძ, III, გვ. 771). უნდა აღინიშნოს, რომ იგულისხმება არა დღევანდელი ხობი, არამედ კ. წ. მეორე ხობი (ე.ი. ხობის მონასტრის მიმდებარე სოფელი) და მის ახლომახლო მდებარე დასახლებანი.

ხობისწყალი – მდინარე, რომელიც მიედინება ოდიშში და უერთდება შავ ზღვას (გიულდ., 1962, გვ. 321). ჩვეულებრივ, ისტორიულ წყაროებსა და თანამედროვე საენციკლოპედიო ლექსიკონებში შესულია „ხობი“ ფორმით.

ხობოსი – ასე აღნიშნავს მდ. ენგურს მეორე საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ფლავიუს არიანე.

ხოირი. XVI ს-ის დამლევს შედგენილი საეკლესიო საბუთი იუწყება: „არის ხოირს საკათალიკოზო გლეხნი 28 კვამლი“ (ქსძ, III, გვ. 386). 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ აღნიშნულია: „არის ხოირს მსახური 22“ (ქსძ, III, გვ. 481). ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში მალაქია კათალიკოზი (1616-1639 წწ.) აღნიშნავს: „ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე და დავადგმევინე“ (ქსძ, III, გვ. 501).

საერთოდ, ხოირი რამდენიმეგზის არის დასახელებული. მაგრამ ზუსტი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ისტორიული ხოირი არის ამჟამინდელი ოხურეი, რომელიც მდებარეობს სუბვის დასავლეთით.

ხოლე სოფელია რენტის თემში, სამურზაყანოს მთისწინეთში, ერისწყლის ნაპირებზე (გალის

მუნიციპალიტეტში). მაღლობზე, რომელსაც წკელიკარს უწოდებენ, შემონახულია შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი არქიტექტურულ-ეპიგრაფიკული ძეგლი. ესაა X ს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია XII-XIV სს. მიშენებული მკვდერებით. ეკლესიის ნაგრევებში აღმოჩნდა ქართული ასომთავრული და მხედრული წარწერები კედლის მხატვრობის მრავალ საინტერესო ნიმუშთან ერთად. ხოლო თავდაპირველად ერქვა სამარულო მინდორს ერისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ამ სახელწოდებამ შემდეგში მოიცვა წკელიკარიც (ერისწყლის მარცხ. მხარე) და ბოლოს სოფლის სახელწოდებად იქცა სამურზაყანოს მთისწინეთში. XX ს-ის ბოლოს შედიოდა გალის რაიონის რეჩხის სოფსაბჭოში.

ხორგა. ხორგა უწინ ერქვა ვრცელ ტერიტორიას ხობისწყლის ორსავე მხარეს ხობიდან უულევამდე და არაერთგზის არის დასახელებული შუა საუკუნეების საეკლესიო-სამართლებრივ ძეგლებში. ამჟამად აქ ოთხი საკრებულო (ახალსოფლის, პირველი ხორგის, შუა ხორგის, ქარიატის) და ცხრა სოფელია. მათგან ოთხი სოფლის სახელწოდება შეიცავს სიტყვა ხორგას: გამოღმა შუა ხორგა და გაღმა შუა ხორგა შუა ხორგის თემის საკრებულოში; გამოღმა პირველი ხორგა პირველი ხორგის სოფლის საკრებულოში და გაღმა პირველი ხორგა ახალსოფლის თემის საკრებულოში. XVIII ს-ის I ნახევარში შედგენილ საეკლესიო გადასახადების გადამხდელთა სიაში დასახელებულნი არიან „გაღმა ხორგას“ მცხოვრებნი: თაბუნია ხოჭოლავა, ბეჭია გიგიბერია, ინალუხულეფონავა, ბერაია ბაბაკოჩი და ხახუ, ბერაია გურიკავა და შოშიტა, არცანდია ქომოკორდა, აბშილავა გონჯი („ხობის მონასტერი“, 2000, გვ. 48).

ოდიშის სოფელთა ჩამონათვალში ვკითხულობთ: „ხორგა, არა კორგა“ (გიულდ., 1962, გვ. 325). „ითვლება, რომ რედუტ-კალედან ხორგამდე მხოლოდ 23 ვერსია... ხორგის განაპირას მდებარე სახლები... ერთმანეთისაგან პატარა ტყეებითა და დამუშავებული მიწებით არის გამიჯნული“ (გამბა, 1987, გვ. 116).

როგორც 1673-1696 წლებით დათარიღებული „შეწირულების წიგნი“ გვამცნობს, კათალიკოს დავით ნემსაძეს ბიჭვინტის დმრთისმშობლისათვის შეუწირავს ხორგას მცხოვრები ერთი კომლი აზნაურიშვილი მორდებულ გიგიბერია და ცხრა (კვამლი) გლეხი: დასტურაი თომხილი, დასტურაი ბაბუა, დასტურაი კოჩილა, ხოჭალავა ბაბაკოჩი, ხაზავა ხუხუტა, ხაზავა ზვამივალი, ხოჭალავა ხვიჩა, ცხალონია ჯვიბილე „მათის ცოლ-შვილითა, სახლ-კარითა, ჭურ-ბედელ-მარნითა, ტყითა, წყლითა, სანადიროთა, ეკლესიის კარითა, სასაფლაოთა. დღეს რასაც მქონებელნი იყონ მისით ყოვლისფერითა“ (ქსძ, III, გვ. 612). 1706 წელს შედგენილ ასეთსავე „შეწირულების სიგელში“ დასახელებულია ნაპარკევის სასახლე (სხვა საბუთებში: „ნაპარკეულის სასახლე“) ხორგაში და საეკლესიო ბეგრის გადამხდელნი: აზნაური მორდებ გეგებერია და გლეხები: ჭუჭუ დასტურაია, მამაში დასტურაია, ხოგიჯუმა ხოჭოლავა, სარჯელია ხაზავა და ბაბადიშა ხაზავა (ქსძ, III, გვ. 646. იხ. აგრეთვე გვ.: 669, 670, 778, 1016). ამავე საბუთში დასახელებულია გვარი მირცხულავა, ხოლო სხვა საბუთში – ხორგის უბანი, საკუტალიო (იქვე, გვ. 732).

ხორგა, ისევე როგორც ხოფი და ხიბულა, აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკასა“ და ე.წ. „ლათინურენოვან რუკაზე“, რაც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება (ორივე 1654 წ.). ვახუშტი ბატონიშვილი თავის საისტორიო-

საგეოგრაფიო ნაშრომში აღნიშნავს: „ზღუას შესდის ხორგისწყალი, მოიგო სახელი ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაც არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა“ (ვახუშტი, 1973 გვ. 777-778). კათალიკოს დავით ნემსაძეს (1673-1696 წ.) ბიჭვინტის დვორისმშობლისათვის შეუწირავს „ხორგას ერთი კვამლი აზნაურის შვილი გიგიბერია მორდებუ ორის მისის გლეხებითა...“ (ქსძ, III, გვ. 612).

ვახუშტი ბატონიშვილი მდ. ხობისწყალს მხოლოდ ხორგის წყლის სახელით მოიხსენიებს: "ამ ფოთის ჩრდილოთ კერძ შესდის ზღუას ხორგის წყალი. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღვს კიდესა შენისა, სადაც არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა" (ვახუშტი, 1973, გვ. 778). ხალხური ეტიმოლოგია: ხორგა იმიტომ დარქმევია, რომ ყველაფერი უხვად იყო („ირფელი ხორგგდგ").

მეგრულში ხორგ- ფუძისაგან წარმოქმნილი ზმნები გამოხატავენ (სხვადასხვა ზმნისწინებით): 1. ჩახერგვას (გოხორგუა "ჩახერგვა" – მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე ხერგილის გაკეთება); 2. დახვავებას, ბარაქიანობას (დოხორგუა "დახვავება"). საერთოდ, ქართველური ენებისათვის სავარაუდო -ხარგ ფუძის რეფლექსები ჩანს ქართ. ხერგი (\leftarrow ხარგ) და მეგრ. ხორგ, ხურგ: ლაზ. ხორგ. ზმნური ფუძე რაიმეს დახვავებასაც აღნიშნავს (მაგ., წყლის მიერ ხე-ტყის ერთგან მიურას) და ხელოვნურ თუ ბუნებრივ ხერგილსაც. ხორგელები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მიწა ხვავიან-ბარაქიანია და ამიტომ ეწოდება ხორგა. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხობისწყლის ტოტებზე ხშირად დგამდნენ ხორგას – ქვის ან ხის ტოტების საგანგებო ხერგილს, სადაც თევზი საზამთროდ იბუდებს და ადვილი დასაჭერი იყო. ინფ. გ. ბარამია: „ბაბუაჩემი, რომელიც 123 წლისა

გარდაიცვალა, ლაზეთში ხშირად დადიოდა, ამბობდა, რომ იქ ხორგა ნიშნავს დოვლათიან აღგილს. ჩვენშიც ასეა“.

ხორგასთავი. გრიგოლ კათალიკოსის (1696-1742 წწ.) შედგენილ საეკლესიო საბუთში „ნუსხა ხობის შესავალი და შეწირული სანთლისა“ დასახელებულია „ხორგას თავი“ (ქსძ, III, გვ. 770).

ხორგისწყალი. ზოგ საისტორიო წყაროში ასეა აღნიშნული მდინარე ხობისწყალი (იხ. ხობი).

ხოფი. არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოს აღწერაში დასახელებული ხოფი (ლამბერტი, 1991, გვ. 12) იგივე ხობია (მდინარე და სოფელი); „ტეხურს ანუ სიგამეს მოსდევს ხობი, რომელსაც მკვიდრნი დღესაც მსგავს სახელს უწოდებენ – ხოფი. ეს მდინარე ნავით სავალია იმ ადგილამდე, რომელსაც ჰქვია ხოფი. ამ ადგილის გამო თვით მდინარეს ეწოდება ხოფი. აქ არის ეკლესია, რომელიც წინათ საეპისკოპოსო იყო“ (იქვე, გვ. 162). „ბერძენ და რომაელ მწერლებს მოხსენიებული აქვთ ხოფი, „რომელიც შავ ზღვას ერთვის, და რიონის შემდინარეები ყვირილა და ცხენისწყალი“ (ჯავახიშვილი, 1948, გვ. 20).

ხოფი დასახელებულია ხოფის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი ხოფელი ნიკოლოზ წელუკიძის მიერ 1569 წელს შედგენილ „შეწირულების წიგნში“: „...ერთი მოსახლე კაცი თათრისაგან ვიყიდე სქვამიკოჩა ფაცია და მოვნათლე, დაგასახლე ხოფს...“ (ქსძ, III, გვ. 275). აღნიშნული „წიგნის“ დანართში მისი შემდგენლის ხელრთვის წინ ორჯერ არის დასახელებული ხოფის ღმრთისმშობელი და ორჯერაც – ხობის ღვთისმშობელი (ქსძ, III, გვ. 274-275); „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში ნათქვამია: „დადიანმა გუერიელს სისხლის ფასად „მისცა გირაოდ ხოფი“ („ქ. ცხ.,“ 1959, გვ. 503). კათოლიკოს ანტონ

მეორეს 1787 წ. 26 მარტს დაუწერია ბრძანება ხოფის ეკლესიის განახლების შესახებ. აქვეა დასახელებული „ხოფის საარხიმანდრიტო“ (ქსძ, III, გვ. 1035).

ხოფის მონასტერი. ხოფის მონასტერში მარიამ დათისმშობლის სახელობის ეკლესია, სადაც უწინ ყოფილი საეპისკოპოსო კათედრა. არქანჯელო ლამბერტი მას ასახელებს იმ საეპისკოპოსო ეკლესიებს შორის, რომლებიც „ეხლა გადაკეთებულნი არიან მონასტრებად“ (ლამბერტი, 1991, გვ. 107).

ხუდონი. (იშვიათი ვარიანტი: ხუჯონი) – ხუდონი ერქვა ხოფელს ენგურის ხეობაში, სვანეთის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრზე. იგი დაცარიელდა 1949-50 წლებში. ამჟამად ნასოფლარი ხუდონი მოცეულია ენგურის წყალსაცავის ფსკერზე, ენგურის ხეობაში, ჯვარიდან 4-5 კმ-ზე. წერილობით წყაროში პირველად მოიხსენიება 1639 წელს: რუსი ელჩების – ელჩინისა და ზახარევის – „დადიანის ქვეყანაში“ ელჩობის აღწერაში ნათქვამია: რომ მას შემდეგ, რაც მათ გადმოლახეს სვანეთის მადალი ოველიანი მთები და გადმოიარეს სვანეთი, 13 ნოემბერს მოაღწიეს ხოფელ ხუდონს (ელჩობა, 1888, გვ. 318, 340) და ამ ხოფლიდანვე გამგზავრებულან რუსეთისაკენ 1640 წლის 22 მაისს (იქვე, გვ. 374). ზახარიევის მიხედვით, რუსეთის ელჩობას 1639 წლის 13 ნოემბერს მიუღწევია „в Дидианскую землю в Красную деревню в Худони“ (ელჩობა, 1888, გვ. 340). ამავე გვერდზე ხუდონი დასახელებულია კიდევ სამჯერ. სახელწოდება ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჩანს მიწის სახეობის აღმნიშვნელ სიტყვასთან: სამეგრელოში ხუდონდიხა მიწაა ერთგვარი.

ხუნწი. სოფელი ხუნწი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. იგი პირველად მოხსენიებულია XVI ს-ის ბოლოს დაწერილ

„ხონის საყდრის გამოსავლის დავთარში“, სადაც დასახელებულია ხონის ეკლესიის საეკლესიო გლეხები და აღნიშნულია მათი გადასახადები. ერთგან ვკითხულობთ: „მართებს ხუნწს: ლიპარიტიანის შემოწირულს კაცებს ჯაველსა და მამფორიას ორ-ორი საკლავი, ორ-ორი ქათამი...“ (ქსძ, III, გვ. 367). სამეგრელოს სოფლების ჩამონათვალში გიულდენშტედტი აღნიშნავს: „ხუნწი, პატარა ციხე“ (გიულდ., 1962, გვ. 323). ხუნწი იგივე მოცხარია, კენკროვანი მცენარე.

ჯგალი – სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ჭანისწყლის მარცხ., ნაპირას, ზ. დ. 130 მ. წალენჯიხიდან 7 კმ. ზუგდიდიდან 29 კმ. ჯგალის ციხე, რომელიც მოხსენიებულია XVII ს. I ნახევრის წყაროებში, მდებარეობს გორა ჯიხაფერდზე, ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს (ამჟამად სოფ. ლესალეს ტერიტორიაზეა). XIX ს. შუა წლებში (დავით დადიანის მთავრობის დროიდან) ჯგალი შედიოდა ჯვარის მაზრაში.

სოფელი ჯგალი პირველად დასახელებულია 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში – „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“, სადაც აღნიშნულია, თუ რა სახის საეკლესიო ბეგარა (გოჭკომური, საკლავი და სხვ.) მართებთ „ჯგალის სასახლის მიმდგამსა კაცებსა და „ჯგალის ციხის შემავალს კაცებს“ (ქსძ, III, გვ. 471-472, 478-480). 1616-1631 წლებში დაწერილ „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ აღნიშნულია, რომ „ჯგალის სასახლის მიმდგამსა კაცებსა“ და „ჯგალის ციხის შემავალს კაცებს“, ე. ი. საეკლესიო გლეხებს, მართებთ გარკვეული სახის საეკლესიო ბეგარა.

1639 წლის 20 ნოემბერს სოფ ჯვარიდან გამოსული რუსი ელჩები თეოდოტე ელჩინი და პავლე ზახარევი

22 ნოემბერს ჩასულან ჯგალში (მოიხსენიება ჯიგალი ფორმით) და 26 ნოემბერს გამგზავრებულან წალენჯიონაში. ჯგალი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ (ორივე 1654 წ.). ჯგალი სოფელია სამეგრელოში (გუილდ., 1962, გვ. 323). XIX ს. შეა წლებში (დავით დადიანის მთავრობის დროს) ჯგალი შედიოდა ჯვარის მაზრაში. ალ. ქობალიასეული განმარტებით: „ჯგალი – როშკა, ხრეითი, მსხვილი ნაღერდი“. ი. კეკელია კი აღნიშნავს: არაა გამორიცხული, რომ სოფლის სახელწოდება ჯგალ აღნიშნავდეს რიყეს, რეტკს, ქვალორდიან ადგილს, გოროხს, კრიახს (კეკელია, ძიებანი... 2015, გვ. 107).

ჯვარი რაიონული დაქვემდებარების ქალაქია ენგურის მარცხ. ნაპირას, მაგანას შესართავთან. აქ შემონახულია შეა საუკუნეების ციხის ნანგრევები „ყე(ი)ნიაშ ჯიხა“. როგორც გადმოსცემენ, თავდაპირველად ჯვარი ერქვა დასახლებას ენგურისპირა ვაკეზე, ხოლო რამდენიმე ათეული მეტრით ამაღლებულ ფართო ვაკე-პლატოზე მდებარეობდა სოფელი ჯვარზენი (\leftarrow ჯვარიშ რზენი „ჯვარის ვაკე“), სადაც ჯგეგეში – წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში – ყოველი წლის 23 ნოემბერს იმართებოდა გიორგობა (იხ. ჯგეგე). სწორედ ჯვარზენში იყო აშენებული ენგურკესის მშენებელთა ძირითადი დასახლება.

ჯვარი წერილობით წყაროებში (და ისიც რუსულში) პირველად 1639 წელს არის მოხსენიებული: ამ წლის 17 ნოემბერს რუსეთის მეფის ელჩები – ელჩინი და ზახარევი – სოჭ. ხუდონიდან გადასულან სოჭ. ჯვარში (დასახელებულია ჯუარი ფორმით) და აქ დარჩენილან 20 ნოემბრამდე (ელჩობა..., 1888, გვ. 341). სოფელ ჯვარს ასახელებს გიულდენშტედტიც (გუილდ., 1962, გვ. 323). გადმოცემით, ჯვარში ჯვარი დაუსვამს

თვით ანდრია პირველწოდებულს, კოლხეთში ქრისტიანობის პირველ მქადაგებელს.

ჯორიელი. 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთის მიხედვით, ჯორიელი სოფელია ენგურის მარცხ. მხარეს. ამ სოფელში ცხოვრობს რამდენიმე საეკლესიო გლეხი (ქსძ, III, 473). მეცნიერთა ვარაუდით, ჯორიელი მდებარეობდა ზღვის პირას, მდ. ჭურიას შესართავთან.

ჯოცობაწყარი. ჯოცობაწყარი ღელებ. იწყება დიდ ბებესირში და გამოივლის ნაჭაობარ ჯოცობას. ერთვის ცორკას – ზღვის ყურეს (ძ. გუდავა). არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.) მდინარეს, რომელიც დაახლოებით ამ ადგილს მიედინება და პირდაპირ ერთვის შავ ზღვას, ეწოდება Giobaschari. რა თქმა უნდა, ეს არის ჯოცობაწყარი (იტალიურში ო ხმოვნის წინ გi კომპლექსი იკითხება როგორც ჯ). ამასთანავე, პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ლათინურენოვან რუკაზე, რომელიც აგრეთვე 1654 წელსაა შედგენილი (ფაქტობრივად, არქანჯელო ლამბერტის რუკის ასლს წარმოადგენს) და ეწოდება „კოლხეთი, თანამედროვე სამეგრელო“, ამ მდინარეს აწერია Goibaschari, რაც, აშკარად კალმისეული შეცდომაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ რუკის ქართულ ვარიანტშიც ეს მცდარი გოიბაწყარი არის გადმოტანილი (ტაბაღუა, 1986 რუკა ქართულად გადმოღებულია ავთ. თორდიას მიერ ა. ურუშაძის კონსულტაციით).

ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით: სამურზაყანოს მეგრელთა მეტყველებაში ჯოცობა, ჯაყობა, როგორც საზოგადო სიტყვა, აღნიშნავს ჭაობს (ჯოცობა ეწოდებათ უბანსა და ნაჭაობარს ფოქვეშსა და აკვარაშშიც). მიუხედავად ამისა, თეათინელ მისიონერთა კოლხეთის რუკებზე დატანილი

„გიობაწყარის“ სემანტიკასთან დაკავშირებით ასეთი მოსაზრებაა გამოთქმული: „გიობა ძველ ქართულში ნიშნავდა გმობას, გინებას. როგორც ჩანს, სოფელი მდებარეობდა ღელეზე, რომელსაც ახასიათებდა უარყოფითი თვისებები (სიბინძურები, მუდამ მდვრივ, ბუდობდნენ ქვეწარმავლები)“ (ოკუჯავა, 1999, გვ. 233). ალ. ქობალია განმარტავს: „ჯოცობა – დიდი საფლობი, დრმა ლექიანი მდინარე“ ი. კეკელიას ვარიანტი ასეთია: „ჯოცობას ეძახიან ტალახის დიდ საფლობს, დრმა ლექიან-შლამიან მდინარეს“ (კეკელია, 2015, გვ. 107).

ჰერაკლეა – იხ. ანაკლია. იხ. აგრეთვე: ბედოშვილი, ლექსიკონი, I, თბ., 2002, გვ. 35. ავტორის დასკვნა ასეთია: ჰერაკლეასთვის ამოსავალია თურქული „იანიკალე“, რაც ნიშნავს „ახალ ციხეს“

ჰიპპოსი. არქანჯელო ლამბერტი განმარტავს, რომ ცხენისწყალი ის მდინარეა „რომელსაც ძველი ბერძნები ჰიპპოსად უწოდებდნენ“ (ლამბერტი, 1962, გვ. 11). იხ. აქვე, ცხენისწყალი.

ბამოყენებული ლიტერატურა

I. უცხოელთა ჩანაწერები, მისიონერთა, მოგზაურთა და ელჩთა ნაზრევი

არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991 წ. იტალიელი მისიონერი დონ არქანჯელო ლამბერტი საქართველოში რომის კათოლოკური სარწმუნოების საქადაგებლად იყო გამოგზავნილი. 1633 წელს იგი ჯუზევე ჯუდიჩესთან ერთად გორიდან ოდიშში გამოემგზავრა, ლევან დადიანისაგან ეკლესია

და მამულები მიიღო და 16 წელი იცხოვრა ენგურისპირა სოფელ წიფურიაში. 1649 წელს გაემგზავრა სამშობლოში და ნანახი, განცდილი და მოსმენილი გააერთიანა წიგნში „სამეგრელოს აღწერა“. იგი გამოიცა ნეაპოლში იტალიურ ენაზე 1654 წელს. აღნიშნულ წიგნში აღწერილია XVII ს-ის ოდიშის სამთავრო, მისი ბუნება, მოსახლეობა, წეს-ჩვეულებანი.

ავტორი წინათქმაში „მკითხველთა მიმართ“ აზუსტებს: „ამ ჩემს აღწერაში კოლხიდის სახელით იგულისხმება ის ქვეყანა, რომელიც მდებარეობს კოდორსა და ფაზისს შუა და რომელსაც დღეს სამეგრელოს უწოდებენ“... სამდვდელოებისადმი მიძღვნილ თავში (თავი XXII) არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ ოდიშის პატრიარქს ემორჩილება ეჭვი ეპისკოპოსი, ხოლო საეპისკოპოსო ეკლესიები არის დრანდაში, მოქვეში, ბედიაში, ცაიშში, წალენჯიხაში, ჭყონდიდში. ამის გარდა, რამდენიმე საეპისკოპოსო ეკლესია გადაკეთდა მონასტრად. ესენია: ქიაჩის მონასტერი (ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქიაჩაბაში), წიფურიას მონასტერი (მდებარეობდა ენგურის მარჯვენა ნაპირზე), ხოფის მონასტერი, ობუჯის მონასტერი, სებასტოპოლის მონასტერი, ანაკრიას მონასტერი, „რომელსაც ძველად ერქვა ჰერაკლე“ (გვ. 106). (ლამბერტი, 1991).

(1636-1640 .):

, . , 1888 (ქვემოთ: ელჩობა, 1888). 1639 წლის 29 მაისს მოსკოვიდან გამომგზავრებულ ელჩობას (ასტრახანის გავლით) 13 ნოემბერს მოუდწევია დადიანის ქვეყნისათვის. დადიანმა მხოლოდ წლინახევრის შემდეგ მიიღო რუსეთის ელჩები. ამასთან

დაკავშირებით ს. ბელოკუროვი წინასიტყვაობაში
აღნიშნავს: „Московское посольство довольно холодно
было принято Дадианским царём“ (გვ. 30). ელჩინი და
ზახარიევი ერთად მოგზაურობდნენ ოდიშში, მაგრამ
იმპერატორისადმი მოხსენებითი ბარათი ცალ-ცალკე
აქვთ დაწერილი: ელჩინისა გვ. 316-340, ხოლო
ზახარიევისა – გვ. 340-376.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში,
ტ. I., გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ
გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ.,
1962 (გიულდ., თბ., 1962).

იოანენ ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781) იყო
პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის აკადემიკოსი.
საქართველოში ჩამოვიდა 1771 წელს და 1772 წლის
ზაფხულში იმოგზაურა რაჭასა და იმერეთში, ხოლო
ცნობები სამეგრელოსა და ლეჩეცების შესახებ
მოიპოვა იმერეთ-სამეგრელოს საზღვარზე, კერძოდ,
ხონის ბაზრობაზე მყოფ მეგრელებისაგან.
გიულდენშტედტი ამჟღავნებს ქართული მატიანეებისა
და ძეგლების წარწერების ცოდნას. მისი მიზანი იყო
რუსეთის იმპერიის ამ რეგიონის მინერალოგიური
დაზეერვა ეკონომიური სარგებლიანობის
გასათვალისწინებლად. მისი მოგზაურობის ჩანაწერები
დაიბეჭდა 1787-1791 წლებში.

ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში,
ტ. I. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო
მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987 წ. (გამბა 1987).

ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833) ცნობილი მოგზაური
და მეცნიერია. ითვლება, რომ მისი ჩანაწერები ერთ-
ერთი საუკეთესო წყაროა საქართველოსა და
ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების

ისტორიისათვის ე.წ. შედაგათიანი ტარიფის მოქმედების ხანაში (1821-1831). მოგზაურობა მან ორ ტომად გამოსცა საფრანგეთში 1824-1826 წლებში.

ჟაპ ფრანსუა გამბამ 1823 წელს. შავიზღვისპირეთში იმოგზაურა გემით მოიარა: თავდაპირველად ადლერიდან ბიჭვინთამდე, შემდეგ სოხუმ-კალეში, რედუტ-კალედან კი ხობისწყალ-რიონით იმერეთს ეწვია. საერთოდ სამეგრელოზე მისი ინფორმაცია მწირია, იმერეთს კი უფრო ვრცლად აღწერს.

დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჭან გიორგაძემ, თბ., 1977.

როგორც ცნობილია, იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი, პატრი, თეატრინელთა ორდენის წევრი, საქართველოში 1628 წ. ჩამოვიდა. 1640 წლიდან კი მოდვაწეობს ოდიშში, სადაც შექმნა ჩანახატების ორი ალბომი. 1652 წ. ბრუნდება იტალიაში. გემით მგზავრობისას მისი ერთი ალბომი ზღვაში დაინთქა, მეორე ალბომი შეიცავს 500-ზე მეტ ჩანახატს (კასტელი, 1977).

მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ: არმალანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბ., 1982. მაკარი ანტიოქიელი – ანტიოქიის პატრიარქი ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში. პირველ ჩამოსვლაზე ის მთელი ორი წელი ცხოვრობდა წალენჯიხის მონასტერში და თავისი დაკვირვებანი სწორედ იქ დაუწერია, ოდონდ სამეგრელოს მხოლოდ რამდენიმე ტოპონიმი აქვს დასახელებული (ანტიოქიელი, 1982).

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბ., 1971 (ევლია ჩელები, 1971).

ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1978. ქათიბ ჩელები (1609-1657 წწ.) ოსმალური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. საქართველოსა და კავკასიის შესახებ ცნობები ამოღებულია მისი გეოგრაფიული თხზულებიდან ჯიპან-ნუმა „მსოფლიოს სარკე“ (გამოიცა სტამბულში 1732 წელს). (ქათიბ ჩელები, 1978).

Сборник сведений о Кавказе, т. V, Тифлис, 1879

სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში, 1650-1652. საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევექტოვმა, ტფ., 1926. რუსეთის ელჩობა შედგებოდა ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვისა, ალექსეი ივანეს ძე იევლევისა და სხვათაგან. ისინი ესწრებოდნენ იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის მიერ 1651 წ. 14 სექტემბერს თავადებთან და კათალიკოსთან ერთად რუსეთისადმი ერთგულების ფიცის ხელისმოწერას. იმერეთში ნახულისა და გაგონილის შესახებ ტოლოჩანოვმა და იევლევმა ცალ-ცალკე შეადგინეს ე.წ. „მუხლებრივი აღწერილობანი“ (ელჩობა იმერეთში, 1824-1826).

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975. ეან შარდენმა, ფრანგმა მოგზაურმა და იუველირმა, 1671-79 წლებში დაიარა აღმოსავლეთის ქვეყნები და დაწერა „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“... თხზულების საკმაოდ მოზრდილი ნაწილი შეეხება საქართველოს, სადაც შარდენმა 1672-73 წწ. იმოგზაურა. მოიარა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. მოგზაური თვითონვე აღნიშნავს: „მე არ მესმოდა არც მეგრული, არც ქართული, ვერც ვერავინ ვიპოვე სხვა ენის მცოდნე“ (გვ. 127), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოგზაურობის იტალიურ ტექსტში სამეგრელოს სოფლებისა და ციხე-დარბაზების სახელები ძირითადად სწორად აქვს დასახელებული. შარდენმა თავის მოგზაურობის წიგნში ჩართო იტალიელი მისიონერის, სამეგრელოში თეატინელთა მისის პრევექტის – ჯუზეპე მარია ძამპის თხზულება (ჯუზეპე ძამპი ჩამოვიდა სამეგრელოში 1645 წელს და იქ იცხოვრა 23 წელი). (შარდენი, 1975)

2. ქართული და რუსულენოვანი წყაროები:

გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002 (ბედოშვილი, 2002).

გ. ბედოშვილი, ტოპონიმ კორცხელის“ ეტიმოლოგიისათვის, ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004 (ბედოშვილი, 2004).

თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 3, თბ., 1967 (ბერაძე, 1967).

თ. ბერაძე, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რეკა: ბეგლის მეგობარი, კრებული 21, თბ., 1970 (ბერაძე, 1970).

ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990 (ბერძენიშვილი, 1990).

ი. გამსახურდია, გენათი იგივე ჭუბურხინჯია: ქურნ., „დროშა“, №11(395), ნოემბერი, 1982 (გამსახურდია, 1989).

პ. ზაქარაია, ჯეგეთა: ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, 1947 (ზაქარაია, 1947).

პ. ზაქარაია ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, თბ., 1956 (ზაქარაია, 1956).

პ. ზაქარაია, სამეგრელოს გვიანი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეები: აგრეთვე: „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში“, თბილისი-ზუგდიდი, 1999 (ზაქარაია, 1999).

მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა საქართველოში (XIII ს-დან XX საუკუნეები), ტფ., 1902 (თამარაშვილი, 1902).

ლ. თოდუა, გ. ლაშხია, კორცხელის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ: გაზ. „მახარია“, 2003 (თოდუა, ლაშხია, 2003).

გ. კალანდია, გაძარცული საგანძურო, თსუ, 2006 (კალანდია, 2006).

ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ., 1921 (კაკაბაძე, 1921).

ი. კეკელია, სეფიეთის ტოპონიმია, ქუთაისი, 2011 (კეკელია, 2011).

9. პეპელია, ძიებანი ოდიშის ისტორიული ტოპონიმიდან: აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, შრომათა კრებული, ოდიში, ტ. II, თბ., 2015 (პეპელია, ძიებანი... 2015).

9. პეპელია, „წკელკარის“ ეტიმოლოგიისათვის: კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, XVI, თბ., 2014 (პეპელია, „წკელკარის ეტიმოლოგიისათვის“... 2011).

9. პეპელია, „კალიცას“ ეტიმოლოგიისათვის, 2014.

ქ. ლომთათიძე, ფოთის სახელწოდებისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდებული, XVI, თბ., 1998 (ლომთათიძე, 1998).

ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, ტფ. 1938 (მაკალათია, 1938).

გ. მაღრაძე – ვ. მაღრაძე, ქართველური პიდრონიმები, თბ., 2004 (მაღრაძე, 2004).

შ. მესხია, „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“. კრ. „ორიონი“, თბ., 1967 (მესხია, 1967).

იონა მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939 (მეუნარგია, 1939).

თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგრანეზის, განათლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989 (მიბჩუანი, 1989).

ა. მიქაელი, ფოთი. გაზ. „რაეო“, №№ 4-5, 2006 (მიქაელი, 2006).

დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977 (მუსხელიშვილი, 1977).

დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980 (მუსხელიშვილი, 1980).

გ. მაღრაძე, ქართველური პიდრონიმები, თბ., 2004
(მაღრაძე, 2004).

მღვდელი კონსტანტინე გაჭარავა, ესე სოფელი
კეთილ არს (ისტორიული ალმანახი, თბ., 2004
(მღვდელი კონსტანტინე, 2004)).

ქ. ოკუჯავა, აფხაზეთის ონომასტიკა XVII ს-ში:
საისტორიო ძიებანი, 1998 I (ოკუჯავა, 1998).

ქ. ოკუჯავა, კოდორ-ენგურის შუამდინარეთის
პიდრონიმები და ტოპონიმები თეათინელი
მისიონერების კოლხეთის რუკებზე: საისტორიო
ძიებანი, 1999 (ოკუჯავა, 1999).

მ. პაჭკორია, ანაკლიის წარსულიდან: ურნ.
„ენგური“, 1969 წ. (პაჭკორია, 1969).

პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს.
ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), II,
გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და გ.
სურგულაძემ, თბ., 1993 (პალ, II).

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ.,
1978 (ნარკვევები, 1978).

ი. სიხარულიძე, ჭანეთი, ბათუმი, 1977 (სიხარულიძე,
1977).

ი. ტაბადუა, საქართველო ევროპის არქივებსა და
წიგნსაცავებში, II, თბ., 1986 (ტაბადუა, 1986).

აბ. ტუღუში, კვლავ ზუგდიდის ეტიმოლოგიისათვის:
ონომასტიკა, I, თბ., 1987 (ტუღუში, 1987).

აბ. ტუღუში, ანაკლიის ისტორია, ზუგდიდი, 1991
(ტუღუში, 1991).

აბ. ტუღუში, ცაიშის საეპისკოპოსო, ზუგდიდი, 2001
(ტუღუში, 2001).

დ. უკლება, სამურზაყანო. ქსე, 9, თბ., 1985
(უკლება, 1985).

პაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000 (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000).

ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, ობ., 1974 (ფოჩხუა, 1974).

გ. ქალდანი, ლექსუმის გეოგრაფიულ სახელთა - იშ(// - შ) სუფიქსის საკითხისათვის: ქესე, III, ობ., 1963 (ქალდანი, 1963).

ღ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, ობ., 2002 (ქაჯაია, 2002).

ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ობ. 1973 (ქ. ცხ., IV).

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილია მიერ, ტ. I, 1955 („ქ. ცხ.“, 1955).

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილია მიერ, ტ. II, 1959 („ქ. ცხ.“, 1959).

ქართული სამართლის ძეგლები, III, ობ., 1970 (ქსძ, III). დასახელებული „სამართლის ძეგლების“ მრავალტომეული შუა საუკუნეების ოდიშის (სამეგრელო-სამურზაყანოს) ტოპონიმიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. განსაკუთრებით აღსანიშნავია III ტომი, რომელშიც შესულია ქუთაისის, ხონის, ბიჭვინტის, ცაიშის, ცაგერისა და სამთავისის ტაძრების გამოსავლების დაგთრები, სიგელ-გუჯრები, წყალობათა და შეწირულობათა წიგნები და სხვ. კერძოდ: დასახელებული წყაროდან დამუშავებულია:

„შეწირულების წიგნი ხოფელ ნიკოლოზ წულუკიძისა ხოფისადმი“ (დაახლოებით 1569 წ.).

„ნუსხა ხოფის ეკლესიის გლეხთა თეთრის გამოსაღებისა“ (XVI ს.).

„ნუსხა ნაუანეულის საკათალიკოსო გლეხების ბეგრისა“ (XVI ს-ის ბოლო).

„აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“ (1621 წ.).

„საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“ (1616-1624 წწ.).

„ნუსხა ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლისა“ (1616-1621 წწ.).

„შეწირულების წიგნი მალაქია კათალიკოსისა ბიჭვინტისადმი“ (1616-1639 წწ.).

„საკანონოს დადების წიგნი ზაქარია კათალიკოზისა ვამეყ დადიანისა და სვიმონ გურიელისადმი“ (1657-1660 წწ.).

„შეწირულების წიგნი კათალიკოს დავით ნემსაძისა ბიჭვინტისადმი“ (1673-1696 წწ.).

„შეწირულების სიგელი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი“ (1706 წ.).

„შეწირულების წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი“ (1696-1712 წწ.).

„შეწირულების წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი“ (1706-1712 წწ.).

„შეწირულების წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი“ (1696-1712 წწ.).

„ნუსხა ხობის შესავალი და შეწირული სანთლისა“ (1696-1742 წწ.).

„შეწირულების წიგნი გაბრიელ ჭყონდიდელისა მარტვილის ტაძრისადმი“ (1753 წ.).

ზ. ქირია, სოფელ ყულევის ისტორიიდან: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VI, თბ., 2004 (ქირია, 2004).

თ. ყალიბავა, წიფურიას ლოკალიზაციის საკითხისათვის: საისტორიო კრებული, VII, თბ., 1977 (ყალიბავა, 1977).

ა. **შანიძე,** სვანური კულტის ტერმინი ჯგუფი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1971 (შანიძე, 1971).

ბ. **შონია,** აღმოსავლეთ აფხაზეთის ტოპონიმიკის შესწავლისათვის: ძეგლის მეგობარი, კრებული ოცდამეერთე, თბ., 1970 (შონია, 1970).

გ. **ჩიტაია,** ფოთისა და ხობის ეპარქია. ისტორიული ძეგლები, თბ., 2007 (ჩიტაია, 2007).

პ. **ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I (წალენჯიხის რაიონი), თბ., 2004 (ცხადაია, 2004).

მ. **ძაძამია,** „ანაკლიის წარსულიდან“, ქურნ., „ენგური“, 1969 (ძაზამია, 1969).

ქ. **ძოწენიძე,** ზემო იმერული ლექსიკონი, თბ., 1974 (ძოწენიძე, 1974).

აკ. **ჭანტურია,** ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში: თსუ შრომები, ტ. 227, 1982 (ჭანტურია, 1982).

დ. **ჭითანავა,** „ალერტის უტიმოლოგიისათვის“: კრებ. "საქართველოს ქრისტიანობა", თბ., 2001 (ჭითანავა, 2001).

დ. **ჭითანავა,** ყულისკარის ეტიმოლოგიისათვის: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, IV, თბ., 2002 (ჭითანავა, 2002).

ზ. **ჭუმბურიძე,** ტოპონიმიკური ძიებანი (სუჯუნა): თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XVII სამეცნიერო სესია, თბ., 1976 (ჭუმბურიძე, 1976).

ზ. **ჭუმბურიძე,** დედაქნა ქართული, თბ., 1987 (ჭუმბურიძე, 1987).

ხობის მონასტერი, შემდგენლები ანზორ სიჭინავა და გოგიტა ჩიტაია, ხობი-თბილისი, 2000 (ხობის მონასტერი, 2000).

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი
მეორე, ობ., 1948 (ჯავახიშვილი, 1948).

ივ. ჯავახიშვილი, თხულებანი თორმეტ ტომად, გ.
I, თბ., 1979 (ჯავახიშვილი, 1979).

ქ. ჯერვალიძე, ნ. პეტრიაშვილი, ტოპონიმ ანაკლიას ეტიმოლოგიისათვის: უკრნ. „ქართველოლოგია“, თბ., 2016 (ჯერვალიძე, პეტრიაშვილი, 2016).

ვ. ჯოჯუა, ქართული ტოპონიმები ბერძნულ წყაროებში: ტოპონიმიკა, I, თბ., 1976 (ჯოჯუა, 1976).

Կ , 1937 (Թոնքըրդ, 1937).

(ბლაქბა, 1974).

• • ,
• : , 1909, . 40 (Зоёко, 1909).

, 1976 (ინაკო-ივა, 1976).

• . (): , ., 1967 (შერვაშიძე, 1967).

თავი მეორე

ზონეფიპური პროცესები მებრულ
ტოკონიმიასა და საზოგადო სახელმაში

ზოგადი შესავალი

გავრცელებული ტრადიციული შეხედულებით, ქართველურ ენებში 4 წევრი გამოიყოფა: ქართველი (სამწერლობო ენა ოთხივე ქართველური ენისათვის) და სვანური, მეგრული, ლაზური (უდამწერლობო ენები). მეგრული ქართველთა ერთ-ერთი ტომის – მეგრელების – სამეტყველო ენაა. სხვა შეხედულებით, მეგრულ-ლაზური ერთი ენის დიალექტებია. ამ ენას პირობითად უწოდებენ ზანურს (ანუ კოლხურს). აღ. ცაგარელი თავის „მეგრულ ეტიუდებში“ (Мингрельские этюды, СПб, I, II, 1880 წ.) საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ქართველურ ენებზე სრული და ნათელი წარმოდგენა „შეიძლება მხოლოდ მაშინ შევისწავლოთ, როცა შედგება ამ ენათა საერთო შედარებითი ლექსიკონი და შედარებითი გრამატიკა, რასაც წინ უნდა უსწრებდეს ყოველი ამ ენათაგანის გამოკვლევა ცალ-ცალკე“. დასახელებული წიგნის გამოცემიდან თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე ბევრი რამ დაიწერა და გაირკვა ქართველურ ენათა, მათ შორის მეგრულის შესახებაც, მაგრამ გასარკვევიც საკმაო დარჩა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2010 წელს გამოვიდა საგრანტო პროექტით შესრულებული „მეგრულის გრამატიკული ანალიზი“ (ავტორები, გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია).

პირველი, ვინც მეგრული ენა მონოგრაფიულად შეისწავლა, იყო იოსებ ყიფშიძე, მისი „
()“ (СПб, 1914) დღემდე

რჩება არა მარტო პირველ, არამედ მეტად მნიშვნელოვან და ჭეშმარიტად მაღალმეცნიერულ გამოკვლევად ქართველოლოგიაში. ი. ყიფშიძე საგულდაგულოდ აღნიშნავდა, რომ სამეგრელოს უკიდურესი აღმოსავლეთი თუ დასავლეთი ტერიტორიის მცხოვრები თავისუფლად უგებენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც ფონეტიკურ და ლექსიკურ მონაცემთა გათვალისწინებით გამოიყოფა ორი დიალექტი: აღმოსავლური (სენაკური) და დასავლური (სამურზაყანულ-ზუგდიდური). აღმოსავლური დიალექტის ერთ-ერთ ფონეტიკურ თავისებურებად მკვლევარი მიიჩნევდა ლ ბგერის დასუსტებას და ბოლოს დაკარგვას ლ → ღ → გ → 0, ხოლო დასავლურ დიალექტებში განსაკუთრებულ უურადღებას ამახვილებდა ი, ო, უ → გ → ღ პროცესზე: ამასთანავე, გ. კარტოზია კი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ განსხვავება ამ ორ დიალექტს შორის „უმთავრესად ლექსიკურია“ (კარტოზია, 2008, გვ. 68).

ჩვენი აზრით, ყველა ზემოთ აღნიშნული თავისებურება – ფონეტიკურ-მორფოლოგიური თუ ლექსიკური – ერთმანეთს ავსებს როგორც მეგრულის აღმოსავლურ და დასავლურ კილოებად დაყოფის საფუძვლები. ამასთანავე, ი. ყიფშიძე საგანგებოდ აღნიშნავდა:

„ , , , „.

საბოლოოდ მეგრული დიალექტების სახელწოდებანი ასე დამკვიდრდა: ზუგდიდურ-სამურზაყანული დიალექტი და სენაკურ-მარტვილური დიალექტი.

როგორც ცნობილია, ტოპონიმს, განსაკუთრებით მიკროტოპონიმს (რომლის გავრცელების არეალი უმეტეს შემთხვევაში მშობლიური უბანია), შეიძლება მოეპოვებოდეს ლექსიკური (ორენოვნობისა, სახელის ქრონოლოგიური ცვლისა თუ მოტივაციისადმი

სხვადასხვაგვარი მიდგომის გამო) ან ფონეტიკური ვარიანტები. ფონეტიკური პროცესებიდან ზოგი ისტორიულადაა ჩამოყალიბებული და ტრადიციული, ორთოგრაფიულ ნორმად მიღებული, ზოგიც კი დიალექტებში, მის კილოკავებსა თუ თქმებში მიმდინარე პროცესების გამოხატულებაა. ამის გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს წერა-კითხვისა და საყოველთაო სასკოლო განათლების ფართოდ გავრცელება, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა: მასწავლებლის, ექიმის, აგრონომის, ინჟინრის, თუნდაც სტუდენტის მეტყველება მშობლიური კილოსა თუ თქმის გარემოცვაშიც კი ფონეტიკური თვალსაზრისით ერთგვარად განსხვავდება კიდევაც მამა-პაპათა მეტყველებისაგან (გავისხმოთ: ალ. ცაგარელი ზუგდიდურ-სამურზაყანულ დიალექტში გამოყოფდა ჯვარულ თქმას, რომლის თავისებურებასაც წარმოადგენდა დ ბერის შეცვლა ჯ ბერით. ბავშვობაში მეც გამიგონია ხანდაზმულთაგან, რომ სოფელ ხუდონისა და ფურაშის (სვანეთის საზღვარზე ენგურის ხეობაში) მცხოვრებლებს რაღაც განსაკუთრებული წარმოთქმა ჰქონდათ, კერძოდ „ჯუჯალანდებ“, ე. ი. ლუდლუდებდნენ (რაგადი „ლაპარაკი“ → რაგაჯი, უბედური → უბეჯური, დუდი „თავი“ → ჯუჯი. იხ. ამასთან დაკავშირებით „ჯუჯლია-ჯუჯელიას“ განმარტება ი. ყიფშიძის მეგრულ-რუსულ ლექსიკონში), მაგრამ ამგვარ მერტყველებას ახლა ვერ გაიგონებთ.

1. გ და ვ ბგერები მეგრულ ენის სენაკურ-
მარტვილური დიალექტის ლექსიკასა და ტოპონიმიაში
ა. ლ, რ → ვ → ფ

მიკროტოპონიმთა პარალელური ფორმები სწორედ ამ გარემოებითაა გამოწვეული. მარტვილის რაიონის ტოპონიმთა ჩაწერისას სწორედ ის ქმნიდა სირთულეს, რომ ოფიციალურ (სამართლებრივ, საარჩევნო, სამეურნეო თუ სხვა სახის) დოკუმენტებში იწერებოდა და კოლმეურნეთა შეკრებებზე წარმოითქმოდა ლემასხულიე (და არა დემასხუდე), ლეკვესელე (და არა დეკვესედე), ლესულაბერიე (და არა დესუდაბერიე), ლაგვილავა (და არა დაგვიდა), ჭალაგანიძე (და არა ჭადაგანია), სულავა (და არა სუდა თუ სვია) და ა. შ. და ამიტომაც რესპოდენტი, თუ არ ჩაეძია, სწორედ ამგვარ „ნორმებს“ მიმართავს უბნის მიკროტოპონიმთა ჩამწერთან საუბრისას. ხშირად შევსწორებივარ ისეთ სიტუაციას, როცა რესპოდენტები დაობდნენ იმის თაობაზე, თუ რომელია სწორი ფორმა, მეიტონიშ ტყა თუ მელიტონიშ ტყა, ობუდე თუ ობულე, პავიეშ ნოდიხუ თუ პავლეშ ნოდიხუ, ადეშ ჭადე თუ ალეშ ჭალე, ედაშ წისქვი თუ ელიაშ წისქვილი... ბოლოსდაბოლოს, ვისაც ვ ბგერის ხმარება ეუხერხულება, თავის გასამართებლად შეიძლება თქვას: ბავშვობისას მეც მომისმენია ვ, მაგრამ დღეს ასე არ ვამბობთო.

საქმე ძირითადად შეეხება პალატალიზებულ ვ ბგერას. როგორც ცნობილია, მეგრულში ლ ისედაც რბილია, ხოლო ბ.-მ. თქმაში ლ → ვ → ფ (იშვიათად: რ → ვ → ფ).

კ. დანელია აღნიშნავს: „ლ, როგორც ფონემა, წარმოთქმაში არ არსებობს. ბანძურ-მარტვილურ

თქმაში ლ ხმოვანთა წინ ან შუაში ვ-დ იქცევა ან სულ იკარგება: ვეხი „აგადმყოფი“, ვუკა „ლუკა“, მადაზონი „მალაზონი“, ვუღი „ლეღვი“, ან ლ → ფ. ე. ლ დასუსტების შედეგად ვოკალიზაციას განიცდის, გადადის მეზობელ ხმოვანთა თვისებრიობაში: დაბაი „დაბალი“, დაღუი ← დაღული „დედალი“, ფურცეი ← ფურცელი „ფურცელი“, ჩიი ← ჩილი „ცოლი“, ბაიში „ბალიში“, ბურჭუი „წალდი“ (პ. დანელია, კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა. შემდგენლები: რუსულან ამირეჯიბი-მალენი (რედაქტორი), ნანა დანელია, ინგა დუნდუა, თბ., 2006, გვ. 35). ყოველივე აქედან გამომდინარე, ტოპონიმურ მასალაში, სადაც ლ იყო მოსალოდნელი, იგი: 1. ან საერთოდ არ ჩანს, ან შეიძლება გამოჩნდეს ბ.-მ. თქმის ზონის პერიფერიულ სოფლებში; 2. წარმოდგენილია ვ-ს სახით, ოდონდ გარკვეულ შემთხვევებში: ხმოვნის წინ: ლე→ვე (ლეკი „შლამი“ → ვეკი); ლა → ვა (ლაგვანი „ქვევრი“ → ვაგვანი; ლაკარდა „მზისკენ მიქცეული ფერდობი“ → ვაკარდა); ლუ → ვუ (ლუკა → ვუკა); ლე → ვე (პავლე//პაულე → პაუდე//პავიე) და ა. შ. ინტერვოკალურ პოზიციაში ვ ზოგ კონკრეტულ გარემოცვაში აუცილებლად იკარგება, ან შეიძლება დარჩეს. ჩვენი დასკვნა ასეთია:

1. ვ-ს წარმოთქმა პრაქტიკულად შეუძლებელია ორი ი ხმოვნის შიგნით. მაგალითები: წისქვი (← წისქვილი); გოჩენი (← გოჩენილი „გაკაფული ტყე“ ან „წისქვილის არხის სათავესთან გადაკედლილი ღელე“), გოხორხი (← გოხორხილი „გახერხილი“, რაც, ჩვეულებრივ, აღნიშნავს ვიწრო გასასვლელს კლდეებში ან ორ ბორცვს შუა“); მარსი (← მარსილი „შემომესრილი“), მარტვი (← მარტვილი) და მრ. სხვ. მარტვილის

მუნიციპალიტეტის სამხრ. ნაწილის ტოპონიმიაში
ბევრი ასეთი მაგალითია.

2. ვ ძნელი წარმოსათქმელია და ამიტომაც,
ჩვეულებრივ, არც ისმის შემდეგ კომპლექსებში (ან მის
წარმოთქმას სამეტყველო აპარატის დაძაბვა სჭირდება):

ალი → *აღი → აი (დაი „ღელე“; გინაძირაფაი
„გადასანახულებელი“; ოჭკირაი ← ოჭკირალი „მოსაჭ-
რელი“); დაბაი (← დაბალი „დაბალი“; ოროგრაფიულ
ტერმინადაა ქცეული და აღნიშნავს დაბალ ადგილს.
(შდრ. მაღაი. იხ. ტოპონიმი მაღაშ დაბაი) და სხვ.

ელი → *ეღი → ეი: ბერგიდასირეი (← ბერგი ლასი-
რელი „თოხი ალესილი“ (სახნავია სოფ. აბედათში);
საეიო (← საეიო ეეია ელიავა) და სხვ.

ოლი → *ოღი → ოი: ოღუმოი (← ოღუმოლი „საღომე-
ებანა“; ოჯიმოი ← ოჯიმოლი „სამარილო, აღგილი,
სადაც საქონელს მარილს უყრიან“) და სხვ.

ული → *უღი → უი: სხუი (← სხული „მსხალი“);
მამუი (← მამული „მამული“); თარგამუი (← თარგამუ-
ლი – სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტში) და
სხვ.

კველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში ი
ხმოვნის წინ მოქცეული დ, ჩვეულებრივ, მომდევნო
ხმოვანს ერწყმის და წარმოთქმაში არ ჩანს.

3. ვ შენარჩუნებულია ხმოვანთაშორის პოზიციაში
და, ჩვეულებრივ, ისმის (უმეტესად მამა-პაპათა მეტყვე-
ლებაში).

ალა → აღა: ჭადაგანიძე (← ჭალაგანიძე); კავამონა (←
კალამონა); ბადახუნა (← ბალახონა „ბალახოვანი“);
ნადაგვანუ (← ნალაგვანუ „ნაქვევრალი ადგილი“);
გირგა აშ დიხა (← გირგალაშ დიხა. გირგალა იგივე

გრიგალაშვილია); კადაპოტიშ ჭადე (\leftarrow კალაპოტიშ ჭალე) და სხვ.

ალე ადე (\leftarrow შესაძლებელია ადე აე): ოყარყა-
ვეში//ოყარყაეში (\leftarrow ოყარყალეში „საყიყინო“); ჭა-
დე/ჭაე (\leftarrow ჭალე „ჭალა“); ნაექსუ//ნაესუ (\leftarrow ნალეფსაო
– სოფელი მარტვილის რ-ნში); გადენჭადე/გაენჭაე (\leftarrow
გალენი ჭალე „გაღმა ჭალა“) და სხვ.

ალო \rightarrow აღო: ზაკადონი (\leftarrow ზაკალონი „ბზანარი“);
ქუადონი (\leftarrow ქუალონი „ქვავნარი“). დავაკვირდეთ:
ზაკადონი და ქუადონი უფრო ადვილად წარმოსათქ-
მელიცაა და მოტივაციაც აშკარად ჩანს, ვინემ ზაკაონი
და ქუაონი ფორმებში.

ალუ \rightarrow ადუ: ნახარჩადუ \leftarrow ნახარჩალუ \leftarrow ხარჩალი
„ჩხერიალი“. შდრ. ოხარჩადე \leftarrow ოხარჩალე „საჩხერიალო“;
ნაქობადუ \leftarrow ნაქობალუ („ნახორბლევი“) და სხვ.

ელა \rightarrow ედა: თე(ვ)აჯინჯი (\leftarrow თელაჯინჯი
„თელისძირი“); კამეჩგედაფუ (\leftarrow კამეჩგელაფუ „კამეჩის
გადასავარდნი“); ქობაიგინაკედა (\leftarrow ქობალგინაკელა
„სადაც ხორბალს ლეწდნენ“); კვესედა (\leftarrow კვესელავა.
გვარსახელია) და სხვ.

ელე \rightarrow ევ: ლე(ვ)ე (\leftarrow ლელე); (ვ)ეჯეჯ(ვ)ე (\leftarrow
ლეჯეჯელე \leftarrow ჯეჯელავა. გვარსახელია); პუმპულევე (\leftarrow
პუმპუშ ლელე „პუმპუს ლელე“) და სხვ.

ელუ \rightarrow ეფუ: ნაკურდლევუ (\leftarrow ნაკურდლელუ
„კურდლელიას ნასახლარი“).

ილა \rightarrow *იდა \rightarrow ია: ნაჩი(ვ)აჩოუ (\leftarrow ნაჩილაჩოუ \leftarrow
ჩილაჩავა); იდარიონი (\leftarrow ილარიონი. პირსახელია);
ბაჩი(ვ)ახეშ გინადაფუ (\leftarrow ბაჩიხალეშ გინალაფუ
„ბაჩილავას (ქალის) გადასავარდნი“); წყურგი(ვ)ა (\leftarrow
წყურგილა „წყარო“).

ილე → იდე → იე (არაიშვიათად: → იე): წყურგი(ა)ე/წყურგიე (← წყურგილე „წყარო“); ოძიღვში//ოძიეში (← ოძილეში „ჯილე“); ვებაჩივე/ვებაჩიე (← ლებაჩილე ← ბაჩილავა); კირი(ა)ე/კირიე (← კირილე პირსახელია). ფრჩხილებში ა-ს მოქცევით იმაზე მივანიშნებთ, რომ იგი ფაკულტატიურია: ამ პოზიციაში მოსაუბრებ შეიძლება წარმოოქვას ან არ წარმოოქვას აღნიშნული ნახევარსმოვანი.

ილო → იდო → იო: სამარტვი(ა)ო შარა (← სამარტვილო შარა, ე. ი. გზა, რომელიც მარტვილისაკენ მიემართება); საწისქვი(ა)ო//საწისქვიო (← საწისქვილო) და სხვ.

ილუ → იდუ → იუ: გინაარჩქი(ა)უ (← გინაარჩქილუ „გადასაყურადებელი“); ნაწყურგი(ა)უ (← ნაწყურგილუ „ნაწყაროვალი“); ნაწისქვი(ა)უ (← ნაწისქვილუ) და სხვ.

ოლა → ოდა: გოდა (← გოლა „მთა“); ოდაგირძე (← ოლაგირძე „წაგრძელებული; მდინარისპირას ან მთისძირას გრძლად მდებარე“); ოდაკვეში (← ოლაკვეში „სალეკვია“). მსგავს შემთხვევებში ა-ს არწარმოოქმა ერთგვარად სემანტიკას დაუკარგავდა სათანადო სიტყვას და სხვ.

ოლე → ოდე: ოკიბოდე (← ოკიბოლე „საკიბორჩხლე“); მოენჭადე (← მოლენჭალე „გამოღმა ჭალა“) და სხვ.

ოლო → ოოო: ოოონტყეში (← ოლონტყეში „სალაფაო“); ქოოში (← ქოლოში ← ქოლო „კოდი, კოდჩადგმული წყარო“); ჯოო (← ჯოლო სახელწოდება ჯოლევის ადგ. ვარიანტი). ყველა შემთხვევაში ა-ს ადგილი სტაბილურია.

ულა → უდა: დიხაკურზუდა (← დიხაკურზულა „მიწაზინული“); სუდაშ ნოხორი (← სულაშ ნოხორი „სულავას ნასახლარი“); ესუდაბერიე (← ლესულაბერიე

← სულაბერია. გვარსახელია). ❷ ყველა შემთხვევაში სტაბილურია და სხვ.

ულე → უდე: ობუდე (← ობუდე „საბლე“). შდრ. ობუდ „საბუდე“. ამ შემთხვევაში ❸-ს ჩართვა-არჩართვას აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია); წყურგულე (← წყურგულე „წყარო“); პაუდენები (← პავლენები „პავლეს კაკლის ხე“ – მინდორი სოფ. ლეკეპელეში) და სხვ.

ულო → უდო: ბერწულონა (← ბერწულონა „ბროწეულნარი“); თხომულები (← თხომულონა „თხმელნარი“) და სხვ.

ულუ → უდე: მასხუდური (← მასხულური „მასხულიას ყოფილი“) ← მასხულია. გვარსახელია); კაკუდური (← კაკულური „კაკულიას ნაქონი“); ნაგუდუ (← ნაგულუ. გულუა გვარსახელია) და სხვ.

პრეფიქსი ლე-, ჩვეულებრივ, გვაძლევს დე-ს, მაგრამ ამ შემთხვევაში თავკიდური ❹ იშვიათად თუ ისმის: ეჯდარკე ← (დ)ეჯდარკე (← ლეჯდარკე „ჯდარკავების უბანი“); ეჯანაშიე ← (დ)ეჯანაშიე (← ლეჯანაშიე „ჯანაშიების უბანი“).

პირსახელთა თავკიდურში ლ + ხმოვანი → ❻ + ხმოვანი: ლუკა → ღუკა (ღუკაიაშ ნაწისქვი უ); ლევანი → ღევანი (ღევანიშ კოდე – კბოდე აბაშის მარცხ. მხარეს, სოფ. ბანძაში); (დ)ომაიაშ ოისგრე (← ლომაიაშ ოისგრე „ლომაიას საისლე“).

თავკიდური ლა → ღა: ღაგვანდუდი „ქვევრისთავი“; ლაგარდა → ღაგარდა (შდრ.: ლაგადა „მზისკენ მიქცეული ფერდობი“); ღაზარეშ წყარი (← ლაზარეშ წყარი „ლაზარეს წყარო“).

2. გ ბგერა სამეგრელო-სამურზაყანოს ლექსიკისა და ტოპონიმთა ფუძეებში

სპეციალურ წერილში მ. ციკოლია აღნიშნავს: „სამურზაყანულში გ სიტყვათა დიდ უმრავლესობაში წარმოდგენილია როგორც სრულუფლებიანი, მარცვლის შემქმნელი ხმოვანი“ (ციკოლია, 1954, გვ. 323). თუმცა იქვეა აღნიშნული, რომ დროთა განმავლობაში გ იზღუდება უმცროს თაობაში წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებისა და „ქართულისებური“ წერის ტრადიციის გაბატონებითაც (იქვე, გვ. 324).

როგორია გ ბგერის მდგომარეობა 30-35 წლის წინანდელი სამურზაყანოს სოფლებში?

როგორც ცნობილია, ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში მთელი რიგი ფონეტიკური გარდაქმნები ხდება მახვილის მიზეზით. ეს შეეხება ი, უ (იშვიათად ე) ხმოვნების დასუსტებას და გ ბგერად გადაქცევას, ბოლოს კი, საერთოდ, დაკარგვას. ამ მხრივ სამურზაყანოს ტოპონიმიაში ასეთი ვითარებაა:

ა. გ შენარჩუნებულია იმ სიტყვებში, რომლებიც მეგრულში ქართულის სრულხმოვნიან ვარიანტებს წარმოადგენს, მაგალითად: ქართ. ღლავი → მეგრ. ღლამი „ღლავი“ → ო-ღლამ-ე „საღლავე“ (მორევი ერისწყალზე, სოფ. მეორე შეშელეთი); სხვა მასალა: ქლორი „ხოხობი“ → ქილორია (გვარსახელის ოფიც. ფორმა) → ქლორია (გვარსახელის არაოფიც. ვარიანტი) → სა-ქლორი-ო (ეწოდება ქილორიების უბანს წკიბლალის ნაპირას, სოფ. თაგილონში); თიფუ „თეო; თივა, ბალახი“ → სა-თეფუ-ო „სათივე, სათეო“ (საძოვარი ოჭაკის აღმ. ნაწილში, აკიბოს მთის კალთაზე); ქირი//ქრი „ქორი“ → ქირია (გვარსახელი. არაოფიც. ვარიანტი ქრია) → ქრიეფიშ ნაიშალ „ქირიების კიბე“ (ტყე ჯოცობასთან, სოფ. პ. გუდავაში. აქ, ქირიების ნასახლარზე, კარგა ხანს იდგა სახლის იშალგ „ასასვლელი“, ე.ი. კიბე). გვარი ქირია ჩანს სხვა

მიკროოიკონიმებშიც: ქირიების უბანს ხაიის ნაპირას, ჭუბურხინჯის თემის სოფ. ზენში, ეწოდება საქორიო//საქერიო; მეგრულისათვის ერთგვარი „ნორმაა“ ცქიმინტური//ცქიმუნტური „ზღმარტლი“. ერისწყლის ერთ-ერთ მარჯვ. შენაკადს კი ეწოდება ცქიმინტურლალ//ცქ(მუ)ნტურლალ „ზღმარტლის ღელე“ (სოფ. მუხური ტოგონი); სხვა მაგალითები: ცუ, ცე „თელა, თელადუმა“ (ა. მაყაშვილი). მიკროტოპონიმად დასტურდება: ცვონი „თელნარი“ – ტყე ერწყარის ნაპირას (სოფ. გუდავა). შდრ.: ცუონა „თელნარი“ – ტყე წიფონასა და ჭიჭე ოჯოდორეს შუა (სოფ. ხუმენინათოფურუ).

8 ცვლის ფუძისეულ ი-ს მრავალ ლექსემაში. მათ შორისაა: ჭიფე//ჭგვე „ვიწრო, წვრილი“. ამას ადასტურებს ტოპონიმები: ჭიფე დალ „ვიწრო ღელე“ – ღელე სოფლების – ნაკარდალისა და ვეშუდველის – საზღვარზე. შდრ. ხუთ მიკროტოპონიმში დადასტურებული ჭიფე ვარიანტი: 1. ჭიფე ეწერი – ჭენჭე სოფ. საბჭოთა ჩაიში; 2. ჭიფე ნანოცუნ „ვიწრო ნაყანევი“ – მინდორი ფართო ნანოცუნის გვერდით, სოფ. რეჩხში; 3. ჭიფე დალ „ვიწრო ღელე“ – ა) ღელე, აბდახარის მარცხ. შენაკადი (სოფ. ხუმენი-ნათოფურუ); ბ) ღელე, გაგიდაღალის მარჯვ. შენაკადი (სოფ. გაგიდა).

სხვა მაგალითები: ჩირე „ტლაპო, საფლობი“ – ღელე, შაშიკვარის მარცხ. შენაკადი სოფ. აკვარიკვაში და ტლაპო ქირის მარჯვ. მხარეს, სოფ. ნაბაკევში. შდრ. ჩგრე „ტლაპო, საფლობი“ – გუბე სოფ. ნაკარდალში, ღელე სოფ. ზ. ბარდებში, ტლაპო სოფ. ბედიაში და სხვ. ჩგრე შესულია აფხაზურში. აფხაზთა მიერაა შერქმეული სამურზაყანოს მთაში საძოვრისათვის ჩგრასთრა.

მეგრულის დას. კილოში, კერძოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქართ. ნათლისმცემელი ფონეტიკურ გარდაქმნათა გზით იძენს მოკლე ფორმას ნაციმერი//ნასმერი. ენგურის მარჯვ. მხარეს, სოფ. ღვაშგვერდში, წყლისპირა ფერდობს ეწოდება ნაცგმერი//ნასმერი. აშკარაა ფონეტიკურ გარდაქმნათა გზა: ი → გ (სრული ხმოვნის დავიწროება) → ფ (დავიწროებული ბერის დაკარგვა). მიკროტოპონიმის სემანტიკის გაბუნდოვანებამ გამოიწვია გადააზრება – ცრუ ხალხური ეტიმოლოგია: „აქ ხალხი დალუპულა. ამიტომ დარქმევია ნაციმერი, „ჩამონაცვენი; ვინც ან რაც ჩამოცვივა“. მართალია, მეგრ. ციმა „ცვენა“; დალუპვა“ მართლაც წარმოქმნის წარსული დროის მიმღეობას ნაციმერი. მაგრამ ისტორიულად ამ ადგილას მართლაც მდგარა ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია.

ქართ. სიტყვა ორი მეგრულში წარმოდგენილია როგორც ჟირი, რომელსაც ი → გ ნიადაგზე მიუღია ფორმა ჟერი, რაც უფრო „განონიკურია“ ზუგდიდურ-სამურზაყანულში (ზუგდიდის, წალენჯიხის და გალის რ-ნები). ფაქტობრივი მასალა: იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის „კოლხეთის ანუ სამეგრელოს აღწერას“ (დაიბეჭდა ნეაპოლში იტალიურ ენაზე 1654 წ.) ახლავს რუკა, სადაც ერისწყლის სათავესთან აღნიშნულია Girigi, რომელიც ზოგმა მკვლევარმა ქართულად გადმოიტანა როგორც გირპიგი. სინამდვილეში ესაა ჟირპიჯი „ორპირი“. როგორც ჩანს, ასე ეწოდებოდა რთომის ორ სათავე მდგენლის შეერთების ადგილს. ამჟამად აქ სოფელს ეწოდება ჟირდალიშქა, ხოლო თვით შეერთების ადგილზე მინდორს დარქმევია ჟრომი//ჟრომშქა. ლექსემა ჟერი „ორი“ დასტურდება სამურზაყანოს 15-მდე მიკროტოპონიმში. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

შგრი ჯიმა ჭყონი „ორი ძმა მუხა“ – ტყე სოფ. მახუნჯიაში; **უგრნები „ორი კაპლის ხე“** – ტყე სოფ. რეჩხში; **უგროფუჯეშქა „ორ ოფუჯეს შუა“** – საძოვარი სამურზაყანოს მთაში; **უგრწიფური „ორი წიფელი“** – ტყე გინძე ეწერში; **უგრწყარშქა „ორ წყალშუა“** – სახნავები გალის რ-ნის რამდენიმე სოფელში და სხვ. აქეე აღვნიშნავთ: სიტყვაში ჟინი „ზემო“ არ ხდება ი → გ (ტოპონიმებია: ჟინბარღეფი, ჟინი თაგილონი, ჟინი წიფურონი და სხვ.).

ეროვნების აღმნიშვნელი სიტყვა რუსი გვხვდება რგსი ფორმითაც. ტოპონიმში დასტურდება ორივე ვარიანტი:

რუსეფიშ ნოხორი „რუსების ნასახლარი“ – მინდორი სოფ. ბედიაში; **რუსიშ ნაშქიდა „სადაც რუსი დაიხრჩო“** – მორევი ალენ-ხუმუშქურის შესართავთან, სოფ. ბოკვეთში; **შდრ.: რგხიშ ფონი** (მორევი მდ. ოქუმწყარზე, სოფ. მუხურში); **ნარგს „ნარუსალი“** (სამგან ეწოდება სხვადასხვა ობიექტს სამურზაყანოში: ბორცვს სოფ. ნაჯიხურში, ვაკე-ბორცვს სოფ. თაგილონში, ნაგზაურს ელალირის ხეობაში, სადაც სამეგრელოსაკენ მიმავალ რუსს გაუვლია (შდრ. აფხაზური ვარიანტი ამ სახელწოდებისა: აურგსრუმუა).

ხინდა მეგრულში აღნიშნავს ჭუჭყს, მაგრამ, როგორც ოროგრაფიული ტერმინი, მიემართება ოდრობოდრო, უსუფთაო ფერდობს, კლდეს. ეს სიტყვა სამურზაყანოს ტოპონიმიაში დაფიქსირდა მხოლოდ ხენდა ფორმა. კერძოდ, ასე ეწოდება ოქუმწყარის მარჯვენა მორღვეულ ნაპირს, რომელიც 3-4 მ. სიმაღლისაა (სოფ. აჩიგვარა). ხენდას ვარიანტია ხენჯა და ხეჯუ: ხეჯონი ქვავნარის სახელია ჭითა წყურგილში (სამურზაყანოს მთა); ა. მაყაშვილი განმარტავს: გიგიბი, გგგბი „სოჭი“. სამურზაყანოს ტოპონიმიაში ეს ლექსემა მხოლოდ ერთგან გვხვდება: გგგბონა

„სოჭნარი“ (ეწოდება კლდე-ფერდობებს სამურზაყანოს მთაში, ანარაღალსა და ოკალმახეს შუა).

ქართული „გრძელი“ მეგრულში წარმოდგენილია სრულ ხმოვანი ვარიანტით გირძე, გინძე. სამურზაყანოში ეს ლექსემა გვხვდება მხოლოდ ერთი ნასოფლარის სახელწოდებაში. ესაა გინძე ეწერი/გინძე ენწერი (შავი ზღვის პირას, ოქუმწყარსა და გაგიდაწყარს შუა), ხოლო რაც შეეხება გ ბგერიან ვარიანტებს გგნძე, გგრძე, იგი გვხვდება რამდენიმე ტოპონიმში: გგნძე ბორკი „გრძელი ფეხი“ – შქერნალი ხევი აქვთ გრძელი (ბორკი „ფეხი“, როგორც ოროგრაფიული ტერმინი, აღნიშნავს შუროს); გგნძე კოკი „გრძელი კუნძული“ – სახნავი ენგურის კუნძულზე (სოფ. ზენი, ჭაბურხინჯის თემი); გგნძე მინდორი „გრძელი მინდორი“ – მინდორი ენგურის მარჯვ. მხარეს, სოფ. ნაბაკევში; გგნძე ბოგა „გრძელი ბოგირი“ – ქვის ხიდი ოხურეიწყარზე, სოფ. ილორში; გგრძე კოკი „გრძელი კუნძული“ – კუნძული ენგურზე (სოფ. ზენი, დიხაზურგის თემი).

მონაცემება ი → გ დასტურდება გი- ზმნისწინ-თანაც (გი → გგ). მაგალითები: გგნასოფა „განაგლევი, განახლები“ – ტბორი ზღვისპირას, სოფ. ნაგვალოუში; გგთორთელი აჟაფუ „გადმოხრილი გამოქვაბული“ – კლდით გადმოხურული გამოქვაბული სოფ. რეჩხში; გგნაჯინუ „გადასახედი, გადასაცქერი“ – ბორცვი ოქუმის მარჯვ. მხარეს (სოფ. ნახინგუ); გგნოტახილი წიფური „გადატეხილი წიფელი“ – წიფლის ხე სოფ. ტოგონში; გგნოხ „გადაღმა“ – ტყე-ფერდობი სერის გადაღმა სოფ. ქვალონსა და სოფ. მიშველში; გგშა-ხორხილი „გამოხერხილი“ – ვიწრო გადასასვლელი სოფ. ლეგუხონაში.

ქართული დრეკა ზმნა მეგრულში აღიდგენს სრულ ხმოვნობას თავკიდურ თანხმოვანთ კომპლექსში ი ხმოვნის ჩასმით: **დირაპუა//დგრაპუა „დრეკა“** → გედირაპუა//გედგრაპუა „ჩადრეკა“ → გედირაპილი//გედგრაპილი „დადრეკილი, ჩადრეკილი“, ეს მიძღვნილი ქცეულა ოროგრაფიულ ტერმინად და აღნიშნავს უღელტეხილისებურ ჩაზნექილ ადგილს სერზე და, როგორც წესი, შემდეგ მთელი ქედის, მთის, სერის, ბორცვის სახელად იქცევა. სამურზაყანოში აიცია აშთაწყარის წყალგამყოფ მთას და სერს სოფ. მზიურში ეწოდება გედგრაპილი.

ორიოდე შემთხვევაში გ ენაცვლება ე ხმოვანს:

ალემი//ალგმი – ქირის შენაკადი სოფ. ბარდებში; **ალენი//ალგნი//ალენწყარი** – ხუმუშქურის მარცხ. შენაკადი სოფ. ბოკვეთსა და თხინაშკარში (შენიშვნა: ალემი//ალგმი და ალენი//ალგნი მეგრულის ლექსიკონებში არ ჩანს).

იშვიათად გ ენაცვლება „კანონიკურ“ ო ხმოვანს. მაგალითად: ფარონი (1. ხშირი ტყე; 2. მაღალ სვეტებზე შემდგარი ხულა-საფუჩქები), ფარონი ეწოდება მიკრობიერებს რამდენიმე სოფელში (ილორგანი, ჩხორთოლი, ცხირი, აგვავერა და სხვ.), მაგრამ ნატყევარს სოფ. ჭუბურხინჯში შერქმევია ფარგნი.

საერთოდ, სამურზაყანო აფხაზთა და მეგრელთა თანაცხოვრების ადგილი იყო XVII ს. დამლევიდან თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე. საბოლოოდ კი აფხაზებმა სამურზაყანოში მხოლოდ დალიძგის მარცხ. ნაპირის სოფელებში შეძლეს დამკვიდრება. არაა გამორიცხული, აფხაზურის გავლენა იყოს სამურზაყანოს მეგრელთა მეტყველებაში გ ბგერის შედარებითი სიმრავლე (შდრ. ასგპრა „სიპი კლდე

სოფ. ფოქვეშში. ქართულ-მეგრული სიპი აფხაზურში შესულა როგორც სგპ. ოვით აფხაზთა სუპერსტრატულ მიკროტოპონიმებს სამურზაყანოში ეწოდებათ ასგბგვარა, არგმუ, არგმ(ა)უა, აფთახვრა, ავსთათგრა, აფშგრა, აქედრა, აშგცრა, აჩგზვა და სხვ.

რა ვითარებაა უ, ი, ე → გ → Ø თვალსაზრისით ზუგდიდურ-სამურზაყანული დიალექტის გავრცელების სხვა მუნიციპალიტეტებში (წალენჯიხა, ზუგდიდი, ხობი, ჩხოროწყუ).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი: ი → გ > Ø თანხმოვანთა შუაში

ანჩბაიაშ ნადელი – სახნავი ენგურის რიყეში (სოფ. ანაკლია). ი ხმოვნის დასუსტება და ბოლოს დაკარგვა მომხდარა ანთროპონიმის დონეზე: ანჩიბაია → //ანჩბაია.

ელსაბედიშ ნოხორი – სახნავი ულიწყარის ხეობაში (სოფ. ალერტკარი). ი-ს დასუსტება და დაკარგვა მომხდარა ანთროპონიმის დონეზე: ელისაბედი → ელსაბედი.

მაქსმეშ ნოხორი – ნასახლარი უმპიის ხეობაში (სოფ. ხეცერა). ამ შემთხვევაშიც ი-ს დასუსტება და დაკარგვა მომხდარა ანთროპონიმის დონეზე: მაქსიმე → მაქსგმე → მაქსმე.

სგმეტამი ბეჩა//სიმეტამი ბეჩა – მღვიმე სახასიოში (სოფ. ალერტკარი). სიმეტი „სვეტი“ → სგმეტი. მიკრობიექტის სახელდების მოტივაცია: „მღვიმეს იატაკიდან ჭერამდე აჟყვება ბუნებრივი ქვის სვეტები, დიდი და მაღალი“.

ჩემნეფიშ ნადიხე – სახნავი სოფ. ახალგახათში. ჩემინავა ოფიციალური გვარსახელია, ხოლო მისი

არაოფიც. (ადგ.) ვარიანტია ჩემნა(ვა). მაშასადამე, ტოპონიმის ფუძიდან ი ხმოვნის დასუსტება და დაკარგვა მომხდარა ტოპონიმამდელ საფეხურზე.

სინწა/სგნწა – მდინარე, ჯუმის მარჯვ. შენაკადი (ქ. ზუგდიდი). ტოპონიმის მეორე ვარიანტში წარმოდგენილია პირველი ვარიანტის ი ხმოვნის დასუსტების შედეგად მიღებული გ (რესპ.: „სინწა/სგნწა საერთოდ ხევისწყალია“).

სელიმხანი//სელგმხანიშ ჩაი – ჩაის ფართობი ლეაფშილეში (სოფ. ახალსოფელი). სელემხანი//სელიმხანი პირსახელია. ცხადია: ი → გ.

ნალიმა//ნალგმა – სოფ. კოკის ნაწილი. 1855 წელს აქ გაიმართა ბრძოლა ომერ ფაშას მოთარეშე რაზმთან. **ლიმა//ლგმა** „ომი, შებრძოლება“ → **ნალიმა//ნალგმა** „ნაომარი“.

ოზგნოხუე – მორევი ენგურზე (სოფ. ორსანტია). ზინოხუ „ზუთხი“ → ზგნოხუ → ოზგნოხუ „საზუთხე“.

ჟუჟნაშ ნოხორი – ჩაის ფართობი სოფ. ოქტომბერში. ჟუჟნა (ქალის სახელი) → ჟუჟნა → ჟუჟნა.

ბოლოკიდური უ (სუფიქსი) → გ → ფ
სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიაში

მახვილის ზემოქმედების შედეგი ჩანს ნა-პრეფიქ-სიან ტოპონიმებში ბოლოკიდური უ ხმოვნის დასუსტება, ე.ი. გ ბგერად გადაქცევა და, ბოლოს, სულაც დაკარგვა, მაგრამ ცალკეული ტოპონიმისთვის ყველა ამ საფეხურის გავლა აუცილებელი არაა: ნა-პრეფიქსიანი სახელების ბოლოში გვხვდება როგორც უ, ისე გ (\leftarrow უ) და ნულოვანი დაბოლოებაც.

წარმოვადგენთ ზემოთქმულის დამადასტურებელ მასალას:

ბოლოკიდური უ შენარჩუნებულია:

ნა-გაბჩ-უ – ზღვისპირა მინდორი სოფ. ნაგვალოუში. ამოსავალია გვარი გაბეჩა(ვა). მაშასადამე: გაბეჩია → ნაგაბეჩუ → ნაგაბჩუ.

ნა-თგფ-უ – მინდორი სოფ. რეჩხში. ამოსავალია თიფუ „თიგა, ბალახი; თეო“ – მწყემსის სადგომი და ტერიტორია მის გარშემო. მაშასადამე, თიფუ → ნა-თიფუ.

ნა-თურქ-უ „ნათურქალი“ – ტყე სოფ. ანარიაში და მორევი სოფ. ჭყონხუმლაში. მეგრულში „თურქი“ აღნიშნავს თურქსაც და ლაზსაც (ე.ი. მაჰმადიანებს).

ნა-კაზარმ-უ – სახნავი სოფ. ხუმენი-ნათოფურში. რუს. კაზარმა → მეგრ. კაზარმა „კაზარმა“ → ნა-კაზარმუ.

ნა-კარ-უ „ნაკარვალი, ნასადგომევი“ – სახნავი სოფ. ფიცარდალში და ტყე სოფ. ჭუბურხინჯში. ქართ. კარავი → მეგრ. კარაი → კარეი → კარევ → კარე „მწყემსის სადგომი“ → ნა-კარ-უ.

ნა-ლებ-უ – სერი სოფ. ბედიაში და ნაჭაობარი სოფ. რეჩხში. ნალებუ ის ადგილია, სადაც უწინ მოიპოვებოდა ლები „ჭაობის მიწა“, რომელსაც საღებავად იყენებდნენ.

იზდორეშ ნაკარუ//დარჩელიშ ნაფერმუ – საძოვარი სოფ. ერგეტაში (შდრ.: სარაპიონიშ ნაკარ(უ) – სახნავი ურთის მთაზე, სოფ. ცაიშში).

მაქაცარიაშ ნაკარუ//ყამუშ ნაკარუ – საძოვარი სოფ. ერგეტაში. შდრ.: სარაპიონიშ ნაკარგ//სარაპიონიშ ნაკარუ – სახნავი ურთის მთის კალთაზე (სოფ. ცაიში).

ნაიგუტუ – ჩაის ფართობი სოფ. ჭკადუაშში. ეგუტია (ვარსახელი) → ნაეგუტუ → ნაიგუტუ (აე → აი დისიმილაცია).

საერთოდ, უ იშვიათად იკარგება, თუ კი მის წინ
ორი თანხმოვანია: ნაკაზარმუ, ნაფერმუ, ნათურქუ...
თუმცა შდრ.: ნაფაცხე, ნაბრინჯე...

არაა იშვიათი ადგილის სახელებში ასეთი
პარალელური ფორმები:

ალჩბაიეფიშ ნადიხუ//ალჩბაიეფიშ ნადიხ – სახნავი
სოფ. ჭკადუაშში.

ნაოხვამ//ნაოხვამუ „ნასაყდრალი“ – ბორცვი
ლეჭითანეში (სოფ. ჭკადუაში).

ნაოჩუ//ნაოჩ – სახნავი სოფ. ჯიხაშკარში.

ნაფაცხუ//ნაფაცხ – ჩაის ფართობი სოფ
ჭითაწყარში.

ანაშ ნადიხუ//ანაშ ნადიხ – მინდორი ქოკიაში (სოფ.
ჭითაწყარი).

ნასაჩიხუ//ნასაჩიხ – ღელე სოფ. ურთაში. ამ ღელის
პირას ჰქონიათ საჩიხე „საქონლის დასამწყვდევად
შემოღობილი ადგილი.

ნა- პრეფიქსიანი ტოპონიმებია აგრეთვე: ნამარკილუ,
ნარამუ, ნაქურუ, ნაღულათუ, ნაჭუკუ, ნახვამუ (←
ნაოხვამუ), ნააკარდამუ, ნააფხაზურუ, ნათანაფუ,
ნაჯვარუ, ნაჯიხუ, თურქიშ ნაკარუ, ნალამუ, ნალაღუმუ
და მრ. სხვა.

სამურზაფანოს ნა- პრეფიქსიან ტოპონიმთა ბოლოში
არაა იშვიათი -უ სუფიქსის დასუსტების შედეგად
მიღებული ნახევარხმოვანი გ:

ნა-ბალ-გ – სახნავი ნაცმერში (სოფ. ღვაშგვერდი). ამ
ადგილას მდგარა ბალუ „ბეღელი, სიმინდის შესანახი
ხულა“.

ნა-ფურნგ – მინდორი გირძე ეწერში. ფურნე „თონე“.

ნა-ფაცხეგ//ნაფაცხეგში ჩაი – ჩაის ფართობი სოფ.
სიდაში. ფაცხა „ფაცხა. წნელით მოღობილი ნაგებობა“
→ *ნა-ფაცხ-უ → ნაფაცხე.

ნაჭკადირ(გ) – მინდორი სოფ. ურთაში. ოჭკადირე „სამჭედლო“ → ნაოჭკადირუ „ნასამჭედლარი“ → ნაჭკადირ(გ).

ნალაგერ(გ) – ერქვა მინდორს დადიაშ გოჭოფირთან (სოფ. რიყე). რუს. → ბანაკი.

ნაბრინჯ(გ) „ნაბრინჯალი“ – სახნავი სოფ. ორულუში.

ნალიმონგ//ნალიმონ – სახნავი სათორიოში (სოფ. ორსანტია).

პეხუშ ნადიხ(გ) – სახნავი სოფ. ზედა ეწერში.

ლავრენტიშ ნადიხ(გ) – სახნავი სოფ. ზედა ეწერში.

ნაიონჯ(გ) „ნაიონჯარი“ – სახნავები სოფ. ჭკადუაშში.

ნაბერძემ(გ) – მინდორი სოფ. ჯიხასკარში.

აფშირაშ დგნადგგმგ//აფშერიშ დგნადგგმგ „სადაც აფშირა დადგეს“ – მინდორი სამურზაყანოს მთის უღელტეხილზე. ამ უღელტეხილს ეწოდება აფშირაშ გინალ. მოტივაცია: ჯვარელი მწყემსი ჯაბუ მთა აკიბოდან მოერეკებოდა საქონელს. ოველმა მოუსწრო და აქ დატოვა აფშირა – უველის ჩასაწყობი ხის მაღალი ჭურჭელი. აფხაზური სიტყვა ა-ფშერჰა მეგრულში შესულია აფშირა, აფშერა ფორმით.

-უ სუფიქსის დასუსტებამ გამოიწვია – გ → **∅**:

ნააკობ – ბორცვი სოფ. მუხურში. ომის დროს აქ ამოუთხრიათ აკობი (რუს. окоуп „სანგარი“).

ნაანგურ „ნააგურალი“ – სააგურე მიწის კარიერი სოფ. ქვიშონაში და ტყე სოფ. ფართოლალში (ცხირის თემი).

ნაანკირ „ნასაკირალი“ – დავაკება ერისწყლის ნაპირას (სოფ. ლეჭარაიე). ონკირე „საკირე“ → ნაონკირუ → ნაანკირ.

ნაარგუს „ნააგვისტოვარი“ – ტყე სათანჯოს კალთაზე (სოფ. დიხაზურგი), ნატყევარი სოფ. ნაბაკევში. საერთოდ, ნააგვისტოვარი ის ადგილია, სადაც საშემე და საფიცრე ხეტყეს აგვისტოში ჭრიან.

ნააფთორ – მინდორი სოფ. რეჩეში, ტყე სოფ. ჩხორთოლში და საძოვარი სოფ. მუხურში. აფხაზ. ააფთორა → მეგრ.: აფთარა, აფთურა, ავთარა//აფთურა „მწყემსების საზამთრო სადგომი ბარში“ → ნააფთორ.

ნაახეარ – მინდორი ზღვის პირას (სოფ. ნაგვალოუ) და ჩაის ფართობი სოფ. მუხურში. აფხაზ. ახეარა → მეგრ. ახეარა „საქონლის საძოვრად სახლთან ახლოს შემოკავებული ადგილი“.

ნაბაბაფ „ნაბამბარი“ – საძოვარი სათანჯოს კალთაზე (სოფ. ჭუბურხინჯი) და ფერდობი სოფ. ცხირში.

ზოგ **ნა-** პრეფიქსიან ტოპონიმს დაჲკარგვია ფუძისევული ან პრეფიქსისევული ხმოვანი (იხ. მაგალითები წინა გვერდებზე).

მაშასადამე, სამურზაყანოში ნა- პრეფიქსიან ტოპონიმთა უმრავლესობაში შენარჩუნებულია ბოლოკიდური -უ, ხშირად გვხვდება ნა- Ø პრეფიქს-სუფიქსიანი ტოპონიმები, ხოლო ბოლოკიდურ პოზიციაში გ ბგერა იშვიათია. ამასთანავე, რამდენიმე შემთხვევაში დასტურდება ასეთი პარალელური ტოპონიმები: ნა-კარკუნტ-უ//ნაკარკუნტ – ტყე სოფ. ნაგვალოუში. აქ ჭრიდნენ კარკუნტს, სახურავის საყრდენ თავხეს; ნამარულუ//ნამარულ – ტყე სოფ. გაგიდაში, მინდვრები სოფ. ზარწუფასა და თაგილონში; ნაციც – უბანი სოფ. სუპში.

**ი → გ და სუფიქსი უ → 0 წალენჯიხისა
და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში**

ფონეტიკური პროცესი ი, უ, ე → გ → გ → გ, როგორც
მოსალოდნელი იყო, გვხვდება წალენჯიხისა და
ზუგდიდის რაიონების ტოპონიმიაშიც. წარმოვადგენთ
ნიმუშებს:

ა. სიტყვის ფუძეში ი, უ → გ:

გვნძე ქუა „მაღალი ქვა“ – ქვასეგეტი სოფ. ჭველეში.

**გვრძე ბული „მაღალი ბალი“ – ტყე-ხევი სოფ.
ნაგურუში. გვნძე, გვრძე აღნიშნავს გრძელსაც და
მარალსაც.**

**გვნძე ღალ//გვრძელალ – ღელეები სოფ.
მაზანდარასა და სოფ. საჩინოში (შდრ.: გირძე
სუპი//გვრძე სუპი „გრძელი სერი“ – სერი სოფ.
ობუჯში).**

**ღვრჩონი – მინდორი მაგანის სატყეოში. ტოპონიმმა
გაიარა ფონეტიკურ გარდაქმნათა ასეთი გზა: ჯინჯი
რჩე „ძირთეთრი“ (ბოტ. უცუნა) → ჯვრჩე (ჰაპლოლოგია)
→ ღვრჩე → ღვრჩონი.**

**ნაოჭკადგრ „ნასამჭედლარი“ – ჩაის ფართობი სოფ.
ნაკიფუში, სერი სოფ. კუხეუშში და სხვ. ჭკადუა „ჭედვა“
→ ოჭკადურე „სამჭედლო“ → ოჭკადგრე → ნაოჭკადგრ.**

**ნახუტურ – სახნავი ორსანტიაში. სრული ფორმაა
ნახუტურუ „საფლავი, რომელიც არაა ნაკურთხი“.**

ნესტორიშ ნანოხორ – ჩაის ფართობი სოფ. ოდიშში.

**ნაინგირ „ნაენგურალი“ – მდ. ენგურის რიყე სოფ.
განარჯიის მუხურში.**

**ნაწისქვილ „ნაწისქვილარი“ – სახნავი მდ.
ყულიწყარის ნაპირას, სოფ. ოფაჩხაფუში.**

ნაჯიხ//ნოჯიხ//ნაოხევამ – სასაფლაო სოფ. ახალ
აბასთუმანში.

ნაქობალ „ნახორბლარი“ – სახნავი სოფ. ურთაში
(შდრ. ნაქობალ(გ) – მინდორი სოფ. ჩხორიაში).

**არაიშვიათად გვხვდება ასეთი
პარალელური ფორმები:**

ნაღუმუ//ნაღუმ – სახნავები სოფ. ლეხარჩილეში,
ჭველეში და სხვ.

ნაწრუბელუ//ნაწრუბელ „ნაწურბლარი“ – ბორცვი
სოფ. ნაკიფუში.

ნაჯიხურუ//ნაჯიხურ „ნაციხარი“ – ბორცვი სოფ.
ობუჯში, ნაციხარი სოფ. ფახულანში და სხვ.

**ნა- პრეფიქსთან -უ სუფიქსი უმეტეს
შემთხვევაში შენარჩუნებულია:**

ნაკორზუ – ბორცვი სოფ. სამესხიოში. კორზუა
გვარია.

**ნაკიფუ „ნაკანაფარი“ ← კიფი „კანაფი“ – სოფელი
წალენჯიხის რ-ნში.**

**ნაკარუ „ნაკარვალი“ – ჩაის ფართობი სოფ.
ობუჯში, ბუჩქნარი სოფ. ლეთკანთში და სხვ.**

**ნაკვალუ „ნაწალდარი“ – სახნავი სოფ. სამესხიოში.
მოტივაცია: ეს მიწა კაციებს წალდში გაუცვლიათ.**

**ნაოხევამუ „ნასაყდრალი“ – ნასაყდრალი სოფ.
ულურიაში.**

**დასახელებულ მუნიციპალიტეტებში ასევე
ხშირად დასტურდება ნა-უ → ნა -Ø.**

**ნააგვარ – დაგვაკება სოფ. ნაშამგუში. აგვარა „ბაკი“
→ ნააგვარუ → ნააგვარ.**

ნაანგურ „ნააგურალი“ – სახნავი სოფ. ჯადრაში (შდრ.: ნაანგურუ – მინდორი სოფ. ჭკადუაშში, აღმართი ქ. ჯვარში და სხვ.).

ნაბაკურ – ფერდობი სოფ. ფუქში. ბაკურია გვარია.

ნაბინებ „ნავენახარი“ – სახნავი სოფ. ქალადალში.

ნაბუხარ „ნაბუხრალი“ – სახნავი სოფ. ობუჯში.

ნალაგვან „ნაქვევრალი“ – დაგაკება სოფ. ჯალრაში, ფერდობი ქ. ჯვარში და სხვ.).

ზემოთ დასახელებული ფონეტიკური პროცესები და მათი შედეგები, რა თქმა უნდა, თავს იჩენს ხობის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაშიც. განსაკუთრებით ხშირია ნა-ჟ ფონეტიკური გარდაქმნის გარეშე:

ნამუნჩუ – ტბორი, მდ. მუნჩიის ნაკალაპოტარი სოფ. ბულიწყუში.

ნაჟღერუ – ბორცვი სოფ. საკვიკვინიოში. უღერია გვარია.

ნაფოშტუ „ნაფოსტარი“ – მინდორი სოფ. ბულიწყუს ცენტრში.

ნაწისქვილუ „ნაწისქვილარი“ – სახნავი მდ. ჭანისწყლის ნაპირას (სოფ. ჯაპშაქარი).

ნაფატუ „ნაფეტვარი“ – სახნავი სოფ. ხამისქურში.

ნაზავოდუ – მინდორი სოფ. ყულევში. ზავოდი (← რუს. завод) მეგრულში აღნიშნავს სახერხ ქარხანას.

ნათუთუმუ – ჩაის ფართობი სოფ. ძველ ხიბულაში. ქართ. თუთუნი → მეგრ. თუთუმი „თამბაქო“ → ნათუთუმუ.

ნატაბაღუ – ტყე სოფ. გამოლმა შუა ხორგაში. ტაბაღუა გვარია.

ნაკლასუ – ბუჩქარი სოფ. სალვამიჩავოში. კლასი იგივე სკოლაა.

ასევე ხშირია ნა-ჟ → ნა – Ø

ხობის მუნიციპალიტეტში:

ნაანგურ „ნააგურალი“ – სახნავი სოფ. კულევში.

ნადოხორ (← დოხორე „სასახლე“) – სახნავი სოფ. ქველ ხიბულაში.

ნატრაქტორ – ჩაის ფართობი სოფ. გაშვერდში. მოუხნავთ ტრაქტორით.

ნააბან – მინდორი სოფ. ბიაში (შდრ.: ნააბანუ – მინდორი სოფ. ნოჯიხევში)/

ნაბოსელ „ნაბოსლარი“ – სამოვარი სოფ. ბიაშონიოში.

ნაქობალ – ტყე სოფ. საკვიკვინიოში (ითესებოდა ქობალი „ხორბალი“).

ნადუქან „ნადუქნარი“ – მინდორი სოფ. მეორე გურიიულში.

ნაფაცერ – სახნავი ხობისწყლის ნაპირას, სოფ. მეორე გურიიფულში. აქ დაღგმული პქონიათ ფაცერი, ანუ გეჩა, ოეზზის შესაპყრობი ძარა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხობის რაიონში მხოლოდ ორიოდე ტოპონიმში დასტურდება ნა-უ → ნა -გ:

ნაბოსტანგ „ნაბოსტნარი“ – სახნავი სოფ. ზემო ბიაში.

ნაიონჯგ – სახნავი სოფ. გაღმა საჯიჯაოში.

შენიშვნა: ნა-უ → ნა – ზ ძალზე იშვიათია მარტვილისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტოპონიმიაშიც, რაც მეგრულის ორი კილო-თქმის გამოყოფის საფუძველი არ უნდა იყოს.

ასიმილაცია და დისიმილაცია

ასიმილაცია და დისიმილაცია კომბინატორულ ბგერათცვლილებათა სახეებია. იგულისხმება ბგერის არტიკულაციის ცვლა სხვა ბგერის არტიკულაციით ერთი (იზოლირებული) სიტყვის (მარტივის ან რთულის) ფარგლებში. ეს ფონეტიკური პროცესები

ფართოდაა გავრცელებული როგორც ქართულსა და მის დიალექტებში, ასევე მონათესავე ენებში.

ი. ყიფშიძემ სპეციალურად შეისწავლა მეგრულში ასიმილაციისა და დისიმილაციის თავისებურება ქართულთან მიმართებით და დაასკვნა: „ქართულსა და მეგრულში თუმცა ყველა სახის ასიმილაცია და დისიმილაცია გვხვდება, მაგრამ უპირატესნი და დამახასიათებელნი არიან რეგრესული ასიმილაცია და პროგრესული დისიმილაცია“ (ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში. იხ. მისივე: რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, გვ. 730).

ასიმილაცია

როგორც ცნობილია, ზოგ სიტყვაში ასიმილაცია ისტორიულ წარსულში არის მომხდარი და ასიმილირებული ფორმა დამკვიდრებულია როგორც ორთოგრაფიული ნორმა. მაგალითად: სეშა → შეშა, დინჭველი → ჭინჭველი, სიმშილი → შიმშილი და სხვ.

ასიმილაცია ხდება როგორც თანხმოვანთა, ისე ხმოვანთა შორის სამი მარკერით, ხოლო დისიმილაცია – ორით. კერძოდ, ასიმილაციის სახეებს განარჩევენ მანძილის, მიმართულებისა და შედეგის მიხედვით.

ასიმილაცია ანუ დამსგავსება გულისხმობს ასიმილატორ (ბგერა, რომელიც იმსგავსებს სხვა ბგერას) და ასიმილირებულ (ბგერა, რომელიც სხვა ბგერას ემსგავსება რაიმე ნიშნით) ბგერებს. მეგრულში ასიმილაცია ფართოდაა გავრცელებული როგორც თანხმოვნებს, ისე ხმოვნებს შორის. გავიმეოროთ: ასიმილაციას განარჩევენ სამი მარკერის – მანძილის (კონტაქტური, დისტანციური), მიმართულების

(პროგრესული, რეგრესული) და შედეგის (სრული ან ნაწილობრივი) მიხედვით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ასიმილაცირი და ასიმილირებული ბგერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ერთი რომელიმე არტიკულაციური ნიშნის მიხედვით. გამოყოფენ რთულ ასიმილაციასაც, რომელიც არის შედეგი ორი ან მეტი ასიმილაციური პროცესისა. ამასთანავე, ასიმილაცია მეგრულში შეიძლება იყოს: ა. ისტორიულად მომხდარი პროცესი, რომლის შედეგიც დამკვიდრებულია ენაში, მაგალითად: ქართ. კარავი შესულია მეგრულში კარე ფორმით (კარავი → *კარაი → *კარეი → კარე). ეს კარე და მისგან წარმოქმნილი ნაკარუ და ნოკარენი ხშირად გვხვდება სამეგრელოს ტოპონიმიაში; ბ. ენაში მიძღინარე ცოცხალი პროცესი, რომელიც თვალნათლივ ჩანს როგორც საზოგადო სიტყვებში, ისე საკუთარ სახელებშიც (განსაკუთრებით ტოპონიმიასა და ანთროპონიმიაში).

ასიმილაცია-დისიმილაციის საკითხებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნარკვევში ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ ძველი ქართული ენა ებრძვის „წმინდა ფონეტიკურ დასაბამს“ და, შესაბამისად, მკაცრად იცავს მორფოლოგიურ და ეტიმოლოგიურ სტრუქტურას. „მეგრულში კი, რომელიც სალიტერატურო ენა არ არის, პირიქით, უპირატესობა ეძლევა ფონეტიკურ დასაბამს, რომელიც არ არის შემოზღუდული არავითარი პირობითი მწიგნობრული საგრამატიკო კანონით (ყიფშიძე, 1994, გვ. 723). აქვეა აღნიშნული: „ქართულსა და მეგრულში ყველა სახის ასიმილაცია გვხვდება, პროგრესული, რეგრესული და საურთიერთო; მაგრამ მაშინ, როცა პირველი და, განსაკუთრებით, უკანასკნელი იშვიათია, რეგრესული ასიმილაცია გაბატონებულია და ამ ენების დამახასიათებელს თვისებას წარმოადგენს“.

მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკისადმი მიძღვნილ ნაშრომში მ. ციკოლია აღნიშნავს: „ასიმილაციის ხელდრითი წონა სხვადასხვაგვარია... მეგრულის კილოკავებშიც მეგრულის სენაკურ კილოკავში ბგერათა ასიმილაცია უფროა გავრცელებული, ვიდრე სამურზაყანულ-ზუგდიდურში“ (ციკოლია, 1954, გვ. 327-328). ამავე ნაშრომის სხვა ადგილას აღნიშნულია: „ხმოვანთა ასიმილაცია სამურზაყანულში ფერმკრთალადაა წარმოდგენილი, მაშინ როდესაც მას სენაკურში დიდი უფლებები აქვს მოპოვებული. ზუგდიდურში ასიმილაციური ფორმები სჭარბობს უასიმილაციო ფორმებს (იქვე, გვ. 330). ხოლო „თანხმოვანთა ასიმილაციის მხრივ სამურზაყანული და ზუგდიდური ერთმანეთს მიჰყვებიან. აქ უკვე არა გვაქვს ის სხვაობა, რაც ვნახეთ ხმოვანთა ასიმილაციის დროს“.

ქვემოთ დავასახელებთ ხმოვანთა ასიმილაციის რამდენიმე ათეულ შემთხვევას:

ბინონა – ტყე ჩელალის მარცხ. მხარეს, სადაც ჭვიტლური ჯიშის ვაზი თხმელებზე ყოფილა აშვებული. ქართული სიტყვა ვენახი მეგრულში გავრცელებულია ბინეხი ფორმით. მაშასადამე, ბინეხი „კანონიკურია“ მეგრულისათვის. ზემოთ დასახელებულ ტოპონიმში კი მომხდარა ხმოვანთა დისტანციური ასიმილაცია: ე-ო → ო-ო. ასიმილაციის შედეგად წინა რიგის ხმოვანი ე იქცა უკანა რიგის ხმოვანად.

ბოხ(უ)ტური/ბოხთური/ბოხუაშ ნოხორი – სერი სოფ ნაკიანში. ბოხუა გვარია, ხოლო ბოხუთური ნიშნავს: ბოხუას შთამომავლობა, ბოხუასანი. ფორმა ბოხუტური ასიმილაციის შედეგია: ყრუ მკვეთრმა ხ ბგერამ ყრუ ფშვინვიერი თ ბგერა გადააქცია მკვეთრ ტ ბგერად. ასიმილაცია ნაწილობრივია.

ზინდი – ნატბევარი ტაფობი სოფ. ქოყოში. სავარაუდოა: ზენი დიდი „ვაკე დიდი“ → ზენდი-დი//ზეინდი → ზინდი. მაშასადამე, ბოლო ეტაპზე მომხდარა სრული ასიმილაცია, რომელიც დამთავრდა ბგერათა შერწყმით: ე – ი → ი – ი → ი.

ქეხორცოშ ნოხორი – სახნავი სოფ. ახუთში. მიკროტოპონიმის პირველი კომპონენტი ქართ. ქაიხოსროს მეგრ. ვარანტია. მაშასადამე პროცესი ისტორიულია: ქაიხოსრო → *ქეიხოსრო (ასიმილაცია აი → ეი) → ქეოხორსო → ქეხორცო (ს → ც აფრიკატიზაციით).

თხუმულონი „თხმელნარი“ – ტყეები სოფლებში – თაია, კირცხი, ნაკიანი, სარაქონი და სხვ. როგორც ცნობილია, მეგრულებში ქართული თხმელას ფონოლოგიურ-სემანტიკური ეპევალენტია თხომუ. აქედან გამომდინარე, თხუმუ მეორეულია. წარმოქმნილია სრული დისტანციური ასიმილაციის გზით: თხომუ → თხუმუ (ო-უ → უ-უ). შედროւ: თხომლონი და თხმულონი – სხვადასხვა ობიექტთა სახელები ნაფიჩხოვოში, კერცხში, თაიაში, ნაკიანში და სხვ.

მუღურონი//მუღორონი//მოღორონი – ერქვა ჭაობს ჯვარზენში (ქ. ჯვარი). ტოპონიმისათვის ამოსავალია ქვემო სამეგრელოში გავრცელებული სიტყვა „მუღურია დიხა“, რაც აღნიშნავს ფხვიერ მიწას. აღნიშნული ჭაობის ნაპირებზე სწორედ ასეთი მიწა იყო. მაშასადამე, ამოსავალია ფორმა მუღურონი, რომლისგანაც უ-უ → უ-ო დიდიმილაციის მიგვიღია მუღორონი, ხოლო ამ ვარიანტიდან უ-ო → ო-ო სრული ასიმილაციით – მოღორონი.

ნაანკირეში – ტლაპო სოფ. ალერტკარში (ზუგდიდის რ.). კირი „კირი“ → ონკირეში „საკირისი“ → ნაონკირეში „ნასაკირალი“ → ნაანკირაში (სრული

კონტაქტური ასიმილაცია: ა-ო → ა-ა). შდრ.: ნა(ა)ნკო-
რეში – ბორცვი სოფ. ჯიხაშკარში.

ცაიში//ცეიში//ცეში – სოფელი ზუგდიდის ო-ნში.
თავდაპირველი ფორმაა ცაიში „ცისა, ზენაარისა“, ეს
ფორმა დადასტურებულია საისტორიო წყაროებშიც:
კერძოდ 1271-1299 წწ. „საპატრიარქოს დაწერილში“ და
1616-1621 წწ. მოსაკრებლობის დავთარში“ აღნიშნულია,
რომ ცაიშში იჯდა ეპისკოპოსი და მის საეკლესიო
სამფლობელოს ეწოდებოდა საცაიშლო. ისტორიულ
წყაროებშივე დასტურდება ვარიანტი ცაისი. რა
ფონეტიკურმა პროცესმა გამოიწვია ცეიში და ცეში
ფორმების გაჩენა? როგორც ჩანს, ნაწილობრივმა
ასიმილაციამ! ი ხმოვანმა ნაწილობრივ დაავიწროვა ა
ხმოვანი და აქცია იგი შუა აწეულობის ე ხმოვანდ.
რის შედეგადაც მივიღეთ კომპლექსი ეთ: (ცაიში →
ცეიში) და ეთ → ე (ცეიში → ცეში).

სარემანძო – ერემანძების უბანი სოფ. ჭაქინჯში,
მაშასადამე: საერემანძო → საარემანძო (სრული
კონტაქტური ასიმილაცია აე→აა) → სარემანძო
(შერწყმა: აა → ა). შედარებისათვის საინტერესოა:
საერემანძო//საირმაძო – უბანი სოფ. პირველ
გურიულში. ცხოვრობენ ერემაძეები (ქართ. ირემაძე →
მეგრ. ერემაძე). მაშასადამე, საერემანძო გვაძლევს
საირემანძოს, რაც დისიმილაციაა.

ლეპოზუე//ლოპოზუე – კოზუების უბანი სოფ.
ჭადუაშში. სრული დისტანციური ასიმილაციის
საფუძველზე ე-ო → თ-ო.

მეისარონი//მისარონი – ბორცვი ლაჩახვის
სათავესთან (ფუქი, ლეხარჩილე). სახელწოდების მეორე
ვარიანტი მიღებულია სრული ასიმილაციის გზით: ეთ
→იი → ი.

ნაბოკუჩევ//ნაბუკუჩევ – სახნავი სოფ. ლიაში. ბოკუჩავა (გვარსახელი) → ნაბოკუჩევ → ნაბუკუჩევ (სრული დისტანციური ასიმილაცია ო-უ → უუ).

ნანკირეში – ფერდობი ქ. ჯვარში, ბუჩქნარი სოფ. მუჟავაში და სხვ. კირი „კირი“ → ონკირეში „საკირისი“ → ნაონკირეში „ნასაკირალი“ → ნაანკირეში (სრული ასიმილაცია: ო-ო → აა) → ნანკირეში (აა → ა). შედრ.: ნაონკირეში ფერდობები ეწერფერდსა და ლესალეში. იგივე პროცესი: ნარაგუ//ნაორაგუ – ტყე სოფ. ნაგურუში.

ონწეიში//ონწიიში – სერი სოფ. ჭალეში (საზიარო სოფ. მუჟავასთან). ონწე „აკვანი“ (სერი ვიწროა და ჰგავს აკვანს) → ონწეიში → ონწიიში (სრული კონტაქტური ასიმილაცია).

საონჩხოლო//საანჩხოლო – ვაკე-ფერდობებ სოფ. ნაშამგუში. გადმოცემით, ონჩხოლიების ნასახლარი ადგილებია. მაშასადამე, მეორე ვარიანტში: ო-ო → აა (სრული კონტაქტური ასიმილაცია).

ხულ(ო)ური//ხულუური – ნასოფლარი სოფ. ფახულანში. ამოსავალი ფუძე ჩანს ხულა „ბეღელი“. მარცვლის შესანახი ძელური ნაგებობა“. მაშასადამე ფონეტიკური პროცესები ასე წარიმართა: ხულა → ხულაური → ხულოური (ნაწილობრივი ასიმილაცია) → ხულუური (სრული ასიმილაცია).

ნაფოთურ//ნაფთგრ – ბორცვი საკვიკვინიოში. წარმოქმნილი ტოპონიმისათვის ამოსავალია აფთურა (\leftarrow აფხაზ. ააფთრა „ცხვრის სამწყვდევი“ ან ზოგადად „მწყემსის საზამთრო სადგომი ბარში“). ამავე სოფელში დადასტურებული ტოპონიმი ოფთურე (ეწოდება მინდორს) ცხადყოფს, რომ დასახელებული ტოპონიმის პირველი ვარიანტისათვის ამოსავალია სწორედ ოფთურე. მაშასადამე, ფონეტიკური პროცესები ასე წარიმართა: ოფთურე → ნაფთურუ → ნააფთურუ

(ასიმილაცია ა-ო → აა) → ნაფთგრ (შერწყმა: აა → ა; ფუძისეული ბგერის დასუსტება: უ → ე).

ჯაკონური//ჯაკუნური – ფერდობი ნატბევარით სოფ. ხანწეში. „კანონიკური“ ფორმაა ჯაკონური: უწინ ეს ადგილები თურმე ჯაკონიას ეპუთვნოდა. ჯაკონია გვარსახელია (სულ საქართველოში 307 სული, მათგან ზუგდიდის რ-ნში 80). გვარსახელი დასახელებულია 1621 წელს შედგენილ საეკლესიო საბუთში. აკ. შანიძე ამ გვარს უკავშირებს სიტყვა დიაკონს. ჯაკონური ნიშნავს: „რაც უწინ ჯაკონიას ეპუთვნოდა“. მაშასადამე, ჯაკუნური წარმოქმნილია ო-უ→უ-უ ასიმილაციის ნიადაგზე.

ლეშადანე//ლეშედანე – შედანიების უბანი დღურუს მარცხ. ნაპირზე, სოფ. ოდიშში. სამეგრელოში საპასპორტო ფორმებია როგორც შედანია, ისე შადანია. მათგან გვარ შადანიას ატარებს მხოლოდ 50 სული. კომპაქტური დასახლება არც მოეპოვება. ზემოთ დასახელებულ უბანში კი ცხოვრობენ შედანიები. XX ს-ის დამლევისათვის გვარ შედანიას საქართველოში ატარებდა 543 სული. პირსახელი შედანა გვხვდება XVI ს-ის წერილობით წყაროებში (იხ. პალ, I, 62). ყოველივე აქედან გამომდინარე, გვარის თავდაპირველ ფორმად უნდა ჩავთვალოთ შედანია. მაშასადამე, შადანია მეორეულია. მომხდარა ასიმილაცია: ასიმილატორია ა, ხოლო ასიმილირებული ე: ე-ა → ა-ა. ასიმილაცია დისტანციურია. სხვა მაგალითი: საშედანიო//საშადანიო – უბანი ახალკახათის საზღვართან, სოფ. კახათში. ცხოვრობენ შედანიები.

მედანი – სოფელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. ქართ. მაიდანი → მეგრ. მედანი (ასიმილაცია: ვიწრო ი ხმოვანმა ნაწილობრივ დაავიწროვა ა: ა-ი → ე-ი) → მედანი → მედანი.

სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიაში გვხვდება თანხმოვანთა ასიმილაციაც. დავესესხოთ ო. ყიფშიძეს „უმეშვეოდ მეზობელ თანხმოვან ბგერათა შორის ქართულსა და მეგრულ ში წარმოებს მხოლოდ ნაწილობრივი ანუ არასრული ასიმილაცია, უმეტესად რეგრესული (ყიფშიძე, 1994, გვ. 725). გასაგებია: ქართული სიტყვა ერთმანეთის მეზობლად ვერ იტანს ორ ერთნაირ თანხმოვანს. შესაბამისად, „სრული რეგრესიული ასიმილაცია თანხმოვნებისა თანხმოვნებთან მხოლოდ მაშინ არის ხოლმე, როცა მათ შორის ერთი ან რამოდენიმე ბგერა დგას“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 726). ზემორე ნათქვამს ადასტურებს ქვემოთ დასახელებული ტოპონიმები:

შაშარდენო – კლდეები სოფ. ქოყოში. ამ კლდეებში ბუდობდა, როგორც გადმოსცემენ, შარდენი „შევარდენი“. მაშასადამე, ქართ. შევარდენი → მეგრ. შარდენი → საშარდენო → შაშარდენო (სრული დისტანციური ასიმილაცია: ს-შ → ჭ-შ).

ჯაგაჯა – მინდორი სოფ. შამგონაში. გადმოცემით, ეს ადგილი ეკუთვნოდა ძაკას (მამაკაცის სახელია). აქედან გამომდინარე: ძაკაშ ჯა → ძაკაჯა → ჯაკაჯა (სრული დისტანციური ასიმილაცია: ძ-ჯ → ჯ-ჯ).

ნაჭიშვარ//ნაჭიჭვარ – მინდორი სოფ. მეორე გურიულში. პირველი ვარიანტი ამოსავალია მეორე ვარიანტისათვის, სადაც მომხდარა სრული დისტანციური ასიმილაცია: ჭ-შ → ჭ-ჭ.

**თანხმოვანთა დისტანციური ნაწილობრივი
ასიმილაციის ნიმუშებია:**

ბეხვეშ ნოხორი//ფეხვეშ ნოხორი – ტყე სოფ. სარაქონში. ბეხვე, ბეხვეია, ბეხუია მეგრულ ში გავრცელებული პირსახელებია. მაშასადამე, ფეხვე მეორეული ფორმაა, ასიმილაციის გზით წარმოქმნილი.

თავკიდური მუდერი ბ ნაწილობრივ დაიმსგავსა ყრუ მკვეთრმა ხ ბგერამ (ე.ი. ბ-ხ → ფ-ხ).

კათაჯვარი – სერი ნაფიჩხოვოში. კათა მეგრულში აღნიშნავს ხალხს. აქედან გამომდინარე წარმოქმნა ცრუხალხური ეტიმოლოგია: კათაჯვარი „ხალხის ჯვარი“. სინამდვილეში ამ კომპონენტისათვის ამოსავალია მთიან სამეგრელოში გაერცელებული სიტყვა კადარი „მზისკენ მიქცეული ფერდობი“. ამიტომაც შეგვიძლია ვივარაუდოთ: კადარიშ ჯვარი → კადარჯვარი → კადაჯვარი (ორი ერთნაირი ბგერიდან ერთ-ერთი დაიკარგა) → კათაჯვარი. ამ უკანასკნელ საფეხურზე მომხდარა დისტანციური ნაწილობრივი ასიმილაცია: კ-დ → კ-თ.

ნამალამ//ნამალან – ფერდობები სოფ. ჯალრაში. ობიექტი ითვლება მალანიების ნასახლარად. მაშასადამე: მალანია → ნამალან → ნამალამ: სრული დისტანციური ასიმილაცია მ-ნ → მ-მ.

შაქარკალა//შაკარკალა – სახნავი ბორცვზე სოფ. ნაკიფუში. გადმოცემით, შაქარს (პირსახელია) აქ ჰქონია კარე „კარავი, სადგომი“. თუ პირველ ვარიანტს ძირულ თავდაპირველ ვარიანტად ჩავთვლით, მაშინ მეორე ვარიანტი სრული დისტანციური ასიმილაციის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს; შაქარკალა → შაკარკალა (ჭ-კ → ჭ-კ).

ინჭეში – ბუჩქნარი ოისინდეში (ქ. ჯვარი). ტოპონიმი წარმოქმნილია ასიმილაციის გზით. ინჭა (ჭა) → ინჭაიში → ინჭეიში → ინჭევში → ინჭეში.

წარმოვადგენო რამდენიმე ნიმუშს ხობის რაიონიდანაც:

ლეტაიში//ლეტეში – ტყე-ჭალა ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. პირველი ვარიანტი იშვიათია. მეორე ვარიანტი მიღებულია ამგვარი ფონეტიკურ გარდაქმნათა გზით:

ლეტა „ტალახი“ → ლეტაში → ლეტეში → ლეტევში → ლეტეში.

სასქური//შქასქური – დელე სოფ. პირველ ხორგაში.
როგორც ჩანს: შქასქური „შუა სქური“ → სქასქური (ასიმილაცია: შ-ს → ს-ს) → სასქური (წინა ჭთანხმოვნის დაკარგვით).

ხობწყარი//ხოპწყარი – ერთ-ერთი დიდი მდინარე სამეგრელოში. შეერთვის შავ ზღვას ყულევთან. ყრუ ხ ბგერამ დაიმსგავსა მედერი ბ და აქცია იგი ყრუ მკვეთრ პ ბგერად.

ჭიფეში//ჭიპეში – ტყე შავი ზღვის ნაპირას. ხობისწყალსა და ჭურიაწყალს შუა დევს ვიწრო ზოლად. ჭიფე „ვიწრო, წვრილი“ → ჭიფეში → ჭიპეში: ყრუ მკვეთრმა ჭ ბგერამ დაიმსგავსა ასევე ყრუ ფშვინვიერი ფ და აქცია იგი ყრუ მკვეთრ ბგერად (ჭ-ფ → ჭ-პ).

ხეაჭაჭამწყარი//ლვაჭაჭამწყარი – წყარო სოფ. ლედარსალეში. რესპოდენტთა განმარტებით, „წყალში, ლოდებს ქვეშ რომ რაღაც ნიუარების მსგავსი ასხია, ისაა ხეაჭაჭი“. მაშასადამე, ლვაჭაჭი ფონეტიკური სახეცვლილებით მიღებული ვარიანტია. ე. ი. ხვ → ლვ. რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც ასიმილაციური გამჟღერება, რადგანაც ვ მედერმა მკვეთრი ყრუ ხ დაიმსგავსა და გადააქცია იგი ნაპრალოვანთა ორეულის დ მედერ ბგერად.

დაჩქელიანეფიშ მინდორი და დაჩქელიანეფიშ ნაოხვამ(გ) – ადგილის სახელებია სოფ. ორსანტიაში. თხზული მიკროტოპონიმის მსაზღვრელი კომპონენტი წარმოადგენს სვანური გვარსახელის – დადეშქელიანის – ფონეტიკურ ვარიანტს: თავდაპირველად მომხდარა მარცვლის ამოვარდნა ანუ პაპლოლოგია: დადეშქელიანი → დაშქელიანი. ამას მოჰყვა შქ → ჩქ. მაშასადამე სამეულის ყრუ ფშვინვიერმა ქ ბგერამ

ნაწილობრივ დაიმსგავსა წყვილეულის ყრუ მკვეთრი შ (ასიმილაცია).

გალებერიშ მინდორი – სახნავი კახათწყარის ნაპირას; **გალობერიშ დიხა** – მინდორი ალონწყარისა და ჩხოუშიის შესართავთან (ორივე სოფ. ოქტომბერში). ქართულში გვარი მგალობლიშვილი ცნობილია. სამეგრელოში გადასახლებულებისათვის შეურქმევიათ გალებერი და გალობერი. როგორც ცნობილია, 1750-1780 წლებში შედგენილ სათავდებო წიგნში დასახელებულია გვარი გალობერი (სოსელია, 1960, გვ. 19). მაშასადამე, მეგრულისათვის ამოსავალი ჩანს გალობერი, ხოლო გალებერი მისი ფონეტიკური ვარიანტია. მომხდარა სრული დისტანციური დამსგავსება შუა აწეულობის ხმოვნებისა ო-ე → ე-ე. შდრ. სოფ. ჭაქვინჯში მგალობლიშვილების უბანს ეწოდება საგალობერო//სამგალობლიშვილო.

ნაცხომარუ/ნაჩხომარუ – სახნავი ხობისწყლის ნაპირას, სოფ. გაღმა ქარიატაში. ცხომარია გვარია. ხოლო ჩხომარია მისი ასიმილირებული ვარიანტი. ასიმილაცია მომხდარა გვარის ეტაპზე. ყრუ ხ ბგერა წარმოების ადგილის მიხედვით იმსგავსებს სამეულის ყრუ ფშვინვიერ ბგერას და გადააქცევს მას ჯჩს სამეულის ყრუ ფშვინვიერ ბგერად.

გგრძე ბარცხონი//გგრძე ფარცხონი „გრძელი ბაძგნარი“ – ტყე ხევი სოფ. ობუჯში. ასიმილატორია ყრუ მკვეთრი ხ, რომელმაც მედერი ბ თავისი რიგის ყრუ ფშვინვიერ ბგერად აქცია.

საკინჯიო//საკენჯიო – კინჯიების უბანი სოფ. ნახინგუში. ასიმილაცია მომხდარა ანთროპონიმის დონეზე. ა-ი → ა-ე (ა ხმოვანმა ვიწრო ხმოვანი ი ერთი საფეხურით მიიახლოვა).

დისიმილაცია

დისიმილაცია, ანუ განმსგავსება, კომბინატორულ ბგერათცვლილებათა ერთ-ერთი სახეა. ასიმილაციისაგან განსხვავებით, დისიმილაცია გულისხმობს ორი მსგავსი ბგერიდან ერთ-ერთის შეცვლას საერთო ნიშნის დაკარგვის შედეგად. შეეხება ხმოვნებსაც და თანხმოვნებსაც. განმამსგავსებელ ბგერას ეწოდება დისიმილატორი, ხოლო განმსგავსებულს – დისიმილირებული. გ. ახვლედიანი შენიშნავს: „ორი ერთმანეთის მსგავსი (ან ერთგვარი) ბგერიდან სიტყვაში ერთი იცვლება და ამით მატულობს განსხვავება მა შორის. ამის შედეგად შესაძლოა დაიკარგოს შეცვლილი ბგერა“ (ახვლედიანი, 1956, გვ. 161).

დისიმილაცია ხდება ორი მარკერით:

1. მანძილის მიხედვით: **კონტაქტური** (მუხამმაზი → მუხამმაზი), **დისტანციური** (ლელწამი → ლერწამი). ქართველურ ენებში დისტანციური დისიმილაცია უფროა გავრცელებული.

2. **პროგრესული** (წინა ბგერა განიმსგავსებს მომდევნო ბგერას): გორი → *გორური → გორული) და **რეგრესული** (მომდევნო ბგერა განიმსგავსებს წინა ბგერას სუნელი → სურნელი). ქართველურ ენებში უფრო გავრცელებულია პროგრესული დისიმილაცია.

დისიმილაციის იშვიათი შემთხვევებია: ა) დისიმილირებული ბგერის დაკარგვა (პირჯვარი → პიჯვარი); ბ) მთელი მარცვლის ამოვარდნა (ჰაპლოლოგია); გ) დისიმილაციური გამჟღერება (ჭაბუკი → ჭაბუკი, ბილწი → პილწი).

ჯერ კიდევ ი. ყიფშიძე აღნიშნავდა: „დისიმილაცია ქართულსა და მეგრულში წარმოებს ნარნარა და ცხვირისმიერ თანხმოვანთა შორის. ამასთანავე

მეგრულში ჯერჯერობით შემჩნეულია მხოლოდ პროგრესული დისიმილაციის შემთხვევები, ხოლო ქართულში ადგილი აქვს უმთავრესად რეგრესულ დისიმილაციას“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 730).

საერთო დასკვნა ასეთია: „ქართულსა და მეგრულში უპირატესნი და დამახასიათებელნი არიან რეგრესული ასიმილაცია და პროგრესული დისიმილაცია“ (იქვე, გვ. 730). კ. დანელია აზუსტებს: „პოლხურში დისიმილაცია საქმაოდ გავრცელებული პროცესია. დისიმილაციას განსაკუთრებული ადგილი აქვს მეგრულის ყველა კილოკავში“ (დანელია, 2006, გვ. 67).

გ. ციკოლია ეყრდნობა ა. შანიძის დებულებას: „დისიმილაციის შემთხვევები ქართულში უმთავრესად რ ბგერაზე მოღის. ერთ სიტყვაში ორი რ ვერ ძლებს და ერთი მათგანი (უფრო ხშირად მეორე) **ლ-დ** გადაიქცევა“ და შენიშნავს: „ჭანურში ხშირად ძლებს ორი რ ერთად, მეგრულში ასეთ შემთხვევებში თითქმის ყოველთვის დისიმილაცია გვექნება“ (ციკოლია, 1954, გვ. 334-335). ამისი კლასიკური მაგალითია ჩვენ მიერ ხობის რაიონში ჩაწერილი ტოპონიმი **ლეზერვი**. ასე ეწოდებოდა სარეზერვო არხს, რომლითაც უუდუდან წყალი გაედინებოდა ხობისწყლისაკენ. მაშასადამე, რეზერვი → ლეზერვი. სხვა მაგალითები:

საერემაძო//საირმაძო – ერემაძეების უბანი სოფ. პირველ გურიულში, ხობის საზღვართან. ა-ე → ა-ი არის პროგრესული დისიმილაციის შედეგი: ა ხმოვანმა, რომელიც დაბალი აწეულობისაა, განიმსგავსა შუა აწეულობის ე და აქცია იგი მაღალი აწეულობის ბგერად.

ბალჩა//ბახჩა – ჭალა სოფ. უულევში. მომხდარა დისიმილაცია. მეღერმა ბ ბგერამ წარმოების ადგილის

მიხედვით განიმსგავსა მჟღერი დ ბგერა და გადააქცია იგი ყრუ მკვეთრ ხ ბგერად.

ლეანთალე/ლიანთალე – სერი სოფ. ოდიშში. წინათ ეკუთვნოდა ანთელავას. მაშასადამე, ე-ა → ი-ა. მომხდარა ნაწილობრივი კონტაქტური დისიმილაცია: შუა რიგისა და დაბალი აწეულობის ა ხმოვანმა განიმსგავსა წინა რიგის შუა აწეულობის ე ხმოვანი და აქცია იგი მაღალი აწეულობის ი ხმოვნად.

ნაერქი//ნაირქი – ვაკე სოფ. ოდიშში. ქართული იფქლი მეგრულში შესულია როგორც ირქი. მაშასადამე, მომხდარა ხმოვანთა კონტაქტური ნაწილობრივი დისიმილაცია: ნაერქი → ნაირქი (აი-აე).

ომენჯია – დაფერდება სოფ. ოხვამეკარში (ხობის მუნიც.). ცნობილია: ქართ ვეძა : მეგრ. მენჯი, სადაც ნ ჩანართია. მაშასადამე, ომენჯია წარმოქმნილია ამგვარად: მენჯი „ვეძა“ → ომენჯე „სავეძე (ადგილი)“ → ომენჯეა → ომენჯია (კონტაქტური დისიმილაცია: ეა → ია). შდრ.: პეტრე → პერტე → პერტეა → პერტია (გვარსახელია) → საპერტიო „პერტიიების უბანი“.

წყვაფანა//წკვაფანა – ხრამი სოფ. ნაკიანში. მართალია, „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ სალექსიკონო ფორმად გატანილია წკვაფანა „ხრამი, ჯოჯოხეთი“ (ო. ქაჯაია), მაგრამ ძირითადი და უფრო გავრცელებული ფორმაა წყვაფანა „ხრამი, უფსკრული; მოუსავლეთი“. მაშასადამე, წყვაფანა → წკვაფანა. ბგერათკომპლექსის ნაპრალოვანი ე დისიმილაციის საფუძველზე შეცვალა სამეულის ხშულმა კ ბგერამ.

ხინწკა//ხინჭკა – ღელე სოფ. ლედარსალეში. თავდაპირველი ფორმა ჩანს ხინწკა (შდრ.: ხინწონა – ეკალბარდიანი ფერდობი სოფ. ლესიჭინეში. რესპოდენტის განმარტება: „ხინწკონა ეწოდება წვრილ კაჟიან აღგილს“). სხვათა გადმოცემით, „ხინწკი“ კაჟია, მაგრამ კენჭზე უფრო წვრილი. „მეგრულ-ქართულ

ლექსიკონში“ დასახელებულია ხინჭკი „ქვის პატარა წვეტიანი ნატეხი; პატარა მჭრელი კენჭი“). ტოპონიმი ხინჭკა წარმოქმნილია დისიმილაციის გზით: წკ კომპლექსში წ ხშულთა სამეულის მკვეთრი ბგერაა, ხოლო კ – ასევე ხშულთა სხვა სამეულის მკვეთრი ბგერა. დისიმილაციური პროცესის შედეგად წკ → ჭკ (მაშასადამე, კ მკვეთრმა თანხმოვანმა წარმოების ადგილის მიხედვით „განიშორა“ ბოლო სამეულის ჭ მკვეთრი).

ნაკაბარჭუ//ნაკაპარჭუ – ლელე, ტარჩიის შენაკადი სოფ. ჯიხასკარში. ამ ლელეში სცოდნია ოევზი კაბარჭინა. მაშასადამე, მომხდარა დისიმილაცია: კ-ბ → კ-პ. ამავე ფუძისგანაა წარმოქმნილი აგრეთვე კაბარჭელა//კაპარჭელა – ლელე სოფ. ლესალეში. როგორც ცნობილია, კაპარჭინა ოევზია ერთგვარი. სახელი დარქმევია მდ. კაპარჭინის მიხედვით, რომელიც პალიასტომის ტბილან გაედინება (ქეგლ, ტ. IV). მაშასადამე, კაპარჭინა მეგრულში შესულა გურული დიალექტიდან კაბარჭინა ფორმითაც, რაც მიღებულია ორმაგი დისიმილაციით. ოღონდ სხვადასხვა მიმართულებით: კ-პ → კ-ბ. მკვეთრ კ ბგერას განუმსგავსებია ასევე მკვეთრი, ოღონდ სხვა საწარმოთქმო რიგის პ ბგერა და გაუმჯდერებია იგი. მეორე გზა: პ-ჭ → ბ-ჭ. ამ შემთხვევაში დისიმილატორია მკვეთრი ჭ, ხოლო შედეგი ისეთივე – მკვეთრი პ-ს გამჟღერება.

ხვიბიში//ხვიპიში – კლდე ჯუმის მარცხ. ნაპირზე (სოფ. საჭურდულიო). მეგრულში ხვიპი ლრმა ოეფში ქცეულა ოროგრაფიულ ტერმინად და აღნიშნავს ჩაღრმავებულ ადგილს. მაშასადამე, ხვიპი „კანონიკურია“ მეგრულისათვის, ხვიბი კი – მეორეული, ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოქმნილი. ცხადია, ხვიბი დისიმილაციის შედეგია: ხ-პ → ხ-ბ, ე.ი.

წყვილეულის ყრუ მკვეთრი ხ სამეულის ბაგისმიერ პ
მკვეთრ ბგერას აქცევს ბ ბგერად.

მახუტანაკარუ//მახუტანაკარუ – საძოვარი
ხობისწყლის ხეობაში, სადაც მახუტას (პირსახელია)
კარე „სადგომი“ ჰქონია. მაშასადამე: მახუტაშ კარე →
მახუტაშ ნაკარუ → მახუტანაკარუ → მახუტანაკარუ.
დ–ხ წყვილეულის მკვეთრმა ხ ბგერამ ყრუ ფშვინვიერ
ბგერად აქცია სამეულის მკვეთრი ტ. ე.ი. ხ-ტ → ხ-
ო.

მოედანსუკი//მოიდანსუკი – ვაკე-ბორცვი სოფ.
ლეახალეში. ქართული სიტყვა მოედანი მეგრულშიც
ამავე ფორმით გვხვდება, მაგრამ დასახელებული
ტოპონიმის მეორე ვარიანტი მოიდანი წარმოქმნილია
დისიმილაციის გზით ო-ე → ო-ი.

დისიმილაცია ნარნარა ბგერებს შორის
ნაფარონი//მაფარონი – ბუჩქნარი სოფ. ნაკიანში
ფარონი საზოგადო სიტყვაა და ნიშნავს: ა) ყაზარმის
ტიპის დროებითი ნაგებობა; ბ) ნალიის მსგავსად
მოღობილი და ბოძებზე შემდგარი ნაგებობა. ნა-
წინავითარების მაჩვენებელი პრეფიქსია. მაშასადამე,
მომხდარა დისტანციური დისიმილაცია: ნ-ნ → მ-ნ.

შონდორა//შონნორა – ბორცვი სოფ. ნაფიჩხოვოში.
სავარაუდოა: შონური (ვაზის ჯიშია) → შონურონა →
შონრონა (უ-ს დაკარგვით) → შონნორა (მეტათეზისით:
ნრ → ნნ) → შონდორა (შდრ. ძვ. ქართულში ცნობილი
დისიმილაცია: ნნ → ნდ: არაბ. ჯაჟანნამა → ქართ.
ჯანნაბა → ჯანდაბა). შდრ. ტოპონიმი შონურონა. ასე
ეწოდება ტყეს სოფ. ნაკიანში.

ხმოვანთა დისიმილაცია

ჩაკაწყუ//ჩეკაწყუ – წყარო სოფ. ლეახალეში. ჩაკაპირსახელია (შდრ. გვარი ჩაკაბერია). მომხდარა დისტანციური დისიმილაცია: ა-ა → ე-ა. ჩაკაწყუ → ჩეკაწყუს ხელი შეუწყო ცნობილმა ყკ ჩეკამ.

ჩამათი//ჩემათი – უბანი სოფ. კირცხში. ჩამაპირსახელია, ხოლო ჩამათი – „ჩამას შთამომავლობა; ჩამასანი“ ჯგუფური ანთროპონიმია, რომელიც კონვერსიის წესით იმ ადგილის სახელად ქცეულა, სადაც ჩამას შთამომავლები ცხოვრობდნენ. მაშასადამე, ამოსავალი ფორმაა ჩამათი, ხოლო ჩემათი მისი დისიმილაციური ვარიანტია (ა-ა → ე-ა).

ჩეთიერი//ჩეთორი – ფერდობი სოფ. ახუთში. ოუკიპირველ გარიანტს ძირითად ფორმად ჩაგთვლით, მეორე გარიანტი წარმოგვიდგება როგორც მისი დისიმილაციური სახეობა ი-ე → ი-ო (წინა რიგის ი ხმოვანმა წინა რიგის ე ხმოვანი უკანა რიგის ხმოვნად აქცია).

ობორიანწე//ობორიე ენწერი – ბორცვი სოფ. ბიაში. ამოსავალია ობორიე ენწერი, რომელსაც პირველ საფეხურზე მიუდია ფორმა ობორიენწერი (ჟ-ე → ე), ამის შემდეგ მომხდარა დისიმილაცია – წინა რიგის ვიწრო ი ხმოვანმა ერთგვარად გააფართოვა საშუალო აქცეულობის ე ხმოვანი: იე → ია (ბოლოკიდური რემოკვეცილია).

განვიხილავთ სხვა მაგალითებსაც:

გოკირილი „შეკრული; შეკირული“ – ტყე მუხეურში, ღელე ფართო ნოხორში; **გომბარილი „გაბერილი; დაგბორილი ადგილი“** – 1. ასე ეწოდება გალის ზღვას; 2. სახნავი წარჩეში; **გონთხორილი „გათხორილი; არხი“** – არხი გაგიდაში; **გოხორგილი „ჩახერგილი“** – ღელე პ. ოტობაიაში; **გოხორხილი „გახერხილი“** – გზაგასასვლელი სერზე სოფ. სუკში, გზა სოფ.

სამარქვალოში, გორგილი „შემორგული“ – წყარო ლეთკანთში; გოშგრილი „გაცვეთილი, ჩაცვეთილი“ – ვიწრო გასასვლელი სოფ. ლეთკანთში; გოჭკგრილი „გაჭრილი“ – გზა სქურის სატყეოში, ნაგზაური ფოცხოეწერში; გოხორხილი „გახერხილი“ – საურმე გზა სოფ. ფუქში; კლდეში ჩახერხილი გზა ჭველეში და სხვ. ყველა შემთხვევაში ბოლოკიდური იღ არის ირ სუფიქსის ვარიანტი. ყველგან მომხდარა დისიმილაცია რ-რ → რ-ლ. ოუმცა -იღ დასტურდება მაშინაც, როცა ფუქეში რ არ მოიპოვება:

გოჩიხილი „გადახერგილი“ – საბანაო ჩეგემდალზე, სოფ. ლიხაზურგაში; გოჭკადილი „გაჭედილი“ – ხიდი მდ. ოქუმწყარზე, სოფ. პ. გუდაგაში; გოჭოფილი „შემოკაგებული“ – ტყე სოფ. სიდაში.

მხელოდ ორიოდე ტოპონიმში გვაქვს -ირ სუფიქსი: გოხინჯოლირი „გახიდული“ – ჭეჭყობი სოფ. შაშიკვარაში;

მოღვლაკირი//მოღვლოკირი//მგკოღვლაკირი

„მოღრეკილი, დაღრეკილი, მოგრეხილი“ (\leftarrow ლგლოკუა, ლგრაკუა „მოღრეკა“) – წყარო, ნაკადული სამურზაყანოს მთაში. 200 მ. გავლის შემდეგ მიწაში იკარგება.

მაგრამ ამ რაიონებშიც -იღ მაშინაც დასტურდება ტოპონიმში, როცა ტოპონიმში რ ბგერა არ ურევია. მაგალითები: გილაშქვაფილი, გობოგილი, გობონჯილი, გოჭვილი, გოჭკადილი და სხვ. და მხელოდ ერთადერთ შემთხვევაში დასტურდება -ირ სუფიქსი: გგლაპილარი. „ჩასაკეტი, ჩასახერგი“ – მინდორი ჯვარის სატყეოში. ჩხოროწყუს რაიონში დასტურდება ტოპონიმები: გოღგრაკილი „გადრეკილი“ – აღმართი სოფ. ლეწურწუმეში (ჩხოროწყუს რ.); გოშგრილი – უღელტეხილი სოფ. ახუთში და სხვ. გოხარცქილი „გაპობილი“ – ლოდი ხობისწყლის ხეობაში;

გოხორხილი „გახერხილი“ – გზა-გასასვლელი ბორცვზე, სოფ. ზუმში, მუხურში, სარაქონში და სხვ. ამ რაიონშიც -ილ გეხვდება არადისიმილირებულ ფორმაშიც: გოჩიხილი, გოჭკადილი, გობოგილი და სხვ. და მხოლოდ ერთი ტოპონიმში გვაქვს მიმღეობის მაწარმოებელი -ირ: გოკიდირი//გოკიდილი – კლდე სოფ. ლეახალეში.

ხმოვანთა შორის დისიმილაციის მაგალითებს კიდევ დაგასახელებთ:

ობინეხე/ნაბინო – ხეხილნარი სოფ. მ. შეშელეთში. ფონეტიკური პროცესის კვალი ატყვია საწარმოებულ ფუძეს: ბინეხი → ბინოხი. მაშასადამე, ი-ე → ი-ო. წინა რიგის მაღალი აწეულობის ი ხმოვანმა წინა რიგის ე აქცია უკანა რიგის ასეთივე აწეულობის ო ხმოვნად.

სავარზგანიო//სავარზგენიო – ვარზგანიების უბანი სოფ. ნახინგუში. ვარზგენია დისიმილაციური ფორმაა: ა-ა → ა-ე.

საჯეჯეიო/საჯიჯეიო – უბანი ნიშონის ნაპირებზე. სამურზაყანო-სამეგრელოში გავრცელებულია გვარსახელები ჯეჯეია (სულ 399 სული საქართველოში. მათგან ზუგდიდში 121, წალენჯიხაში 64), რაც შეიძლება მიღებული იყოს სრული ასიმილაციით ჯებესაგან. ოუ ჯეჯეიას ამოსავალ ფორმად მივიჩნევთ, მაშინ ჯიჯეია დისიმილაციის შედეგია.

გოოხუნალი ქუა – ქვა მთის გზაზე, სოფ. ნაფიჩხოვოში. გეხუნა „დაჯდომა“ → გეოხუნალი „დასაჯდომი“ → გოოხუნალი. მომხდარა კონტაქტური დისიმილაცია ე-ო → ი-ო.

გოოლაფუ – თავდაღმართი სოფ. ახუთში. გელაფა „გადავარდნა“ → გეოლაფუ „გადასავარდნი“ → გოოლაფუ. აქაც ისევე, როგორც გოოხუნალ მიმღეობასთან, ჩანს დისიმილაციის კვალი: ე-ო → ი-ო.

გიოცოთამუ „გადმოსაგდები“ – სვანი სოფ. ჯგალში და მორევი ჭანისწყალზე, სოფ. ობუჯში. ამოსავალია გეცოთამა „გადაგდება ფერდობზე ხისა, ქვისა“ → გეოცოთამუ → გიოცოთამუ. მაშასადამე, მომხდარა დისიმილაცია: უკანა რიგის შუა აწეულობის ო ხმოვანმა განიმსგავსა ასევე შუა აწეულობის, ოდონდ წინა რიგის ე ხმოვანი და აქცია იგი ამავე რიგის მადალი აწეულობის ი ხმოვნად. ზუსტად ასეთივე ვითარებაა ტოპონიმებში:

გიოჩარხალუ//გიოხარხალუ ← გეჩარხალუა//გეხარხალუ „წყლის ნაკადის გადმოღრუ“ – მორევი, ჩანჩქერი სამართალაზე (სოფ. ფუქი) და გიოხვენჯი „დასაჯდომი“ (← გეჩუნა „დაჯდომა“) – ბორცვი ბოგაშში, მთის გზაზე (სოფ. მედანი).

საომარულო წყუ//საუმარულო წყუ//სამარულო წყუ – ქართული უმარული მეგრულში შემოსულა ომარული ფორმით. მაშასადამე უ-უ → ო-უ დისიმილაცია მომხდარა სიტყვის სესხებასთან ერთად.

თეუფლეშ წყარი – წყარო სოფ. აბასთუმანში. ფონეტიკურ გარდაქმნათა გზა ასეთია: თეოფილე → თეოფლე (ფუძისეული ი-ს ამოვარდნით) → თეუფლე. მომხდარა დისიმილაცია ე-ო → ე-უ.

გუჩუური//გუჩოური – სერი სოფ. ფახულანში. ეკუთვნოდა გვარად გუჩუას. მაშასადამე: უ-უ → ო-უ სრული დისიმილაციაა.

თანხმოვანთა დისიმილაცია:

წკვიპსორო//წკვიბსორო – ლელე სოფ. გიმოზგონჯილში. წკვიპი „წვრილი. ვიწრო“ ითვლება ძირითად, ხოლო წკვიბი – მეორეულ ფორმად. მაშასადამე, წკვიპი → წკვიბი. მომხდარა ნაწილობრივი დისიმილაცია (დისიმილაციური გამჟღერება). წ-პ → წ-ბ. მკვეთრმა წ ბგერამ სხვა რიგის მკვეთრი პ ბგერა

განიმსგავსა და გადააქცია იმავე რიგის მუდერ ბთანხმოვნად.

ნოდაბარზენი//ნოთაბარზენი – სახნავები სოფ. წინაგოლაში. ქართული დარბაზ სიტყვა მეგრულში შესულა დაბარზი (რ-ს ადგილგადანაცვლებით) ფორმით, შემდეგ კი მომხდარა დისიმილაცია: მუდერმა ბ ბგერამ ნაწილობრივ განიმსგავსა მუდერი და და შეცვალა იგი იმავე რიგის ყრუ ფშვინვიერი ბგერით. მაშასადამე, მომხდარა ნაწილობრივი დისიმილაცია სიტყვის სესხების შემდეგ.

კუბეციაშ ტყა – ბუჩქნარი სოფ. ახუთში. რუსული სიტყვა კუპეც მეგრულში შესულა როგორც კუბეცი, ქცეულა პირსახელად, ხოლო შემდეგ – გვარსახელის ფუძედ. მაშასადამე, მომხდარა დისიმილაციური გამუდერება: კ-პ → კ-ბ.

ლეჭახნაგე//ლეჭახნაკე – წახნაკიების უბანი მეორე ჭოდაში. წახნაკია ოფიციალური გვარსახელია. წყვილეულის ყრუ მკვეთრი კ შეცვალა ამავე რიგის მუდერმა გ-მ. ეს დისიმილაცია.

ლეჭოჩაქე//ლეჭოჩაგე – ქოჩაქიების უბანი სოფ. ლეშამუგეში. როგორც ვხედავთ, მომხდარა დისიმილაცია: ქ-ქ → ქ-გ.

ლიაკობე – აკობიების უბანი სოფ. ეწერულდში. მაშასადამე: აკობია (გვარსახელია) → ლიაკობე → ლიაკობე. ე-ა → ი-ა, რა თქმა უნდა, დისიმილაციაა. ზუსტად ასევეა: **ლიარსანე//ლეარსანე** – ხეობა ალერტში, წალენჯიხის რ-ნის საზღვარზე. აქაც კონტაქტური ნაწილობრივი დისიმილაციაა. არსანია გვარია: ე-ა → ი-ა. კიდევ ერთი ამგვარი მაგალითი: **ლიასგმე** – ჭანისწყლის შენაკადი (ჯგალი, ლეთკანთი). ასმავა გვარია. აქაც ე-ა → ი-ა.

კამპარი//კამპური „ჯონჯოლის ხე“ – იგივეა რაც კაპარი (ი. ყიფშიძე. იხ. აქვე ტოპონიმი კაფარი).

კამპურონი ეწოდება ტყეს სამურზაყანოს მთაში, მაგრამ სამურზაყანოშივე დასტურდება კაფარ ვარიანტიც. კაფრონსუკი – სერი სოფ. მ. ოხურეიში. რესპოდენტთა განმარტებით, აქ დღესაც ხარობს კაფრაჯა, იგივე კაფარი, ანუ კამპარი. მ ჩართულია სესხებისას. მაშასადამე, სამურზაყანულ მეგრულში გვხვდება როგორც კაპარი, ისე კაფარი. ეს მეორე ვარიანტი მიღებულია დისიმილაციით. მკვეთრმა კ ბგერამ განიმსგავა სხვა რიგის მკვეთრი პ და გადააქცია იგი ყრუ ფშვინვიერ ბგერად: კ-პ → კ-ფ. სხვა მაგალითი: კამფარონია ტყე წისქვილარის მარცხ. მხარეს (სქურის სატყეო).

ლებლოუნი//ლებნოცუნი – დაფერდება სოფ. მონგირში. ამოსავალია თხზული ფორმა ლებიშ ნოცუნი „ლების ნაყანევი“ (ლები „ჭაობის რბილი მიწა, მოლურჯო-მოცისფრო ფერისა“) → ლებნოცუნი (ნათეს. ბრუნვის ნიშნის მოკვეცა და ბგერის დაკარგვა ინტერვოკალურ პოზიციაში) → ლებლოუნი (დისიმილაცია: ნ-ნ → ლ-ნ. სხვა თვალსაზრისით: ლ-ნ → ლ-ლ, ე.ო. ასიმილაცია.

ნაესებუ//ნაისებუ – წყარო ურთის მთის ძირას (სოფ. ოხვამეკარი). ტოპონიმისათვის ამოსავალია გვარი ესებუა. მაშასადამე, ნაესებუ → ნაისებუ (დისიმილაცია ა-ე → ა-ი).

სამეჯნებო//სამეჯნობო – სახნავი სოფ. ურთაში. ქართ. მეჯინიბე → მეგრ. მეჯნებე „მესაქონლე“ → სამეჯნებო → სამეჯნობო (ე-ე → ე-ო დისიმილაციის საფუძველზე).

რედუქცია

რედუქცია (\leftarrow *reductio* „შემცირება, შეკუმშვა“), როგორც ფონეტიკური პროცესი, აღნიშნავს ბგერის

არტიკულაციურ-აკუსტიკური მახასიათებლების შეცვლას, რასაც იწვევს მისი წარმოების სისრულის შემცირება (ნაწილობრივი რედუქცია) ან ბგერის მთლიანად ამოვარდნა (სრული რედუქცია). რედუქციას განიცდიან როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნები (ნ. იმნაძე, 2008, გვ. 330).

რედუქციის მთავარი მიზეზია ძლიერი დინამიკური სიტყვათმახვილი, რაც ხმოვანთა მკაფიობის დაკლებას იწვევს. ბველ ქართულში მახვილი მოუდიოდა ბოლოდან მეორე (ორმარცვლიან სიტყვებში) ან მესამე (სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში) მარცვალზე. ეს მახვილი იყო ინტენსიური, დინამიკური და არაფიქსირებული (ჩიქობავა, „მოამბე“, ტ. VII, გვ. 208). იგივე ვითარებაა მეგრულ-ჭანურშიც. სამურზაყანული კილოკავის ფონეტიკურ მიმოხილვაში აღნიშნულია: „მახვილი მიგვაჩნია რედუქციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სამურზაყანულ მეგრულში“ (ციკოლია, 1954).

პრეფიქსის მარედუცირებელი ძალისათვის მეგრულში (ტოპონიმური მასალის მიხედვით)

სვანურში ფუძის კვეცასა და კუმშვას იწვევს როგორც პრეფიქსი, ისე სუფიქსი (ა. შანიძე, ვ. თოფურია) ქართულშიც პრეფიქსს მეტი სარედუქციო ძალა აღმოაჩნდა, ვინერ თავდაპირველად ივარაუდებოდა (გ. გოგოლაშვილი). მეგრულ-ჭანურში, სადაც საერთოდ ცოტაა შექუმშული ფორმები, პრეფიქსის გავლენის „დადგენა მასალების სიმცირის გამო ჭირს“ (ვ. თოფურია).

ტოპონიმიკურ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მეგრულში პრეფიქსს დღემდე შემორჩენია გარკვეული მარედუცირებელი ძალა. სინკოპეს იწვევენ ლე-, ნა-, ნო-, ო-, სა- პრეფიქსები (თანმხლებ

სუფიქსებთან ერთად ან მათ გარეშე). ამასთანავე, საწარმოებელი ფუძეები უმეტესწილად გვარსახელებია, ხოლო რედუქცია მოხდით როგორც პირველი, ისე მეორე მარცვლის ხმოვნებს.

ლუ-ე: კაჭარა(ვა) → ლუ-კაჭ(ა)რ-ე, სარება(ვა) → ლეხარბე, გოგილა(ვა) → ლუ-გოგ(ი)ლ-ე, ჩომახია → ქ-ჩიმახი-ე, ფართუხია → ლუ-ფართხ-ე; ლესოსელია → ლესოსლე, შარაბია → ლეშარაბე, სამელია → ლესამლე...

ნა-, ნო-: მაკალათია → ნა-მკალათ-უ, მიკოლა(ვა) → ნა-მკოლ-უ, მიქა(ვა) → ნა-მ(ი)ქ-უ, უბილა(ვა) → ნა-ბ(ი)ლ-ოუდალ, შომახია → ნა-შმახ-უ, ნაშომახ-ოუ, ოთიფური//ოთიფურე → ნათ(ი)ფურ-ე//ნა-თიფრ-ენ-ი → ნა-თფურ-ენ-ი; **კირი** → ნა-კ(ი)რ-ეში, ჯიხა „ციხეგოშეი“ → ნო-ჯ(ი)ხ-ენ-ი, ბაღილე „ბეღელი“ → ნო-ბაღლ-ენ-ი, ღარიბი → ნო-ღარბ-ენი, ლიმა//ლგმა „ომი, ბრძოლა“ → ნა-ლ(გ)მ-ა, ნა-ჩიხ-ა „ჯებირი, საგუბარი“ → ნა-ნაჩხ//ნა-ნაჩხ-ოუ... ნაზმაკოჩუ (მეტსახელი) ← ზგმაკოჩი „ტანმცირე კაცი“ და სხვ.

ო-: თიფუა „თიბვა“ → ო-თ(ი)ფ-ური, რიკუა „რიკტაფელას თამაში“ → ო-რ(ი)კ-ეში//ორკეში, კვინორი „კვერნა“ → ო-კნორ-ე (ოფიც: ოკვინორე), სინჯი „სირი, წყლის იხვი“ → ოსინჯალ-ე//ო-სინდ-ალე → *ოსდალე → ოზდალე, პურასქია „პრასი“ → ოპ(უ)რასქი-ე, ტურა → ო-ტრ--ე-დალ (\leftarrow ო-ტურ(ე)დალ), ქირი//ქერი „ქორი“ → ო-ქ(ი)რ-ეში, ჯიკი „ჯირკი, კუნძი“ → ო-ჯ-ეში//ოჭ-ეში,, მუნხქვი „მაჩვი“ → ომ(უნ)ჩქვეხურუ, ტორონჯი „მტრედი“ → ოტორონჯე...

სა-: ომარული//უმარული „უმარილი. ქალთა პირსაცხებელი“ → სა-ომარულ-ო წყუ//სა-უმარულ-ო წყუ → სამარლო წყუ, მაჭარი → სა-მაჭრო//სა-მარჭ-ო, რიკუა → სა-რ(ი)კ-ი, აბულაძე → სააბლანძო...

პრეფიქსის დართვა არაიშვიათად იწვევს საწარმოებელი ფუძის თავიდური ხმოვნისა თუ თანხმოვნის მოკვეცას, ფუძიდან მთელი მარცვლის ამოღებასაც კი.

შენიშვნა: ზოგ შემთხვევაში რედუქცია განუცდია გვარს და არა მისგან წარმოქმნილ ტოპონიმს: გამისონია → გამსონია → ნაგამსონუ; შამუგია → შამგია → ლეშამგე; ციმინტია → ციმტია → ლეციმტე; აქუბარდია → აქბარდია → სააქბარდიო; ხუბულავა → ხუბლა → ლეხუბულე...

სუბსტიტუცია და მეტათეზისი

სუბსტიტუცია, ანუ ბგერათხანაცვლება, იმ რიგის ფონეტიკური მოვლენაა, რომელიც არაა განპირობებული და კანონზომიერი ფონეტიკური თვალსაზრისით. იქნებ ამგვარი განსაზღვრება უფრო შთამბეჭდავია: სუბსტიტუცია არის ბგერის ერთბაში შემთხვევითი სპორადული ცვლილება სიტყვაში. თუმცა კი მონაცვლე ბგერები „წააგვანან ერთმანეთს აკუსტიკურად... ბგერათსუბსტიტუცია წარმოქმნება ბგერათა არასწორი (არაადექვატური) აღქმის ნიადაგზე. ამიტომ ეს მოვლენა უმთავრესად აკუსტიკურია“ (ახვლედიანი, 1956, გვ. 179).

ბგერათსუბსტიტუცია ორგვარია: 1. ჩანაცვლება უცხოურიდან ნასესხებ სიტყვაში; 2. ჩანაცვლება მშობლიური ენის სიტყვაში და ისიც მხოლოდ სიტყვის ძირეულ, აუცილებელ ნაწილში.

მართალია, სუბსტიტუცია არაა კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენა, მაგრამ კი იგი უმეტესად განპირობებულია ბგერათა არტიკულაციური ნათესაობით. მაგალითები სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიდან:

ნათუთუმ – მინდვრები სოფ. ნაგვალოუსა და ჭუბურებინჯში. თურქულ სიტყვა თუთუმი მეგრულში შესულია თუთუმი ფორმით (მოხდა მ–ნ შენაცვლება).

ოდგლამე „საღლავე“ – მორევი ერისწყალზე, სოფ. მ. შეშელეთში. ქართული დლავი მეგრულში შესულა დგლამი ფორმით. მაშასადამე, ქართული სიტყვის ვ-თანხმოვანს მეგრულში ჩაენაცვლა მ თანხმოვანი. ამასთანავე, ორ თავკიდურ თანხმოვანს შორის გაჩნდა ე.წ. ნახევარხმოვანი გ.

რეიცა – ჩაის ფართობი სოფ. ილორში. რესპოდენტის მოტივაცია: „რკინიგზის რელსი იყო დაგებული და ვაგონებით ეზიდებოდნენ ნახშირს. შემდეგ კი ჩაი გააშენეს“. აქაც ენათაშორისი სუბსტიტუცია: რუს. რელს მეგრულში შესულა რეიცა ფორმით. იხ. აგრეთვე: ნარეიც – ნაგზაური სოფ. გუდავაში. რესპ.: „ფოქვეშიდან იყო გამოყვანილი რეიცა, ვაგონებს ცხენები ეწეოდნენ“.

ინჯილერიშ ნაჭეგრა „ინჯინრის ნაკაფი“ – ბორცვი სოფ. პ. აკვალაში. მოტივაცია: აქ ინჯინერს ტყე გაუკაფავს და სატრიანგულაციო ანძა დაუსვამს. მაშასადამე: რუს. → მეგრ. ინჯილერი (ორმაგი სუბსტიტუცია: ჟ/ჯ, ნ/ლ).

ნაკამცლარუ – სახნავი სოფ. ახუთში. ამოსავალია სიტყვა კანცელარია, რომელიც რუსულიდანაა შემოსული ქართულსა და მეგრულში (რუს. **канцелярия**). მაგრამ მეგრულში მომხდარა სუბსტიტუცია: ნ-ს ადგილას ჩამჯდარა მ და გავრცელებულა კამცლარია ფორმით (კამცლარია ეწოდებოდა კოლმეურნეობის კანტორას).

გუნტურა – ქარსაფარი ზოლი ბუის მარჯვ. მხარეს (სოფ. ორულუ). კუნტურა (შდრ. რუს.-ქართ. კულტურა) სელოვნურად გაშენებულ ტყეს აღნიშნავს.

საფრონდო – ტყე სოფ. ჭკადუაშში. ტოპონიმისათვის ამოსავალია ფრონტი ← რუს. ფრონტ: ამ სიტყვაში სიტყვის თ თანხმოვანს მეგრულში შენაცვლებია დ.

ნამუხუტ – ფერდობი სოფ. ფახულანში. მუხუტო იგივეა, რაც ქართული მუხუდო, ე.ი. სიტყვაში ქართულ დ-ს მეგრულში ჩაენაცვლა წარმოების თვალსაზრისით მონათესავე ბგერა ტ (მუხუდო → მუხუტო).

კადალიონი//კატალიონი – ჭაობი სოფ. პატარა ფოთში. რესპ.: „ომის წინა წლებში აქ გააშენეს მცენარე, რომელსაც კატალიბა ერქა“: მეგრულში გავრცელებულა როგორც კატალია, ისე კადალია ფორმა. მაშასადამე: უცხო სიტყვის ტ ბგერას მეგრულში ჩანაცვლებია მონათესავე (რიგის მიხედვით) მედერი დ.

ამტონიშ სორო – ტბორი სოფ. გამოღმა შუა ხორგაში. ქართულში შემოსული უცხოური საკუთარი სახელი ანტონი მეგრულში ამტონი ფორმითაც გვხვდება.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში ბგერის ჩანაცვლება მომხდარა სხვა ენიდან შემოსულ სიტყვაში. ქვემოთ კი ვასახელებო ტოპონიმებს, რომლებშიც ბგერის ჩანაცვლება ხდება მეგრულისავე ლექსიკურ ერთეულში:

ნარაკალულალ//ნარაყალულალ – დელე სოფ. ნოჯიხევში. მართალია, არაა გარკვეული, რომელი ვარიანტია მეგრულისათვის „კანონიერი“, მაგრამ კ/კ (თუ კ/კ) სუბსტიტუციას წარმოადგენს.

კარცხაბი//კარცხაპი – დელე სოფ. გამოღმა პირველ ხორგაში. აქაც იგივე შემთხვევაა: სიტყვის მნიშვნელობა არაა დადგენილი, მაგრამ აშკარად სუბსტიტუცია ბ/კ.

ბურკონუ//გურგონე – ლელე სოფ. საქირიოში (ხობის რ.). ტოპონიმის სემანტიკა და მოტივაცია უცნობია, მაგრამ ფაქტია სუბსტიტუცია ბ/გ.

კოჭალუ//კობჭალე – საბანაო ხობისწყალზე (სოფ. გამოღმა პ. ხორგა). გადმოცემით, კოკი ამ ჭალის პატრონს ერქვა. მაშასადამე, კობჭალე სუბსტიტუციითაა წარმოქმნილი.

ნაგელუანი//ნაგერუანი//ლაგერვანი – ბორცვი სოფ. ძველ ხიბულაში, ნახაჯდალის სათავესთან. ეს ადგილი თავად გელოვანის ნასახლარია. ამიტომაც ეწოდება ნაგელუანი. მისგან სუბსტიტუციითაა (ლ/რ მონაცვლეობით) წარმოქმნილი პარალელური სახელწოდება „ნაგერუანი“. არაა გამორიცხული გადააზრების გავლენაც: გერი „მგელი“. ბოლო ვარიანტში ორმაგი სუბსტიტუცია მომხდარა: თავიდურში ნ/ლ, ხოლო ფუძეში – უვა.

ლაჯიმონი//ნაჯიმოლი – ტაფობი სოფ. რეჩხში. აქვეა ბორცვი ნაჯიმსუკი. ჯიმუ „მარილი“ → ჯიმოლუა „დამარილება; მარილის დაყრა საქონლისათვის“ → ნაჯიმოლ „დამარილებული; მარილდანაყარი ადგილი“. მაშასადამე, ლაჯიმონი ნ/ლ სუბსტიტუციის შედეგია.

ნაპალუ//ნაფალუ – ბორცვი სოფ. თაიაში. რესპოდენტების გადმოცემით, ადგილის სახელი დაკავშირებულია გვარ ფალიასთან. მაშასადამე, უნდა გვქონდა ნაფალუ. სინამდვილეში კი ჩნდება მისი პარალელური ფორმა ნაპალუც: ფ/პ ერთი რიგის თანხმოვნებია და ადგილად შეენაცვლებიან ერთმანეთს.

ოტყოლტები//ონტყორტები – ტყე მ. ლესიჭინეში. ნტყოლუა „ლაფაობა; ლრმა ტალახში ნებივრობა“ → ონტყოლი „სალაფაო“. გადმოცემით, აქ, ტყის შეაგულში, ყოფილა გუბურა-საფლობი. ამიტომ დარქმევია ონტყოლტები. ქართ. ტევრი → მეგრ. ტები,

აგრეთვე სუბსტიტუციის ნიმუშია (ვ თანხმოვნის დაკარგვის გათვალისწინებით). მაშასადამე, ონტყორტები სუბსტიტუციითაა წარმოქმნილი.

ჟირომუშქა – ხეობა სოფ. მ. ჭოდაში. აქ ორი ღელვ-ხევი ერთვის ერთმანეთს. მაშასადამე, თავდაპირველი ფორმაა ჟირირობუშქა „ორხევს შუა“. ჟირომუშქა ბ/მ თანხმოვნების სუბსტიტუციის შედეგია. ჟირომუშშქა ჰაპლოლოგიის შედეგია.

წკვიბლალ//წკვიპლალ – ღელვ, ხევი სოფ. კირცხში. მეგრულში გავრცელებული ძირითადი ფორმაა წკვიპი „ვიწრო, წვრილი“. მაშასადამე, წკვიბი სუბსტიტუციის შედეგია.

პგატელი//პგატერი//ყვატელი – ვაკე-ხეობა სოფ. ნაფიჩხოვოში. ეკუთვნოდა კვატი ბერიას. მაშასადამე, პვატელი//პგატერი (სუბსტიტუცია ლ/რ) ნიშნავს „ყვატის ყოფილს“. ყვატელი ფორმაც სუბსტიტუციითაა წარმოქმნილი (კ/ყ).

ოკონუარი//ოკონუარი – ტყე ხობისწყლის ხეობაში. ოცონუარი (\leftarrow ცონა „ყანა“) ყანაში მომუშავეთა სიმღერაა. მაშასადამე, პარალელური სახელწოდება ოკონუარი ც/კ ჩანაცვლებითაა მიღებული.

ჭვიტრონა//ჭვიტნორა – სახნავი სოფ. ლარჩვაში. მეგრულში ჭვიტლური ვაზის ერთ-ერთ ჯიშს აღნიშნავს. ადგილს, სადაც ეს ვაზი უხვად ხარობდა, დარქმევია, ჭვიტლურონა. ამოვარდნილა ლუ კომპლექსი და მიგვიდია ტოპონიმი ჭვიტრონა, ხოლო ბოლოს – ბგერათა გადანაცვლებით ანუ მეტათეზისით – ჭვიტნორა. საერთო სურათი ასეთია: ჭვიტლური \rightarrow ჭვიტლურონა \rightarrow ჭვიტრონა \rightarrow ჭვიტნორა.

მეტათეზისი, ანუ ბგერათგადასმა, არის კომბინატორული ბგერათცვლილება, რომლის შედეგადაც სიტყვაში ხდება ბგერის გადანაცვლება-

გადაადგილება. ემართებათ მეტწილად სონორ თანხმოვნებს (რ ლ მ ნ აგრეთვე გ-ს, რომელიც ერთგვარად წააგავს სონორებს), მაგრამ გვაქვს ჩქამიერ თანხმოვანთა მეტათეზისის შემთხვევებიც. მეტათეზისი შეიძლება იყოს მარტივი ან საურთიერო, კონტაქტური ან დისტანციური. ბგერათგადასმას, როგორც ცნობილია, ხსნიან ენისათვის უფრო ბუნებრივი ბგერათკომპლექსებისაკენ მოსაუბრის მიღრეკილებით (ახვლედიანი, 1956, გვ. 172-173). აღნიშნულია ისიც, რომ „მეტათეზისი განსაკუთრებით ახასიათებს მეგრულს. გადასმა ძირითადად რ ბგერას მოსდის როგორც ნარნარას. გადასმა ხდება სხვა ბგერისაც (დანელია, 2006, გვ. 76-77).

ყოველივე ზემოთქმულს ადასტურებს სამეცნიერო-სამურზაყანოს ტოპონიმიაც. როგორც ცნობილია, თითქმის ყველა შემთხვევაში, სადაც გვაქვს თანხმოვანი + რ, ეს რ ამ თანხმოვნის წინ დაჯდება (გამონაკლისი: ქართ. ორბი → ობრი. სოფ. ნაგვალოუში ტყეს ეწოდება ობრიშ ოგვაჯე „ორბის ბუდე“. რესპ.: „აქ ერთი მაღალი თელის კენტეროზე ორბს ჰქონია ბუდე“). ბევრ შემთხვევაში ამგვარი ნამეტათეზისარი სიტყვა ტოპონიმიაშიც დასტურდება:

ნაერქი//ნაირქი – ცივის ჭალა სოფ. მ. ლესიჭინეში. ამოსავალია ფორმა ერქი//ირქი. ეს სიტყვა შემოსულია ქართულიდან: იფქლი → მეგრ. იქლი (ფ-ს დაკარგვით) → იქრი (ლ → რ) → ირქი.

ოწრუბელე „საწურბლე“ – ღელე სოფ. ძველ ხიბულაში. მეტათეზისი მომხდარა სიტყვის სესხებისას. ქართ. წურბელი → მეგრ. წრუბელი. იხ. აგრეთვე ოწრუბელე//ოწურბელე – ჭეჭყობი სოფ. ყულიშქარში. მეორე ვარიანტი (ოწურბელე) გალიტერატურებული ფორმაა.

გორგიძი//გოგირდი – მინდორი სოფ. ჯიხაშეკარში. როგორც ვხედავთ: ქართ. გოგირდი ← მეგრ. გორგიძი. რ თანხმოვანმა გი კომპლექსის წინ გადაინაცვლა.

დრიმიტიშ დიხა – სახნავი ხობისწყლის ჭალაში (სოფ. ზუბი). სალიტერატურო ენის დიმიტრი → მეგრ. დრიმიტი. მეტათეზისი დისტანციურია: ბოლო კომპლექსის რ „გადამხტარა“ და ადგილი დაუკავებია თავკიდური დ-ს შემდეგ. იხ. აგრეთვე: დრიმტეშ ნაწყურგილ – წყარო და დრიმტეშ ნოხორი – სახნავი სოფ. ბია-საშონიოში.

მეტათეზისის იშვიათი შემთხვევაა: **ლეაფშილე//ელა-ფშილე** – ასე ეწოდება უბანს სოფ. ახალსოფელში. ტოპონიმისათვის ამოსავალია გვარი აფშილავა. ცხადია: **ლეაფშილე** → **ელაფშილე**.

აფრიკატიზაცია

ცნობილია, რომ აფრიკატიზაციას განიცდის როგორც ხშული, ისე სპირანტი თანხმოვნები. განსაკუთრებით გავრცელებულია სპირანტის გააფრიკატების შემთხვევები (ჯორბენაძე, 1998, გვ. 478). ისიც გარკვეულია, რომ ქართველურ ენებში აფრიკატიზაციის რამდენიმე გზა არსებობს: ა. თანხმოვანთა კომბინაციური შერწყმა (ხშული + ნაპრალოვანი); ბ. ნებისმიერ ხშულ თანხმოვანთან მეზობლობა; გ. ანალოგია; დ. სუბსტიტუცია.

ამათგან მეგრული ტოპონიმია გამოავლენს აფრიკატიზაციის ორ გზას: ხშულთან მეზობლობასა და სუბსტიტუციას.

თავდაპირუელად განხილული იქნება ს სპირანტის აფრიკატიზაციის საკითხი. აფრიკატიზაციას განიცდიან როგორც წინანუნისმიერი, ისე უკანანუნისმიერი

სპირანგები. ჩვენც ამ თანმიმდევრობით განვიხილავთ მასალას.

წინანუნისმიერ სპირანგთა აფრიკატიზაცია.
იგულისხმება სპირანგის ჩანაცვლება იმავე ლოკა-
ლური რიგის ხშულ-ნაპრალოვანი თანხმოვნით. მაშასა-
დამე, ეს მონაცვლეობა წარმოადგენს ფშვინვიერთა
ურთიერთმიმართებას.

ს → ც

ს → ც ჩვეულებრივია ხშული თანხმოვნების, მათ
შორის სონორების (მ, ნ, რ, ლ) მეზობლობაში. ამასთანავე, ს თანხმოვნის აფრიკატიზაცია ხდება სპირანგი თანხმოვნების მეზობლობის დროსაც, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ შემთხვევაშიც ხდება ხშვა, თუმცა ნაწილობრივი. სამეცნიერო
ლიტერატურაში საილუსტრაციოდ ასახელებენ
ტოპონიმებს: მესხ-ეთ-ა → მსხ-ეთ-ა → მცხეთა; სა-მესხ-ე
→ სა-მსხ-ე → სამცხე.

მეგრულში "ს → ც ძალიან ხშირია ს სპირანგის წინ" (ლომთაძე, 1999, გვ. 38), მაგრამ დასახელებულია ერთადერთი მაგალითი: სხვენი → ცხვენი. სამეგრელოს ტოპონიმიაში აღმოჩნდა ამ სახის აფრიკატიზაციის რამდენიმე შემთხვევა:

ა. ზეცხილონი ეწოდება ურთის მთის ფერდობებს სოფ. ხამისკურში (ხობის მუნიც.). ფერდობებზე ჩანს ზეთისხილის ნარგავების ნაშთები, რაც თავისთავად მიგვანიშნებს, რომ ზეცხილი იგივეა, რაც ქართული ზეთისხილი. მაგრამ საჭიროა გაირკვეს, რა ფონეტიკური პროცესები ახლდა ქართული სიტყვის მეგრულში ადაპტაციას?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოირიცხოს კომბი-
ნაციური შერწყმა თს → ც (დაუშვებელია: ზეთისხილი

→ ზეთსხილი, ე.ი. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილის ამოვარდნა და თანხმოვნითი ნაწილის დარჩენა). რჩება ერთადერთი გზა: ს სპირანტის აფრიკატიზაცია ხ თანხმოვნის მეზობლობაში. ამ პროცესს წინ უძლოდა ჰაპლოდოგია. ფონეტიკურ მოვლენათა თანმიმდევრობა ასეთია: ზეთისხილი → ზესხილი (თი- კომპლექსის ამოვარდნა) → ზეცხილი (აფრიკატიზაცია). ტოპონიმი ზეცხილონი წარმოქმნილია მცენარეთა კრებითობა-სიმრავლის აღმნიშვნელი -ონ სუფიქსით.

პ. ჭამურცხულა//ჭამურცხულონი//ჭამურსხულონი არის ხევის სახელი საგუგუნაოს უბანში (სოფ. შუა ხორში, სენაკის მუნიც.). ინფორმატორთა განმარტებით, "ჭამურსხული არის მსხლის ჯიში, მწიფდება აგვისტოში, რბილია და თეთრი, მრგვალი, არომატული". შდრ.: "ჭამური მსხლის ჯიშია" (მეგრ-ქართ. ლექსიკონი, ტ. III, 2002, გვ. 458).

ამ შემთხვევაშიც ფონეტიკური მოვლენები მიმდინარეობდა საზოგადო სახელის დონეზე: ჭანურსხული → ჭამურსხული (ნ – მ მონაცვლეობით) → ჭამურცხული (ს → ც) ხ სპირანტის წინ. ამ საწარმოებელ ფუძეს დართვია -ონ სუფიქსი.

გ. ცნობილია, რომ მეგრულში ს სპირანტის აფრიკატიზაცია ხდება როგორც წმინდა ხშულების, ისე სონორების (მ, ნ, რ, ლ) მომდევნო პოზიციაშიც. კოლხური ენის ფონოტაქტიკის შესაბამისად, ქართული ქუსლი მეგრულში ადაპტირებულ იქნა როგორც ქურსი, საიდანაც სონორის მეზობლობაში ს სპირანტის აფრიკატიზაციის შედეგად წარმოიქმნა ქურცი ვარიანტი (ეს მაგალითი სამეცნიერო ლიტერატურაშიც ცნობილი ფაქტია). ამ ფუძეთაგან მომდინარეობენ

გვარები ქურსუა და ქურცუა. მათი წარმოქმნის გზა ასე გვესახება: ქურსუა "დაწიხვლა, დაქუსვლა", გადატანითი მნიშვნელობა: "მამლაყინწობა, ყოყლოჩინობა, უდიერობა". სათანადო სასუბიექტო მიმღეობა იქნებოდა *მ-ქურს-უ ("დამჩაგრავი, ყოყლოჩინა, მამლაყინწა") → ქურსუ (მეტსახელი და ეპონიმი) → ქურსუა//ქურცუა (გვარსახელი). შდრ.: ჭკადუა "ჭედვა" → *მ-ჭკადუ "მჭედელი" → ჭკადუ (პროფესიის აღმნიშვნელი სახელი) → ჭკადუ (მეტსახელი და ეპონიმი) → ჭკადუა (გვარსახელი); ჩუალა "შენახვა, დაცვა" → *ტყაშ მჩუ "ტყისმცველი" → ტყაჩუ და სხვ.

ოფიციალური მონაცემებით, 1995 წელს საქართველოში ცხოვრობდა 144 სული ქურსუა (ძირითადად ზუგდიდის მუნიც.) და 64 სული ქურცუა (ძირითადად გურიაში). გარდა ამისა, სამეცნიელოში ქურცუა ქურსუა-ს ვარიანტად ითვლება, რასაც ადასტურებს ტოპონიმი ლექურსუ//ლექურცუა (ბორცვი კადარლალსა და შქედდალს შუა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. ლეახალეში). ამ ტოპონიმის წარმოქმნის გზა ასეთია: ქართ. ქუსლი → მეგრ. ქურსი//ქურცი → ქურსუა//ქურცუა "დაქუსვლა" (ნასახელარი ზმნა) → *მქურსუ//*მქურცუ (სასუბიექტო მიმღეობა) → ქურსუ//ქურცუ (მეტსახელი და ეპონიმი) → ქურსუა//ქურცუა (გვარსახელი) → ლექურსუ//ლექურცუა.

აქევ უნდა აღინიშნოს შემდეგი: კოლხურ ქურცუქესთან უნდა იყოს დაკავშირებული პირსახელი ქურცანა (დამოწმებულია "ტბეთის სულთა მატიანეში") და გვარსახელი ქურცაძე (გავრცელებულია იმერეთში).

დ. ქართული პირველადი საწყისი "სრიალი" მეგრულში, როგორც მოსალოდნელი იყო, ადაპტირებულია "რსიალი" ფორმით. მაგრამ მეგრულშივე დასტურდება "რსიოლი", რომელიც ასევე ქართულ

"სრიალი"- ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს, ოდონდ ფუძის შიგნით ა - ო მონაცელებით და მნიშვნელოვანი სემანტიკური გადაწევით. **რსიოლი** ნიშნავს: "ბრუალი, თავბრუხვევა; ტრიალი". სწორედ ეს რსიოლი მეტყველებაში გვხვდება **რციოლი** ფორმითაც, რასაც ადასტურებს პიდრონიმი **მარსიოლე/მარციოლე/მირსიოლე**. ესაა ღელე, ნახურის მარჯვ. შენაკადი, რომელიც ამჟამად არხით უერთდება ტეხურს (სოფ. ძველი სენაკი, სენაკის მუნიც.). ინფორმაცორი განმარტავს: "ღელე გარს უვლის ბორცვს, უტრიალებს მას და აკეთებს დიდ მოსაბრუნებს. ამიტომ დარქმევია." მაშასადამე, მირითადი ფორმაა მარსიოლე, საიდანაც ს → ც მონაცელებით **წარმოქმნილა ვარიანტი მარციოლე**.

ე. ქართული გვარი ცისკარიძე მეგრულში გადმოსულა როგორც **ცისკარავა** (ცისკარიძე – 262 სული საქართველოში, ძირითადად აჭარასა და ქართლში; ცისკარავა – 34 სული საქართველოში, ძირითადად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში). ს სპირანტის აფრიკატიზაციის შედეგად მიგვიდია ცისკარავას არაოფიციალური (ადგილობრივი) ვარიანტი **ციცქარა//ციცქარა.** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ნეძის კახათში უბანს ეწოდება **საციცქარო//ციცქარაშ მუხური.**

ვ. ს სპირანტის ც აფრიკატით ჩანაცელება ხდება სმოვანთა მეზობლობაშიც. მაგრამ ეს არის არა აფრიკატიზაცია, არამედ სუბსტიტუცია. კლასიკურ მაგალითად დასახელებულია ქართ. ანკესი → მეგრ. ანკეცი. სათანადო მაგალითები მეგრულ ტოპონიმიაში ერთგვარად მეტია, ვინემ ს-ს გააფრიკატებისა თანხმოვანთან მეზობლობაში.

ზ. ადესა ვაზის ჯიშია. მისი ყურძენი შეიძლება იყოს შავი ან თეთრი, მსხვილი მარცვლით. მთიან სამეგრელოში, ჩვეულებრივ, გავრცელებულია აფრიკატიზებული ვარიანტი ადეცა. ტოპონიმიაში დასტურდება ორივე ფორმა. **ადესა** – ტექ მარტვილში და ფერდობი ნახურცილავოში (ორივე მარტვილის მუნიციპალიტეტში) და სხვ. **ადესონი** – სახნავი თამაკონში (მარტვილის მუნიც.); **ადეცონი** – სერი ნაფიჩხოვოში (ჩხოროწყუს მუნიც.); **ადეცონი//ადესონი** – სახნავი კირცხში (ჩხოროწყუს მუნიც.); **ოდეცე** – სახნავი ყულისკურის მარჯვ. მხარეს (სოფ. ალერტპარი, ზუგდიდის მუნიც.).

თ. თხვესი არის გაუვალი ეკალბარდიანი ადგილი, თანაც ოდნავ ჭაობიანი (სიტყვა ჯერ არაა დაფიქსირებული ლექსიკონებში). სიტყვის ბოლოში სმოვანთა შორის ს სპირანტი შეცვალა ც აფრიკატმა. ტოპონიმური დადასტურებანი: **თხვესი//თხვეცონა** – ტყეჭაობი ეწერში (ტალერის თემი, მარტვილის მუნიც.); **თხვესი//თხვეცი** – ჯაგნარ-ტორფნარი ჟინოთანამიკოლავო მეორის საზღვარზე (მარტვილის მუნიც.).

ი. საბეკი "საბეკი, სატკეპნი" დაკავშირებულია ქართულ ბეკ ზმნურ ფუძესთან ("ბეკა – ცხენის მიერ ფეხის ცემა მიწაზე და მიწის მოთხრა". იხ.: აბულაძე, 1973, გვ. 30; შდრ.: "ბეკა – ბეკნა მაგრად დარტყმა". იხ. სარჯველაძე, 2001, გვ. 23). **სა-** პრეფიქსით წარმოქმნილი მიმღეობა საბეკი მხოლოდ მეგრულშია ცნობილი და აღნიშნავს ადგილს, სადაც ქარ-წვიმისას ცხენები წრეში დგებიან შიგნით თავმიქცეულნი და გამოდარების მოლოდინში ფრუტუნებენ, მიწას ფეხს ურტყამენ. საამისოდ მოხერხებული ადგილია ამორჩე-

ული. ეს ადგილი ყოველთვის დატკპნილია. დაგაკებას ეწოდება ნასაბეჭ//ნაცაბეჭ. აქაც ს → ც მონაცელეობა ხდება ხმოვანთა გარემოცვაში („საბეჭი – ცხენების სადგომი“ უკვე შესულია აღ. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“).

კ. ქართულ სურ- (სურ-ო) ფუძის კანონზომიერი მეგრული შესატყვისია სუჯ-, რაც შემონახულია ტოპონიმ სუჯონაში (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 408), მაგრამ, როგორც ჩანს, მეგრულს იმერული დიალექტიდან შეუთვისებია სურო ფუძეც სურუ-ს ფორმით, ხოლო შემდეგ მომხდარა აფრიკატიზაცია ს → ც: ამას ადასტურებენ ტოპონიმები: სურონა – ტყე, ხევი სოფ. საგუნავოში (სენაკის მუნიც.); სურონი – ტყე სოფ. სეფიეთში (სენაკის მუნიც.); სურუონი, სურნა (← სურონა), სურუამრობუ, სურუამჯაპი და სხვ., რომლებიც ძირითადად აღმოსავლეთ სამეგრელოში გვხვდება. შდრ. იგივე ფუძე ზუგდიდურ-სამურზაყანული თქმის ზონაში: ცურუამჯა "სუროიანი ხე" – მინდორი სოფ. ხურჩაში (ზუგდიდის მუნიც.), ცურნა (← ცურუონა) – დელე და ხეობა სოფ. ლეხარჩილეში; ცურუამდალ//ცურუონდალ – ტყე, ხევი სოფ. სამესხიოში; ცურუონი – საძოვარი მედანში; ცურ(უ)ონი – ტყე, ფერდობი სოფ. ლესალეში (ყველა წალენჯიხის მუნიც.). ს → ც აქაც ცხადია, ოდონდ ეს მოვლენა ტერიტორიულადაა შემოსაზღვრული.

ლ. ქ. წალენჯიხაში გორას ეწოდება ნასაბუ//ნაცაბუ. პირველი ვარიანტის პირველადობა და, მაშასადამე, ხმოვნებს შორის ს → ც აფრიკატიზაციის ფაქტი უეჭვო გახდება, თუ ვიცით, რომ ეს გორა საბა კალანდიას ნასახლარია. ს-ც სუბსტიტუციის მაგალითად გამოდგება წყაროს სახელი ხუსენწყუ//ხუცენწყუ. სუბსტიტუცია მომხდარა ანთროპონიმის დონეზე.

მ. სოფ. ზ. ხუნწმი (მარტვილის მუნიც.) ეჯიშქარიანესა და ეგახოკიძეს შუა მდებარე ბორცვს ეწოდება ასანოური//აცანოური. ასანა ძველ ქართულ ში გავრცელებული პიროვნული სახელია. ხოლო ამჟამად იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარი ასანიძე, ჯერ კიდევ XVI ს. დამდეგის ისტორიულ საბუთშია დაფიქსირებული. სავარაუდოა, რომ ზემოთ დასახელებული პარალელური ტოპონიმებისათვის ამოსავალი იყოს ფორმა ასანა (ასანა-ურ-ი → ასანოურ-ი). მაშასადამე, აცანოური წარმოქმნილია ს → ც აფრიკატიზაციით ხმოვნებს შორის.

წარმოვადგენთ პარალელურ ტოპონიმებს, რომლებშიც ჩანს ს – ც მონაცელები, მაგრამ იმის გამო, რომ ჯერჯერობით არაა დადგენილი თავდაპირველი ფორმა, მნელი გასარკვევია, საქმე ს → ც აფრიკატიზაციასთან გვაქვს თუ ც → ს დეზაფრიკატიზაციასთან: ოსინდალე//ოცინდალე//ოწინდალე; სალური//ცალური, ცანაფიოთონი//სანაფიოთონი (სანაფიოთა//ცანაფიოთა ყურძნის ჯიშია), ცოსორუა//ცოცორუა, ნაისუ//ნაიცუ, ნასანდარუ//ნაცანდარუ, ნასანუ//ნაცანუ, ნასახუ//ნაცახუ, ლესუდე//ლეცუდე, ნასლახუ//ნაც(ი)ლახუ და სხვ.

ზ → ძ.

ქართული სიტყვა საზღვარი მეგრულ ში ადაპტირებულია როგორც საზღვარი და სანზღვარი, ისე ზ → ძ აფრიკატიზაციის შედეგად წარმოქმნილი სანძღვარ-ი ფორმით (ო. ქაჯაიას "მეგრ.-ქართ. ლექსიკონში" დაფიქსირებულია მხოლოდ "სანზღვარი"). ტოპონიმური მონაცემები ასეთია: სოფ. საგვიჩიოში (ზ. ჭალადიძის თემი, სენაკის მუნიც.) დელეს ეწოდება საზღვარდალ//სანძღვარდალ, ხოლო სოფ. კოქში

(ზუგდიდის მუნიც.) ენგურის ტოტის სახელია
სანძვარწყარო.

კურზუ, კურზულე მეგრულში აღნიშნავს მცირე
შემადლებას მდინარისპირა ვაკებზე. ეს
ოროგრაფიული ნომენი, ჩვეულებრივ, გამოიყენება
მსაზღვრელ დიხა-სთან ერთად. დიხაკურზუ ეწოდება
ბორცვებს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებში –
ლეციცხაიეში, სერგიეთში, საკუთრივ ქ. მარტვილში
და სხვ. ამ ბორცვების სიმაღლე 10-15 მეტრია, ჰგავს
ხელოვნურს, ისევე როგორც დიხაგუბება. სოფ.
ლებაჩეში აბაშისპირა მცირე ბორცვს ორი სახელი
აქვს: დიხაკურმუე//დიხაკურზუ. რა თქმა უნდა, აქაც ზ
→ d.

უკანანუნისმიერი სპირანტების აფრიკატიზაცია
(სპირანტს ჩაენაცვლება იმავე ლოკალური რიგის
აფრიკატი).

შ → ჩ

დღუდღუში ვაზის ჯიშია (ზოგი კრახუნასთან
აიგივებს). ამოსავალი ფუძეა **დღუდღუ** (მისი
მნიშვნელობა ჯერჯერობით არაა დადგენილი. -ში
სუფიქსი კი ხშირია ვაზის ჯიშების სახელწოდებებში).
ვარიანტებია: **დღუნდღუში** (იხ. "მეგრ.-ქართ.
ლექსიკონი", ტ. I) და **დღურდღუში**. **დღუდღუშონა**
ადგილის სახელია რამდენიმე სოფელში (დავაკებაა
სოფ. ნაკიანში, მორევი – მდ. ჩხოუშიაზე სოფ. პ.
გურძემში და სხვ.); ჰაპლოლოგირებული ფორმა
დღუშონა სახნავის სახელია სოფ. პირველ კიშიაში
(მარტვილის მუნიც.), ხოლო **დღუ(რ)შონა//დღუ(რ)შონა**
ეწოდება ვაკე-სახნავს სოფ. ახუთში (ჩხოროწყუს
მუნიც.). მაშასადამე: დღურდღუშონა → დღურშონა
(ჰაპლოლოგიოთ) → დღურშონა (შ → ჩ აფრიკატიზა-
ციით).

მსგავსი აფრიკატიზაცია გვხვდება სხვა შემთხვევებშიც: ჩემი "თეორისი" ვაზის ჯიშია. იმ ადგილს, სადაც ჩემი უხვად ხარობდა (სოფ. კეთილარი, აბაშის მუნიც.) ეწოდება ჩემონა//ჩეჩონა. ამის გარდა, ჩეჩონა ეწოდება ტყეებს სოფ. საჩიქობავოსა და სოფ. გახომელაში (სენაკის მუნიც.) და სხვ.

შ → ჩ აფრიკატიზაციის კიდევ რამდენიმე შემთხვევას დავასახელებთ მარტვილის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიდან:

ჭიიში, ანუ შხურიშ ჭი, კატაბარდაა. ი. ყიფშიძე რაფიელ ერისთავზე მითითებით განმარტავს: "შხურიში – (. ბურეხი)". "ბოტანიკურ ლექსიკონში" კატაბარდის მეგრულ სემანტიკურ ეკვივალენტებად დასახელებულია "შხურიში" ჭი, შხურიში ჭუ, ჩიქვიში ჭი, წირდუ". ხურუ სიტყვის მნიშვნელობა კი "მეგრ.-ქართ. ლექსიკონში" ასეა ასესნილი: "სორო, ბუნაგი". ხურუ ლექსემის შემცველი ტოპონიმებით აღნიშნულ ობიექტებზე დაკვირვებითა და რესპონდენტთა განმარტებების საფუძველზე ჩვენებული განმარტება აღნიშნული სიტყვისა ასეთია: 1. ფერდობის ძირას მიმწყვდეული ვაკე, დუბე; 2. მიდამოს კუთხე, წვეტი, რომელიც ფერდობშია შექრილი; 3. ვაკე-ხევი, თაროსებური შეღრმავება მთის კალთაზე.

ხურუ ათეულზე მეტ ტოპონიმშია დაფიქსირებული დამოუკიდებლად ან რთული ტოპონიმის ერთ-ერთ კომპონენტად. დავასახელებთ სამ სახელწოდებას (სამივე მარტვილის მუნიციპალიტეტში). ყველა შემთხვევაში დასტურდება შ → ჩ აფრიკატიზაცია: ჭიშხურე/ჭიჩხურე – სახნავი მარსილში (სოფ. ჯოლევი); ჭიშხურუ/ჭიჩხურუ – ტყე-ფერდობები მდ. ონახუეშის მარცხ. ნაპირზე (სოფ. ზ. ხუნწი); ჭიჩხური/ჭიშხურუ – ღელე და ხევი თათუდალის მარჯვ. შენაკადი (სოფ. ჭაბურთა).

ცხვრის ნადგომ ადგილს ბევრგან შერჩენია სახელწოდება: ნაშეურუ, ნაშეური, ნაშეურეეში... სოფ. ნაფიჩხოვოში (ჩხოროწყუს მუნიც.) მდ. წითიერის ზემო წელს და მის ხეობას ეწოდება ნაჩხურუ//ნაშეურუ. გადმოცემით, უწინ ამ ხეობაში ცხვარი ჰყავდათ. მაშასადამე, ნაშეურუ → ნაჩხურუ, ე.ი. შ → ჩ აფრიკატიზაცია. შეურ- სიტყვა "ნორმაა" მეგრულისათვის. მართალია, მეგრ. ჩხურ- ქართ. ცხვარის კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია, მაგრამ ეს მხოლოდ ისტორიულია. დღეს კი მეგრულში გავრცელებულია შხურ სიტყვა და ამის გამო ჩხურ "ცხვარი" ჩავთვალეთ მის ვარიანტად, რომელიც მიღებულია აფრიკატიზაციით.

ე. ახლო წარსულში მეგრელთა სამეურნეო ყოფაში გავრცელებული იყო სამიწათმოქმედო ტერმინი მოშხუნაფა. იგი ნასახელარი ზმნის საწყისი ფორმაა. ამოსავალი სიტყვა შხუნა (იშვიათად შხონა) აღნიშნავს ყამირს, დიდი ხნის შესვენებულ მიწას, რომელსაც უპვე დაწყებული აქვს გატყევება. მოშხუნაფა სწორედ მიწის დასვენებასა და გაყამირება-გატყევებას აღნიშნავს. სამი-ოთხი წლის შემდეგ ნორჩ ტყეს გაკაფავდნენ, მოასუფთავებდნენ და ახოდ აქცევდნენ. ოშხუნაფუ სწორედ დასასვენებელ-გასატყევებელ და შხუნად გადასაქცევ მიწას აღნიშნავს. ტეხურის ჭალას (სოფ. დობერაზენი, მარტვილის მუნიც.), სადაც მონაცელებით ხდებოდა გაყამირება-მოახოება, ამჟამად ეწოდება ოშხუნაფუ//ოშხონაფუ//ოჩხონაფუ. აქაც შ → ჩ. მართალია ამ აფრიკატიზაციას ხელი შეუწყო გადააზრებამ: ოჩხონაფუ ნიშნავს საცხონებელს. ვითომ აქ მოწეული მოსავლით უნდა ცხონებულიყო პატრონი.

იგივე პროცესი ჩანს ტოპონიმში ნაშევენ//ნაჩხევენ (ტყე-ფერდობები მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ.

ლექტობალეში). აქაც ამოსავალია შხუნა "ახო". ტოპონიმი ნაჩხვენ დასტურდება სხვა სოფელშიც: პირველ გურძემში (მარტვილის მუნიც.) ნაჩხვენწყარის სათავე წყაროს ეწოდება ნაჩხვენ//ნაშხვენ. მაშასადამე, შხუნა → ნაშხვენ (მონაცვლეობა უ-ვე ჩვეულებრივია) ნიშნავს ნაახოვარს. → ნაჩხვენ (აფრიკატიზაციით).

ვ. მიუხედავად იმისა, რომ ხურშ-ონა-ს ამოსავალი ფუძის სემანტიკა, გარკვეული არ არის, ადვილი მისახვედრია რომ ხურშ-ი ფორმაში ჟ ნაშთია მცენარეთა სახელების მაწარმოებელი -იშ სუფიქსისა (შდრ. ტოპონიმები: ხოროშინა და ხოროშონა. ამოსავალია ხოროში, ატმის ჯიშის სახელი, იგივე ხოროატამა). ნებისმიერ შემთხვევაში ხურშონა თავდაპირველი ფორმაა, ხოლო ხურჩონა არის მისი ვარიანტი, წარმოქმნილი ჟ → ჩ აფრიკარიზაციით. ხურშონა//ხურჩონა ტყე-ხევია დიდლალის ხეობაში (სოფ. ქვაითი, მარტვილის მუნიც.).

ზ. კორშია მცირერიცხოვანი გვარია. მისი იშვიათი არაოფიციალური ვარიანტია კოშია, კოჩია. ორივე ფორმა ჩანს ტოპონიმში ლეკოშიგ//ლეკოჩიგ. გადმოცემით, ამ ფერდობებზე ყორშიებს უცხოვრიათ (სოფ. ახუთი, ჩხოროწყუს მუნიც.). აქაც სავარაუდოა ჟ → ჩ (კოშია → კოჩია). მაგრამ თუ თავდაპირველ ფორმად ჩავთვლით კოჩიას, მაშინ საქმე გვექნება დეზაფრიკატიზაციასთან ჩ → ჟ.

ჟ → ჰ.

ჸღერია მცირერიცხოვანი გვარსახელია (სულ 163 სული საქართველოში. ამჟამად ძირითადად გურიაში გვხვდება). იგი უნდა მომდინარეობდეს ჟეღერია-საგან (მაისურაძე, 1990, გვ. 136) მეორე მხრივ, არაა გამორიცხული, გვარისათვის ამოსავალი იყოს პირსახელი ჸღერო (რაჭაში). ჸღერიას ვარიანტია ჯღერია (ჯღერიაც მცირერიცხოვანი გვარსახელია,

სულ 46 სული საქართველოში. აზნაური ჯდერიები
ისტორიულად იმერეთში მკვიდრობდნენ).
აფრიკატიზაციას (ჟ → ჯ) ადასტურებს ტოპონიმი
ნაედერ(ო)უ//ნაჯდერ(ო)უ – ფერდობები წკანტილეის
მარჯვ. მხარეს (სოფ. ნახუნავო, მარტვილის მუნიც.).
გადმოცემით, ამ ფერდობებზე ჯდერიები სახლებულან.
გვარ უდერიას უკავშირდება აგრეთვე ტოპონიმი
ედერული//ჯდერული (საბალახო ქ. წალენჯიხის
საკალანდიოს უბანში).

ხშულის აფრიკატიზაცია.

$\mathfrak{g} \rightarrow \mathfrak{X}$

ს. ხუდონი ნასოფლარია წალენჯიხის
მუნიციპალიტეტში. ამჟამად მოქცეულია ენგურპესის
წყალსაცავის ფსკერზე. ეტიმოლოგიურად შეიძლება
დავაკავშიროთ ქვემო სამეგრელოში გავრცელებულ
სიტყვასთან ხუდონდიხა "ფხვიერი მიწა, ადვილად
დასამუშავებელი". სოფ. ჯვარში გავრცელებული
ვარიანტი ხუჯონი დასახელებულია ჯერ კიდევ ი.
ყიფშიძის "მეგრულ-რუსულ ლექსიკონში". როგორც
ვხედავთ, ხმოვანთა შორის მოქცეული მუდერი დ
შეცვალა ამავე ლოკალური რიგის მუდერმა ჯ
აფრიკატმა.

ი. ყიფშიძე დასავლურ (ზუგდიდურ-სამურზაყანოულ) დიალექტში აღ. ცაგარელზე დაყრდნობით და დ ხშულის აფრიკატიზაციის საფუძველზე გამოყოფს ჯვარულ ოქმას: " . . .

1994, გვ. 50). ალ. ცაგარელი ჯვარული თქმის თვისებურებად თვლიდა იმას, რომ "დ გადადის, თუმცა არა ყოველთვის, ჯ-ში". დასახელებულია ასეთი მაგალითები, ამოდებული ჯვარში ჩაწერილი ორი

ლექსიდან: ჯუჯი (\leftarrow დუდი), რაგაჯი (\leftarrow რაგადი), უბეჯური (\leftarrow უბედური). ამასთან დაკავშირებით ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ მას ამ სიტყვებში ჯვარელთაგან ჯ არ მოუსმენია, მაგრამ ჯვარელთა ძველი თაობის მტკიცებით, ამ სიტყვებში დ-ს ნაცვლად ჯ მართლაც მოუსმენიათ მამა-პაპათაგან.

ბ. დ \rightarrow ჯ აფრიკატიზაციის კიდევ ერთ მაგალითს დავასახელებთ: დალდიდი "დელედიდი" ტოპონიმიაში გვხვდება დადიდი ფორმით. დადიდი ეწოდება ოჩხომურის შენაკადს სოფ. პ. ჭოლაში (ჩხოროწყუს მუნიც.) და ჯიბადურის მარცხ. შენაკადს სოფ. გამოღმა ქარიატაში (ხობის მუნიც.). აფრიკატიზებული ვარიანტი დასტურდება ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ძვ. ხიბულაშიც, სადაც ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადს ეწოდება დადიდი//დაჯიჯი.

გ. დემურიების უბანს სოფ. ფოცხოში (სენაკის მუნიც.) ეწოდება ლედემურიე. მაგრამ დაბალ სერს, რომელიც დემურიების ნასახლარად ითვლება, დარქმევია ლეჯემ(უ)რე (სოფ. ალერტკარისა და საჭურლულიოს საზღვარზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში). აქაც ცხადია, რომ დ \rightarrow ჯ.

დ. ხუნდიში/ხუნჯიში სახნავია სოფ. ნალეფსაოში (მარტვილის მუნიც.). ქართული სიტყვა ხუნდი მეგრულში შესულია ხუნჯი (ხუნჯი) ფორმით. "ხუნდი – იგივეა, რაც ხუნჯი" (მეგრ.-ქართ. ლექსიკონი). ამის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ხუნჯი წარმოადგენს ქართ. ხუნდი სიტყვის ადაპტირებულ ფორმას, წარმოქმნილს დ \rightarrow ჯ აფრიკატიზაციით.

ე. მეგრულში დურე აღნიშნავს ხევისებურ ჩადრმავებას. სოფ. ჯუმითში (ხაბუმის თემი, ჩხოროწყუს მუნიც.). (ნ)დურე ხევის სახელია, მაგრამ სოფ. სანაჭუებიოში (მარტვილის მუნიც.), სახნავს

მცირედ ჩაღრმავებულ ადგილზე დარქმევია
ინონჯურია. დ → ჯ ცხადია.

მაშასადამე, აფრიკატიზაციის სახ ეობათა შორის მეგრულში (ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით) უფრო გავრცელებულია ს → ც (წინანუნისმიერი სპირანტის ჩანაცვლება წინანუნისმიერი აფრიკატი), ხშირად გვხვდება აგრეთვე შ → ჩ (უკანანუნისმიერი აფრიკატი), ხოლო რაც შეეხება ხშულის გააფრიკატებას, იგი წარმოდგენილია ერთადერთი სახით დ → ჯ. ყველა შემთხვევაში თანხმოვანთმონაცვლეობა ფონეტიკურადაა შეპირობებული.

დეზაფრიკატიზაცია

დეზაფრიკატიზაცია ხშულნაპრალოვანი ბგერის ჩანაცვლებაა ნუნისმიერი სპირანტით (ზ, ს, ჟ, შ) ან კბილისმიერი ხშულებით (დ, თ, ტ). პირველი შემთხვევა ადინიშნება ტერმინით სპირანტიზაცია, ხოლო მეორე შემთხვევა – ტერმინით დესპირანტიზაცია. თავის მხრივ, სპირანტიზაცია წარმომავლობის თვალსაზრისით შეიძლება იყოს დისიმილაციური ან სპონტანური. დისიმილაცია ხდება ხშულებისა და სონორების, აგრეთვე დ, ხ სპირანტების მეზობლობაში (რადგან დ, ხ სპირანტები შეიცავენ, თუმცა მცირე დოზით, ხშულობის ელემენტებს). სპირანტიზაცია ხდება დისიმილაციით ხშულობის მიხედვით. ხოლო რაც შეეხება სპონტანურ დეზაფრიკატიზაციას, მისი საფუძველია ხმოვნებთან მეზობლობა.

დესპირანტიზაციასაც იწვევს დისიმილაცია და იგი სამი სახისაა: ც → თ, წ → ტ, ჯ → დ. ამათგან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მეგრულსა და სვანურს მხოლოდ ჯ → დ ახასიათებს.

საერთოდ მეგრული ამ თვალსაზრისით მეტ მრავალ-ფეროვნებას გვიჩვენებს.

სპირანტიზაცია: აფრიკატი → წინანუნისმიერი ზან ს.

ც → ს

ხშულნაპრალოვან ც თანხმოვანს დეზაფრიკატიზაციის გზით ქართველურ ენებში შეიძლება ჩაენაცვლოს როგორც თ ხშული, ისე ს და ზ სპირანტები. მიზეზია მეზობელი თანხმოვნების ხშულობასთან დისიმილაცია. მაგრამ სუბსტიტუციის შედეგი – სპირანტიზაცია ჩვეულებრივია აგრეთვე ვ-ს წინ, ხმოვნის მეზობლად და ხმოვნებს შორის (ლომთაძე, 1999, გვ. 44).

სამეგრელოს ტოპონიმია ამჟღავნებს დეზაფრიკატიზაციის ასეთ შემთხვევებს:

ა. მეგრულში ქრისტე მაცხოვრის სახელობის ეკლესიებისა თუ ნაეკლესიარების სახელწოდებანი შეიცავენ ასეთ ქრისტოლოგიურ ლექსიკურ ერთეულებს: იესო ქრისტე, ქირსე, მანცხვარი, მანცხოვარი. მაგალითები: იესო ქრისტე//ქირსე//ქირსებორციელი – ბორცვი სოფ. ლეახალეში (ჩხოროწყუს მუნიც.); ქირსეშხატი – მაცხოვრის ეკლესია სოფ. ლეშამუგეში (წალენჯიხის მუნიც.); ქირსეშობაშოხვამე//ქირსეშოხვამე – ეკლესია სოფ. ბეთლემში (სენაკის მუნიც.).

ეპითეტი მანცხვარი (იშვიათად: მანცხოვარი) ათეულზე მეტ ობიექტს ეწოდება სამეგრელოში (ტოპონიმებია: მანცხვარი, მანცხვარგა, მანცხვარიში, მანცხვარიშ ოხვამე, მანცხვარკარი, მანცხვარტყა, მანცხოვარი და სხვ.). ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის

სოფ. ახუთში კი, ნაეკლესიარს, სადაც უწინ მანცხვარხატი ესვენა, დღეს ეწოდება მანსხვარი. დეზაფიკატიზაცია ც → ს აშკარად.

ბ. მდინარე იორდანეში ქრისტეს ნათლისდების რიტუალის შემსრულებელი იოანე ქართულ ქრისტოლოგიურ ლიტერატურასა და მეტყველებაში ცნობილია როგორც იოანე ნათლისმცემელი. ეს ანთროპონიმული ფორმულა მეგრულ ში შესულა რამდენიმე ვარიანტად, რასაც ისევ და ისევ ტოპონიმია დაგვიდასტურებს: ივანე ნას(ი)მერი – ნაეკლესიარი, სადაც იდგა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სალოცავი (სოფ. აბედათი, მარტვილის მუნიც.); ივანე ნაცმერი – ნაეკლესიარი, სასაფლაო სოფ. ონოდის (მარტვილის მუნიც.) ცენტრში; ივანე ნაციმერი//ივანე ნათიცვმერი – ნაეკლესიარი, სასაფლაო საქობალიოს უბანში (სოფ. გაღმა ზანათი, აბაშის მუნიც.); ნათიცვმელი – ნაეკლესიარი, სასაფლაო სოფ. ქვედა სორტაში (სენაკის მუნიც.) ნაცმერი//ივანე ნასმერი – ბორცვი, რომელზეც იდგა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია (სოფ. საადამიო, სენაკის მუნიც.) და სხვ.

ამ მასალების მიხედვით ფონეტიკურ მოვლენათა ასეთი სურათი იხატება: ქართ. ივანე ნათლისმცემელი → მეგრ. ივანე ნათიცვმელი//ივანე ნათიცვმერი → ივანე ნაცმერი (თი- კომპლექსის ჰაპლოლოგიითა და ე ხმოვნის ამოვარდნით) → ივანე ნასმერი (ც აფრიკატის დეზაფირიკატიზაცია-სპირანტიზაცია).

გ. ქართული ქრისტოლოგიური ტერმინი ჯვარცმა მეგრულ ში წარმოდგენილია ორი ვარიანტით: ჯვარცმა, ჯვარს(ი)მა. ჯვარცმაშ ოხვამე ნაეკლესიარია სოფ. ბეთლემში (ადგ. ვარიანტი: ბერთემი, სენაკის მუნიც.); ჯვარს(ი)მა ბორცვია სოფ. აბასთუმანში (ზუგდიდის მუნიც.), ინფორმატორთა გადმოცემით, ამ ეკლესიაში ესვენა ჯვარსიმაშ ხატი – კოდუ-

ების ჯინჯიხატი. მაშასადამე, ჯვარცმა → ჯვარსმა სპირანგიზაციის (დეზაფრიკატიზაციის) შედეგია. ი (გ) სმოვნის ჩასმა ამ ფონეტიკური მოვლენის შემდეგდრო-ინდელია.

დ. მეგრულში მორციება აღნიშნავს დაქცევას, გამოფიტვას (კონტექსტები: დიხაშ მორციება "მიწის გამოფიტვა", ცუდეშ დარციება "სახლის დაქცევა, გაპარტახება" (შდრ.: ბორიას სიმინდი მურციებუ "ქარს სიმინდის ყანა დაუქცევია") და სხვ. პირიანი ფორმა ირციებუ-საგან წარმოქმნილა წარსული დროის მიმღეობა ნარცე, ნარც(ი), ნარციერი. ეს მიმღეობები უკვე გასუბსტანტივებულია და განიმარტება როგორც პარტახი, გამოფიტული, დაქცეული რამე, უნაყოფო მიწა. ამ სიტყვაში მომხდარა ც აფრიკატის გამარტივება – ს-ს სპირანტად გადაქცევა: ნარცი → ნარსი. ნათქვამის ტოპონიმური დადასტურება ასეთია ნარსი – ბორცვი სოფ. კუხეშში (წალენჯიხის მუნიც.), ნარცე – ბუჩქნარი სოფ. ლეგულორდავეში და ჩაის ფართობი სოფ. დიდ ინჩხურში (ორივე მარტვილის მუნიც.). ნარცი – ფერდობი სოფ. ნობულევეში და მინდორი სოფ. ნამიკოლავო მეორეში, სადაც ოჯახი ამომწყდარა (ორივე მარტვილის მუნიც.). ნარციერი "გამონაფიტი" – ტყე-ფერდობი სოფ. ნალეჭსაოში.

როგორც ვხედავთ, ნარცე, ნარცი, ნარციერი ტოპონიმებად დასტურდება მხოლოდ მარტვილის რ-ნში, ხოლო ნარსი – მხოლოდ წალენჯიხის რ-ნში, ე.ი. ზუგდიდურ-სამურზაყანოული კილოკავის ზონაში.

ე. ქართ. ცუარ- ფუძის კანონზომიერი მეგრული შესატყვისია ცუნჯ- (ნ-ს ჩართვით). მნიშვნელობა: ეს სიტყვა მეგრულში გვხვდება ოთხი ფორმით: სუნჯ-ი, ცუნჯ-ი, ცუნდ-ი, სუნდ-ი (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 580). მთიან სამეგრელოში მდ. ზანის ერთ-ერთი შენაკადის სახელად დაფიქსირებულია ოსუნჯ-ე-

დალე//ცუნჯამდალ (სოფ. ახუთი, ჩხოროწყუს მუნიც.). მოტივაციასთან დაკავშირებით ინფორმატორი გადმოგვცემს: "ცვარი რომ არსად იყოს, ამ დელისპირას მაინც დასველდება კაცი, ყოველთვის ნამია". რადგანაც **ცუნჯ-** თავდაპირველი ფორმაა, მისგან **ც → ს** დეზაფრიკატიზაციით ჩანს მიღებული პიდრონიმის პირველი ვარიანტის ფუძე **სუნჯი.**

ძ → ზ

ა. სოფ. ქუთხენოჯიხევისა და ზენის (ორივე ნოჯიხევის თემი, ხობის მუნიც.) საზღვარზე მინდორს ეწოდება **ობარძემე/ობარზენე.** ინფორმატორთა განმარტებით, **ბარძემი** რაღაც ბალახია. ა. მაყაშვილის "ბოტანიკურ ლექსიკონსა" და ო. ქაჯაიას "მეგრულ-ქართულ ლექსიკონში" ასეთი სიტყვა არ მოიპოვება. ჩვენი აზრით, **ბარძემი** იგივე უნდა იყოს, რაც ქართული **ბრძამი** (სიტყვის თავიდურ ბრ კომპლექსში ხმოვნის ჩართვის მაგალითი: ქართ. ბრძა → მეგრ. ბგრმა).

მაშასადამე, თუ **ბარძემი** ძირითადი ფორმაა, მაშინ **ბარზემი** მისგანაა წარმოქმნილი **ძ → ზ** ფონეტიკური პროცესის (დეზაფრიკატიზაციის) გზით: ხშულნაპრალოვანი (რთული) ძ თანხმოვნისაგან განცალკევდა ნაპრალოვანი ზ: მოხდა სპირანტიზაცია.

ბ. **გიზონა** ორგან ეწოდება გეოგრაფიულ ობიექტს მარტვილის მუნიციალიტეტში: სახნავს სოფ. ლემიქავეში (გრძლად დევს დელე ნარუშ დალის მარჯვ. მხარეს) და ფერდობს ბერიწყუს მარცხ. მხარეს (სოფ. ჭაბურთა). აშკარად ჩანს დეზაფრიკატიზაციის (ძ → ზ) შედეგი: გირძე ცონა "გრძელი ყანა" → გირძონა → გიძონა → გიზონა.

გ. **მოზდართუ** ორგან დაფიქსირდა იდენტური გეოგრაფიული ობიექტების – დავაკებების – სახელ-

წოდებებად: გორა მისარონის კალთაზე (სოფ. გოდო-განი, მარტვილის მუნიც.) და მთა ოსინდალეს კალთაზე (სოფ. თაია, ჩხოროწყუს მუნიც.). გეოგრა-ფიული თუ სამეურნეო რეალიები, ისევე როგორც ტოპონიმის მომხმარებელთა ზოგი ინფორმაცია, მიგვანიშნებს ხოლმე ტოპონიმის თავდაპირველ ფორმასა და შინაარსზე. გორა მისარონზე იყო ეკლესია. იქიდან მობრუნებული მდოცველები ვაკეზე, რომელსაც დღეს მოზდართუ ჰქვია, შეჩერდებოდნენ, მარჯვნივ შეტრიალდებოდნენ, სალოცავს შეხედავდნენ და შესთხოვდნენ: ღმერთო, გამარჯვებით მატარეო. მეორე შემთხვევაში მთიდან ჩამომავალი გზა ვაკე მოზდართუსთან მკვეთრად უხვევს მარჯვნივ და შემდეგ ჩამოდის სოფელში. მაშასადამე, მოზდართუს თავდაპირველი ფორმა იყო მორძგვი დართუ "მარჯვნივ მოსახვევი". რამდენიმე ფონეტიკური მოვლენის შედეგად მორძგვი დართუს მოუცია ფორმა მოძდართუ, საიდანაც ძ → ზ დეზაფრიკატიზაციით წარმოქმნილა მოზდართუ.

დ. გუმუბა მცირე ბორცვია, მრგვალი შემაღლებაა ველზე. დიხაგუმუბა კი სამეცნიერო ლიტერატურასა და ენციკლოპედიაში ასეა განმარტებული: "არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთი კატეგორია, ნამოსახლარი გორა კოლხეთის დაბლობზე" ("მეგრ.-ქართ. ლექსიკონში" არაა შეტანილი). სოფ. ანაკლიაში, ენგურის შესართავთან, გათხრილი ბორცვი დიხაგუმუბა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი აღმოჩნდა.

კოლხეთის დაბლობზე რამდენიმე ათეული დიხაგუმუბაა. მათ ერთ ნაწილს ასევე ეწოდება. ოდონდ არაა იშვიათი ისეთი ვარიანტებიც, როგორიცაა დიხაგუმუბა და დიხაგუზბა. კერძოდ, დიხაგუზბა ეწოდება ორ ბორცვს სოფ. ბულიწყუს (ხობის მუნიც.) შემოგარენში: მდ. მუნჩიის მარჯვ. მხარეს (ეწ. უჩა

პალოტიშ დიხაგუზბა) და ოტორონჯეში (ე.წ. ოტორონჯეშ დიხაგუზბა). დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაცია (ძ → ზ) აშკარაა.

ე. ქართული სიტყვა ბოძალი "ორწვერა ისარი, შუბი" მეგრულში შესულია ბორბალი ფორმით და აღნიშნავს როგორც ორწვერას, ორტოტას (მაგ., შუბს, გზას, დელეს), ისე მეხსაც და ჭურვსაც. ზუგდიდის რნის სოფ. ახალკახათში ორ სხვადასხვა ადგილს, სადაც რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1855 წ.) ჭურვი დავარდნილა და აფეთქებულა, ეწოდება ნაბორბალი. სოფელ დარჩელში კი (ზუგდიდის მუნიც.) ტყეს, რომელსაც დიდი ხნის წინათ მეხი დაეცა და ხეები მილეწმოლეწა, დარქმევია ნაბორბალი//ნაბორზალი. აქაც მომხდარა დეზაფრიკატიზაცია ძ → ზ.

მეგრულში ბორბალი//ბორზალი, როგორც აღინიშნა, ნიშნავს ორტოტა გზას ან მდინარეს. ქ. აბაშაში მდ. ნოღელის იმ მონაკვეთს, სადაც მას მიერთვის დელე და არხი, ეწოდება სუმბორბალა//სუმბორზალა. კიდევ ერთი ტოპონიმი: ორტოტა დელეს, მდ. დღურუს მარცხ. შენაკადს საცხვიტავოში (სენაკის მუნიც.), ეწოდება დაბურზალა//დაბურბალა (← დალბორბალა "დელე ბოძალა"). აქაც ორივე შემთხვევაში ფაქტია დეზაფრიკატიზაცია ძ → ზ.

გ. აფხაზური სიტყვა ამმახ "ჭაობი, ჭანჭრობი" (ჯანაშია, 1959, გვ. 375) მეგრულში შესულია როგორც ამმახ, ისე აზმახ ფორმით. ტოპონიმური დადასტურება ასეთია: ნაზმახუ - მცირე ქვაბული ურთის მთის კალთაზე, სადაც წვიმისას წყალი დგება (ცაიში, ზუგდიდის მუნიც.); აზმახი//ოლონტყეში - გუბურა კალამონაში (სოფ. ნალეფსაო, მარტვილის მუნიც.); ნამმახ - ჭაობი სოფ. საკუკაოში (ხობის მუნიც.); ამმახი - გუბურა დიდგეში (ჩხოროწყუს მუნიც.);

ამმახუ//ზაქარიაშ ამმახუ – მინდორი მთა აფიცარას კალთაზე (მარტვილის მუნიც.).

ზ. ნაბერძემ(უ)/ნაბერზემ(უ) – ერქვა მინდორს სოფ. ჯიხასკარის (ზუგდიდის ონი) ცენტრში. ტოპონიმის ამოსავალ ფუძედ სავარაუდებელია ან გვარი ბერძემია//ბერძენია ან ეთნონიმი ბერძენი//ბერძემი. მაშასადამე, ნაბერზემ(უ) წარმოქმნილია ძ → ზ დეზაფრიკატიზაციის გზით.

თ. სოფ. გარახის (ჩხოროწყუს ონი) საბებიოს უბანში სახნავს ეწოდება გვაძნოხორი//გვაზნოხორი. ფონეტიკური გარდაქმნის მიმართულება გაურკვევლი იქნებოდა სახელდების მოტივაციის გათვალისწინების გარეშე: აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სახნავი გვაძი ბებიას ნასახლარია. მაშასადამე, აქაც ძ → ზ.

სპირანტიზაცია: აფრიკატი → უკანანუნისმიერი ჩ → შ

ა. როგორც ცნობილია, რთული ბგერა ჩ მიღებულია თ ხშულისა და შ ნაპრალოვანი თანხმოვნის შერწყმით (შდრ.: ათშვიდმეტი → ჩვიდმეტი). ქართული შხაპუნი მეგრულში გამოავლენს ჩხაპ ძირს, მაგალითად, გეჩხაპუა "ზემოდან წყლის გადმოსხმა, დაშხეფება". სათანადო მიმღეობური ფორმა გიოჩხაპუ აღნიშნავს მცირე ჩანჩქერს, წყალვარდნილს. ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. გამოღმა შუა ხორგაში მდ. ასუას მონაკვეთს (სადაც წყალი მცირე-მცირე ჩანჩქერებად იშხევება) ეწოდება გიოშხაპუ//გიოჩხაპუ. ძირითადია მეორე ვარიანტი, ხოლო მისგანაა წარმოქმნილი გიოშხაპუ. აშკარად დეზაფრიკატიზაცია ჩ → შ.

ბ. აღმოსავლური სიტყვა (ინდური, არაბული, თურქული) ჯამუშ ქართულ სალიტერატურო ენაში წარმოდგენილია კამეჩი ფორმით. სულხან-საბას

ლექსიკონში განმარტებულია: "კამბეში (გამეში, გამეჩი) – კამები". გამეშთან კი ნათქვამია: "კამბები სომხურად". ვარიანტი კამბები გვხვდება ქართულის ზოგ დიალექტში (ფშაურში, გურულში, იმერულში). ი. ყიფშიძის "მეგრულ-რუსულ ლექსიკონში" დაფიქსირებულია: კამბეში, კამბები, კამები. თუ კი ძირითად ამოსავალ ფორმად ჩავთვლით ქართ. კამებ-ს, მაშინ მეგრულში მისი ადაპტირება მომხდარა ჩ → შ დეზაფრიკატიზაციით. მაშასადამე, მეგრულისათვის ძირითადი ფორმაა კამბეში, ხოლო კამბები მისი გააფრიკატებული (შ → ჩ) ვარიანტია. ტოპონიმური დადასტურება ასეთია:

ნაკამბეშუ – ხევი სოფ. ეწერში (ტალერის თემი, მარტვილის მუნიც.) და ბორცვი სოფ. პ. ჟინოთაში (მარტვილის მუნიც.); **ოკამბეშე** – სახნავი სოფ. სალხინოში (მარტვილის მუნიც.) და ვერდობი სოფ. შუა ხორშში (სენაკის მუნიც.); **ნაკა(მ)ბეშუ** – ბორცვი სოფ. პატარა ჟინოთაში (მარტვილის მუნიც.); **ნაკამბეშდალ** – ღელე სოფ. ნარაზენში (ზუგდიდის მუნიც.); **საკამბეშო//ოკამბეგე** – სახნავი ჯუმპიჯში (სოფ. ურთა, ზუგდიდის მუნიც. აქ დასახელებული ოკამბეგე ან ქართულის გავლენაა, ან მეორადი აფრიკატიზაციით არის წარმოქმნილი ოკამბეშე ფორმიდან).

მაშასადამე, მონაცევლეობა ჩ→შ ხდება როგორც მეგრულის აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოში (საკუთრივ ჯამუში, როგორც ჩანს, ქართულში შემოვიდა შ→ჩ მონაცევლეობით).

გ. მდ. უმპის მარჯვ. ნაპირზე ფერდობს, სადაც უწინ ჩიქოვანს უცხოვრია (სოფ. ჭაქვინჯი, ზუგდიდის მუნიც.), ეწოდება ნაჩიქვან(უ) // ნარჩქვან(უ) // ნარშქვან(უ). აქაც ყველაფერი ცხადია: ჩიქოვანი → ნაჩიქვან(უ) → ნარჩქვან(უ) (ი ხმოვნის ამოვარდნითა და რ

თანხმოვნის ჩართვით) → ნარშქვან(უ) (ჩ-ს
დეზაფრიკატიზაციით).

დ. მეგრულში ჩხვერი ფეტვია (ღომისღომი,
რომლისგანაც ღომს აკეთებდნენ). ჩხვერის ცეხვას
ჩხვარუა ეწოდება, ხოლო საცეხველს – ოჩხვარუე. მდ.
ტარჩის მდგენელს, რომელზეც გამართული იყო
წყარიშ ოჩხვარუე "წყლის საცეხველი", დღეს ეწოდება
ნა(ო)ჩხვარუ//ნაოშხვარუ. ხ-ს მეზობლად მოქცეულ ჩ
აფრიკატს ჩაენაცვლა მისი ნაპრალოვანი შემადგენელი
შ.

ე. უცუნა თეთრბოლქვიანი მცენარეა. მეგრულში ამ
მცენარის სახელწოდებას სწორედ ეს არაარსებითო
ნიშანი დასდებია საფუძვლად: **ჯინჯი რჩე** "ძირთეთრი"
→ **ჯრჩე**. სიტყვის თავბეჭრას, აფრიკატ ჯ-ს განუცდია
დეზაფრიკატიზაცია, რის შედეგადაც **ჯგრჩე**
გადაქცეულა **დგრჩედ**. შემდგომში მომხდარა ჩ → შ.
ტოპონიმებია: **დგრჩონი** – მინდორი წყავაშელის
ხეობაში (ყოფილი მაგანის სატყეო, წალენჯიხის
მუნიც.); **დგრშონა//დგრჩონა** – ფერდობები ლებერიეში
(სოფ. ნაფიჩხოვო, ჩხოროწყუს მუნიც.).

სპირანტიზაცია: აფრიკატი → უკანანუნისმიერი ჟ, ჸ.
ჸ → შ

ცნობილია, რომ ჸ აფრიკატი ზოგ შემთხვევაში ჩაი-
ნაცვლებს შ სპირანტს. ერთ ასეთ მაგალითს მეგრული
ტოპონიმიაც შეიცავს. **ჩეშფეშონი** ფერდობია სოფ.
აბასთუმნის (ზუგდიდის მუნიც.) საკოდუოს უბანში.
ინფორმატორების განმარტებით, "ჩეშფეში, ჩეშბეში
არის ვაზის ჯიში, ასხია წერილი თეთრი მარცვალი,
ამბალახსაც უწოდებენ". ცხადია, ტოპონიმისათვის
ამოსავალია ვაზის ჯიშის სახელი **ჩეშგვეში** "თეთრ-
წვრილისა". ტოპონიმის წარმოქმნის გზა ასეთია:

ჩეჭვეში → ჩეჭფეში → ჩეშფეში → ჩეშფეშონი (ან ჩეჭფეში → ჩეშფეში → ჩეშფეში → ჩეშფეშონი).

ჭ → **ჟ**

ჩეჭონა//ჩეჟონა – სახნავი ერაწყარის მარჯვ. ნაპირის ფერდობზე. ჩეჯა "თეთრი ხე" ალგის ხეა. მაშასადამე, ტოპონიმ ჩეჭონას ვარიანტი ჩეჟონა წარმოქმნილია დეზაფრიკატიზაციით **ჭ** → **ჟ**.

დესპირანტიზაცია: აფრიკატი → კბილისმიერი ხშული.

ძ → **დ**

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძ-ს დეზაფრიკატიზაციით მიიღება ზ ნაპრალოვანი, მაგრამ მეგრული დიალექტის ტოპონიმური მასალა გამოავლენს აღნიშნული აფრიკატისაგან დეზაფრიკატიზაციის გზით დ ხშული თანხმოვნის მიღების ფაქტს:

ა. სოფელ მეორე მოხაშის (სენაკის მუნიც.), ლემალანიეს უბანში ტყეს ეწოდება გირდონა//გირძონა. თავდაპირველი (სემანტიკის შემცველი) ფორმაა გირძე ცონა "გრძელი ყანა". ფონეტიკურ გრადაციათა გზა ასე წარიმართა: გირძე ცონა → გირძონა → გირდონა. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში ძ → დ.

ბ. სოფ. საგუგუნავოში (სენაკის მუნიც.), მდ. დღურუს ნაპირზე, სახნავს ეწოდება ვეგირდე. მეგრულში ვე იგივეა, რაც ქართულში ველი. ასეთი ველი, მინდორი, სანამ იგი სახნავად გადაიქცეოდა, გრძლად იდო მდინარის ნაპირზე. მაშასადამე, ტოპონიმის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ვე გირძე "ველ-გრძელი". დეზაფრიკატიზაციის შედეგად ძ აფრიკატიდან ისევ და ისევ დ ხშული მივიღეთ: ვეგირდე → ვეგირდე.

ვეგირდე დელეა, ერთვის მდ. აბაშას მარცხ. მხრიდან (სოფ. ლეფოჩხუე, მარტვილის მუნიც.).

ტოპონიმის წარმომავლობას ადვილად აგვიხსნის ქაფრიკატის დეზაფრიკატიზაციის შესაძლებლობის გათვალისწინება: ვეგირძე "ველგრძელი" → ვეგირდე → ვეგიდე (ან ვეგირძე → ვეგიძე → ვეგიდე).

გ. ელაგინძე "წაგრძელებული" ზედსართავი სახელია. მარტვილურ-ბანძურ თქმაში იგი გვხვდება ორი ფორმით: ვეგირდე და ვეგირდე, რასაც ადასტურებენ ტოპონიმები:

ვეგირდე – სახნავი ჯვარდელის ნაპირას (სოფ. ჯოლევი) და ვეგირდე//იაგირდე//ოდაგიდე – სახნავი, რომელიც გრძლად დევს მდ. აბაშის ჭალაში (სოფ. ორქა). ელა → ელ და ოლა- → ოდა ჩვეულებრივია ბანძურ-მარტვილური თქმის ზონაში. ასევე უცხო არაა რდ კომპლექსში ო-ს დაკარგება. შდრ. ვეგირძე//ვეგიძე – სახნავი ტეურის ჭალაში (ნამიკოლავო მეორე).

ჯ → დ

მეგრული სიტყვა ჯიხა იგივეა, რაც ქართული ციხე. ციხის ქვემოთ მდებარე ტყისათვის დაურქმევიათ ჯიხატყა "ციხის ტყე". როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ჯ-ს დეზაფრიკატიზაციით წამოქმნილა სახელწოდების ვარიანტი დიხატყა (შდრ. დგრჩე ← ჯგრჩე ← ჯინჯი რჩე "ძირთეთრი, ანუ უცუნა").

მაშასადამე, ტოპონიმური მასალის მიხედვით, ზანური ენის მეგრული დიალექტისათვის დეზაფრიკატიზაციის ორი სახეობიდან უფრო დამახასიათებელია დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაცია, (აფრიკატი → ნუნისმიერი სპირანტი: ც → ს, ძ → ზ, ჩ → შ, ჭ → ჟ, ჯ → ჸ), ხოლო დეზაფრიკატიზაცია-დესპირანტიზაცია (აფრიკატი → კბილისმიერი ხშული) წარმოდგენილია მხოლოდ ძ → დ, ჯ → დ სახით. აფრიკატთა სპირანტიზაცია ხდება ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში, ამასთანავე, მუღლერი და ყრუ მკვეთრი აფრიკატი ჩაინაცვლებს მუღლერ სპირანტს, ხოლო ყრუ ფშვინვიერი

აფრიკატი – ყრუ სპირანგს. დეზაფრიკატიზაციას, ისევე როგორც აფრიკატიზაციას, იწვევს ფონეტიკური მოვლენები – ასიმილაცია, დისიმილაცია.

ჰაპლოლოგიისათვის მებრულში

ჰაპლოლოგია კომბინატორული (მეტყველების პროცესში ბგერების ერთმანეთზე გავლენით გამოწვეული) ერთ-ერთი ფონეტიკური მოვლენაა, რომლის ყველაზე მოკლე განმარტება ასეთია: „დისიმილაციურად სიტყვიდან მარცვლის ამოვარდნას ეწოდება ჰაპლოლოგია“ (ახვლედიანი, 1999, გვ. 204), მაგალითად: ბიცოლა ← ბიძის ცოლა, ფეხშველა (დიალექტ) ← ფეხშიშველა. პირველ შემთხვევაში მომხდარა რეგრესული დისიმილაცია, რომელშიც დისიმილატორია ც, ხოლო დისიმილირებული – ძ; მეორეში – დისიმილატორია მომდევნო შ... საყურადღებოა, რომ დისიმილაციურად ამოვარდნილ თანხმოვანს (ძ-სა და ც-ს) გადაჰყვა ხმოვანიც (ი)“ (იქვე). გ. ნებიერიძის „ენათმეცნიერების შესავალში“ გ. ახვლედიანისეული დეფინიცია გავრცობილია იმ მნიშვნელოვანი მომენტის აღნიშვნით, რომ ჰაპლოლოგია არის ორი ერთნაირი მარცვლიდან ერთის დაკარგვა (ნებიერიძე, 1991, გვ. 112). „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ დაზუსტებულია, რომ ეს ორი ერთნაირი მარცვალი უშუალოდ უნდა მოსდევდეს ერთმანეთს (უსლ, 1990, გვ. 113). ს. უღენტი ასეთ კრცელ განმარტებას იძლევა: „ჰაპლოლოგია, ანუ, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, მარცვლის დისიმილაციური დაკარგვა, უფრო ხშირად მაშინ წარმოიშვება, როდესაც ორი მომიჯნავე მარცვალი იწყება იდენტური თანხმოვნით ან კიდევ, რომლის მარცვლის ცენტრს ქმნის, იმყოფება ორ იდენტურ

თანხმოვანს შუა. ასეთ შემთხვევაში ჩვენი არტიკულაციური მოძრაობა ისტრაფვის, ერთბაშად გადავიდეს მეორე მარცვლის წარმოთქმაზე. ამის გამო ჩვეულებრივ იკარგვის პირველი მარცვალი“ (ედენტი, 1960, გვ. 158). დაბოლოს, „ლინგვისტურ, ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ ჰაპლოლოგიისათვის აუცილებელი სამი პირობა ასეა ჩამოყალიბებული: а) მარცვლები არიან ერთნაირი (одинаковые) ან მსგავსი (сходные); ბ) ისინი უშუალოდ მოხდევენ ერთმანეთს; გ) განლაგებულნი არიან მორფემათა (ორი ფუძის, შედარებით იშვიათად ფუძისა და აფიქსის) საზღვარზე (ლელ, 1990, გვ. 113). ყველა ამ პირობას ზედმიწევნით აკმაყოფილებს უცხოურ, მათ შორის რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებული კლასიკური ნიმუშები ჰაპლოლოგიისა: stipendum („ჯამაგირი ჯარისკაცისა“) stipendum, трагико-комедия трагикомедия, знаменосец знаменосец, розововатый розоватый,

... ცხადად ჩანს, რომ დისიმილატორი და დისიმილირებული მარცვლები ფუძეთა ან ფუძისა და სუფიქსის საზღვარზე, კერძოდ, მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არიან განლაგებულნი.

ქვემოთ განვიხილავთ მეგრულში მარცვლის ჰაპლოლოგიური სინკოპირების სხვადასხვა შემთხვევას (ძირითადად ტოპონიმიკური მასალის მიხედვით).

1. ჰაპლოლობია ძართულიდან ნასმხებ რელიგიურ ლექსიკაში

როგორც ცნობილია, კოლხებში, განსაკუთრებით მეგრელთა შორის, ქრისტიანობის გავრცელებას თვით პირველმოციქულები ეწეოდნენ. „ქრისტიანობის მირებიდან IX საუკუნემდე დასავლეთ საქართველოში

სახელმწიფოსა და დკთისმსახურების ენა იყო ბერძნული“ (ბ. დიასამიძე, ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999; იხ. აგრეთვე: პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004). მაგრამ ქრისტიანობის ძირითადმა ტერმინოლოგიამ ქართულიდან მეგრულში შეაღწია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ: მეგრულში ქართული ტერმინოლოგიის ფართოდ გავრცელება სწორედ შეასუქნებში იწყება.

მიქელ-გაბრიელი

საქართველოში მთავარანგელოზების – მიქელისა და გაბრიელის – თაყვანისცემის ტრადიციებს საუკუნეების წინათ ჩაყრია საფუძველი (აბაკელია, 1985, გვ. 198). მათი კულტი გავრცელებული ყოფილა სამეგრელოშიც და სამურზაყანოშიც. ამ საკითხს სხვადასხვა ასპექტით შექმნიან ს. მაკალათია, თ. სახოკია, ა. ჭანტურია, ჯ. რუხაძე, ნ. აბაკელია... სამეგრელოში სამიქამბარიას სალოცავისათვის ყურადღება მიუქცევია ჟ. შარდენსაც. ი. ყიფშიძე ხვამა სტატიასთან ასახელებს სამგარიო ფორმას. „მიქამბარიო არის პატრონი მთისა, მას მორჩილებენ ცის მნათობნი... მიქამბარიოს ნებაზედაც დგას დარი მთაში“, – აღნიშნავდა თ. სახოკია თავის „მოგზაურობაში“.

ეთნოგრაფიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ასეთი დასკვნა: მიქამბარიო ერთ-ერთი მთავარი დკთაებაა სამურზაყანოსა და სამეგრელოში, მეგრელთა ოჯახებში ერთ-ერთი უმთავრესი სალოცავი იყო „სამგარიო ოხვამერი“: კონკრეტულად, „მიქამბარიას ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქონლის, მწყემსის და, საერთოდ, მესაქონლეობის მფარველობა“ (მაკალათია, 1979, გვ. 68). ამასთანავე, „მიქამბარიოს ადგილსამ-

ყოფელია ზეცა. იგი მაღლა მთაზე ზის, მისი ფერი თეორია“ (აბაკელია, 1985, გვ. 202).

ქართულენოვან სივრცეში ნებისმიერი საკულტო რიტუალი, თუნდაც ლოცვა-კურთხევა, მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე ტარდებოდა. ასეთი ვითარება იყო სამეგრელო-აფხაზეთშიც, მაგრამ ეკლესიის გარეთ, ე.ი. არასაეკლესიო ვითარებაში, ოფიციალური ტერმინოლოგია, როგორც წესი, ოცვლებოდა ადგილობრივი მეტყველების შესაბამისად. ნახევარი საუკუნის წინათ (სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიის აღწერისას) არა ერთსა და ორ ხანდაზმულ მორწმუნებს კიდეც უთქვამს: ოფიციალურ ვითარებაში ლოცვისას ვიყენებდით მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვან ტერმინებს, როგორიცაა მიქელ-გაბრიელი, (მ)თავარანგელოზი, მაცხოვარი, მირსა, მისარონი... ხოლო არაოფიციალურ ვითარებაში მივმართავდით მეგრულ ვარიანტებს – მიქამგარია//მიქამგარიო, მიგარია, სამგარიო...), თარანგელოზი, მანცხევარი და ა.შ. მაშასადამე, სამეგრელო-სამურზაყანოში ორიგი ფენის ტოპონიმები გვხვდება, თუმცა კი მეგრული ვარიანტები ჭარბობს, რაც აშკარად ჩანს ადგილობრივი ტოპონიმიის ანალიზისას.

„მიქელ-გაბრიელი“ და მის ჰაპლოლოგიასთან დაკავშირებული ტოპონიმები დასტურდება მთელს სამეგრელოსა და აფხაზეთში. აქვე წარმოვადგენთ კონკრეტულ მასალას.

მიქელ-გაბრიელიშ ოხვამე//წაჩხურუშ ოხვამე//მოსქეწაჩხურუ – XVII საუკუნის ეკლესია წაჩხურუს მაღლობზე (წაჩხური, მარტვილის მუნიციპ.). ალ. ქობალია: „მოსქეწაჩხურუშ ძეობის მომცემი, შვილიერების მომნიჭებელი, ხატი წაჩხურისა“ (ეკლესია XVII საუკუ-

ნისაა. სოფლის სახელწოდება კი პირველად XVI ს-შია მოხსენიებული).

მიქელ-გაბრიელ თხვამე//დაგვანიშდუდი – დავაკება ვეცხაკაიეს სერზე. რესპ.: „აქ მარხია ერთი დიდი ქვერი (ლაგვანი „ქვერი“ → დაგვანი –პ. ც.), რომელიც მიქელ-გაბრიელის სალოცავია. ცხაკაიები ყოველ მესამე წელს, შემოდგომაზე, აქ კლავენ ხარს და ასრულებენ სათანადო რიტუალს (ქვაითი, მარტვილის მუნიციპ.).

მიგარიე/მიგარია//თხაჩქუ – მთა, ტეხურ-ხობისწყლის წყალგამყოფი ქედის სამხრ. დაბოლოება ოჩხომურის სათავესთან (ნაფიჩხოვო, კურზუს სატყეო; მარტვილისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების საზღვარზე). ამ ტოპონიმს გ. ელიავა ასახელებს მინგარია ფორმით და განმარტავს მას როგორც „მტირალას“ (???), რაც ცრუხხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია. ამ მთაზე გადიოდა ალპ. საძოვრებისაკენ მიმავალი გზა. მწყემსები აქ ორი-სამი დღით დააბანაკებდნენ საქონელს და მიქელ-გაბრიელს, მწყემსთა მფარველ დვთაებას, შესთხოვდნენ დაცვა-წყალობას. ბოლოს დაემშვიდობებოდნენ ბარს და გასწევდნენ ალპური საძოვრებისაკენ. **თხაჩქუ** „სათოხარი“ დაურქმევიათ ბარის მცხოვრებთ: ამ მთაზე თოვლს რომ აიღებს, მერე ბარში სიმინდის თესვა დაგვიანებული იყო.

მინგარიე/ნაბერად(უ) – გორა სოფლის ცენტრში. რესპოდენტი ასე წარმოადგენს სახელდების მოტივს: „აქედან კარგად ჩანს მიგარიე/თხაჩქუ, რომლისათვისაც ფორმით და სიმაღლითაც მიუმსგავსებიათ ეს ბარის ობიექტიც. ამიტომ დაურქმევიათ ჩვენს წინაპრებს“ (ლექარჩე, ჩხოროწყუს მუნიც.).

მიქემგარიეშ თხვამე//ქიაჩიშ თხვამე//ჭოდაშ თხვამე – ნაეკლესიარი სოფლის ცენტრში, სადაც ესვენა

მთავარანგელოზის ხატი (პირველი ჭოდა, ჩხოროწყუს მუნიციპ.).

მიქამგარია/მიქამგარიო – ეკლესია ბორცვის თავზე, ურთის მთის ძირას (სოფ. ოხვამეგარი, ხობის მუნიციპ.). აუშენებიათ 1885 წელს იონა მეუნარგიასა და იპო ვართაგავას თაოსნობით. მ. მაკალათია: ხეთის მიქამგარიოს ეკლესიაში ერთ-ერთ მთავარ დღესასწაულად ითვლებოდა „თუთაშხაშ გითოხვამა“, ანუ „მიქამგარიოშ გითოხვამა“. ოფიციალური ლოცვისას ყოველთვის მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი მოიხსენიებოდა და არა ოდენ მიქამგარიო (მაკალათია, სამეგრელო, 1979).

მიქამგარია/მიქამგარიო//ჯიხა – მაღალი კლდუსვეტი, ნამონასტრალი ჯუხუს მარცხ. ნაპირას (სოფ. კოპიტი, ოჩამჩირის რაიონი). რესპ.: „მიქამგარია ხატია. დამით ჩამოფრინდებოდა ცეცხლივით აგუზგუზებული და აქ დაეშვებოდა. აქვეა წყარო მიქამგარიაშ წყარი//ხატიშ წყარი. მიქამგარია//მიქანგარიო ქართული მიქელ-გაბრიელის ეკვივალენტია მეგრულში და გარკვეული სახეცვლილებით შერჩენია აფხაზეთს“.

მიქელრიფშ „მიქელის გორა“ – მაღლობი მდ. ფსოუს მარცხ. ნაპირას. რესპ.: „საფიქრებელია, რომ აქ გორაზე მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია იდგა“ (იხ. ცხადაია, ხორავა, 2016, გვ. 46). სოფლის ამჟამინდელი სახელწოდებაა მქიალრიფში, იგივე მიქელრიფში (გაგრის საქალაქო თემი).

ზემოთ დასახელებული ტოპონიმური მასალა ადასტურებს, რომ, როგორც უკვე ითქვა, ფონეტიკური ცვლილებანი სამსაფეხურიანია: ქართ. მიქელ-გაბრიელი → მეგრ. მიქამგარია//მიქამგარიო (ფონეტიკური კანონ-ზომიერება არ ჩანს) → მი(ნ)გარია (რაც ჰაპლოდოგიის დამსახურებაა: ქა+გა→ გა) → სამგარიო (რაც ტოპონიმიაში არ დასტურდება, მაგრამ თავდაპირველად

სწორედ ი. ყიფშიძემ თავის ლექსიკონში ფართოდ გავრცელებულ საოჯახო სალოცავთა შორის დაასახელა „სამგარიო ...“

- “ (ყიფშიძე, 1914, გვ. 402). თუმცა აქ იბადება კითხვა ფონეტიკური გზისა: მიქამგარიო → სამიქამგარიო → სამგარიო (მიქა- კომპონენტის ამოვარდნის გზით) თუ მინგარიო → სამგარიო. ამის გარდა, ოჯახებში სალოცავებს ერქვა „ოდუდია სამგარიო“ და „სამგარიო ოხვამერი“. ”

ამ სალოცავებზე ქართველ მკვლევრებს საჭირო ინფორმაციები მოეპოვებათ. კერძოდ, ო. ქაჯაია განმარტავს: ოდუდია სამგარიო ქვევრის სახელწოდებაა (ეყრდნობა ს. მაკალათიას); ამ ქვევრთან ლოცვა ადამიანის ჯანმრთელობასთან იყო დაკავშირებული და მას ოჯახის უფროსი იხდიდა (ქაჯაია, II, გვ. 425). „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ ავტორი ოდუდიას დანიშნულებას ასე წარმოგვიდგენს: ოდუდია ქვევრის სახელი იყო, – სამეთაურო ოჯახის უფროსი კაცის სალოცავი (მიუთითებს: მასალები, ტ. IV, ნაწ. III, გვ. 156) და აქვე დაამატებს რესპონდენტისეული ფრაზის თარგმანს: „ოდუდია იყო ოჯახის უფროსი კაცის სალოცავი. ამ ლოცვაში ქალები არ მონაწილეობდნენ, უფლება არ ჰქონდათ“. იხ. აგრეთვე ოდუდია, ოდუდია სამგარიო და სამგარიო ოხვამერი, სამგარიოშ ლაგვანი და სხვ. (იხ. ქობალია, 2010, გვ. 533, 581).

მამამთავარი (//მამათმთავარი)

მამამთავარი(//მამათმთავარი), როგორც რელიგიური ნომენი, სალიტერატურო ქართულში აღნიშნავს: 1. „საფუძვლის ჩამყრელი. ფუძემდებელი, შემქმნელი, დამწყები“; 2. „მეთაური, უფროსი; წინამძღვალი, პატრიარქი“ (ქეგლ, ტ. V, გვ. 29-30). ს.-საბა:

„მამა(თ)მთავარი – ესენი არიან ადამი, ნოე, აბრაჟამი და მისთანანი, ხოლო აწინდელიცა პატრიარქი“ (საბა, I, 1991, გვ. 431. იხ. აგრეთვე: დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 663; ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 265-266).

მამანთარი ერქვა გორა-სალოცავს, მაგრამ ეკლესია ახლომახლო არ იყო. აქ მდგარა ურთხელი ტყეშემორტყმულ მინდორში, სადაც იმართებოდა რელიგიური დღესასწაული 8 სექტემბერს ან მის უახლოეს კვირადღეს, კლავდნენ ხარს ამ ურთხელოთან. რესპ.: „მამანთარი თიშენი ჯოხო, გილახვამა უჩქუდესე, მარა ოხვამე ვარდგ“ (ნახურცილავო, პირველი გურდემი, მარტვილის მუნიც.). ადგილობრივთა მეტყველებაში გვხვდება როგორც მამანთარი, ისე მანთარი: მაშასადამე, აქ ორმაგი ჰაპლოლოგია მოქმედებს: ქართ. მამამთავარი → მეგრ. მამანთარი (თა + ვა → ვა, ხოლო მ - მ - მ ე მ - მ - ნ ასიმილაციის შედეგია). მომდევნო პროცესი: მამანთარი → მანთარი (მა + მა → მა).

მამანთარი → მანთარი (ორი ბორცვი ნახურცილავოში, გურძემიის სერზე). განარჩევენ დამატებითი სახელდებით: სკურდიშ მანთარი//სკურდიშ ოხვამე და ნახურცილუშ მანთარი (ნახურცილავო, გურძემი, მარტვილის მუნიც.);

ჯვარმამამთავარიშ ოხვამე – საერთო სახელწოდება სკურდიშ მანთარისა და ნახურცილუშ მანთარისა (იხ.).

მთავარანგელოზი

ქრისტიანული მითოლოგიის მიხედვით, მთავარანგელოზი ერთ-ერთი ზეციური არსებაა, ზეციური იერარქიის მერვე საფეხურის სულია. მთავარანგელოზები არიან: **მიქელი** – მძლეველი გველა მტრული

თალისა; გაბრიელი – სიმაგრე დვთისა და მისი საიდუმლოს კეთილი მაცნე; რაფაელი... და სხვ. სამეგრელოში გვხვდება როგორც მთავარანგელოზი და თავარანგილოზი, ისე პაპლოლოგიური ფორმებიც: თარანგელოზი, თარანგიოზი.

სამეგრელო-სამურზაყანოში დასტურდება:

თავარანგელოზი//გოგოლეთიშ ოხვამე – ნაეკლესიარი, სასაფლაო ოწყარეს მარცხ. ნაპირზე (ახუთი, ჩხოროწყუს მუნიც.).

თარანგელოზი//თავარანგელოზი – დაგაკება დეუქანგეში, მთის კალთაზე.

თავარანგელოზიშ ოხვამე – საყდარი და სასაფლაო ცაიშის საზღვარზე (ჭითაწყარი, ზუგდიდის მუნიც.).

თავარანგილოზი – ეკლესია, სასაფლაო ოხვამეკარში (ლეკოკაიე, სენაკის მუნიც.).

თარანგიოზი//ოხვამეკარი – ნაეკლესიარი, სასაფლაო სოფლის ცენტრში, ვედიდის გვერდით (სოფ. ვედიდგარი, მარტვილის მუნიც.).

თარანგელოზი//ჭითა ოხვამე – ეკლესია, სასაფლაო ლეანჯაფარეში (სოფ. კიწია, მარტვილის მუნიც.).

თარანგელოზი//თარანგიოზი – მაღალი ბორცვი, სასაფლაო ლემიორეში. რესპ.: „აქ ტარდებოდა დღეობა „თარანგელოზობა“ აღდგომის მესამე დღეს, სამშაბათს. ახლაც მოდიან და მოჰყავთ შესაწირავი ქათამი, იშვიათად – ცხვარი“ (ნახურცილავო, მარტვილის მუნიც.).

თარანგელოზიშ ოხვამე//ქიაჩიშ ოხვამე – ნაეკლესიარი კოუთონასა და ხეირს შეა (თამაკონი, მარტვილის მუნიც.). ეკუთვნოდათ მექიაჩე ჯანაშიებს. ალ. ქობალია: „ქიაჩი – ჯვარი, ბორჯდალი“.

თარანგელოზიშ ოხვამე – ეკლესია, სასაფლაო ოხვამეშ სუბზე (ნახურცილავო, მარტვილის მუნიც.).

თარანგელოზი – ეკლესია, სასაფლაო ბერის მთის ძირას. აქ იყო სოფლის მთავარი ეკლესია (კვაუთი, სენაკის მუნიციპ.).

თარანგილოზი – 1. ნაეკლესიარი, სასაფლაო საკინწურაშვილოს უბანში, ეკის მთასა და სახოვერიოს შუა (ქ. სენაკი); 2. ნაეკლესიარი სკურის ნაპირას (საკილასონიო); 3. ნაეკლესიარი, სასაფლაო ლეშამათეში (ფოცხო); 4. ნაეკლესიარი, სასაფლაო ოხვამეკართან (საადანაიო); 5. ნაეკლესიარი, სასაფლაო ოხვამეფერდში (ლეგოგიუ-ნასაჯუ) და სხვ. (ყველა სენაკის მუნიციპ.).

თარანგიოზი – სასაფლაო, ნაეკლესიარი საოჩიგაოში (გეჯეთი, სენაკის მუნიციპ.).

თარანგილოზი – 1. ნაეკლესიარი, სასაფლაო კვათანაში; 2. ნაეკლესიარი ლაჯონაში (გამოღმა კოდორი), (ორივე აბაშის მუნიციპ.).

თარანგიოზი//დუქანები – სასაფლაო მეორე ონტოფოში, სადაც გზათგასაყარს დუქანი//ნადუქარი ეწოდება (ონტოფო, აბაშის მუნიც.).

თარანგილოზი//თარანგილოზიშ ოხვამე – ნაეკლესიარი, სასაფლაო ცუდლარის მარცხ. ნაპირას (ნორიო, აბაშის მუნიც.).

მთავარანგელოზი//საღურწყაიოშ ოხვამე – სასაფლაო სოფ. ახალხიბულაში (ხობის მუნიციპ.).

მთავარანგელოზის ეკლესია – ნაეკლესიარი, სასაფლაო ბექობზე. ამჟამად აქ დგას ჯვართამაღლების ახალი ეკლესია (მარანჭალა, აბაშის მუნიც.).

წმინდა თარანგილოზი – ნაეკლესიარი სოფლის ცენტრში (გამოღმა კოდორი, აბაშის მუნიც.).

თავარანგელოზი – ეკლესია, სასაფლაო მაღალ ბორცვზე (ზემო ბია, ხობის მუნიც.).

თავარანგელოზი – საყდარი სოფლის ცენტრში (ძველი ხიბულა, ხობის მუნიც.).

თარანგელოზიშ ოხვამე – ეკლესია საჯიქიოში (ცაიში, ზუგდიდის მუნიც.).

საკილიალესა//საკიალესა – ვაკე-მინდორი შებეს მარცხ. შენაკადის ნაპირას. რესპ. ძიკი გაბედავა (82 წ.): „ჩვენი ძველები სალოცავად დადიოდნენ გოდოგანის ეკლესიაში, რომელსაც მისარონი ეწოდება. დასახელებული ვაკე-მინდორი ეკლესიაში მიმავალთათვის ერთგვარი შესასვენებელი ადგილი იყო. აქვე აუცილებლად იმღერებდნენ საეკლესიო სიმღერას „კილიალესა“. ქართული კირიე ელეისონ „უფალო, შეგვიწყალე“ უშუალოდ ბერძნულიდანაა შეთვისებული. მაშასადამე, კილიალესა → საკილიალესა (კილიალესას სიმღერის ადგილი) → საკიალესა (კი + ლი→კი) (დღვანა, გოდოგანი, მარტვილის მუნიც.). „საკილიალესა“ დასახელებულია წიგნშიც „კურზუ და კურზუ ელები“.

ჯგებე მარიამი „წმინდა მარიამი“ → ჯგემარია → ჯგემარიონი (ფიქსირდება სამეგრელოსა და აფხაზეთის სოფლებში – მოხაში, ჭკადუაში, ბეთლემი და სხვ.) ასე ეწოდებათ ბორცვებს, რომლებზეც წმინდა მარიამის სახელობის საყდრების ნაშთებია. **ჯგემარია//ჯგებე მარიამი** შემორჩა მეგრულს იმ დროიდან, როცა ბერძნები კოლხეთში ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ი. ყიფშიძე (1994, გვ. 482/616): ჯგებე, ჯებე, ერთი მხრივ, არის წმინდა გიორგი, ანუ ჯებე გიორგი, ხოლო მეორე მხრივ – „ , , , “ ჰაპლოლოგია: **ჯგე + ბე ჸ ჯგე.** შდრ. „წმინდა

მარიამი“ სამეგრელოში დაერქვათ სათანადო ობიექტებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ.

თევდორობა

თევდორობა (//თედორობა) ქრისტიანი წმინდანის თედორეს (//თევდორეს) სახელობის დღეა. ემთხვეოდა დიღმარხვის პირველი კვირის შაბათ საღამოს. დავაზუსტოთ: წმ. თედორე ძველქართულ წარმართული აგრარული დვოთაების მემკვიდრეა. სათანადო კულტი ბალკანეთმა და საქართველომ შემოინახა. თედორე ძველქართული წარმართული აგრაგრული დვოთაების მემკვიდრეა და, შესაბამისად, თედორობა დღემდე შემორჩა, როგორც ცხენის სალოცავი (იხ. ვრცლად: ქსე, 4, გვ. 632; ქეგლ, ტ. IV, გვ. 359; ლოდობერიძე, სამეგრელო, 1979, გვ. 155; ქაჯაია, II, გვ. 43; ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010). ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზემოთ დასახელებულ მაგალითებში, საქმე გვაქვს ჰაპლოლოგისთან. თევდორობა → თერდობა (დო + რო → დო), ხოლო რ გადანაცვლებულია სიტყვის წინა ნაწილში და გ-ს ადგილი დაუკავებია (საერთოდ მეგრულში ხშირია რ ბერის ლტოლვა სიტყვის წინა ნაწილისაკენ (შდრ. ქართ. სრიალი → მეგრ. რსიოლი, ქართ. სრული → მეგრ. რსული და სხვ. მრ.). მაგრამ იქნებ ჰაპლოლოგირება განიცადა თედორობამ და არა თევდორობამ!? მიუხედავად ყოველივე ამისა, სამეგრელო-სამურზაყანოში ტოპონიმი თერდობა არ დასტურდება.

2. ჰაპლოდინი ერთ- და ორფუძიან საზოგადო სახელმაში

ერფუძიანი ლექსიკური ერთეულები

გუგული (ტყის ფრინველია, რომელიც თვითონ არც იშენებს ბუდეს. ქართულში შემოსულია ლათინური ენიდან) → ნაგუგულე → ნაგულუ – სერი სოფ. ლეჯოლოხეში, სადაც უწინ ტყეში გუგული ბინადრობდა (წალენჯიხის მუნიციპ.). რა თქმა უნდა: ნაგუგულუ → ნაგულუ (გუ + გუ → გუ). კიდევ ერთი მაგალითი: **ოგუ(გუ)გლუ//გუგულიშ სუკი** – სერი ოხოჯესა და ობარხალაიას შეა (ბედია, სამურზაყანო). რესპ.: „იქ ყოველ გაზაფხულს გუგულის ხმა ისმოდა“.

თუთუმი „თამბაქო“ (← ქართ. თუთუმი ← თურქ. თუთუქ) → სათუთუმო „სათუთუნე“ → სათუმო (ამის შემდეგ ხდება უ ხმოვნის რედუქცია. ო. ქაჯაია თავის „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ (II ტომი) განმარტავს: „სათმო, სათუმა – იგივეა, რაც სათუთუმო – ჩიბუხი“. შდრ. „ზუგდიდისაკენ ანარიას დელეს აქეთ, მდინარის ჩასართვამდის სოფელს სათუმოს გზის დაბლა“ (ქსძ, III, გვ. 470-471).

შარდენი ← შავარდენი „მტაცებელი ფრინველი საშუალო ზომისა. გაწვრთნილს იყენებენ ნადირობაში...“ (ქეგლ, ტ. VII, თბ., 1962, გვ. 607). ი. ყიფ შიძე: „შარდენი (რ. შავარდენი) “; დასახელებულია წარსულისა და თანამედროვეთა ქართულ ლექსიკონებში. ტოპონიმი თშარდენე („საშევარდნო“ მაღალი კლდოვანი ბორცვის სახელია) დადასტურებულია ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მესამე ტომში (თბ., 2002, გვ. 242). საშარდენო – სოფელი სოფ. ქოყოში (წალენჯიხის მუნიციპ.). როგორც უკვე დავრწმუნდით, შარდენი შავარდენის ჰაპლოლოგიური

ფორმაა: საშარდენო → შაშარდენო. გა მარცვლის დაკარგვის გარდა, მომხდარა სრული დისტანციური ასიმილაცია: ს-შ → შ-ს. შარდენი პირსახელიცაა. ჰაპლოლოგის სქემა: შა+ვა → შა.

წარმოქმნილი სახელები

გაგესკუა „მზარეული, ყასაბი, ხორცის მჭრელი, რომელიც ემსახურება ქორწილს, ქელებს“ (ბ. კილანავა. სიტყვის ამგვარ განმარტებას იზიარებენ ო. ქაჯაიაც და ალ. ქობალიაც). ფონეტიკური გზა: გაგესკუა//გაგესკუა → საგეგესკუო//საგეგესკუო → საგესკუო//საგესკუო „სამზარეულო“.

თუთაშხა „ორშაბათი“ → ოთუთაშხურე „საორშაბათო“ (სალოცავი წმ. გიორგისა) → ოთაშხურე (თუ + თა → თა) შდრ. ო. ქაჯაია: „ოთუთაშხირე//ოთუთაშხურე//ოთაშხირე“ – წმინდა გიორგის კულტის სალოცავი“, სრულდებოდა ორშაბათ დღეს“ (ეყრდნობა მ. კვირტიას).

ორფუძიანები (მსაზღვრელ-საზღვრული ფუძეები სახელობით ბრუნვაში)

რზენი დიდი „გაკე დიდი“ → ზედიდი – სახნავი ზანაძის ჭალაში (სენაკის მუნიციპ.). ზე+ნი→ზე

დიდი ნოცონი „დიდი ნაყანევი“ → დინოცონი – სახნავი გარამეშთან (ლეკოკაიე, სენაკის მუნიციპ.). დი+დი → დი.

დიდი რზენი „დიდი ვაკე“ → დირზენი – სახნავი მდ. ცივის მარცხ. მხარეს (საესებუო, სენაკის მუნიციპ.). დი+დი → დი. თუმცა არცაა გამორიცხული: დიდრზენი → დირზენი.

დუდი რჩე „თავთეთრა“ → დურჩე „თავთეთრა;
დაბადებით თეთრობიანი“ (იხ.: ქაჯაია, I, გვ. 514; ალ.
ქობალია: „დურჩე – თავთეთრა“). მარცვლის
დისიმილაციის სქემა: დუ + დი → დუ.

პიჯი რჩე „პირთეთრი“ → პირჩე „ნიშა,
პირთეთრი“ (იხ. ქაჯაია, II, გვ. 486): (პი + ჯი → პი). ი.
ყიფშიძე: „პირჩე – “ (ყიფშიძე, 1994, გვ.
239).

ბაბუ დიდი „დიდი ბაბუა“ → ბადიდი „ბერიკაცი,
მოხუცი“ (იხ. ქაჯაია, I, გვ. 211). (ბა + ბუ → ბა). ი.
ყიფშიძე ასახელებს: „ბადიდი//ბადგდი – “.
ამგვარივე განმარტება აქვთ ო. ქაჯაიასა და ალ.
ქობალიას.

**ჯიმა დიდი „დიდი მმა“ → ჯიმადი „ბიძია“ (მამის
ან დედის ძმა). შდრ. ი. ყიფშიძე: „ჯიმადი ← ჯიმა
დიდაში“; ალ. ქობალია: **ჯიმადი „დედის ძმა, ბიძა,**
დიდი ძმა; საზოგადო სახელი მშობელთა ძმებისა და
ახლო წინაპრებისა; ძმადი, მაყარი ნეფის მხრიდან.**
ჯიმადისქუა – ბიძაშვილი დედის ხაზით“. ალბათ
მეორე დი „დაიკარგა“.

ნოსა დიდი „უფროსი რძალი“ → ნოსადი
„ბიცოლა“. შდრ. ალ. ქობალია: „ნოსადი – უფროსი
რძალი, ბიცოლა, ძალუა“. დი+დი→დი (რომელი დი
დაიკარგა?).

ჯინჯი ჭითა „ძირწითელი“ → ჯინჭითა „მსუქანა“
(მცენარეა). ქეგლი (VI, გვ. 1139) განმარტავს: „მსუქანა
– სქელფოთლიანი მრავალწლოვანი მცენარე.
გავრცელებულია ტყეებსა და ნატყევარ ადგილებში...
ხმარობენ მხლად“. ჯი+ნ+ჯი → ჯინ.

ჩანჯი კითი „ცერა თითი“ (ეტიმოლოგია ი.
ყიფშიძისა) → ჩანკითი (დისიმილაცია რეგრესულია: ჯი

+ კი → კი). შენიშვნა: ამ შემთხვევაში პირველი კომპონენტი (ჩანჯი) მსაზღვრელია.

**საზღვრული კომპონენტი ნათესაობით ბრუნვაში
პიჯიშ ოქოსალი „პირის სახოცი“ → პიშქოსალი „პირსახოცი“. მარცვლები იდენტურ ხმოვნებიანია: პიჯი → პი. დაკარგულია თ ხმოვანიც.**

**პიჯიშ ჩუალა „პირის შენახვა“ (ე.ი. მარხვა,
მარხულობა) → პიჩუალა//პიჩუანი → პიჩვანი. პიჯი → პი.**

ჰაპლოლოგია, ჩვეულებრივ, კონტაქტურია, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში დისტანციურიც შეიძლება იყოს. დაგასახელებთ ერთ მაგალითს: წანამოწანა ფორმითაც და შინაარსითაც ქართული „წელიწადის“ ეკვივალებულია. ი. ყიფშიძე ამ როულ სახელს ასე შლის და განმარტავს: „წანამოწანა один год (букв. годами-год, по годам – год)“. რ. შეროზიას მიერ ჩაწერილ მეგრულ ანდაზებშიც იგივე ფორმა ჩანს: ართი წანამოწანაშ უკული „ერთი წლის შემდეგ“. მაგრამ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოში დღეს უფრო გავრცელებულია „წამოწანა“ (მოწანუა ნიშნავს წლის გასვლას, მოწლევებას, ხოლო წანაშ მოწანუა, ანუ წამოწანა აღნიშნავს წლისთავს, წლის მოწევას, გარდაცლილოსათვის წლისთავის გადახდას). ო. ქაჯაია: „წანა („წელი; წელიწადი“); წან(ა)მოწანა – წელიწადი; მომავალი წელი“; „მაჟირა წანამოწანა – მეორე წელიწადი“; ალ. ქობალია: „მოწანუა – წლისთავი; მიცვალებულის ხსენება წლისთავზე“; „წანა – წელი, წელიწადი; ასაკი; ხმობა“. სპეციალურ სტატიაში ინგა არონიამ დაასკვნა: „წინ(ა)მოწანა მიღებული უნდა იყოს წანაშ მოწანუა ფორმისაგან“: წანაში-მოწანა → წანამოწანა → წამოწანა (იხ. არონია, 2003, გვ. 23). მაშასადამე, წანამოწანა წამოწანა. სიტყვის

პირველი ფუძის ნა სინკოპირებულია დისტანციური დისიმილაციის ნიადაგზე ბოლოკიდური ნას მიერ.

3. ჰაპლოლოგია ტრანსიმიაში

ჰაპლოლოგია ძირისეულ მორფემათა (ფუძეთა) საზღვარზე (დაცულია ჰაპლოლოგიისათვის აუცილებელი სამივე პირობა):

ა. დისიმილატორი და დისიმილირებული მარცვლები იდენტურია:

კინოხორი ← კინონოხორი ← კინოხონოხორი „უკან მდებარე ნასახლარი; უწინდელი ნასახლარი“ – სახნავი შების მარცხ. ნაპირას (ნოდა, მარტვილის მუნიციპ.). საქმე გვაქვს ორმაგ ჰაპლოლოგიასთან: 1. კინოხონნოხორი → კინონოხორი (ხო+ნ+ხო → ხო); 2. კინონოხორი → კინოხორი (ხო+ხო → ხო) ამ მეორე შემთხვევაში მარცვლები იდენტურია.

ქინახორი – ფერდობი სოფ. თამაკონში (მარტვილის მუნიციპ.) ← ქინანახორი ← ქინაშ ნახორი „ქინას ნასახლარი“. ჰაპლოლოგიის გზა: ნა+ნა → ნა.

დასახელებული მაგალითებიდან დისიმილატორი და დისიმილირებული მარცვლები იდენტურია. სხვა შემთხვევებში იდენტურია მხოლოდ თანხმოვნები ან მხოლოდ ხმოვნები:

ბაგოჩეიშური ← ბაბუგოჩეიშური „ბაბუგოჩისეული“ – ბუჩქნარი კადარას ქვემოთ. რესპ.: „აქ ესახლა ბაბუგოჩი „მოხუცი კაცი“. სქემა: ბა+ბუ → ბა (ლედგებე, მარტვილის მუნიციპ.).

ბარობუ ← კარერობუ (ხევი სოფ. თაიაში, ჩხორო-წყუს მუნიციპ.) ← კარეშ რობუ „მწყემსის სადგომის

ხევი – (დისიმილატორია მომდევნო რო მარცვალი: რე+რო → რო, ე.ი. დისიმილაცია რეგრესულია).

ბოგოტახილი – ღელე სოფ. ბეთლემში (სენაკის მუნიციპ.) ← ბოგაგოტახილი „გატეხილი ბოგირი“ (რეგრესული ასიმილაცია: გა+გო → გო)...

ხმოვნების იდენტურობის შემთხვევაში თანხმოვნები არიან მსგავსნი ჩქამიერობის ან სონორობის მიხედვით:

ფარტობა – ვაკუხეობა სოფ. ქალადალში (წალენჯიხის მუნიციპ.) ← ფართო ტობა (ტობა ამ შემთხვევაში ოროგრაფიული ტერმინია. თანხმოვნები არიან ჩქამიერები, ჰომორგანულნი, მაგრამ ჰეტეროგენურნი. ხოლო ჰაპლოლოგია რეგრესულია: თო+ტო → ტო).

ჰაპლოლოგია ხდება ერთ-ერთ კომპონენტში, რომელშიც არის სათანადო ფონეტიკური პირობები, ე.ი. ორი იდენტური ან მსგავსი მარცვალი. ამ გარემოების გათვალისწინებით განსახილველია ორნაირი სიტუაცია:

ბ) სინკომორებულია პირველი ფუძე, რომელიც შეიძლება იყოს ზედსართავი ან არსებითი სახელი:

დიდი დობერა → დიდობერა „დიდი დობირო“ – ჩაის ფართობი მაზანდარაში (წალენჯიხის მუნიც.). ჰაპლოლოგია რეგრესულია: დი+დი → დი.

დიდი ცუ → დიცუ „დიდი თელა“ – ტყე ლარაში (წალენჯიხის მუნიციპ.) (შდრ. ქართულში: დიდი დედა → დიდედა, დიდი დუბე → დიდუბე, დიდი მდვიმე → დიდომი, დიდი წვერი → დიწვერი (ნუკრიანის სერის ბოლო ქიზიში), დიდი ჭალისთავი → დიჭალისთავი (ტოპონიმი რაჭაში) და სხვ.

კინოხონწყირი „უკანა წყირი“ – პიტალო კლდე ურთის მთის კალთაზე (ხეთა, საქირიო, ხობის

მუნიციპ.) → კიხონწყირი. ნო+ხო → ნო. ალ. ქობალია: „წყირი“ – წყირი, ჩხირი, პალო“... რესპ.: „წყირი მცენარეა ერთგვარი“; ს.-საბა: „წყირი“ – წყრილი ჩხირი“.

უდუდალ ← უდუდე ღალ „უთავო ღელე“ – ღელე, კოლოშანიშ ღალის შენაკადი (წარჩე, სამურზაფანო): ღუ+ღე → ღუ.

მარცვალდაკარგული არსებითი სახელი შეიძლება იყოს როგორც სახელობით, ისე ნათესაობით ბრუნვაში:

პაპაშ(ნ)წყუ „მდვდლის წყარო“ → პაპანწყუ → პანწყუ – ფერდობები ციზეთსა და საშურდაიოში (ორივე სენაკის მუნიციპ.). პა+პა → პა.

კიწიშ ნოხორი „კიწის ნასახლარი“ → კიწინო-ხორი//კინოხორი – ბორცვი ვახაში (მარტვილის მუნიც.). კი+წი → კი.

ცქუმუნტურიშ ღალ „ზღმარტლის ღელე“ → ცქუმუნტურდალ → ცქუმტურდალ – ღელე, ერისწყლის მარჯვ. შენაკადი სოფ. მუხურსა და ტოგონში (სამურზაფანო). სქემა: უნტ+ურ → ტუ.

გ. სინკოპირებულია მეორე ფუძე, რომელიც აგრეთვე შეიძლება იყოს არსებითი ან ზედსართავი სახელი:

ჭყონიშ ჯინჯი „მუხის ძირი“ → ჭყონჯინჯი → ჭყონჯი – ბექობი ბობოთში (მარტვილის მუნიციპ.). როგორც ჩანს, დაიკარგა ბოლო მარცვალი. ჯი+ნ → ჯი.

სგური დიდი „დიდი წყლიან-ტყიანი ხეობა“ → სკურდი – სოფელი და ხეობა (მარტვილის მუნიციპ.). უნდა ვივარაუდოთ, რომ პაპლოლოგიის „მსხვერპლი“ ისევ ბოლოკიდური დი- მარცვალია.

ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში ერთი ფუძის ორი ზუსტად ერთნაირი (იდენტური) მარცვლი-

დან იკარგება ერთ-ერთი. ასეთივე ვითარებაა მაშინაც, როცა ორ არაიდენტურ მარცვალთან გვაქვს საქმე:

ცხიმურმონწყვილი „მოთხოვილი რცხილა“ → ცხირმონწყვილი – ტყე ქალადალში (წალენჯიხის მუნიციპ.). მუ+რ+მო → მურ.

ფუქიშ სქური (ფუქი ფუტურო მიწა) → ფუქი-სქური → ფუსქური – ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი მაზანდარაში (წალენჯიხის მუნიციპ.). ქი+ს+ქუ → სქუ.

ფუქიწყური „დამეწყრილი ფუქი“ → ფუწყური – სოფელი სამურზაყანოში. ფუ+წ+ყუ → წყუ.

რობუ წკუპი „გიწრო ხევი“ → როწკუპი – ხევი მეორე კიწიაში (მარტვილის მუნიციპ.). ბუ+წ+კუ → წკუ.

ჯინჯი რჩე → ჯირჩე (ჯი+ნ+ჯი → ჯი) „უცენა“ → ჯირჩონა – სახნავი სოფ. კურზუს შემოგარენში (მარტვილის მუნიც.).

საინტერესოდ გვეჩვენება ისეთი შემთხვევები, როცა იდენტური მარცვლები ორ-ორ თანხმოვანს შეიცავენ:

დღუდღუში//დღურდღუში (ვაზის საადრეო ჯიშია) → დღუდღუშ-ონა → დღუშონა//დღუხონა – ბუჩქნარი მდ. ჩხოუშიას მარცხ. ნაპირას (ჰაპლოლოგია: დღუ+დღუ → დღუ, ბოლოს კი – შ→ჩ). შდრ.: დღუდღუში → დღუდღუშონა → დღუშონა – სახნავი საბერი-ოშ დალის მარჯვ. ნაპირას (სოფ. მეორე კიწია, მარტვილის მუნიციპ.); დღურდღუშონა წ დღურშონა → დღურხონა – სახნავი, ვაკე ფერდობის ძირას. რესპ.: „დღუდღუში, დღუ(ნ)დღუში ვაზის საადრეო ჯიშია, კრისუნასაც უწოდებენ“ (ახუთი, ჩხოროწყუს მუნიციპ.).

დ. ჰაპლოლოგია შეეხება ტოპონიმის მეორე ფუძეს:

წყარაკაკათაფუ „წყალთშესართავი“ → წყარაკაკათაფუ – მინდორი ოფაკილესა და ლეარსანეს

შესართავთან (ალერტკარი, ზუგდიდის მუნიციპ.): კა+კა → კა.

აქვე დავასახელებთ ორიოდე შემთხვევას, როცა ტოპონიმი სამ სიტყვას მოიცავს და ჰაპლოლოგიასაც ექვემდებარება:

ხუთი ჯიმა ჭყონი „ხუთი ძმა მუხა“ → ხუჯმაჭყონი – ბორცვი სოფ. ნაკიფუში (წალენჯიხის მუნიციპ.). ჰაპლოლოგიის (თო+ჯი → ჯი). შემდგომ ჯიმა სიტყვა კარგავს ი ხმოვანს.

ჟირომუშქა//ჟირომუშქაღალ(გ) – ღელე-ხეობა, ჭოდაღალის მარჯვ. შენაკადი. უნდა ვივარაუდოთ: ჟირი რობუშ შქა „ორ ხევს შუა“ → ჟირობუშქა → ჟირომუშქა (პირველი ჭოდა, ჩხოროწყუს მუნიც.): ჟი+რი → ჟი (ორი ღელე ერთვის ერთმანეთს). ამასთანავე: რ → მ (სხვა ვარიანტი: რი+რო → რო).

ჟორჯობაშქა → ჟორჯობაშქა – სახნავი ჯოცობის ორ ტოტს შუა (ნაგვალუ, სამურზაყანო). ჯოცობაწყარი – ღელე, რომელიც გამოივლის ნაჭაობარ ჯოცობას და ერთვის შავ ზღვას ცორკასთან (ზღვის ყურეა). სქემა: ჯო+ცო → ჯო.

უერადღებას იქცევს ერთი გარემოება: როგორც ქვემოთ წარმოდგენილი ტოპონიმური მასალა ადასტურებს, საჭაპლოლოგიო მარცვლები დასტურდება ასეთი თანმიმდევრობითაც: ხმოვანს + თანხმოვანი, მაგ. ონ + ონ → ონ:

ჭყონი „მუხა“ → ჭყონონა „მუხნარი“ → ჭყონა (ჭყონა – მუხნარი ნამიკოლავო მეორეში, საძოვარი სალენინში, ტყე ტაბაკოლაში, ხევი სკურდში და სხვ. ყველა მარტვილის მუნიციპ.); ჭყონა – ბუჩქნარი უფალ-კარში, ტყე გოლასკურში, ჩაის ფართობი ფოცხოში, სახნავი საბესელიოში (სენაკის მუნიციპ.) და სხვ. მრ.

ლეფონი „ლაფანი“ → ლეფონონა „ლაფნის ტყე“ → ლეფონა (ტოპონიმები ნაფიჩხოვოში, გახომელაში, კოპში, ნამიკოლავო პირველში და სხვ). აქაც: ონ+ონ → ონ.

ომჩქვეფონი ← ომუნჩქვეფონი – 1. ფონი ენგურზე (ვეშპუდელი, სამურზაყანო); 2. ფონი ერისწყალზე (ტოგონი, რეფი-ეწერი, სამურზაყანო). სქემა: ომ+ონ → ომ. ომუნჩქვეფონი (მეგრ.) „სამაჩვე ფონი“ ან „სამაჩვის ფონი“ ← ომუნჩქვეშ ფონი.

იბადება კითხვა: ჰაპლოლოგიად უნდა ჩაითვალოს თუ არა ისეთი შემთხვევები, როცა დისიმილაციის საფუძველი (იდენტური ან ნახევრად იდენტური ორი მარცვალი) არ ჩანს, მაგრამ მარცვალი ამოვარდნილია და სიტყვა ამ გზითაა დამოკლებული: გემინდორა „გამინდვრება“ → გენდორა (მინდორი ზემო ნაგვაზავოში); მორძგვი დართუ „მარჯვნივ მოსაბრუნი“ → მოზდართუ (მოსახვევი ეკლესიებიდან ჩამომავალ გზაზე, სოფ. თაიაში (ჩხოროწყუს მუნიციპ.); რობუ დიდი „დიდხევი“ → როდიდი (ხევი კურზუში); თოჭუ თვალის ავადმყოფობაა ერთგვარი (თოლი → თო, (მ)ჭუ „მწველი“); ომანთხირე (ტყე სოფ. ქვაითში) ← ომანეშ ოთხირე (ომანე „ნადირის ბუნაგი“, ოთხირე „თხილნარი“); ჟინი ლეპუკე „ზემო ლეპუკე“ → უინეკვე (კუპავების ნაცხოვრები ადგილია სოფ. ფახულანში); სუროვანდი „გველის სურო“ (იმერულში) → სურანდი (სახნავები სოფ. ლეხაინდრავოში); ფერჭკომუ ← ფერიშ მჭკომუ „ფერისმჭამელი“; ფართოსაკარა → ფარსაკარა და სხვ. მრ. დასახელებული მაგალითები არ წარმოადგენენ ორი იდენტური ან ნახევრად იდენტური მარცვლიდან ერთ-ერთის დაკარგვას ანუ ჰაპლოლოგიას.

4. ჰაკლოლობია ანიროპოტოპონიმებში (გვართაბან ზარმოშმნილ ადგილთა სახელწოდებებში)

გვარსახელები, ჩვეულებრივ, ბოლოვდება საგვარსახელო სუფიქსებით -ია, -უა, -ავა, -იან ან შეიერთებს გარკვეული სემანტიკის ფუძეს, როგორიცაა სქუა „შვილი“, ბერე („ვაჟიშვილი, შთამომავალი, ძე, შვილი“ → ბერეა → ბერია). ყველა შემთხვევაში ხდება ლექსიკური ერთეულის დაგრძელება, რაც იწვევს მახვილის გადანაცვლებას თავკიდური მარცვლისაკენ და, შესაბამისად, ჰაკლოლობიას.

დისიმილატორი და დისიმილირებული მარცვლები იდენტურია (მარცვლები ერთი და იმავე თანხმოვნისა და ხმოვნისაგან შედგება):

გეგელია (გვარსახელი) → ეგეგეი „საგეგელიო“ → ეგეე — უბანი სოფ. ბანდაში (მარტვილის მუნიც.): გე + ბე → გე.

ფიფია → ლეფიფიე → ლეფიე — უბანი ნასოფლარ წყავაშში (წალენჯიხის მუნიც.): ფი + ფი → ფი.

კიკიანი → ნაკიკიანი (დამოწმებულია სოფლის სახელწოდებად XIX ს-ის საისტორიო წყაროებში) → ნაკიანი (სოფლის დღევანდელი სახელწოდება ჩხორო-წყუს მუნიციპალიტეტში). (მაშასადამე: კი + კი → კი).

იშვიათად, იდენტურ მარცვლებში ორ-ორი თანხმოვანია:

კვეკვეცია → (ვ)ეკვეკვეციე → ეკვეციე — უბანი ბანდის საზღვართან (ნაჯახავო, მარტვილის მუნიციპ.). აქვეა (ვ)ეკვეციეშ გინართულ — მოსახვევი საუბნო

გზაზე (კვე+კვე → კვე). აქვე ბორცვს ეწოდება ნაკვეცუ (\leftarrow ნაკვეცუცუ). რესპ.: „გადმოცემით, კვეკვეციები აქვე ესახლნენ“.

საკვესქირო \leftarrow საკვეკვესქირო \leftarrow კვეკვესკირი (გვარსახელი) – კვეკვესკირების უბანი ერთსწყლის მარჯვ. ნაპირას (სამქვარი, სამურზაყანო): კვე+კვე → კვე.

საცხუბაიო \leftarrow საცხუცხუბაიო \leftarrow ცხუცხუბაია (გვარსახელი) – ცხუცხუბაიების ყოფილი დასახლება დალცუმლას ხეობაში (ფართონოხორი, სამურზაყანო). ცხუ+ცხუ → ცხუ.

ჯდანჯდავა → ე-(ჯდან)ჯდე → ენჯდე – უბანი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯოლევში (ჯდა + ნ + ჯდე → ნჯდე). ამ შემთხვევაშიც ამოვარდა თაგვიდური მარცვალი.

გვარსახელთა ერთი ჯგუფი წარმოქმნილია **სქუა**, „შვილი“ და **ბერე** „ვაჟიშვილი“ საგვარსახელო ლექ-სიკური ერთეულებით. აქაც მარცვლები იდენტურია.

თათარსქუა (ოფიც. თათარაშვილი) → **თარსქუა** → თარსქუაშ ნოხორი – მინდორი საჩიჩუოს ქვემოთ, სოფ. უფალკარში (თა + თა → თა).

მიმინოსქუა (ოფიციალური ვარიანტი: მიმინო-შვილი) → სამიმინოსქუო → სამინოსქუო → სამნო-სქუო – მიმინოშვილების უბანი სოფ. სუჯუნაში (აბაშის მუნიც.). (მი + მი → მი).

გიგიბერია („გიგის შვილი“) → საგიგიბერია → საგიბერია – გიგიბერიათა უბანი გამოღმა პირველ ხორგაში (ხობის მუნიციპ.). **ბერე-** ძე, ვაჟიშვილი → ბერეა → ბერია (გი + გი → გი).

გეგმვკორი („გეგეს ყმა, მონა“) → ეგეგმვკორე → ეგვეგორე – უბანი დიდ ინწეურში (მარტვილის მუნიციპ). (გე + გე → გე).

პაპაშ ჭკორი („მღვდლის ყმა, მონა“) → პაპაჭკორი (მეტსახელი) → პაჭკორია (გვარსახელი) → ნაპაჭკორუ – სახენავი აბაშის ნაპირას, სოფ. გამოღმა ზანათში (აბაშის მუნიციპ.). აქაც იდენტური მარცვლები პირველსავე ფუძეშია (პა + პა → პა). სხვა მაგალითი: **საპაჭკორიო** – უბანი უმპიასა და უჩაღალს შუა (სოფ. ხეცერა, აბასთუმნის თემის საკრებულო, ზუგდიდის მუნიციპ.). საპაჭკორიო რამდენიმე უბნის სახელია სენაკის მუნიციპალიტეტში (იხ. დაწვრილებით: ცხადათა, 2000, გვ. 120).

ძიძიგური → ეძიძიგურე → ეძიგურე – ძიძიგურების უბანი სოფ. ხუნწში (მარტვილის მუნიც.). (ძი + ძი → ძი).

ჯორჯიგია (გვარსახელი) ეს საჯორჯიგიო ეს საჯორჯიო – ჭალა უჩაღალის მარჯვ. ნაპირას (ციზეთი, სენაკის მუნიციპ.). გვარსახელი დასტურდება XVII ს-ის საისტორიო წყაროში. პაპლოლოგიის გზა: ჯი+კი → კი (სამეგრელოში იშვიათია მარცვლის დაკარგვა გვარსახელის ბოლო ნაწილში).

ჰაპლოლოგია არაიდენტურ მარცვლებში
(თანხმოვნები იდენტურია, ხმოვნები –
განსხვავებული)

კეპუტია → ლეკეპუტიე → ეპუტიე – კეპუტიების უბანი მარტვილის მუნიციპ-ის სოფ. ვახაში (კე + კუ → კუ).

კიკალია (ოფიც. გვარსახელი: კიკალეიშვილი) → კიკაიე → გაიე – უბანი ს. ბანძაში (მარტვილის მუნიციპ.); (კი + კა → კა).

გიქესქუა (ოფიც. კიკალეიშვილი) → ეკიკესქუე → ეკისქუე – უბანი მარტვილის მუნიციპ.-ის სოფ. ბანძაში (კი + კე → კი).

დადეშქელიანი სვანური გვარია. ამ გვარის მატარებელი რამდენიმე კომლი დასახლებულა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ორსანტიის საგვარამიოს უბანში. სწორედ აქ სათიბს დარქმევია და[დე]შქელიანიშ მინდორი. დღეს კი ეწოდება დადეშქელიანი//დაჩქელიანი. მაშასადამე: დადეშქელიანი → დაჩქელიანი (და + დე → და. ამის გარდა: შქ → ჩქ). იხ. აგრეთვე: დაჩქელიანეფიშ მინდორი (სათიბი) და დაჩქელიანეფიშ ნაოხვამ (სასაფლაო). ორივე სოფ ორსანტიაში (ზუგდიდის მუნიციპ.).

სიბისტროშ ოჩხარჩხალუ – ნაკადული ხირიშში (ლეგოგიე-ნასაჯუ, სენაკის მუნიციპ.). რესპ.: „პასპორტში ეწერა სილიბისტრო, მაგრამ ყველა მიმართავდა როგორც სიბისტრო“. პაპლოლოგიის გზა: სი + ლი → სი.

ჰაპლოლოგია გვარსახელთა არაიდენტურ მარცვლებში (ხმოვნები იდენტურია, თანხმოვნები – განსხვავებული):

ფარულუა (გვარსახელი) → ლეფარულუე „ფარულავების უბანი“ → ლეფალუე – სერი მარტვილის მუნიციპ.-ის სოფ. პ. კიშიაში (რუ + ლუ → ლუ).

მასხულია (გვარსახელი) → მასხულური (მასხულიას საკუთრება) → მასხური – ბორცვი ბურდონასა და შეტეურს შუა (გ. ელიავაც მასხურ ფორმას

ადასტურებს). კონკრეტული გზა: მასხულური → მასხური (საელიავი, მარტვილის მუნიციპ.). ჰაპლოლოგია: ხუ+ლუ → ხუ

ჰაპლოლოგია, როცა გვარსახელში ასიმილატორ და ასიმილირებულ მარცვლებს შეუა თანხმოვანია

გერგედავა → ლეგერგედე (ერქვა უბანს XX ს-ში წალენჯიხის მუნიც. სოფ. ფახულანში) → ეგერდე. ასე დაერქვა ლეგერგედან 2 კმ-ით ჩამოსახლებული გერგედავების უბანს (გე+რ+გე→გერ).

ჭერჭელია → ლეჭერჭელე → ლერჭელე – უბანი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. ლეწურწუმეში (ჭერ+ჭე→ჭერ).

წურწუმია – ლეწურწუმე (ოფიციალური სახელწოდებაა სოფლისა ჩხოროწყუს მუნიც.) → ლერწუმე (სოფლის არაოფიც. სახელწოდება). (წუ+რ+წუ → რწუ). ცხადია, ამოვარდა გვარსახელის თავკიდური მარცვალი.

ჩინჩია → ლეჩინჩიე → ლეჩიე – ჩინჩიების სამოსახლო უბანი, ბორცვი სოფ. კუხეშში (წალენჯიხის მუნიციპ.). (ჩი-ნ + ჩი → ჩი).

ს. უღენტი ადნიშნავს: „განზრახვა, სიტყვის ყველა მარცვალი იქნეს წარმოთქმული, ძალიან ხშირად ირღვევა სხვადასხვა მიზეზით, სახელდობრ: ა) სიტყვის ყველდღიური ხშირი ხმარება, რაც ხელს უწყობს სიტყვის გაცემთას, მის გარკვეულ დეფორმირებას; ბ) მოლაპარაკის არტიკულაციური დაუდევრობა; გ) მარცვლის იმპულსის გამოშვება ჰიატუსის შემთხვევაში; დ) ბოლოკიდური მედერი სონორების დაყრუება; ე) მეტყველების მეტად სწრაფი ტემპი და ვ) ძლიერი მახვილი (უღენტი, 1960). ჭეშმარიტება! ძლიერი მახვილისა და მეტყველების სწრაფი ტემპით უნდა აიხსნას

ისეთი შემთხვევები, როცა თითქოსდა დისიმილაციის საფუძვლის გარეშე ხდება მთელი მარცვლის ამოვარდნა ფუძიდან.

დასპენები: 1. ჰაპლოლოგია მეგრულში ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. იგი განსაკუთრებით პროფუქტიულია ტოპონიმიკურ მასალაში; 2. ჰაპლოლოგია ხდება როგორც იდენტურ, ისე მსგავს მარცვალთა შორის მორფემათა საზღვარზე და ერთი ფუძის ფარგლებშიც; 3. არაიდენტურ მარცვლებში ჰაპლოლოგიის საფუძველია ან თანხმოვნები ან ხმოვნები; 4. ერთგაროვანნი არიან ან ჩქამიერობის, ან სონორობის მიხედვით; 5. მიმართულების მიხედვით მარცვლის დისიმილაციური დაკარგვა შეიძლება იყოს პროგრესულიც (ძირითადად რთულ სახელებში) და რეგრესულიც (ძირითადად წარმოქმნილ სახელებში), ხოლო მანძილის მიხედვით – კონტაქტური (დისტანციური ჰაპლოლოგია ძალზე იშვიათია); 6. სალიტერატურო ენაში ჰაპლოლოგია იშვიათია, რადგანაც იგი დარეგულირებულია ტრადიციებითა და ყველასათვის სავალდებულო ენობრივი ნორმებით (შდრ. ტელევიზიის ეკრანებიდან რესპონდენტის სწრაფი მეტყველებისას წაცდენილი ფრაზები: დიდბუნოვანი, ნაცვლად დიდბუნებოვანისა; დესტაბიზაცია, ნაცვლად დესტაბილიზაციისა და სხვ.). დიალექტებსა და, განსაკუთრებით, უდამწერლობო ენებში მას მეტი გასაქანი აქვს, განსაკუთრებით მიკროტოპონიმიაში. საერთოდ კი, როგორც ი. ყიფშიძე ნაშრომში „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“ აღნიშნავს, „მეგრულში, რომელიც სალიტერატურო ენა არ არის, უპირატესობა ეძლევა ფონეტიკურ დასაბამს, რომელიც არ არის შემოზღუდული არავითარი

პირობითი მწიგნობრული საგრამატიკო კანონით“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 723).

გაანალიზებული მასალა ცხადყოფს, რომ ჰაპლო-ლოგიის ძირითადი მიზეზი არის ძლიერი მახვილი (უფრო სწორად, უწინ მოქმედი ძლიერი მახვილის ტრადიცია). საერთოდ კი, ყოველი ფონეტიკური პროცესი ენის ეკონომიის პრინციპითაა განპირობებული (მით უმეტეს, თუ ენა არასალიტერატუროა.

ამის გარდა, მარცვლის დაკარგვა ყოველთვის ჰაპლოლოგიის შედეგი აღარაა: უიპიჯი „ორპირი“ ← ჟირპიჯი ← ჟირიპიჯი; ზედიდი ← ზენდიდი ← ზენი დიდი „გაკედიდი“; ჭყოროკი ← ჭყონროკი ← ჭყონიროკი ← ჭყონიშ როკი „მუხის გამხმარი კუნძი“ – ტყე სოფ. ზენში და სხვ. მრ.

ბამოყვებული ლიტერატურა

არონია, 2003 – ი. არონია, ზოგი რთული სიტყვის შედგენილობისათვის მეგრულში; ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VIII, ქართული ენა, 2003.

ახვლედიანი, 1956 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1956.

გუდავა, 1981 – ტ. გუდავა, თანხმოვანთა კომპლექსები მეგრულში, კრებული „აკაკი შანიძე“, თბ., 1981.

დანელია, 2006 – კ. დანელია, კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006.

იმნაძე, 2008 – ნ. იმნაძე, ქართული ენა. ქართული ენციკლოპედია, თბ., 2008.

კარტოზია, 2008 – გ. კარტოზია, მეგრული ენა. ქართული ენციკლოპედია, თბ., 2008.

ლელ, 1990 –

, .., 1990

ლომთაძე, 1999 – ა. ლომთაძე, სპირანტებისა და აფრიკატების ფონეტიკური სახეცვლილებანი ქართველურ ენებში, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომისა, თბ., 1999.

ლომია, 2010 – მ. ლომია, ფონეტიკური მოვლენები: ასიმილაცია, დისიმილაცია. წიგნში: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია: მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010.

მაკალათია, 1979 – მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეცნიელოში. კრ. სამეცნიელო, თბ., 1979.

მაყაშვილი, 1991 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1996.

ნებიერიძე, 1991 – გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესაგალი, თბ., 1991.

პალ, I – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991.

ჟღენტი, 1953 – ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.

ჟღენტი, 1949 – ს. ჟღენტი, „რ“ ფონემა მეგრულ-ჭანურში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 8(2), თბ., 1949.

ჟღენტი, 1960 – ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, I, მარცვლის აგებულების პრობლემა, თბ., 1960.

როგავა, 1962 – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I. ხმოვანთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, თბ., 1962.

ს.-საბა, – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991; II, თბ., 1993.

ქაჯაიძა, I – ო. ქაჯაიძა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001.

ქაჯაიძა, II – ო. ქაჯაიძა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2002.

ქაჯაიძა, III – ო. ქაჯაიძა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბ., 2002.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I–VIII, 1950–1964.

ქობალია, 2010 – ალ. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

ქსე, 4, 1979 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1979.

ქსძ, III – ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970.

დოლობერიძე, 1979 – ნ. დოლობერიძე, ხალხური აღზრდის წესები სამეგრელოში (თამაში და სათამაშოები). იხ. კებულში „სამეგრელო“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1979.

უსლი, 1990 – ., 1990.

ყიფშიძე, 1994 – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

ყიფშიძე, 1994 – ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში. იხ. მისივე: რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

ჩიქობავა, 1952 – ა. ჩიქობავა, მეგრულ-ჭანური ვოკალიზმი, იქნ, VI, თბ., 1952.

ჩიქობავა, „მოამბე“ – ა. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, №3.

ჩუბინაშვილი, 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961.

ჩუბინაშვილი, 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ცაგარელი, 1880 – ., ., 1880.
II.

ციკოლია, 1954 – პ. ციკოლია, სამურზაყანული კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა: დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტ. შრომები, XXV, 1954.

ცხადაია, 1999 – პ. ცხადაია, ძიებანი კოდექთის ტოპონიმიდან, I, თბ., 1999.

ცხადაია, 2000 – პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

ცხადაია, 2012 – პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012.

**ცხადაია, ხორავა, 2016 – პ. ცხადაია, ბ. ხორავა,
აფხაზეთის გეოგრაფიული სახელმწოდებანი, თბ., 2016.**

**ქ. ჯერგალიძე, ნ. პეტრიაშვილი – ტოპონიმ
ანაკლიის ეტიმოლოგიისათვის. ჟურნალი „ქართველო-
ლოგია“, 4, თბ., 2016.**

**ჯორბენაძე, 1993 – ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური
გულანი, თბ., 1993.**

**ჯორბენაძე, 1995 – ბ. ჯორბენაძე, ქართველურ
ენათა დიალექტები, თბ., 1995.**

სარჩევი

ჰაპლოლოგიისათვის მეგრულში-----	259
შესავალი -----	259
1. ჰაპლოლოგია ქართულიდან ნასესხებ ლექსიკაში-----	260
2. ჰაპლოლოგია ერთ- და ორფურიან საზოგადო სახელებში-----	271
3. ჰაპლოლოგია ტოპონიმიაში-----	275
4. ჰაპლოლოგია ანთროპოგროპონიმებში (გვართაგან წარმოქმნილი სახელმწოდებები)-----	281
5. გამოყენებული ლიტერატურა-----	288

ავტორის ონომასტიკური ძიებანი (წიგნები)

პაატა (პატიკო) ცხადაია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი. წლების მანილზე იყო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, თსუ სიღნადის ფილიალის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე. იქვე იყო არჩეული სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. შეტანილია ბიბლეოგაფიულ ლექსიკონ-ცნობარში „
აკადემია, 2000 წ., გვ. 172). 2004 წელს გამოცემულ „სამურზაყანოს ისტორიულ და თანამედროვე ტოპონიმიას“ რამდენიმეგზის გამოეხმაურა „ამერიკის ხმა“.

სამეცნიერო კვლევის სფერო – **ქართველური ონომასტიკა**. ამ დარგში აქვს დაბჭედილი სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, ლექსიკონები. მათ შორის:

1. მთიანი სამეცნიეროს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985.
2. ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1987.
3. ძიებანი კოლექტის ტოპონიმიდან, I, თბ., 1999.
4. გვარები და გვართა დასახლებანი სამეცნიეროში, თბ., 2000.
5. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003 (ვ. ჯოჯუასთან ერთად).
6. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003 (ვ. ჯოჯუასთან ერთად).
7. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004.
8. სამეცნიეროს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I (წალენჯიხის რაიონი), თბ., 2004.
9. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, თბ., 2005 (ვ. ჯოჯუასთან ერთად).
10. ონომასტიკის შესავალი (სახელმძღვანელო), თბ., 2005.
11. ათასი მეცნიერო ტოპონიმი, თბ., 2005.

12. სამეგრელოს გეოგრაფიული (ზუგდიდის რაიონი), თბ., 2007.
13. სამეგრელოს გეოგრაფიული (ხობის რაიონი), თბ., 2007.
14. სამეგრელოს გეოგრაფიული (ჩხოროწყვეს რაიონი), თბ., 2009.
15. სამეგრელოს გეოგრაფიული (მარტვილის რაიონი, I, სამხრეთი ნაწილი), თბ., 2009.
16. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, III (ამბროლაურის რაიონი), თბ., 2010 (ვ. ჯოჯუასთან ერთად).
17. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV, თბ., 2012.
18. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI (მარტვილის რაიონი, II, ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012.
19. სამეგრელოს გეოგრაფიული (სენაკის რაიონი), თბ., 2013.
20. სამეგრელოს გეოგრაფიული (აბაშის რაიონი), თბ., 2013.
21. ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I (ლაჯანურის ხეობა), თბ., 2014.
22. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი (შევსებული გამოცემა), თბ., 2015.
23. საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში, თბ., 2016.
24. პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2016.
25. ონომასტიკური ძიებანი, I, თბ., 2017.

პაატა ცხადანა

ონომასტიბული ქიმიკი

I

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დოდო შონია

თბილისი – 2017



გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017

თბილისი, 0179, ა. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

